როლანდ თოფჩიშვილი

არაგვის ხეობის დაბლობი და მისი მკვიდრნი

ეთნოისტორიული საკითხები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
გელათის მეცნიერებათა აკადემია

როლანდ თოფჩიშვილი

არაგვის ხეობის დაბლობი და მისი მკვიდრნი

ეთნოისტორიული საკითხები

თბილისი
2020

ისტორიულად და ახლაც არაგვის ხეობაზე გადიოდა და გადის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგზაო არტერია, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთთან აკავშირებდა. აქ არის მთიანეთის ისეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, როგორიცაა მთიულეთი (ხადა, ცხავატი) და გუდამაყარი, უფრო ჩრდილოეთით, თერგის ხეობის სათავეში (რომელსაც ქართულ წყაროებში არაგვი და ლომეკიც ეწოდებოდა) – ხევი და თრუსო. მაგრამ არაგვის ხეობა მხოლოდ მთის მხარეებს არ მოიცავს, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფართობი უკავია დაბლობ ნაწილს, რომელიც აერთიანებს მთისწინეთსა და ბარს. სამწუხაროდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები ძირითადად მთიანეთს ეძღვნებოდა; ნაკლები ყურადღება ექცეოდა არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარს. წინამდებარე წიგნი არაგვის ხეობის დაბლობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ერთგვარი ცდაა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ეთნოისტორიულ საკითხებზე.

რედაქტორი ნათია ჯალაბაძე

რეცენზენტები:
ჭაბუკა მეტონიძე
გიორგი გოგოჭური

© როლანდ თოფჩიშვილი, 2020

ISBN 978-9941-485-87-9

შესავალი

თეორი/მთიულეთის არაგვის ხეობაში მთიანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე მთიულეთი მდებარეობს, რომელიც ადრინდელი ორი ტერიტორიული ერთეულის ხადისა და ცხავატის გაერთიანების შედეგად არის ჩამოყალიბებული[1]. ფასანაურის მისადგომებთან თეორ არაგვს შავი არაგვი ერთვის. ამ ხეობაშია მთიანეთის მეორე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე გუდამაყარი. მთიულეთ-გუდამაყრის სამხრეთით წერილობით ძეგლებში მოხსენიებული კიდევ ორი მხარე მდებარეობს – ხანდო და ჭართალი. ხადასა და ცხავატის ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარედ ჩამოყალიბებისას ამ ინტეგრაციული პროცესის მიღმა დარჩა ხანდო და ჭართალი. ხანდოსა და ჭართლის მთიულეთში გაერთიანებას მთელმა რიგმა ფაქტორებმა შეუშალა ხელი, პირველ რიგში კი ეს იყო გეოგრაფიული მიზეზი. ეს ორი ტერიტორიული ერთეული უკვე მთას აღარ მიეკუთვნება – ერთიც და მეორე მთისწინეთია. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მოსახლეობის ცვლაც, განსაკუთრებით ჭართალში. ორივე ხეობაში განსახლებული გვარები ფაქტობრივად XVI საუკუნიდან არიან დასახლკარებული. მთიულეთთან და გუდამაყართან გეოგრაფიული სიახლოვის მიუხედავად, ხანდოელები და ჭართლელები მთიულურ და გუდამაყრულ დიალექტებზე არ მეტყველებენ. ერთი მოხრობელის თქმით, „ლაპარაკი ხანდოველებისა და მთიულებისა განსხვავდება ერთმანეთისაგან, მთიულები აგრძელებენ“. მეორე მოხრობელის (ხანდოელის) გამოთქმით კი „ეგენი (მთიულები – რ. თ.) იღმინებიან, რაღაც აგრძელებენ. ჩვენ კიდევ ქვევით ხალხს (ქართლელებს – რ. თ.) ვემსგავსებით“.

ასე რომ, შეცდომაა როდესაც ხანდოელებსა და ჭართალელებს ხშირად მთიულებს მიათვლიან ხოლმე. ისინი არაგვის ხეობის მთისწინეთის დამოუკიდებელი, მცირე ის-

1. რ. თოფჩიშვილი. მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი. – „მაცნე“, ისტორიის... სერია, №2, 1985.

ტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებია. ანგარიშგასაწევია აგრეთვე ის გარემოება, რომ ხანდოელები და ჭართლელები არ ეყმობოდნენ საერთო მთიულურ სალოცავ – „ლომისას“. ორივე ტერიტორიულ ერთეულს/თემს სასოფლო და საგვარო სალოცავებთან ერთად საერთო გამაერთიანებელი სალოცავებიც ჰქონდა. ამასთანავე, ხანდო და ჭართალი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ არ შეიცავდა შედარებით პატარა, წვრილ ტერიტორიულ თემებს, თუმცა თითოეული სოფელი ცალ-ცალკე აღებული იყო თემი („თემ-სოფელი“, „სასოფლო თემი“). ასეთ სასოფლო თემებში (სოფლებში) ხდებოდა მცირე საკითხების გადაწყვეტა.

ცნობილია, რომ არაგვის ხეობა საზღვარს წარმოადგენდა ქართლსა და კახეთს შორის. ხეობის მარჯვენა მხარე თუ ქართლს ეკუთვნოდა, მარცხენა მხარე – კახეთს. ძემოხსენებული ხანდო და ჭართალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ქართლის საკუთრება იყო. არაგვის ხეობის მარჯვენა მხარის მთისწინეთისა და ბარის მოსახლეობა ქართლურ დიალექტზეც საუბრობდა. მარცხენა მხარე კი ისტორიული კახეთის საკუთრება იყო და ზოგჯერ მის მოსახლეობას და სოფლებს ერწო-თიანეთს მიაწერდნენ. ჩვენ არა გვაქვს საშუალება გავარკვიოთ მარცხენა მხარის მოსახლეობის დიალექტური კუთვნილება, რადგან აქ ძველი მოსახლეობა ფაქტობრივად აღარაა შემორენილი.

არაგვის ხეობის დაბლობი ისტორიულად მიკროერთეულებად, მცირე ტერიტორიულ ერთეულებად იყოფოდა. მაგალითად ასეთი იყო ბაზალეთი, რომლის ორგვარი გაგება არსებობდა: 1) ტერიტორია ბაზალეთის ტბის გარშემო და 2) თითქმის არაგვის ხეობის მთელი დაბლობი ნაწილი პავლეურ-ციხისძირიდან მოყოლებული, რომელსაც ასევე ბაზალეთად მოიხსენიებდნენ (ფართო გაგებით), ანუ მთელი „დაბალი საერისთავო“. არაგვის ხეობის დაბლობის განუყოფელი ნაწილი იყო ხორხი ანუ ხორხის ხეობა, რომელიც ჟინვალთან ერთვოდა თეთრ არაგვს. მარცხენა ნაპირის ტერიტორიული ერთეული იყო აგრეთვე ძაგნაკორა/ზეგნაკორა, რომლის მეორე მხარე ერწოს ესაზღვრება. არაგვის ბარს

ეკუთვნის აგრეთვე საგურამოს მხარე და რამდენიმე სოფელი, რომელიც „დაბალ საერისთავოში“ არ შედიოდა და არაგვის ერისთავთა მოსაზღვრე სამუხრანბატონოს ეკუთვნოდა – წილკან-მისაქციელის ირგვლივ მდებარე სოფლები.

შეიძლება კითხვა გაჩნდეს – რა მნიშვნელობა აქვს ასეთი, ზემოთ დასახელებული შედარებით პატარა გეოგრაფიული, ტერიტორიული ერთეულების სამეცნიერო შეწავლას? საქართველო არა მხოლოდ დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ერთობლიობას წარმოადგენდა, არამედ ამ მხარეებში შემავალი შედარებით პატარა ტერიტორიული თემებისაც. ამ მცირე ერთეულების დაწვრილებითი გამოკვლევა კი უფრო კარგად წარმოგვიჩენს დიდ მხარებს. მათ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიული თვალსაზრისით; როგორ იცვლებოდა მოსახლეობა; რა მიმართულებისა იყო მიგრაციული პროცესები; მოსახლეობის გადაადგილებანი რა გავლენას ახდენდა რწმენა-წარმოდგენებზე; პასუხი გაეცემა გვიან შუა საუკუნეებში საეკლესიო მოღვაწეთა მიერ გარკვეული მცდელობის ფაქტებს იმაზე, რომ მთისწინეთში მცხოვრები ამა თუ იმ თემის წარმომადგენლები რატომ არ იცავდნენ მთელ რიგ ქრისტიანულ დოგმებს და ა. შ.

ხანდო

ხანდო პირველად XIV-XV საუკუნეების მიჯნის „ძეგლი ერისთავთაში“ მოიხსენიება. 1607 წლის წერილობით ძეგლში ვკითხულობთ: „ ...ესე წმინდანი ზატიკნი დატყუვებული იყო მას ჟამსსა, ოდეს ჩემნი ოთხი ბიძანი ჭანდოს ჭევსურთა დაეჭოცნეს...“[2]. 1746 წლის ერეკლე II-ის წილკნელისადმი სამწყსოს განახლების სიგელში, ჭართალთან ერთად, ხანდოცაა მოხსენიებული: „და ჩვენც ჭელახლა წყალობა გიყავით თქვენი სამწყსო: მთიულეთი, ჭევი, გუდამაყარი, ჭანდო, ჭართალი“[3]. 1774 წლის მორიგე ლაშქრის ნუსხაში დასახელებულია „ხანდოელი ზურაბის-შვილის მამუკას ყმა ზარიძე ზარიძის შვილი ოტია“[4]. *იოანე ბაგრატიონი* ხანდოს შესახებ აღნიშნავს: **„ხანდო მცირე ხეობა არის. ამას აქუს სოფელი ცხრა, შენნი“**[5].

ხანდოში დღეისათვის რვა დასახლებული პუნქტი, სოფელი, შედის; ესენია: **წინამხარი, უკანამხარი, ვეშაგურები, დავითურები, მეჯილაურები, სოდევი, წითლიანი** და **ბანცური**. ორი უკანასკნელი სოფელი შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია არაგვისა და ხანდოს ხევის შეერთების ზონაში, სადაც მოსახლეობა ხანდოს ზემოთ ჩამოთვლილი სოფლებიდანაა გადმოსულ-დასახლებული. წითლიანის დასახლება ხანდოველებით თუ XX საუკუნის 20-30-იან წლებში მოხდა, ბანცური შედარებით ადრინდელი წარმონაქმნია. სოფელ ბანცურის შესახებ უნდა ითქვას, რომ მასში თავდაპირველად ბანცურები მოსახლეობდნენ, რომლებიც უფრო დაბლა, არაგვის ხეობის ერთ-ერთ მთისწინა მიკრორეგიონში – **ქაისხევში** დასახლებულან და შეუქმნიათ ასევე თავისი გვარის მატარებელი სახელის სოფელი – **ბანცუ-**

---

[2] ქრონიკები, II, გვ. 386

[3] ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 397.

[4] *ივ. ჯავახიშვილი.* საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIXსს), წიგნი II, თბ., 1974, გვ. 120.

[5] ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1985, გვ. 35.

რთკარი. ბანცურთა აქედან ქაისხევში XVIII საუკუნეში გადასახლება უკვე ფაქტია. ხანდოდან ბანცურების გადასახლების მიუხედავად, სოფელმა შეინარჩუნა ძველი სახელწოდება და იგი, როგორც სოფელი, თავისი ძველი სახელწოდებით ააღორძინეს ხანდოს ხეობიდანვე გადმოსახლებულმა ***ვეშაგურებმა.*** აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბანცურთა გვარის წინაპრები აქ ხევსურეთიდან იყვნენ გადმოსახლებული და მათი ძირი-გვარი არაბული იყო.

1774 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებით, ხანდოში 6 სოფელი ითვლება. **უკანამხარი,** რომელიც *ფირან შაბურიშვილის* სამოურავო ყოფილა; **ჯუხარაანთკარი** (ეს უნდა იყოს დღევანდელი სოფელი **დავითურები,** რომელშიც ხსენებული აღწერის თანახმად, ჯუხარიძეებთან ერთად, დავითურებიც მოსახლეობდნენ. საერთოდ, საქართველოში სოფელთა სახელწოდების ამგვარი ცვლა იქ შეიმჩნევა, სადაც ორი ან სამი გვარის ხალხი მკვიდრობდა. ისტორიის ერთ მონაკვეთში სოფელი თუ ერთი გვარის სახელს ატარებდა, მეორე მონაკვეთში – მეორე გვარისას და ა. შ. ეთნოგრაფიულ ყოფაში ისეთი შემთხვევებიც ხშირია, როდესაც ასეთი რიგის სოფლები ხალხში ორი სახელწოდებით მოიხსენიება); **ვეშაგურთკარი; წინციხე** (ეს, რა თქმა უნდა, დღევანდელი **წინამხარია,** რომელშიც დღესაც და 1774 წელსაც სოფლის მკვიდრთ ზურაბაშვილები წარმოადგენდნენ); **სოდევე; ჯირაურთკარი** (დღევანდელი **მეჯილაურები**). პირველი სოფლის – უკანამხარის – გამოკლებით, ჩამოთვლილი ხუთივე სოფელი, მოსახლეობის აღწერით, არაგვის ერისთავის საყმოს წარმოადგენდა.

1774 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, **უკანამხარში** მოსახლეობდნენ ***ნათობიძეები*** (15 კომლი), რომლებიც დღეს ***მნათობიშვილის (ნათობიშვილის)*** გვარს ატარებენ. ამ გვარის ბარში გადასახლებულთა ნაწილი გვარსახელის ძველ ფორმანტს (-ძე) ინარჩუნებს და ნათობიძედ იწერება. 1831 წლის კამერალურ აღწერაში ნათობიძე-მნათობიშვილთა სოფელი ცალკეა ნახსენები – **მნათობიანი,** რომელშიც ექვსი კომლი ***მნათობიევი*** მკვიდრობდა[6]. 1774 წლის აღწე-

[6] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქ. № 1245.

რის მონაცემებთან შედარებით, ნათობიძეების კომლობრივი რაოდენობის მკვეთრი შემცირება მათი ბარში გადასახლებით იყო გამოწვეული. 1873 წლის კამერალურ აღწერაში ისინი უკვე მნათობიშვილად იწერებიან (12 კომლი) და სოფელიც „მნათობიანის“ სახელწოდებითაა ოფიციალურ დოკუმენტში სახელდებული. ცალკე სოფლადაა 1831 წლის აღწერაში წარმოდგენილი **ლაზვიანი,** რომელშიც ამ დროს მკვიდრობდა 10 კომლი ***ლაზვიაშვილი.*** უკანამხარში თავიდანვე მკვიდრობდნენ ***ლაზუაძეები.*** XVIII საუკუნის ზემოთ აღნიშნულ აღწერაში ისინი აქ 5 კომლის რაოდენობით არიან. დღესაც ამ გვარის წარმომადგენლები აქ მკვიდრობენ, ოღონდ მსგავსად მნათობიძეებისა, მათი გვარის ფორმანტიც შეცვლილა, „-ძე“-ს ნაცვლად დღეს „-შვილი“ ფორმანტს ირთავს და ამდენად ისინი ლაზვიაშვილის გვარს ატარებენ. უკანამხარში ზემოთ აღნიშნული ორი გვარი ცალ-ცალკე უბნების მიხედვით მოსახლეობდა. ჩანს, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 1873 წლის კამერალური აღწერის ჩამტარებელმა უკანამხარის ეს უბნები ცალ-ცალკე სოფლებად – **მნათობიანად** და **ლაზვიანად** – მიიჩნია. 1873 წელს ლაზვიანში ლაზვიაშვილების შვიდი ოჯახი მოსახლეობდა. დღეს უკანამხარში მკვიდრობენ **ქურციკიშვილებიც**. 1873 აღწერის მონაცემებით, ქურციკიშვილები **ქურციკიანში** მკვიდრობდნენ. რა თქმა უნდა, ქურციკიანი უკანამხარის მესამე უბანს წარმოადგენდა. საყურადღებოა, რომ 1774 წლის მოსახლეობის აღწერით, ქურციკიშვილები ხანდოს მოსახლეთა შორის არ ჩანან. 1831 წლის აღწერით, ქურციკიანში 4 კომლი ქურციკიშვილი მკვიდრობდა, 1860 წელს – ცხრა.

ეთნოგრაფიული მასალებით, **ლაზვიაშვილების ძირი-გვარი ნარიმანიძე ყოფილა და მათი წინაპარი მთიულეთის სონჩო-ჟოჟონის ხეობიდან გადმოსახლებულა**. უკანამხარში მოსახლე სამივე გვარი – ნათობიშვილი, ლაზვიაშვილი და ქურციკიშვილი – ერთმანეთში ქალს არ ათხოვებდნენ. ამ სოფელში არის სალოცავი *წმიდა გიორგი* (ეკლესია), რომელსაც *ათენგენას* უწოდებენ და იხდიან დღეობას ათენგენობას. ეს სალოცავი-ეკლესია იმ თვალსაზრისითაცაა აღსანიშნავი, რომ აქ ჯვარს იწერდნენ არა მარტო ამ სოფლის მკვიდრნი და სხვა ხანდოველები, არამედ გუდამაყრელები

და ჭართლელებიც, რაც თავისთავად აშკარად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გუდამაყარში და ჭართალში ნაკლებად იყვნენ ოფიციალური ქრისტიანული რელიგიის მსახურნი – მღვდლები, რომლებიც ჯვარისწერის რიტუალს ჩაატარებდნენ.

1774 წლის აღწერაში მოხსენიებულია სოფელი **ჯუხარაანთკარი**, რომელშიც ორი გვარის ხალხი – ***ჯუხარაშვილები*** (5 კომლი) და ***დავითურები*** (2 კომლი) – მოსახლეობდა. 1831 წლის აღწერაში ხანდოში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი სოფლები ჯუხარაანთკარი (4 კომლი) და **დავითურთკარი** (9 კომლი). ტოპონიმი **ჯუხარაანთკარი** დღეს ხანდოში აღარ გვხვდება. ზემოთ ითქვა, რომ ეს იგივე დავითურები უნდა იყოს. 1873 წლის კამერალური აღწერის მასალებით, სოფელ ჯუხარაანთკარში 3 კომლი ჯუხარაშვილი მკვიდრობდა. მთხრობელის სიტყვით, „ხანდოში იყო ჯუხარაანთკარის სოფელი, შვიდი კომლი იყო და ერთი კომლიღაა“. XVIII საუკუნეში ჯუხარაშვილები *ჯუხარიძედ* იწერებოდნენ. რაც შეეხება დავითურებს, ეთნოგრაფიული მასალებით, დავითურების წინაპარი ხანდოში ქართლიდან, სოფელ სამთავისიდან გადმოსახლებულა. გადმოცემით, აქ მოსული მათი წინაპარი *ამილახვარი* ყოფილა. დავითურების სალოცავია „წვერის ანგელოზი“, რომელშიც ამ გვარის წარმომადგენლები ბავშვს გარეკდნენ ხოლმე. დღეს ეს სალოცავი ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. დავითურების აღნიშნული სალოცავი „ციხისა თორმეწამის“ სახელითაც მოიხსენიება. ამ სალოცავს არაგვისპირზე, სოფელ იორში ვენახი ჰქონია, სადაც გადასახლებულან ამ გვარის წარმომადგენლები. ეთნოგრაფიული მასალებით, „ეს ვენახი ამ გადასახლებულებისათვის ჩაუბარებიათ და შაუწერიათ ღვინო და უთქვამთ, რომ ეს მამულები ხატისაა და ხატის დღეობაში ღვინო (კულუხი) უნდა მოიტანოთო“. სოფელ *იორში* გადასახლებული დავითურები, ახალ საცხოვრისში *ქაშიაშვილის* გვარს ატარებდნენ. სოფელი დავითურები გეოგრაფიული თვალსაზრისით, ხანდოს ხეობის სხვა სოფლებისაგან გამოირჩეოდა რთული რელიეფური პირობებით. მთხრობლის სიტყვებით, „დავითურნი, ჩვენი სოფელი, ისეთი გვერდა ადგილებია, გაგიკვირდება, როგორ ცხოვრობდნენ აქაო.

მეტისმეტი გვერდა ადგილია. სხვა სოფლებს ხანდოში არა უშავს, კაი მდგომარეობა აქვთ, დავითურებთან შედარებით ვაკედ არიან“.

ხანდოში თავისივე გვარის სახელის მატარებელ სოფელში მკვიდრობდნენ ***ვეშაგურები***, რომლებიც, როგორც ზემოთაც ითქვა, ბანცურში გადასახლებულან. 1774 წელს 8 კომლი ვეშაგური მოსახლეობდა. 1831 წლის აღწერით, ბანცურში 8 ოჯახი, ხოლო ვეშაგურთკარში 14 ოჯახი ვეშაგური ცხოვრობდა. სხვათა შორის, 1873 წლის აღწერაში ბანცურში მოსახლე ვეშაგურების 10 კომლი მეორე გვარითაც – ბანცურიძე – არის ჩაწერილი[7]. 1873 წლის კამერალური აღწერით, ვეშაგურთკარში 15 ოჯახი ვეშაგური მკვიდრობდა. ამავე დროს, ისინი დიდი ხნის გადასახლებული იყვნენ სოფელ ბანცურში, სადაც 10 კომლი ვეშაგური მოსახლეობდა. 1886 წლის საოჯახო სიებით, ვეშაგურების საერთო რაოდენობამ ხანდოში 32 კომლს გადააჭარბა. ვეშაგურები ხანდოს თემის (ხეობის) მთავარი სალოცავის „მთავარანგელოზის“ ყმები არიან. მათ ცალკე საგვრეულო სალოცავი არა აქვთ. ხანდოს თემის მთავარი სალოცავისადმი ვეშაგურთა გვარის ყმობა იმას უნდა განეპირობებინა, რომ ისინი ამ სალოცავის სიახლოვეს დასახლებულან. ეთნოგრაფიული მასალებით, ვეშაგურები ხანდოში ხევსურეთიდან, სოფელ უკანხადოდან გადმოსახლებულან, „გამორიდებული და გამოქცეული ხალხია ხევსურეთიდან“. „ის ხევსური ამანათი ყოფილა და შუა თემში დაუსახლებიათ“. საერთოდ, აღნიშნული გვარი თავიანთ თავდაპირველ წარმომავლობას ქისტეთს უკავშირებს. ხევსურეთშიც იგივე ამბავი დამართვიათ და სოფელს აუძულებია, რომ წამოსულიყვნენ და ხანდოში მოსულან. მთხრობელის თქმით, „პირველად ხანდოში დასახლდნენ, მაგრამ მერე ჯიმშერ ბატონმა ბანცურში გაუღირა ხელი და აქ დააყენა. იმიტომ დააყენა ჯიმშერ ბატონმა ვეშაგურები ბანცურში, რომ უოქომთ, რომ აქაო ადგილი არა გვაქვსო“. ეთნოგრაფიული მასალებით, „ვეშაგურები არაბულების განაყრები არიან. ხევსურეთიდან გამოქცეუ-

[7] სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. №227, გვ. 210-214.

ლან. ეხლაც რომ შეიყრებიან, ეს ორი გვარი ბიძაშვილობს“.

ვეშაგურებს გარდა, საერთო ხანდოურ სალოცავს „მთავარანგელოზს“ ლოცულობდნენ ***ზურაბაშვილები*** და ***მელიქიშვილები.*** 1774 წელს **წინციხეში** *ზურაბაძეების* ორი კომლი მოსახლეობდა, რომელთა რაოდენობამ 1886 წელს 11 კომლს მიაღწია. ეთნოგრაფიული მასალებით, *ზურაბაშვილები* ფშავიდან ყოფილან გადმოსახლებულები. მელიქიშვილების გვარი ამ დროს ხანდოს მცხოვრებთა შორის არ გვხვდება. თუმცა, როგორც ირკვევა, ისინი ხანდოს ხეობის ერთ-ერთი ძველი მკვიდრნი ყოფილან. 1831 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალებით ირკვევა, რომ მელიქიშვილების ადრინდელი ქართული გვარი იყო ***სამხარაული***[8]. სამხარაულები კი 1774 წლის აღწერაში ხანდოს წინციხეს შვიდი კომლის რაოდენობით მკვიდრობდნენ[9]. 1831 წელს ხანდოში სამხარაულ-მელიქიშვილები 12 კომლი იყვნენ. შემდეგ აღწერებში ხანდოში სამხარაულების გვარი აღარ ფიგურირებს. მელიქიშვილები კი 1860 წელს უკვე 17 ოჯახად მოსახლეობდნენ.

წინამხარში მელიქიშვილების დასახლებას ***უნაგირისხევს*** უწოდებენ და მას ცალკე სოფლად მიიჩნევენ. ჭინამხარში არსებული სალოცავი „მთავარანგელოზი“ დალოცვაში მოიხსენიება როგორც „ხანდოს კარის გასაღები“. ეს სალოცავი ამ ხეობის ერთ-ერთი ძირითადი სალოცავი იყო, მაგრამ ცენტრალურ სალოცავს წარმოადგენდა სოფელ მეჯილაურთის „ყოლაწმინდა“, რომელსაც გადმოცემით, „ბარში სადღაც ვენახი ჰქონია. ის საერთო ხატია ხანდოსი. მეჯილაურთას ყველაწმინდაში სამი დიდი ქვევრი იყო და კულუხი მოჰქონდათ ბარიდან, შვიდი სოფლის ყველა ხალხი მოდიოდა და სვამდნენ. ყველაწმინდაში დეკანოზი *მოთიაშვილები* იყვნენ. მოთიაშვილები იქვე ვცხოვრობდით“. 1774 წელს ამ სოფელში (**ჯირაურთკარი**) მოთიაშვილების ხუთი კომლი მკვიდრობდა და ისინი იმ დროს ***მოთიაურის*** გვარს

---

[8] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქ. № 1245.

[9] ე. თაყაიშვილი. მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907.Tგვ. 475-477.

ატარებდნენ. უცხოვრიათ კიდევ ***გივიძეებს*** (2 კომლი: „გივიძე ჭალაჭანდრის შვილი ირემა“, „გივიძე გიორგის შვილი შერმაზან და გულია მეჯინიბე“), ***ფსიტიძეებს*** (ერთი კომლი – „ფსიტიძე დათოს შვილი თამაზა და ელიზბარ ხაბაზი“) და ***გვრიტიძეებს.*** 1873 წლის აღწერით კი **ჯველაურთკარში** (ამ აღწერაში ასეა! – რ. თ.) მხოლოდ გვრიტიშვილები და მოთიაშვილები მოსახლეობდნენ (ორივე გვარი 12-12 კომლი). საყურადღებოა, რომ ფსიტიძეები და გივიძეები მოთიაურებს (მოთიაშვილებს) შეკედლებიან და მათი გვარი მიუღიათ. ***ფსიტიანები*** და ***გივიანები*** დღეს მოთიაშვილების მამიშვილობებს წარმოადგენენ. მთხრობელის თქმით, „გივიანები იყვნენ, ეხლა მოთიაშვილებად იწერებიან, ფსიტიანები ეხლაც არიან, მოთიაშვილების კომობაა“. ამ გვარების მოთიაურ-მოთიაშვილებში შესვლა XVIII საუკუნის ბოლოს უნდა მომხდარიყო, რადგან 1831 წლის აღწერაში ფსიტიძეებისა და გივიძეების გვარები აღარ ფიგურირებს. ოთიაშვილების წინაპარი ხანდოში კახეთიდან მოსულა. კახეთს ლეკები რომ ეცემოდნენ, მაშინ მოსულან. იმას ჰქვივნებია მათია. მოთიაშვილების სალოცავი ხატია *სანება.* ამავე ხატს ეყმობიან სოფელ **სოდევში** მოსახლე ***ჯანიაშვილები.*** ამ ხატის დეკანოზი მოთიაშვილი ან ჯანიაშვილი უნდა ყოფილიყო. „ჯანიაშვილები და მოთიაშვილები ბიძაშვილები არიან. ორი ძმანი მოსულან მათია და ჯანია“. ამავე დროს, ჯანიაშვილების გვარში შესულია სხვა გვარი, რომელთა მამიშვილობაც აქ „ჩიკრიკიანთ“ სახელითაა ცნობილი. მათი ადრინდელი გვარი ***ჩიკრიკიშვილი*** ყოფილა. ჯანიაშვილებში კიდევ ერთი მამიშვილობა „მელიანი“ გამოიყოფა, რომლებიც ძირად ჯანიაშვილები არ არიან. მართლაც, 1774 წლის მოსახლეობის აღწერაში ხანდოში ჯანიაშვილების სოფელ სოდევში ***ჯანიაურების*** ოთხ კომლთან ერთად მოხსენიებულია გვარი ***მელიაური*** (3 კომლი: „მელიაური ზურაბას შვილი გიორგი და გოგია მზარეული“, „მელიაური ხოსროს შვილი მახარა და შიო მზარეული“, „მელიაური ივანეს ობოლი გიორგი და კაცია“).

1873 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით, სოფელ **სოდევში** ჯანიაშვილების 10კომლი მკვიდრობდა. აქვე ამავე წელს მოსახლეობდნენ ***ახალაშვილები*** (ორი კომლი) და ***ნა-***

გტენაშვილები (სამი კომლი). როგორც პირველი, ისე მეორე გვარი 1774 წელს -შვილი სუფიქსის ნაცვლად -ურ სუფიქსით იყო ნაწამოები: ***ნაგტენაური*** (ორი კომლი: „ნაგტენაური ბალას შვილი ზარიძე, ადამა და აბრამ“, „ნაგტენაური გამახარეს შვილი მახარა მეჯინიბე“) და **ახალაური** (ერთი კომლი – „ახალაური დათოს შვილი გოდერძი, გელა და ბერა მზარეული“). ეთნოგრაფიული მასალებით, ახალაურები (ახალაშვილები) გვრიტიშვილების გვარში შევიდნენ. მთხრობლის სიტყვით, „ახალაურებს მოვესწარი, გვრიტიშვილები იყვნენ. ალექსი გვრიტიშვილს ახალაურს ეძახდნენ“. სხვათა შორის, 1886 წლის საოჯახო სიებში ახალაშვილები მეორე გვარით – გვრიტიშვილი – არიან მოხსენიებული.

გვრიტიშვილები ორ სოფელში მოსახლეობდნენ, სოდევსა და მეჯილაურებში. 1774 წელს როგორც ერთ, ისე მეორე სოფელში გვრიტიშვილების ოთხ-ოთხი კომლი მკვიდრობდა, ოღონდ ისინი *გვრიტიძის* გვარს ატარებდნენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, გვრიტიშვილების წინაპარი თუშეთიდან მოსულა. ხანდოდან არიან გადასახლებული გვრიტიშვილები ქსნის ხეობის სოფელ იკოთში. 1774 წელს იკოთში გვრიტიშვილების ოთხი კომლი მკვიდრობდა. გვრიტიშვილების სალოცავი ხანდოში „წვერის ანგელოზია“ (სოფელი უკანამხარი), სადაც უკანასკნელ ხანებამდე დადიოდნენ სალოცავად იკოთელი გვრიტიშვილებიც. 1774 წლის აღწერაში ხანდოს სოფელ სოდევში 3 კომლი ნაგტენაურია ფიქსირებული[10], რომლებიც 1831 წელს უკვე ნაგტენაშვილად იწერებოდნენ. 1860 წელს ნაგტენაშვილები 4, 1886 წელს 5 კომლის რაოდენობით იყვნენ.

უკანასკნელ დრომდე ხანდოში, **წინამხარს** მკვიდრობდნენ მთიულეთიდან გადმოსახლებული ***ქავთარაძეები***. აქ 1774 წლის აღწერაში მოხსენიებულია „ბოგანო ქავთურთკარელი ქავთარაძე ელისბარის შვილი ივანე“. ამ შემთხვევაში ყურადღებამისაქცევია სოციალური ტერმინი „ბოგანო“, განსხვავებით მთის სხვა რეგიონებისაგან (ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი), სადაც მსგავსი ტერმინი არ დასტურდება. ფშავ-ხევსურეთ-თუშეთი განსხვავდებოდა რა სოციალური განვი-

[10] ე. თაყაიშვილი. მასალანი საქართველოს..., თბ., 1907.Tგვ. 477.

თარების თვალსაზრისით შიდა ქართლის მთიანეთსაგან (მითუმეტეს, მთისწინეთსაგან), ის არც ერთი ფეოდალის საკუთრებას არ წარმოადგენდა და, ბუნებრივია, აქ ბოგანოდ, ყმად, ხიზნად მოსული მიგრანტი არ გვხვდებოდა.

ამრიგად, ასეთია ხანდოს ხეობის (ტერიტორიული თემის) გვარსახელების ისტორიული და ეთნოლოგიური საკითხები. დღეს აქ 12 გვარი მკვიდრობს: ***გვრიტიშვილები, დავითურები, ვეშაგურები, ზურაბაშვილები, ლაზვიაშვილები, მელიქიშვილები, მნათობიშვილები, მოთიაშვილები, ნაგტენაშვილები, ქურციკიშვილები, ჯანიაშვილები*** და ***ჯუხარაშვილები.*** 12 გვარიდან 10 -შვილი ფორმანტით ბოლოვდება, მხოლოდ ორი – „-ურ“-ით. მაგრამ გვარების ფორმანტად XVIII საუკუნეში „-შვილი“ საერთოდ არ გვხვდებოდა. ხანდოური გვარების ძირითადი მაწარმოებელი აღნიშნულ საუკუნეში „-ძე“ და „-ურ“-ი ფორმანტები იყო. ხუთი მათგანი „-ძე“ სუფიქსს ირთავდა: ჯუხარაშვილი – ჯუხარიძე, მნათობიშვილი – ნათობიძე, ლაზვიაშვილი – ლაზუაძე, ზურაბაშვილი – ზურაბაძე, გვრიტიშვილი – გვრიტიძე; სამი გვარი -ურ-ით ბოლოვდებოდა: მოთიაშვილი – მოთიაური, ჯანიაშვილი – ჯანიაური, ნეგტენაშვილი – ნაგტენაური. ჩამოთვლილ გვარებს გარდა, XVIII საუკუნეში ხანდოში რამდენიმე სხვა გვარიც იყო, რომელიც ასევე -ძე და -ურ ფორმანტებს ირთავდნენ: გივიძე, ფსიტიძე, სამხარაული, მელიაური, ახალაური.

1774 წლის ხანდოს მოსახლეობის აღწერა ზოგიერთ ეთნოგრაფიულ და ისტორიული დემოგრაფიის მონაცემებსაც შეიცავს. ეთნოგრაფიულს იმ თვალსაზრისით, რომ აქ საკმაო რაოდენობით დაფიქსირებულია დიდი ოჯახები. აღნიშნული აღწერით, ხანდოში 76 კომლი ითვლება. კომლთა ეს მაჩვენებელი მოსახლეობის დაახლოებითი რაოდენობის სურათის მიღების საშუალებასაც იძლევა, თუ გავითვალისწინებთ აქ დიდი ოჯახების რაოდენობას, და შესაბამისად თითოეულ კომლში სულთა რაოდენობას. ასეთი დიდი ოჯახი 1774 წლის მონაცემებით 55 ითვლება (დიდ ოჯახებად ჩავთვალეთ 2-3-4-5 და მეტ „თავიანი“ ოჯახები).Rე. ი. მხოლოდ 12 პატარა (ინდივიადუალური) ოჯახი იყო. ხან-

დოს მოსახლეობა დაახლოებით 900 სული უნდა ყოფილიყო.

1831 წლის კამერალური აღწერით, ხანდოს 9 სოფელში სულ 88 კომლი მკვიდრობდა, 642 სულით (365 მამრობითი, 227 მდედრობითი). ირკვევა, რომ აღნიშნული დროისათვის ხანდოში კომლში საშუალოდ 7,3 სული იყო. თითო სოფელში საშუალოდ 71,3 სული, სოფელში კი საშუალოდ 9,8 კომლი ცხოვრობდა.

1860 წლის მონაცემებით, ხანდოს ხეობის დემოგრაფიული სიტუაცია შემდეგნაირად წარმოგვიდგება. 10 სოფელში 120 კომლი მკვიდრობდა, 700 სულით. საშუალოდ კომლში 5,83 სული შედიოდა. 10 სოფელია შეყვანილი 1873 წლის აღწერაშიც. ეს სოფლებია: **ბანცური, ვეშაგურთკარი, დავითურთკარი, ჯველაურთკარი, ჯუხარაანთკარი, ქურციკიანი, ლაზვიანი, მნათობიანი, სოდევე, წინამხარი**. 1873 წელს 910 სული განაწილებული იყო 127 ოჯახზე, კომლში საშუალოდ 7,16 სული. 1886 წელს ხანდოში კომლთა რაოდენობა 171-მდე გაიზარდა, სულთა რაოდენობა – 1018-მდე. 1886 წელს ყველაზე დიდი სოფელი წინამხარი იყო (37 კომლი). ჯველაურთკარში 29 კომლი იყო, მნათობიანსა და ვეშაგურთკარში – 20-20. ყველაზე პატარა სოფელში – ჯუხარაანთკარში – 6 კომლი ცხოვრობდა. 1831 წლის მონაცემებითაც ყველაზე დიდ სოფლებად წინამხარი და ვეშაგურთკარი ითვლებოდა (16-16 ოჯახი). ყველაზე მცირე სოფლებში (ქურციკიანი და ჯუხარაანთკარი) 4-4 ოჯახი მკვიდრობდა (1831 წელს მთლიანად ხანდოში სულ 88 კომლი იყო აღრიცხული; სულთა რაოდენობა კი 642-ს (365 მამარ.+22 მდედრ.) შეადგენდა). 1774 წელსაც დიდ სოფლებს შორის წინამხარი (22 კომლი) შეიძლება დავასახელოთ.

1774 წელს ყველაზე დიდი გვარი ნათობიძეების გვარი იყო (15 ოჯახი), 1831 წელს – ვეშაგურების გვარი (16 კომლი) (1774 წელს მხოლოდ 8 კომლი). ამ თვალსაზრისით ვეშაგურები პირველობას მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ (1886 წელს – 32 ოჯახი). შემდეგ მოდიოდნენ მელიქიშვილები (26 ოჯახი) და მნათობიშვილები (20 ოჯახი).

1831 წლის აღწერაში დაფიქსირებულია ხანდოველთა დაბლობში მიგრაციის ფაქტები., მაგალითად წინამხარელი სამხარაულ-მელიქიშვილები 3 კომლი გადასახლებული იყვნენ თიანეთში და ქვემო ქართლის სოფელ წყლულეთში. სოფელ ვეშაგურებიდან ვეშაგურების ასევე 3 კომლი იყო წასული (2 კომლი საცხაოტლოში და ერთი კომლი – ერწოში). ლაზვიაშვილების ერთი კომლი საცხოვრებლად იყო გადასული არაგვისავე ხეობის სოფელ საშაბუროში. აქვე იყო მიგრირებული მნათობიშვილებისა დადავითურების თითო ოჯახი. კიდევ ორი კომლი დავითური თიანეთის სოფელ ლახატოში იყო გადასახლებული. სოფელ სოდევედან ორი კომლი (ნაგტენაშვილი და ახალაშვილი) ძაგნაკორას სოფელ ლაფანაანოკარში იყო მიგრირებული. ჯილაურთკარელი გვრიტიშვილის ერთი კომლი კი წილკანში ცხოვრობდა. XVIII საუკუნის აღწერის დავთრებში არაერთი „ხანდოველია აღრიცხული კახეთში, ქსნის ხეობასა და არაგვის ხეობის დაბლობში.

ახლა ზოგიერთი ეთნოლოგიური საკითხი. ეთნოგრაფიული მასალებით, ხანდოში მოსახლე ყველა გვარს თავისი სალოცავი ჰქონდა. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც ერთ სოფელში მოსახლე ორ-სამ გვარს საერთო სალოცავი ჰქონდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ხანდოს ხეობის სოფელ წინამხარში მოსახლე ზურაბაშვილების, მელიქიშვილებისა და ვეშაგურების შესახებ, რომლებიც ეყმობოდნენ „მთავარანგელოზს“. გვიან მოსული ვეშაგურები და მელიქიშვილები დასახლდნენ რა ამ სალოცავის მახლობლად, მათ საკუთარი ხატი არ გაუჩენიათ; ისინი დამხვდურის სალოცავს ეყმნენ. ასევე საერთო სალოცავი ჰყავდათ მოთიაშვილებსა და ჯანიაშვილებს, რომლებიც, მართალია, სხვადასხვა სოფელში მკვიდრობდნენ, მაგრამ მათ საერთო წარმომავლობა აკავშირებდათ. ყველა გვარს ბავშვი ჯერ საკუთარ სასოფლო სალოცავში უნდა გაერია და შემდეგ – სათემო სალოცავში. ასეთი **სათემო სალოცავი ხანდოს თემისათვის მეჯილაურების „ყოლაწმინდა“ იყო, რომლიც თავს უყრიდა ხანდოს მოსახლეობას, მის თითოეულ გვარსა და სოფელს**. ამდენად, ხანდო ერთ მთლიან ტერიტორიულ თემს წარმოადგენდა, სადაც, ეთნოგრაფიული მონაცე-

მებით, თემობრიობის ბევრი ელემენტი არსებობდა. დეკანოზი დალოცვაში მთლიანად ხანდოს თემს ახსენებდა, ჯერ მის მთავარ სალოცავს და შემდეგ სხვა სასოფლო სალოცავებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ხანდოს საერთო სალოცავ „ყოლაწმინდას“ თავისი განსაკუთრებული ყმები არ ყოლია, ისე როგორც ეს იყო აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. მაგალითად, მთიულთა საერთო სალოცავი „ლომისა“ ბურდულების საგვარო სალოცავიც იყო და სხვა. ხანდოში მოსახლე მოთიაშვილებსა და გვრიტიშვილებს თავთავისი საგვარო ხატები ჰქონდათ. მართალია, ხანდოს თიოთოეული სოფელი ცალკე აღებული თემს არ წარმოადგენდა, მაგრამ მათ თემობრიობის გარკვეული ნიშნები შენარჩუნებული ჰქონდათ. როდესაც საქმე ერთი სოფლის, თუ გვარის ვითარებას შეეხებოდა, ის ძირითადად სოფლის ყრილობასა და საერთო სალოცავში წყდებოდა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სამანის ჩასმის ერთ-ერთი შემთხვევა დავითურების სასოფლო (საგვარო) სალოცავში „ციხისა თორმეწამე“. ეთნოგრაფიული მასალით, „ბარში, არაგვისპირზე სოფელ იორში ცხოვრობენ ქაშიაშვილები, რომლებიც ადრე დავითურები ყოფილან და ხანდოდან გადასახლებულან უფრო დაბლობში, ჯერ საკრამულში და შემდეგ იორში“. დავითურ-ქაშიაშვილები ხანდოდან ბარში შემდეგნაირად გადასახლებულან: დავითურების ზემოთ დასახელებულ სალოცავს არაგვისპირში ვენახი ჰქონია. მხოლოდ გაურკვეველია ეს ვენახი მათ რა გზით ჰქონდათ მიღებული – მეფეთა მიერ ნაბოძები, თუ ნაყიდი. გამორიცხული არ არის ის დავითურებისათვის ფეოდალს – არაგვის ერისთავს შეეწირა, რადგან ასეთი პოლიტიკა ერისთავს უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემდა თავის დროზე დაემორჩილებინა და თავისი გავლენის სფეროში მოექცია ისინი. ამასთანავე, მსგავსი ნაბიჯი, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობდა, რეგიონის სოციალურ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანას და თავისი გავლენის უფრო ადვილად გავრცელებას. აქვე ვიტყვით, რომ დავითურთ სალოცავს გარდა, ბარში ვენახი ხანდოს ცენტრალურ სალოცავს – „ყოლაწმინდასაც“ ჰქონია. მთხრობლის სიტყვით, „ყოლაწმინდა რომ არის საერთო ხატი ხანდოსი, ბარში სადღაც ვენახი ჰქონია. მეჯილაურთას

ყოლაწმინდაში სამი დიდი ქვევრი იყო და კულუხს (ღვინოს) მოიტანდნენ ბარიდან და შვიდი სოფლის ყველა ოჯახიდან მოდიოდა ხალხი და სვამდნენ“. საერთოდ, უნდა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ მთიელთა მიერ ბარის რაიონებში ვენახების ფლობა ერთგვარად განაპირობებდა მთიდან ბარში მიგრაციის გარკვეულ ფორმას, სახეს. ხშირად მთიელები ამ თავისი სალოცავის კუთვნილ ვენახში გადასახლდებოდნენ ხოლმე. ეს მიგრაციის ერთ-ერთი ფორმა იყო. გადასახლებული ვალდებული იყო სალოცავში კულუხი მიეტანა. ამას შემდეგ მოსდევდა გადასხლების ტალღა არა სალოცავის კუთვნილ მამულში, არამედ მის სიახლოვეს. მიგრანტები კარგავდნენ მთაში არსებულ თავისუფლებას და ბარში ფეოდალის (ეკლესია, მეფე, თავადი) მიწაზე სხდებოდნენ, ყმა ხდებოდნენ, ან ბოგანოდ ან ხიზნად მოდიოდნენ. ბარის ფეოდალური გარემი, რა თქმა უნდა, გადასახლების სხვა სახეს განაპირობებდა. დავუბრუნდეთ ზემოთ ნახსენები ხანდოელი დავითურების ერთი ნაწილის (დღეს ქაშიაშვილების) უფრო დაბლობში მიგრაციის ისტორიას. ხანდოელმა დავითურებმა არაგვისპირზე სალოცავის კუთვნილი ვენახი (შეიძლება გვეთქვა სოფლის, გვარის, თემის კუთვნილი ვენახი) იქ გადასახლებულ მოგვარეებს ჩააბარეს და „უთქვიათ, რომ ეს მამულები ხატისა არისო და ხატის დღეობაში უნდა მოეტანათ კულუხი, რადგან ისინი ხატის მამულში ცხოვრობდნენ და ვენახითაც სარგებლობდნენ“. თავდაპირველად, ჩანს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ქაშიაშვილები ყოველწლიურად კულუხს ეზიდებოდნენ. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დადგომისთანავე კულუხი აღარ მოუტანიათ: „რა ღვინო, რის ღვინო, ვენახი წაგვართვესო“. ამის გამო ხანდოელ დავითურებს დაუწყევლიათ და დაურისხებიათ ქაშიაშვილები და სამანი ჩაუსვიათ დავითურთ ხატში მათთვის. „აღარც ღვინო გვინდა მათი, აღარც ის მამულები და აღარც ის ხალხიო“. მეტრის სიგრძე ქვა ჩასვეს თურმე, მთელი სოფელი დასწრებია; ყველას თითო მუჭა მიწა მიუყრია“. ზემოთ აღნიშნულით აშკარად ჩანს ხანდოში ცალკე სოფლის თემობრიობის ნიშნები.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა ამ სამანის შემდგომი ისტორია. მთხრობელი ამბობს:

„სამანის ჩასმის შემდეგ, არაგვისპირზე ქაშიაშვილებს შვილები ავად უხდებოდათ, უკვდებოდათ, ვეღარ მრავლდებოდნენ. ამ რამდენიმე წლის წინათ მთელი ქაშიაშვილების გვარი მოვიდა იორიდან და სამანის ამოღება მოსთხოვეს სოფელს. პირდაპირ მუხლებზე დადგნენ. მლოცავი ხალხიც აქ იყო. შესთხოვეს: „ჩამოგვაცილეთ ეს სასჯელი და კიდევაც მოვალთ და საკლავსაც მოვიყვანთო. მერე მოიტანეს წერაქვი, ერომა კაცმა დაარტყა, ცოტა ამოქექა, შემდეგ – მეორემ და ა. შ. ეს წერაქვი ყველამ გაირიგა. როცა ქვა კარგად დაჩნდა, მოაბეს თოკი და კოლექტიურად ამოსწიეს. კურატიც დაკლეს, ჭედილაც. ერთი სიტყვით, მაგათ ჩამოაცილეს ეგ დაწყევლა და სამანი. სამანის ამოღება საერთოდ არ შეიძლება, მაგრამ ეს სამანი მთელმა სოფელმა ჩაუსო და მთელმა სოფელმა იგივე ამოუღო. ამოღებაში დეკანოზიც ესწრებოდა, სოფლის ყველა მცხოვრები“.

აღნიშნული ამბით, მთელი თემის მიერ სამანის ამოღებით, ვფიქრობთ, რომ აშკარად ჩანს ხანდოში თემური ტრადიციებისა და ზოგიერთი რწმენა-წარმოდგენის შესუსტება.

ხანდოს სოფელი თავის თავში თემობრიობის (თემობრიობაში, რა თქმა უნდა, ტერიტორიული, სასოფლო თემი იგულისხმება), ნიშნებს რომ შეიცავდა, ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ტრადიციული სამართალი. მთხრობელი გადმოგვცემს: „მეჯილაურებში ერთი კაცი ყოფილა, გვარად მოთიაშვილი. ბიძაშვილის ცოლს მიუხდა თურმე. ამ ქალმა გასცა და სოფელმა ეს კაცი შვიდი წლით მოიკვეთა. ხარი (მუშა ხარი) დაუკლეს სოფლის შუაში, სადაც ხალხი იკრიბებოდა. *კალიანთის ხევი* ჰქვია, პატარა მინდორი იყო. შაიყრებოდნენ და იქა წყდებოდა სოფლის საკითხი. სოფელმა დაიჭირა ის ხარი, დაკლეს და სოფელმავე გაინაწილა. დეკანოზმა დაკლა ის ხარი და დაარისხა. ხორცი უმად წაიღო 30 კომლმა. მარჯვენა ბეჭი დეკანოზს წაუღია. უცემიათ ის კაცი, გაუტიტვლებიათ, ზამთარი ყოფილა და ყინულზე უტრიალებიათ, ჯერ დეკანოზი მიარტყავდა. მერე ბარში წასულა სხვაგან. ქალებს მოკვეთაზე არ ასწრებდნენ. მოკვეთილს სოფლიდან არ გააგდებდნენ. უმზრახად რჩებოდა შვიდი წელიწადი სოფელში. არც ხატში დაუძახებდნენ და არსად. ხარის ტყავს სოფელი ინაწილებდა სა-

ქალამნედ. ხატში დაკლული ხარის ტყავი კი დეკანოზს მიჰქონდა. კაცის მოკვლაზე და ქურდობაზეც იცოდნენ ხარით მოკვეთა. ერთი კაცი მოიკვეთეს კიდევ გვარად გვრიტიშვილი, რომელმაც სხვისი ყანა გათიბა და ძმისწულს დააბრალა. მოკვეთილი შვიდი წელიწადი ცხოვრობდა თურმე ხანდოში და შვიდი წლის შემდეგ ისიც სადღაც ბარში წასულა“.

ასეთია მოკლედ ხანდოს ხეობის (თემის) მოსახლეობის, გვართა ზოგიერთი ისტორიული და ეთნოლოგიური საკითხი. არაგვის ხეობის ამ მთისწინა რეგიონში, მსგავსად სხვა მხარეებისა, ადგილი ჰქონია გვარების გამსხვილებას, პატარა გვარების დიდ გვარებში შესვლას, თუმცა არა ისეთი სიხშირით, როგორც ეს ხდებოდა მთაში, მაგალითად, ხევსურეთსა და გუდამაყარში. ზემოთ ამის სათანადო მაგალითები მოვიყვანეთ. ასე შესულან მოთიაშვილების გვარში გივიძეები და ფსიტიძეები, რომლებიც დღეს ამ გვარის მამიშვილობებს წარმოადგენენ. ჯანიაშვილების გვარში შესულან ჩიკრიკიშვილები და მელიაურები, რომლებიც დღეს („ჩიკრიკიანი“ და „მელიანი“) ამ გვარის მამიშვილობები არიან. ასევე შესულან გვრიტიშვილების გვარში ახალაურები.

ჭართალი

ჭართალი ხანდოს სამხრეთით მდებარეობს, ის მთიდან ბარში გარდამავალი მხარეა. *ვახუშტი ბაგრატიონი* ჭართლის ლოკალიზაციას ანანურის ზემოთ ახდენს: „ხოლო ანანურს ზეით ერთვის არაგვს დასავლიდამ ჭართლისჭევი“. *იოანე ბაგრატიონი* ჭართალს ერთ დასახლებულ პუნქტად წარმოგვიდგენს და არაფერს გვეუბნება ჭართალში არსებული სოფლების შესახებ და მას იხსენიებს **„არაგვის საერისთაოს სოფლები ვაკისა“** სათაურის ქვეშ[11]. ქართულ წერილობით ძეგლებში ჭართალი/ჭართალეთი და ჭართლელნი საკმაოდ ადრეა მოხსენიებული. *ლეონტი მროველი* საურმაგის მიერ მთიანეთში დასახლებულ ძურძუკების ერთ-ერთ პუნქტად ჭართალეთსაც ასახელებს: მირვანის „მეფობასა დურძუკთა დაივიწყეს სიყვარული ფარნავაზისი და საურმაგისი; და გარდამოვიდეს დურძუკეთს მყოფნი, და გაერთეს თანა ჭართალეთსა მსხდომნი კავკასიანნი, მოტყუენეს კახეთი და ბაზალეთი“. „...რომელნი გარდმოვლინებულ იყვნეს საურმაგ მეფისაგან, თჳნიერ ჭართალეთსა“[12]. მემატიანე ჭართალელთ წმიდა ნინოს მიერ არაგვის ხეობელთა შორის ქრისტიანობის ქადაგებასთან დაკავშირებითაც იხსენიებს. ჭართალელნი მოხსენიებული არიან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორთაგან, როდესაც იოანე ათაბაგმა განდგომილი ფხოველებისა და დიდოელების წინააღმდეგ ილაშქრა. მის ლაშქარში სხვებთან ერთად, ჭართალელნიც იყვნენ[13]. 1746 წლის წილკნელი ქრისტეფორესადმი ერეკლე მეფის განახლების სიგელში ჭართალი წილკნელის სამწყსოში შემავალ მხარედაა მოხსენიებული, რადგან წილკნელის სახუცოს ოურმე ერისთავები იღებდნენ და რასაც მეფე დიდად უწესო და უმართებულოს და „რჯულის ურიგობას“ უწოდებს[14].

---

[11] ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1985, გვ. 34.

[12] ქართლის ცხოვრება, ტომი I, 1955, თბ., გვ. 28.

[13] ქართლის ცხოვრება, ტომი II, 1959, თბ., გვ. 28.

[14] ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 397.

სად გადიოდა ჭართლის ჩრდილოეთი და სამხრეთი საზღვრები? შესაძლებელია ამ მხარის ეთნოგრაფიული საზღვრები მეტ-ნაკლებად ცვლილებებს განიცდიდა, მაგრამ მაინც ხერხდება ძირითადი საზღვრების დადგენა. ჩრდილოეთით ჭართალს ხანდოს ხეობა (ხანდოს თემი) ესაზღვრებოდა, სამხრეთით კი მისი საზღვრები ანანურს ქვემოთ არასდროს წავიდოდა. მაგრამ რიგ ისტორიულ საბუთებსა და დოკუმენტებზე, აგრეთვე ეთნოგრაფიულ მასალებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ჭართლის სამხრეთი საზღვარი სოფელი მენესო უნდა ყოფილიყო. ანანურსა და მენესოს შორის მოქცეული ორი სოფელი – პავლეური და ციხისძირი – მასში არასდროს შედიოდა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ჯერ ერთი, XIV საუკუნის სამართლის წიგნი „ძეგლის დება“, რომელშიც ჭართლის რეგიონის უკიდურეს სამხრეთ პუნქტად მენესოა დასახელებული (უფრო სწორად, ამ ძეგლით, მთისათვის დაწესებული კანონთა კრებულის მოქმედების უკიდურესი საზღვარი სოფელი მენესოა). მეორე, 1774 წლის არაგვის ხეობის მოსახლეობის აღწერაში ჭართალში მხოლოდ ოთხი სოფელია (**სარეკთუბანი, ზენუბანი, კოლოტა და მუგუდა**) მოხსენიებული. XVIII საუკუნეში ჭართლის უკიდურესი სამხრეთით მდებარე სოფელი მენესო ნასოფლარს წარმოადგენდა. ეს სოფელი მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებში ააღორძინეს მთიულეთიდან გადმოსახლებულებმა. შემორჩენილი იყო რა ნასოფლარის (მენესოს) და ხევის (მენესოს ხევის) სახელწოდება, სოფელი აღადგინეს. ისიც საყრადღებოა, რომ ამავე აღწერაში არაგვის ხეობის სოფლები **პავლეურთკარი** და **ციხისძირი** სახელდებული არაა ჭართლის სოფლებად. აგრეთვე მესამე გარემოება გახლავთ ის, რომ 1781 წლის აღწერის დავთარში სოფლები პავლეური და ციხისძირი არაგვის საერისთავოს ბარის სოფლების რიცხვშია შეყვანილი. მეოთხე, პავლეურისა და ციხისძირის მოსახლეობა დღეს თავის თავს ჭართლელად არ თვლის. კიდევ ერთი, 1774 წლის არაგვის საერისთავოს ბარის სოფლების აღწერის დავთარში სოფელ პავლეურში მოხსენიებულია „ბოგანო ჭართლელი ბაჩუას შვილი ივანე, ხახო, ციფანა“. პავლეური რომ ჭართლის სოფელი ყოფილიყო, ჭართლიდან გადმოსახლებული

ეს ბოგანო კომლი ჭართლელად არ მოიხსენიებოდა. ერთი მთხრობლის სიტყვით, **„ჭართალი ადარც მთა ვართ, ადარც ბარი“.**

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ 1774 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებით, ჭართალში სულ ოთხი სოფელი იყო: სარეკოუბანი, ზენუბანი, კოლოტა და მუგუდა. უფრო ადრე, XIV-XV საუკუნეთა მიჯნიდან სოფელთა ეს რაოდენობაც არ უნდა არსებულიყო. ჭართალი XV-XVI საუკუნეებში ფაქტობრივად გავერანებულ-გაპარტახებულ, მოსახლეობისაგან დაცლილ მხარეს წარმოადგენდა, რისი ერთ-ერთი მიზეზი ალბათ თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევები იყო, რომელსაც ჭართლამდე უნდა მიეღწია. ჭართალელთა გადარჩენილი ნაწილი ბარში უნდა გადასახლებულიყო. ასე რომ, ძნელია გარკვევა ჭართლის ძველი მოსახლეობისა და აქ მცხოვრები გვარების შესახებ, რადგან ცნობები ამ მხრივ არც საისტორიო საბუთებმა შემოგვინახა.

ჭართლის შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წარმოდგენა (მოსახლეობა, გვარები) მხოლოდ XVII საუკუნიდან გვეძლევა, იმ დროიდან, როდესაც მთიდან, ძირითადად ხევსურეთიდან, მიგრირებული მოსახლეობით ხელახლა აღორძინდა.

სანამ ჭართალში მოსულ და დამკვიდრებულ გვარებს შეეხებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეთნოგრაფიული მასალები გვაძლევენ საშუალებას ძირძველი ჭართლელების გამოვლინებისა; ასეთები არიან ***ლიალიაშვილები*** და ***ხუციანიძეები.***

ლალიაშვილები ჭალისოფელში მკვიდრობენ. ეს გვარი ჭართლის უძველეს მკვიდრ გვარადაა მიჩნეული. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ 1774 წლის აღწერაში ლალიაშვილები საერთოდ არ გვხვდებიან. ჩანს, აღმწერს ჭალისოფლის აღწერა, სადაც ლალიაშვილები მკვიდრობენ, სართოდ გამორჩა, ანდა ამ სოფლის აღწერამ უბრალოდ ჩვენამდე არ მოაღწია. ლალიაშვილები რომ ჭართლის ძველი მკვიდრები არიან, ამას ისიც უნდა მოწმობდეს, რომ ქსნის ხეობის სოფელ ალევში მოსახლე ღუნაშვილები ძირად ლალიაშვილები არიან ჭართლიდან გადმოსახლებულები. ღუნაშვილები კი ალევში XVIII საუკუნეში ოთხი კომლის რაოდენო-

ბით მოსახლეობდნენ, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ღუ-ნაშვილთა წინაპარი ალევში XVII საუკუნის შუა ხანებში მაინც უნდა იყოს გადმოსახლებული, რომლის გვარიც ლა-ლიაშვილი იყო. მთხრობელის სიტყვით, „ლალიანთ ხატს ვეძახით, წმიდა სანება – მაგას ჰქონდა ხატის მამული. ვინც მოხნავდა, კულუხი უნდა გაედო იმის (არაყი). მნათე-ები არ ხნავდნენ მაგას, მაგალითად, ერთ წელს მე მოვხ-ნავდი, მეორე წელს – ვინც მოასწრებდა და ა. შ.“.

ჭართლის მკვიდრებად ითვლებიან ხუციანიძეებიც. ჭარ-თლის სოფელ ჭალისსოფლის ერთ უბანს **ხუციანთკარს** უწოდებენ. გადმოცემით, ხუციანიძეებს თავდაპირველად აქ უცხოვრიათ და შემდეგ გადასულან სონდაში, ხუციანიძეები სონდის მკვიდრები არიან. ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც ხუციანიძეები („ხუციანიძე ხუცია“) იხსენიებიან 1688-1694 წლებით თარიღდება. ის სხვა „მემკვიდრე ყმებსა და გლეხებთან“ ერთად არაგვის ერისთავს გიორგის ბიძი-სათვის „ენისელთ მოურავ“ სულხანისათვის მიურომევია[15]. 1774 წლის მოსახლეობის აღწერაში ხუციანიძეები ერთი დიდი ოჯახით არიან სოფელ **სარეკთუბანში** (დღეს ჭართა-ლში ასეთი ოიკონიმი აღარაა): „ხუციანიძე ელისბარის შვი-ლი ჭიჭია, პატარკაცი და ელისბარ“. 1873 წლის აღწერით, ხუციანიძეები უკვე ათი კომლი არიან და მათი სამოსახლო ტერიტორია ცალკე სოფლად **ხუციანის** სახელწოდებითაა მოხსენიებული. ჩანს, ხუციანიძეებიც, მეზობელი ლალიაშვი-ლების მსგავსად, XVII საუკუნეში ქსნის ხეობის იმავე სო-ფელ ალევში გადასახლებულან. საერთოდ, ჭართალსა და ქსნის ხეობის შენაკად ალეურაზე მდებარე სოფელ ალევს შორის, რომელთა გამყოფიც ერთი ქედი იყო, მჭიდრო ეთ-ნოგრაფიული კონტაქტები არსებობდა. 1774 წლის ქსნის ხეობის სოფელ ალევის აღწერაში ხუციანიძეების ორი კომ-ლი ცხოვრობდა: „ხუციანიძე ყოჩის შვილი თადილა, „ხუცი-

[15] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 371.

ანიძე გიორგის შვილი პატარკაც“[16]. XVII საუკუნეში ამ გვარისანი შიდა ქართლშიც ჩანან გადასახლებულები[17].

XVIII საუკუნეში ჭართლის მკვიდრნი ძირითადად ***გიგაურები*** იყვნენ. ყველა ეთნოგრაფიული მასალით, გიგაურების ჭართალში გადმოსახლება XVII საუკუნეში მოხდა. ხევსურეთში დღესაც მიუთითებენ იმ სოფლებს, საიდანაც გიგაურები გადმოსახლდნენ. ეს სოფლებია *გველეთი* და *დათვისი.* მათი გადმოსახლების მიზეზი შემდეგი ყოფილა: გიგაურთა ამ სოფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი ზურაბ არაგვის ერისთავს ეხმარებოდა ხევსურეთის დამორჩილებაში. ზურაბ ერისთავის წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ, ხევსურეთის თემმა გიგაურთა ამ სოფლებში მოსახლე გვარი „მოიკვეთა“. უფრო სწორედ, „მოკვეთამდე“ თემის წინაშე დანაშაულისათვის, გიგაურები მიხვდნენ, რომ ხევსურეთში აღარ დაედგომებოდათ და იძულებული გახდნენ აყრილიყვნენ და დაბლობში გადასახალებულიყვნენ, ასეთი ადგილი კი მათთვის აღმოჩნდა ჭართლის მხარე, რომელიც იმ პერიოდში მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილი იყო. ისინი აქ ზურაბ არაგვის ერისთავმა დაასახლა. გიგაურების გადმოსახლებით ამ პერიოდში მათი სოციალური სტატუსის შეცვლაც მოხდა. ხევსურეთში მცხოვრები თავისუფალი მეთემეები ჭართალში არაგვის ერისთავთა ყმებად იქცნენ.

გიგაურების ხევსურეთის სოფლებიდან დათვისიდან და გველეთიდან წარმომავლობას 1794 წლის ერთ-ერთი არზაც ადასტურებს: „ღმერთმან ბედნიერის ჭელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს ერთობლივ გიგაურებს. მერე ამას მოვახსენებთ: ყმაც თქვენი ვართ და მამულიც თქვენია, მაგრამ იმ თავითვე დათვის გველეთი და წინაკარი ჩვენი არის, მაგრამ ზურაბ ერისთავმა ჩვენ რომ აგვყარა, ის მამული იქავ გაოხრდა. ერთი ობოლი დაგრჩა, ფშავში გაიზარდა. ... იმ თავით ამ თავამდინ გაუყრელნი გახლავართ, მამულიც, ხატიც

---

[16] *ივ. ჯავახიშვილი.* საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIXსს), წიგნი I, თბ., 1967, გვ. 195 (შემდეგ: სეიძ, I)

[17] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი V, თბ., 2015, გვ. 421-422.

– ყველა საერთო გვაქვს. დღეს ადგილი ნათხოვართა გვაქვს. ყმა თქვენი ვარ, ისევ ჩემს მკვიდრს მამულს უნდა მოვეჭიდო, ფშავნი სულ იმისაკენ არიან, ხადილსაც ამათ თქვენი მზე აფიცეთ, თუ რომ ამ შამიფიცავს, ესენი მოგახსენებენ“[18].

1774 წლისათვის გიგაურები ჭართლის ოთხივე სოფელში (**სარეკოუბანი, ზენუბანი, კოლოტა, მუგუდა**) მოსახლეობდნენ. სარეკოუბანში ისინი 4 კომლი იყვნენ, ზენუბანში – 9 კომლი, კოლოტას – 9 კომლი და მუგუდას – 12 კომლი. ოთხივე სოფელში კი გიგაურთა საერთო რაოდენობა 34 კომლი იყო (დაახლოებით 275 სული). არაგვის საერისთავოში გიგაურები 1678 და 1690 წლების საბუთებშიც არიან მოხსენიებული. პირველი დოკუმენტის თანახმად, გიგაური ერისთავების მსახური ყოფილა, ხოლო მეორე მათგანში *გიგნია გიგაური* მაწია მწერლისშვილის მიერ დავით ერისთავისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნის მოწმედაა დასახელებული[19]. იმავე დროს, ჭართლის აღნიშნულ სოფლებში მოსახლეობდნენ ისეთი გვარები, რომლებსაც ძირად გიგაურად მიაჩნიათ თავი. ასეთ გვარებად შეიძლება დავასახელოთ, 1774 წლის აღწერაში მოხსენიებული ***ჩიტაურები*** (სარეკოუბანში – 3 კომლი) და ***ბულაურები*** (2 კომლი). ამ ორ გვარს გარდა ძირად გიგაურები არიან ჭართლის სოფელ ზენუბანში მოსახლე ***ჯიქურები.*** თუმცა ეს გვარი 1774 წლის აღწერაში არ იხსენიება. ჩანს, ისინი ამ დროს გიგაურის გვარს ატარებდნენ. თუმცა, აქედან იმავე პერიოდში გადასახლებული *ჯიქურები* და ***ჯიქურაულები*** მოიხსენებიან არაგვის ხეობის ბარის სოფლებში – არაგვისპირში და მთიულთკარში: „მოყალნე ჯიქურაული ხიტელას შვილი ხიზანა, გოგია, ბერია, კიკოლა, საბრალო, მამუკა“, „ჯიქურაული გიორგის შვილი მგელია“[20].

---

[18] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VIII, თბ., 1985, გვ. 292-293.

[19] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი I, თბ., 1991, გვ. 636.

[20] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, I, თბ., 1967, გვ. 126.

XVIII-XIX საუკუნეებში ჭართალში გიგაურების გვარს კიდევ რამდენიმე სხვა გვარიც გამოეყო, უფრო სწორად, გიგაურთა მამიშვილობები გვარსახელებად იქცნენ, ჩამოყალიბდა ახალი გვარსახელები -შვილი ფორმანტის დართვით. აქ, ამ თვალსაზრისით მოხდა ზუსტად ის პროცესი ახალი გვარსახელების წარმოქმნისა, რაც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ფშავისათვის იყო დამახასიათებელი. ჭართლის ასეთ შტონაყარ გვარებად შეიძლება დავასახელოთ: ***ციხელაშვილები*** (სოფლები მუგუდა და ბუჩანოკარი), ***კოტორაშვილები*** (მუგუდა და ბუჩანოკარი), ***ხარებაშვილები*** (მუგუდა და ბუჩანოკარი; საყურადღებოა, რომ 1774 წლის აღწერაში სოფელ მუგუდაში დაფიქსირებულია კომლი „გიგაური ხარებას ობოლი გივი, თვარელი, ლევან, მახარებელი და ბერი“. როგორც ჩანს, ამ ხარებას ობლებმა მიიღეს შემდეგ ხარებაშვილის გვარი), ***გუდაშვილები*** (სოფელი ჭალისოფელი), ***გოგიშვილები*** (ზენუბანი, სონდა), ***პაპიაშვილები*** (ჭალისოფელი), ***მამულაშვილები*** (ჭალისოფელი), ***შალვაშვილები.*** 1873 წელს ის გვარები უკვე ოფიციალურად იყო ფორმირებული. ჯიქურაულებისა და ჩიტაურების გარდა, აღნიშნილი დროისათვის ჭართლის სხვადასხვა სოფელში მკვიდრობდნენ: *კოტორაშვილები* – 7 კომლი (ჯიქურებსა და მიგუდაში), *მამულაშვილები* (დოლასქედში, 2 კომლი), *გოგიშვილები* – 15 კომლი (ხუციანში, ჭართალში, ჯიქურთკარში, დოლასქედში), *ციხელაშვილები* – 7 კომლი (მუგუდაში), *ხარებაშვილები* – 2 კომლი (მუგუდაში), *პაპიაშვილები* – 5 კომლი (ჯიქურებში). ამავე წლის აღწერით ჭართალში მოსახლე *ჩიტაურები* 11 კომლი იყვნენ (სოფელი ჩიტაურები), *ბულაურები* – 2 კომლი, *ჯიქურები* (8 კომლი).

გიგაურთა გვარიდან შტო-ნაყარი გვარები, როგორც ჩანს, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა. თითქმის ყველა შტონაყარი გვარი უკვე დასახელებულია 1831 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერაში[21]. ამ აღწერაში, სამწუხაროდ, გვარები რუსიფიცირებულია, რუსული სუფიქსითაა: *გოგიევი* (6 კომლი), *ლალიევი* (3 კომლი), *პაპიევი* (2 კომლი), *შალვაევი* (1 კომლი), -ურ სუფიქსიანი

[21] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. №226.

გვარები კი, ჩვეულებრივ, რუსული სუფიქსის გარეშე: ჯიქურაული (5 ოჯახი), ჩიტაური (6 ოჯახი), ბულაური (2 ოჯახი). ერთი ოჯახია მითითებული გუდაშვილების გვარისა. 1831 წელს 3-3 ოჯახი ყოფილან ხარებაშვილები და კოტორაშვილები, ოთხი – ციხელაშვილი.

ზემოთ დასახელებული კოტორაშვილები, ციხელაშვილები და ხარებაშვილები, რომლებიც **ბუჩანთკარში** ცხოვრობენ, გვიან (1873 წლის შემდეგ) არიან ამ სოფელში მუგუდიდან გადმოსული. ბუჩანთკარი, რომელიც არაგვის ხეობის გაღმა, მის მარცხენა მხარეზე მდებარეობს, ძველი ნასოფლარი იყო. ეთნოგრაფიული მასალებით, აქ ადრე ***ბუჩაშვილებს*** უცხოვრიათ, რომლებიც ასევე, ძირად გიგაურები ყოფილან და ბარში, დუშეთის მახლობლად სოფელ კობიანთკარში გადასახლებულან. მართლაც, 1781 წლის არაგვის ხეობის დაბლობის აღწერაში წინდუშეთში ნახსენებია „სახასო არაგველი ბოგანო ბუჩასშვილი ბაწაწუნი და ივანე“[22]. 1926 წელს დუშეთთან ბუჩაშვილებს ცალკე სოფელი ჰქონდათ – „ბუჩანთკარი“, რომელშიც 11 კომლი (62 სული) ბუჩაშვილი ცხოვრობდა. 1833 წელს ეს გვარი აქ ოთხი კომლისაგან შედგებოდა; ისინი ანანურის ეკლესიის ყმანი იყვნენ[23]. ეთნოგრაფიული მასალებით, ბარელი ბუჩაშვილები ძირად გიგაურები არიან, ჭართლიდან გადმოსახლებული. როგორც ჩანს, ბუჩაშვილების გვარი გიგაურებს ადრევე გამოჰყოფია. ამას 1626-1650 წლიბით დათარიღებული სიტარხნის წყალობის წიგნი ადასტურებს, რომელიც ბუჩანთკარში მცხოვრებ ბუჩაშვილებს ეხება: „ესე უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი წყალობა და სიგელი გიბოძეთ ჩვენ, *ერისთავმან რევაზ* და ძმამა ჩვენმა პატრონმა ზაალ ... შენ , ჩვენს ეროგულად თავდადებით ნამსახურს ყმას, ***ბუჩაშვილს თამაზს და ძმასა შენსა ფოცხვერსა, შემაზას, დათუნას,*** შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა; – ასე რომე, გაგათარხნეთ და წყალობა გიყავით: არა ჩვენი, არა სახემწიფო სათხოვარი, არა კოდის პური, არა ღალა, არა კულუხი, არა ჩვენი ხვნა, არა მკა, არა ლეწვა, არა ზვარში მუშა-

[22] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 139.
[23] სცსსა, ფ. 254. ან. 1, საქ. № 2045, გვ. 51.

ობა, არა ქვევრის რეცხა, არც, შენის სახლისა რომ ვინმე – ან სძალი, ან შვილი გათხოვდეს, არც იმისი საქვრივო გეთხოვებოდეს, არც, ჩემის ყმისა შენ რომ წაიყვანო, იმის საქვრივო, არც საჩექმო; არაფერი ღუთის განაჩენი და ხორციელის კაცის სარჩო და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს ლაშქრისა და ნადირობის მეტი და მსახურება და ძღვენი. სხვა შენს კარზე არა მოდგეს რა მზისა და წვიმის მეტი. ჩემი ტომარა რომ კარზე ჩამოგივარდეს, არც იმას საბელი არ ათხუო"[24]. ბუჩანოკარის ძველი, ადრინდელი სახელწოდება კი **კოლოტა** უნდა ყოფილიყო. 1774 წლის აღწერით კოლოტაში მოსახლენი გიგაურის გვარს ატარებდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით დადგინდა, რომ ბუჩანოკარს ადრე კოლოტა ერქვა. დღეს ბუჩანოკარში შემორჩენილია ტოპონიმი „კოლოტა". ადგილობრივი მოსახლეობა „კოლოტას" უწოდებს ბუჩანოკარის ცენტრში შემაღლებულ ადგილს, სადაც დღეს სოფლის სასაფლაოა მოთავსებული. ამ ტოპონიმთან უნდა იყოს დაკავშირებული გვარსახელი *კოლოტაური*, რომლის მატარებელნიც სოფელ დიღომში მკვიდრობენ.

ეთნოგრაფიული მასალით, ხევსურეთიდან ჭართალში გადმოსახლებულ გიგაურს (ჩვენ ვიცით, რომ ხევსურეთიდან გიგაურები ორი სოფლიდან აიყარნენ) „ცხრა ვაჟი ჰყოლია და თითოეულმა ვაჟმა ცალკე გვარებს დაუდო საფუძველი. ქალის გათხოვება ამ გვარებს შორის არ შეიძლება, რადგან ყველანი გიგაურები ვართ".

„ჭართლის მუგუდაში ვართ ხარებაშვილები, გიგაურები, კოტორაშვილები, ციხელაშვილები. ჩვენ ვყოფილვართ ადრე გიგაურები, მერე მამიშვილობის მიხედვით გვარებზე გადავიდნენ. საერთო საჭართლო სალოცავი გვაქვს „ღვთიშობელი". მოდის მუგუდა, ჭალისოფელი, ჩიტაურები, ზენუბანი, სონდა და ბუჩანოკარი. **საჭართლო სალოცავი – დედაღვთიშობელი ზენუბანშია. ეს სალოცავი გადმოსახლების შემდეგ ჩვენს წინაპრებს ხევსურეთიდან გადმოუტანიათ.** აქ არიან გიგაურები, რომლებიც თავის გვარზე დარჩნენ. გო-

[24] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 20.

გიშვილებიც გიგაურები იყვნენ ადრე. ეგენიც ჩვენები არიან. კიდევ პაპიაშვილები, რომლებიც ასევე გიგაურები იყვნენ ადრე. გოგიშვილები სონდაში არიან, პაპიაშვილები – ჭალისოფელში. ერთმანეთში ქალს არ შევირთავთ ეს გვარები“.

„მუგუდა, ბუჩანოკარი, ჭალისოფელი, ჩიტაურები, ზენუბანი, სონდა ერთი ხატის ყმანი ვიყავით – ღვთისმშობლის ყმანი. ქალს არ ვათხოვებდით აგრეთვე ლალიაშვილებთან, რომელთანაც გიგაურებს ნათელ-მირონობა გვაქვს“.

ყველა ეთნოგრაფიული მონაცემის მიხედვით, გიგაურებსა და ამ გვარიდან გამოყოფილ 9 გვარს მართლაც საერთო წამომავლობა უნდა აერთიანებდეთ, ზემოთ დასახელებული ცხრა გვარსახელი გიგაურთა გვარიდანაა გამოსული. მაგრამ ზოგიერთი ეთნოგრაფიული მასალა ორი-სამი გვარის ძირად გიგაურობას ეჭვს ქვეშ აყენებს. ასეთ გვარებს შორის მთხრობელები ასახელებენ *კოტორაშვილებს,* რომლებიც ფშავიდან, სოფელ მაღაროსკარიდან მოსულებად არიან მიჩნეული (სხვა ეთნოგრაფიული მასალით, კოტორაშვილებს თავდაპირველად გუდამაყრის ხეობის სოფელ ზანდუკში უცხოვრიათ). იქნებ ამ მასალაში მართლაც იყოს ჭეშმარიტება, რადგან სოფელ ბუჩანოკარის ლაშარის ჯვრის ნიშის დეკანოზები კოტორაშვილები იყვნენ. ამასთანავე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ჭართლელი გიგაურები და გიგაურის გვარიდან გამოსული სხვადასხვა გვარები, ჭართლის საერთო სალოცავს – დედაღვთიშობელს გარდა, ეყმობოდნენ „ლაშარის ჯვარს. ყველა ეს გვარი ლაშარის ჯვარს ლოცულობდა“. თითქმის ყველა სოფელში გამართული იყო ფშავიდან გადმოტანილი ლაშარის ჯვრის ნიში. აგრეთვე, ჭართლელებს ძველად ხევსურეთს გარდა, სალოცავად უვლიათ ფშავში, ლაშარის ჯვარშიც. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, ხევსური გიგაურები ფშავიდან არიან გადმოსახლებული და მათ ზვიადაურებთან ერთად საერთო წარმომავლობა აკავშირებთ ფშაველ წოწკოლაურებთან. არც ისაა გამორიცხული, რომ საერთო წარმომავლობისდა კვალობაზე, გიგაურების ხევსურული სალოცავი – დედაღვთიშობელი და ფშავის საერთო სალო-

ცავი – ლაშარის ჯვარი მოძმეებიც ყოფილიყვნენ. ალბათ, სხვანაირი ახსნა გაძნელდება იმ ფაქტით, რომ ჭართლელი გიგაურები, თავის ხევსურეთიდან გადმოტანილ სალოცავთან ერთად, ეყმობოდნენ ლაშარის ჯვარსაც. საერთოდ, გიგაურთა ლაშარის ჯვრისადმი ყმობის შესახებ შემდეგი საინტერსო გადმოცემა არსებობს: ***გიგაურთა ერთ-ერთი წინაპარი, რომლის სახელს მთხრობელები ვერ ამბობენ, ლაშა-გიორგის მოჯამაგირე ყოფილა. როდესაც ლაშა-გიორგი მომკვდარა, დასაფლავებისას ლაშას გვამზე ხანჯლის ტარი დაურჭვია, მის პირზე წამოგებულა და ზედ დაკვდომია.***

კოტორაშვილების მსგავსად, ასევე გიგაურებად, ზოგიერთი ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, არ მიიჩნევიან *მამულაშვილები,* რომლებიც ქსნის ხეობიდან გამოსულან. მაგრამ, მამულაშვილთა გადმოცემით, ისინი თავდაპირველად ჭართლის მკვიდრნი ყოფილან და მათი წინაპარი ქსნის ხეობაში გადასახლებულა, შემდეგ კი ეს გვარი კვლავ დაბრუნებია წინაპართა საცხოვრისს.

ერთი ეთნოგრაფიული მასალით, „ეს გიგაურები სხვადასხვა მხრიდან არიან მოსული; სხვადასხვა მხრიდან მოსული ხალხია. შემდეგ ეს გვარები ხვოიშობლის ხატში ერთ გვარზე შემდგარან, ერთმანეთისათვის ძმობა შეუფიციათ და გიგაურებად დაწერილან. კოტორაშვილები, ციხელაშვილები და ხარებაშვილები შეეწირნენ ხატში გიგაურებს, თორემ ყველანი არ არიან თავიდანვე გიგაურები“.

ჭართალში დამკვიდრებულ გიგაურებსა და მათ განაყარ გიგაურყოფილებს საერთო სალოცავის გარდა, ყველა სოფელში თავ-თავისი სასოფლო სალოცავიც დაუარსებიათ. ზემოთ ნათქვამი გვქონდა, რომ თითქმის ყველა სოფელშია ლაშარის ჯვრის ნიში. ამ სალოცავის ნიშებია მუგუდაში (ორსართულიანი ფრესკებიანი ეკლესია. ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, რომ გადმოსახლებული მოსახლეობა თავიანთი სალოცავების ნიშებს ძველ ეკლესიებსა და ნაეკლესიარ ადგილებზე ათავსებდა), ბუჩანოკარში, ჩიტაურებში და სხვ.

თავ-თავისი სალოცავები აქვთ ჭართლის ძველ მკვიდრ გვარებს ლალიაშვილებსა და ხუციანიძეებს. ასეთი სალოცავია „წმიდა სანება“ სოფელ ჭალისოფელში. ამას გარდა,

ჭართლის ადრინდელ მოსახლეობას, აქ ხევსურეთიდან მოსახლეობის მოსვლა-გადმოსახლებამდე, რა თქმა უნდა, სხვა საერთო სათემო გამაერთიანებელი სალოცავი უნდა ჰქონოდა. დღევანდელი საჭართლოს საერთო, სათემო სალოცავი, ყველა ეთნოგრაფიული მასალით, ხევსურეთიდანაა გადმოტანილი. ძველ ჭართლელთა საერთო გამაერთიანებელი სალოცავი ჭალისოფელში მდებარე **კვირია** უნდა ყოფილიყო, რომელიც დანგრეული ეკლესიის სახითაა წარმოდგენილი და მას დალოცვაში ეპიტეტით – „სათემო“ – იხსენიებენ.

ეთნოგრაფიული მასალებით, ჭართლელ გიგაურებს ბევრი სხვა გვარიც გამოყოფია, რომლებიც დღეს ბარში მოსახლეობენ. უფრო სწორედ, ბარში გადასახლებულმა გიგაურებმა ახალ გვარსახელებს დაუდეს საფუძველი. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ არაგვის ხეობის ბარში სოფელ **ბიჩინგაურთკარში** მოსახლე ***ქადაგიძეები,*** რომლებსაც ჭართლიდან ღვთისმშობლის სალოცავის ნიშიც კი გადაუტანიათ. ჭართლიდან გადასახლებულებად თვლიან თავს ქსნის ხეობის სოფელ იკოთსა და საძეგურში მოსახლე გიგაურაები და ბევრი სხვა გვარი.

ბიჩინგაურთკარში ჭართლის დედაღვთიშობელს ვენახი ჰქონია, რომელსაც იქ გადასხლებული ქადაგიძეები ამუშავებდნენ. ხატობისას ყოველთვის ქადაგიძეებს ბარიდან კულუხი მოჰქონდათ. ასევე დედაღვთიშობლის საერთო საჭართლო საგიგაურო ხატს ვენახი ჰქონდა ქსნის ხეობის ბარში – სოფელ იკოთში. გადმოცემით, არაგვისპირში მოსახლე ქადაგიძეებს გადასახლების შემდეგ თავიანთი ხატისათვის შეუწირავთ ვენახი. აღნიშნულ ხატს ვენახი ჰქონია აგრეთვე ქსნის ხეობის სოფელ ალევში. მთხრობელი გადმოგვცემს, „ჩვენს ხატს ზენუბნის ღვთიშობელს ალევში ჰქონდა მამულები. ჩვენი გვარები არიან იქა, ჯიქურები. იქიდან ჰქონდათ ხატისთვის მამულები გამოწერილი, ვენახები იყო და იქიდან ჯიქურებს მოჰქონდათ კულუხი“.

„ხატისათვის იკოთელ გიგაურებს შეუწირიათ ვენახი“. ზემოთ არაერთგზის ითქვა, რომ ჭართლელთა საერთო, სათემო სალოცავი დედაღვთიშობელი იყო. ეს სალოცავი ზენუბნის გამოღმით არის. ხატობა აქ ახალწელს მოდიოდა

და ჭართლელი გიგაურების გარდა, ბევრი ხალხი იყრიდა თავს სხვადასხვა კუთხიდანაც, რომლებიც აქედან იყვნენ გადასახლებული.

ჭართლის დედაღვთიშობლის ხატს, მთიელთა სხვა სალოცავების მსგავსად, მამულები ჰქონია. მთხრობელთა გადმოცემით, ვინც შევიდოდა და მოხნავდა ხატის მამულს, დღეობაში ერთი საკლავი უნდა მიეყვანა და არაყი 3 თუნგი. ცალკე ყოფილა გამოყოფილი სათიბი და ხატის მთა. „ვინც იმ სათიბში შევიდოდა, ხატისათვის ხატობის დროს უნდა მოეტანა პურ-მარილი, სასმელ-საკლავი. ჯერ იმის პურ-მარილი უნდა ყოფილიყო და მერე სოფელი მოიტანდა“. მთხრობელთა გადმოცემით, ჭართლის ღვთიშობლის მამულის დამუშავება საერთო ძალით არასდროს არ ხდებოდა. ამ მამულს ამუშავებდნენ შედარებით ნაკლები მამულის მქონესა და ღარიბ ოჯახებს.

„ჭართალში ღვთიშობლის მამულს ვინც მოხნავდა, საკლავი უნდა დაეკლა და თუ არა, მწუხარება დაემართებოდა. ვისაც ეცოტავებოდა მამული, ისინი ამუშავებდნენ ხატის (ღვთიშობლის) მამულს. მოხნავდა და პურ-მარილს გადაუხდიდა ხატს და ხალხს“.

ჭართლელ გიგაურებს მიწა ჰქონდათ შეძენილი სოფელ გრემისხევში. მათ მიწის საკმაოდ დიდი მონაკვეთი შეკრებილი ფულით შეუძენიათ საგვარო ხატის სახელზე, სადაც ჭართლიდან მიგრირებული გიგაურები უკვე ცხოვრობდნენ. გრემისხევის ამ ნაკვეთში გიგაურთა სალოცავის – *დედაღვთიშობელის* – ნიშიც ჰქონდათ გადატანილი. მიწის დიდი ნაკვეთის შეძენის მიზეზი ის იყო, რომ სახატო დღასასწაულები სათანადო დონეზე ჩაეტარებინათ და უფრო მეტი შესაწირი მიერთმიათ სათემო ხატისათვის. მიწის ამ ნაკვეთს მიგრირებული გიგაურები ამუშავებდნენ[25].

საგულისხმო ტრადიციას ჰქონდა ადგილი „ჭართლის დედაღვთიშობლის ხატობაში, რომელიც „დოღის“ სახელწოდებითაა ხალხში გავრცელებული, თუმცა მას „განძობა-

[25] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები), თბ., 2002, გვ. 145.

საც“ ეძახიან. მთხრობელი გადმოგვცემს: „შობა ვიცოდით, საახალწლოდ დეკემბრის 25-ში. შობიდან დაწყებული ახალწლამდე სულ ქეიფობა მიდიოდა დედაღვთიშობელში. ახალი წელი რომ მოვიდოდა, მერე განძი გადიოდა 6 სოფლიდან. განძი შემდეგი რამ იყო: ერთ განძში შედიოდა ორი ჯინი ლავაში. ამ ჯინების სიგრძე 2 მეტრი იყო, სიგანე – 1 მეტრი და 60 სანტიმეტრი – სიმაღლე. ჯინში, სოფლური ლავაში რაც ჩაეტეოდა, სავსე უნდა უნდა ყოფილიყო. ჟინი თხილის წნელისაგან იყო დაწნული. ამ ხუთი სოფლიდან ერთი განძი გადიოდა, დღეობის დროს, ორ მეკომურს, რომლებიც შედარებით კარგი მაცხოვრებლები იყვნენ, დეკანოზი შაახვედრებდა. განძის გადახდას ეტყოდა, თქვენ უნდა გადაიხადოთ განძი ახალ წელსო. განძში შედიოდა, ორი ჯინი ლავაშის გარდა, 5 საკლავი (ყოჩი) და 200 ლიტრა არაყი. კიდევ ქადა. კეცები ვიცოდით დიდი. იმ კეცებში უნდა გამოეცხოთ დიდი ქადა და ხმიადი. ხატში რომ მივიდოდნენ, ის ქადა უნდა გასერილიყო. 5 საკლავიდან, ერთი იმ ოჯახში დაიკვლებოდა, საიდანაც განძი გადიოდა. 4 ყოჩი კი ღვთიშობელში უნდა მოეყვანა და დაეკლა. დედაღთიშობელში გვქონდა უღელზე ჩამოკიდებული ერთი დიდი ქვა. ამ ქვის მოპირდაპირე მხარეს, უღლის მეორე ბოლოზე ამ ყოჩების ხორცს დაკიდებდნენ. ოთხი ყოჩის ხორცს ეს ქვა უნდა დაეწონა. თუ დაკლული ყოჩის წონა ამ ქვაზე მძიმე გამოვიდოდა, მაშინ კარგი იყო. თუ ორი მეკომური ამ განძს ვერ გადაიხდიდა, მაშინ დეკანოზი მესამე კომლს მიუყენებდა და ამ სამ კაცს უნდა გაეკეთებინა განძი, შეიძლებოდა ოთხ კაცსაც გაეკეთებინა. ოთხზე მეტი კი არ უნდა ყოფილიყო.

მას შემდეგ, რაც ეს განძი გამოვიდოდა და ახალი წელი იწყებოდა, ზენუბნის ბოლოში, იქ, სადაც სოფლის სასაფლაოა, ჯიელებს – შინაურებსა და სტუმრებს გარეკავდა დეკანოზი. ამ სასაფლაოდან დედაღვთიშობლამდე 500 მეტრამდეა. ამ სასაფლაოსთან დააყენებდნენ ხალხს. მიწაში ხე იყო ჩაცემული და დაადებინებდნენ ფეხს.Cდეკანოზი დაადებდა ხელს უცოლო ბიჭებს, აქედან უნდა გაიქცეთო. ვინც წინ მოვიდოდა, ის იყო გამარჯვებული. გააქცევდნენ 20-30 კაცს 2-3-ს. მერე ხალხი დაიშლებოდა, ხატში გავიდო-

დნენ და დაიწყებოდა ქეიფი. მეორე დღეს, ახალი ხატობისათვის სხვა ოჯახებს დაადებდა განძის გადახდას. ასე გადასცემდნენ განძის გადახდას მოყოლებით. ჯერ ერთ სოფელში მოთავდებოდა, მერე გადავიდოდნენ მეორეში, შემდეგ – მესამეში და ა.შ. 5 სოფელი უნდა მოევლო, შეიძლებოდა კომლს განძის გადახდა 20 წელიწადში ერთხელ მორგებოდა“.

ამ საერთო საჭართლო სადღეობო (სათემო) ღონისძიებებში არ მონაწილეობდა ჭართლის ჯუღისის ხეობაში მდებარე სოფლების – **დოლასქედის, ვაშლობის, საქერეს, ჯუღისის** და აგრეთვე **დგნალის**ა და **მენესოს** მოსახლეობა. ამ სოფლების მოსახლე გვარები მთიულეთიდან და გუდამაყრიდან იყვნენ გადმოსახლებული XIX საუკუნეში და ყველა სათემო-სახატო ვალს თავიანთ თავდაპირველ საცხოვრისში იხდიდნენ. გვიან კომპაქტურად და ცალკე მიკროერთეულად დასახლებული ეს მთიულ-გუდამაყრელები არ შესულან ჭართლის გიგაურთა თემში და არც უკისრიათ რაიმე ვალი ჭართლის სალოცავების მიმართ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჭართლის ტერიტორიზე მთიულეთიდან და გუდამაყრიდან გადმოსახლებული გვარების მიერ დაფუძნებული 6 სოფელი არსებობდა: დგნალი, მენესო და ჯუღისის ხეობაზე: ჯუღისი, დოლასქედი, ვაშლობი, საქერე.

აღნიშნული სოფლების მოშენება მთიულ-გუდამაყრელებით XVIII საუკუნის ბოლოსაა სავარაუდებელი. 1831 წელს ოთხ სოფელში (დოლასქედი, ჯუღისი, ვაშლობი, დგნალი) მთიულეთ-გუდამაყრიდან მოსული სხვადასხვა გვარისანი მკვიდრობდნენ. 1873 წლისათვის მოსახლეობა მკვიდრობდა საქერეშიც ამ დროისათვის ნასოფლარი მხოლოდ მენესო იყო.

1873 წლის აღწერით, დოლასქედი ერთადერთი სოფელი იყო, სადაც მთიულეთიდან და გუდამაყრიდან გადმოსახლებულ ქავთარაძეებთან (3 კომლი), ჩოხელებთან (4 კომლი), აფციაურებთან (3 კომლი) და სიჯანაშვილებთან (იგივე წიკლაური, 5 კომლი), ადგილობრივი ჭართლელებიც (მამულაშვილები – 2 კომლი, გიგაურები – 3 კომლი და გოგიაშვილები – 4 კომლი) მოსახლეობდნენ.

მთხრობელის სიტყვით, „ჩოხელები ჩემს ბალღობაში დოლასქედში ვიყავით 16 კომლი. გადმოსახლებულა პაპის მამა (მთხრობელი 71 წლის, 1981 წ.). **ნიში გვაქვს გადმოტანილი დოლასქედში ჩოხის წმიდა გიორგისა. ადგილის სივიწროვის გამო გადმოსახლდნენ.** გუდამაყარში ზოვი იცის. დოლასქედში არიან კიდევ წიკლაურები და აფციაურები გუდამაყრიდან და კობაიძეები და ქავთარაძეები მთიულეთიდან, აგრეთვე ჭართლელი გიგაურები. პირველად ჩოხელები დასახლებულან, მერე აფციაურები, უქნია სადმრთო და მოურეკია ისინი. დოლასქედში გვაქვს სალოცავები: *ადგილის დედა-წმინდა გიორგი, მზისწვერის ანგელოზი, წვერის ანგელოზი* და *ფშარაო.* აღნიშნული გვარები საწულეს თავიანთ თავდაპირველ საცხოვრისში იხდიდნენ. ჩოხელები საწულეს გუდამაყრის *ჩოხის წმიდა გიორგიში* იხდიდნენ, წიკლაურები (1873 წლის აღწერით – სიჯანაშვილები) – გუდამაყრის *პირიმზე ფუძის ანგელოზში* და ა. შ.“

ფშარაოს სალოცავი ჯუღისსა და დოლასქედს შორისაა და ორივე სოფლის სალოცავად ითვლება. ეთნოგრაფიული მასალებით, დოლასქედის ყველაზე ძლიერი და მთავარი სალოცავია „ადგილის დედა-წმინდა გიორგი“ და „წვერის ანგელოზი“. ჩოხის წმიდა გიორგის ნიში დეკანოზს დაუბრძანებია.

სოფელ ჯუღისში მოსახლეობენ: *ბურდულები* (მთიულეთიდან), *წიკლაურები, აფციაურები* და *ჩოხელები* (გუდამაყრიდან). აქ, 1873 წლის მონაცემებით, ყველაზე დიდი რაოდენობით აფციაურები მოსახლეობდნენ (9 კომლი) და ბურდულები (7 კომლი), ჩოხელი (3 კომლი). აქვე ამავე პერიოდში ცხოვრობდნენ *ჭიკაიძეები* (1 კომლი). ბურდულები ლომისას ყმები არიან და საწულეს მთიულეთში იხდიან. ამავე დროს, აქ მიგრირებულ ბურდულებს თავდაპირველი საცხოვრისიდან ლომისას ნიში გადმოუტანიათ. *სოფელ ჯუღისისა და დოლასქედის სალოცავი ფშარაო ძველი მოსახლეობის სალოცავი უნდა ყოფილიყო.* დღეს იგი დაშლილი ეკლესიის სახითაა წარმოდგენილი.

1873 წლის კამერალური აღწერის მასალებით ვაშლობში მთიულეთიდან მიგრირებულები ცხოვრობდნენ: *ქავთარაძე* – 14 ოჯახი, *კობაიძე* და *კედელაშვილი* – 2-2 ოჯახი, *ნა-*

რიმანიძე – 1 ოჯახი. ქავთარაძეებითაა დასახლებული სოფელი საქერეც.

სოფელ დგნალში 1873 წელს მკვიდრობდნენ: *ქავთარაძე* – 11 კომლი, *ბუჩუკური* – 3 კომლი, *ბუქური* – 4 კომლი, *ჭიკაიძე* – 10 კომლი, *ზაქაიძე* – 2 კომლი, *ნარიმანიძე* – 4 კომლი, *წიკლაური* – 2 კომლი, *ჟიჟიაშვილი* (იგივე ქავთარაძე) 1 კომლი.

სოფელ მენესოში *ჭიკაიძეები, ბუჩუკურები* და *ნარიმანიძეები* ცხოვრობდნენ.

ამრიგად, ჭართლის დღევანდელი მოსახლეობა მიგრირებულია ხევსურეთიდან, მთიულეთიდან და გუდამაყრიდან. ისინი ძველი ჭართლელების ნასახლარ-ნასოფლარებში არიან დაფუძნებული, ადგილობრივ მკვიდრ გვარებად ლალიაშვილები და ხუციანიძეები ითვლებიან მხოლოდ.

1886 წლის საოჯახო სიებით ჭართალში 244 კომლი (1.683 სული) მკვიდრობდა. 1831 წელს კი ეს მაჩვენებელი უფრო მოკრძალებული იყო (110 კომლი, 943 სული). მატება ძირითადად მთიულეთ-გუდამაყრიდან მიგრაციის ხარჯზე მოხდა, მაგალითად, დოლასქედში 1831 წელს თუ სულ 11 კომლი და 113 სული იყო, 1886 წელს ეს მაჩვენებელი შეიცვალა (44 კომლი და 305 სული), შესაბამისად, ჯუღისში 1831 წელს 16 კომლი და 134 სული ცხოვრობდა, 1886 წელს – 26 კომლი და 233 სული, დგნალის 1831 წლის 16 კომლი და 121 სული 1886 წელს 45 კომლით და 525 სულით იყო წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ აქ დასახლებული მთიულ-გუდამაყრელები უფრო დაბლობში გადადიოდნენ საცხოვრებლად. 1831 წლის აღწერით, ბაზალეთში იყო გადასახლებული ვაშლობელი ნარიმანიძეების ერთი კომლი, საგურამოში თითო კომლი ნარიმანიძე, ქავთარაძე, კობაიძე და კედელაშვილი. დგნალში მაცხოვრებელი გუდამაყრელი თლოშიაურის ერთი ოჯახი კი კახეთის სოფელ ხორხელში იყო გადადსახლებული[26].

ხევსურეთის სოფელ გველეთიდან და სოფელ დათვისიდან ხევსური გიგაურები XVII საუკუნის პირველ ნახევარში გადმოსახლებულან, რომლებმაც როგორც მთისწინეთში

[26] შცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1245, გვ. 506-536.

(ჭართალში), ისე ბარში ბევრ გვარს დაუდეს საფუძველი. ჭართლელმა გიგაურებმა და გიგაურებიდან შტონაყარმა გვარებმა ჭართლელთა საგიგაურო თემი შექმნეს, რომელიც ხევსურეთიდან მოტანილი სალოცავის – ***დედადთიშობლის*** გარშემო იყო გაერთიანებული. გიგაურებს გარდა შეიძლება დავასახელოთ: *ჩიტაურები, ჯიქურები, ციხელაშვულები, კოტორაშვილები, ხარებაშვილები, გუდაშვილები, გოგიშვილები, პაპიაშვილები, მამულაშვილები, შალვაშვილები, ბულაურები,* აგრეთვე, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აქედან ბარში გადასახლებული *ქადაგიძეები* და სხვები.

საყურადღებოა, რომ გიგაურებიდან გამოყოფილი ის გვარსახელები, რომლებიც -ურ სუფიქსს ირთავენ, უფრო ადრე არიან გამოყოფილი დედა-გვარს. ეს გვარები (*ჩიტაური, ჯიქური, ბულალაური*) უკვე XVIII საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთარში გვხვდებიან ჭართალში. რაც შეეხება -შვილი სუფიქსით დაბოლოებულ გვარებს, ისინი გიგაურებს XIX საუკუნის დასაწყისში გამოეყვნენ, ადრინდელი გვარის მამიშვილობების სახელწოდებანი გვარსახელებად იქცნენ. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ახალი გვარების ჩამოყალიბებას ხელი არ შეუშლია ჭართლელ გიგაურთა სათემო ურთიერთობებისათვის. ყველა საერთო სათემო ღონისძიებაში ეს გვარები თანაბრად მონაწილეობდნენ, აკრძალულია ამ გვარებს შორის ქორწინება და სხვა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ გიგაურთა თემში შემავალი ზოგიერთი გვარი (ასეთი სულ 2-3-ია) ძირად გიგაური არ უნდა იყოს. ეს მოვლენა მკრთალად, მაგრამ მაინც ჩანს აქ შეკრებილ მასალებში. ჩანს, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეებში (განსაკუთრებით ხევსურეთში, გუდამაყარში და უფრო ადრე ფშავში), ჭართალშიც მოხდა სათემო გვარის გამსხვილება. ამ შემთხვევაში უფრო ადრე მოსულ გიგაურთა გვარში (თემში) სხვა, შედარებით გვიან მოსული გვარების შეყრა.

დასასრულს ისიც უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჭართალში დასახლებული მთიულები და გუდამაყრელები არ შესულან ჭართლელ გიგაურთა თემში.

მათ ცალკე მიკროორეგიონალური დასახლება შექმნეს ჯუ-ღისის პატარა ხეობაზე და ისინი თავიანთი შეგნებით ისევ თავდაპირველი სალოცავებთან იყვნენ დაკავშირებული. მა-თი ჭართლელ გიგაურთა ტერტორიულ თემში შეუსვლელო-ბა უნდა განეპირობებინა კომპაქტურად დასახლებასა და თავდაპირველ საცხოვრისთან სიახლოვეს. მაგრამ მთიულ-თა და გუდამაყრელთა ჭართალში ჩამოსახლება მხოლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში როდი დაიწყო. 1774 წლის აღწერიდან აშკარად ჩანს, რომ მთიულთა და გუდა-მაყრელთა ინდივიდუალური, ერთეული გადასახლებები XVIII საუკუნეშიც მიმდინარეობდა. მაგალითად, ჭართალის სოფელ ზენუბნის 1774 წლის აღწერაში დასახელებული არიან: „ბოგანო ჭიკაიძე ბეჟანის შვილი მწარია და ივანე“, „ბოგანო ხანდოელი გვრიტიძე მარტის შვილი ივანე და გიორგი“ და „ხიზანი ქსნის ერისთავის ყმა ცხრაზმელი ჩიტიძე სეხნიას შვილი შერმაზან“; „ბოგანო ხადელი ნაზდა-იძე ლაზარე და თევდორე“; „ბოგანო ჟოჟონელი მამულაიძე მამისიმედას შვილი გიორგი“; ჭართლს კოლოტას – „ბოგა-ნო ხევშელი ფაცხვერის შვილი რუხია და მამუკა“, ჭართა-ლს სარეკოუბანს – „ხიზანი ტუსის შვილის შიოშის ყმა ახატნელი ყვინჩილის შვილი გოგია“; ბოგანო ხადელი სე-თურიძე როსტევანის შვილი ხიზანა და ბერი“; ბოგანი ხა-დელი ნაზდაიძე ლაზარე და თევდორე“; „ბოგანო ჟოჟონე-ლი მამულაიძე მამისიმედის შვილი გიორგი“; ჭართალს მუ-გუდას – „სვიანიძე პაპუნას ობოლი ნიკოლა“. კოლოტას ორი კომლი ბოგანო ხანდოელი გვრიტიძე და დავითურიც მოსახლეობდა[27].

ამრიგად, ჭართალში მთიულთა გადმოსახლება უფრო ადრე – XVIII საუკუნეში დაიწყო. რა თქმა უნდა, ეს ინდი-ვიდუალური, ერთეული გადასახლებები იყო, რასაც XIX საუკუნის დასაწყისში ჯგუფური გადასახლებები მოყვა.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საყურად-ღებოა, ის გარემოება, რომ XVIII საუკუნეში ჭართალში მთიულეთიდან და გუდამაყრიდან მოსულები ხიზნისა და

[27] ე. თაყაიშვილი. მასალანი საქართველოს..., თბ., 1907.Tგვ. 480-483.

ბოგანოს სოციალური კატეგორიით გვევლინებიან. ასეთ სოციალურ კატეგორიებს კი ვერ შეხვდება მკვლევარი იმავე პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს მთის ისეთ მხარეებში როგორებიცაა ფშავი, ხევსურეთი და თუშეთი. მიხედავად იმისა, რომ გუდამაყარიც არაგვის ერისთავთა საყმოს წარმოადგენდა, აქ ჩვენ 1774 წლის აღწერით ვერ ვხვდებით ხიზნებსა და ბოგანოებს. აქ მიგრანტი, როგორც ირკვევა, ამანათად მოდიოდა, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ფაქტიურად არაგველი ფეოდალები მათი ნომინალური მფლობელები იყვნენ. გუდამაყარსა და გუდამაყრის ტერიტორიულ თემში მათ დისონანსის შეტანა ვერ მოახერხეს. გუდამაყარშიც, როგორც ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში, ფაქტიურად ისეთივე საზოგადოებრივი ურთიერთობები და სოციალური სტრუქტურა გვქონდა, რომელიც შორს იდგა ადრეკლასობრივი საზოგადოებისაგან და სადაც მტკიცედ ფუნქციონირებდა წინაკლასობრივი (კლასობრიობამდელი) საზოგადოების ტერიტორიული თემი. მოსახლეობა ზემოთ დასახელებულ მთის რეგიონებში და გუდამაყარშიც თავისუფალი თანამეთემეებისაგან შედგებოდა. ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ჩვეულებრივ მიგრანტი ამანათის კატეგორიით მოდიოდა, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ თემის სრულუფლებიან წევრად იქცეოდა. ჭართალში და, მათ შორის, ხანდოშიც (XVIII საუკუნეში) და XVII საუკუნეშიც ასეთი კატეგორიით მისვლა გამორიცხულია. ჭართლის თემის თავისუფალი თვითმმართველობა შეზღუდული იყო, რადგან ეს რეგიონი ფეოდალთა – არაგვის ერისთავთა კუთვნილებას წარმოადგენდა და მათ კუთვნილ მიწაზე შეუძლებელი იქნებოდა მთის სხვა მხარეებიდან მოსულთა ამანათის კატეგორიით დასახლება. აქ მოსულები უკვე ჩვეულებრივ ესახლებოდნენ როგორც ბოგანოები, ხიზნები, ანდა ადგილობრივ ფეოდალთა ყმები. მოსულს ჭართალში (ხანდოშიც) მიწას ვერავინ გამოუყოფდა თავისი წილიდან, ბოგანოსაც და ხიზანსაც მიწა თავად უნდა მოეპოვებინა ახოს აღების წესით, რადგან აქ როგორც მთისწინა რეგიონში თავისუფალი მიწა იმდროისათვის არ არსებობდა.

ხორხი/ხორხის ხეობა

მდინარე *ხორხულა,* რომლის სიგრძე 16 კილომეტრია, დღეს ჟინვალის წყალსაცავში ჩაედინება. წყალსაცავის შექმნამდე კი ის ჟინვალთან ახლოს მთიულეთის არაგვს უერთდებოდა მარცხენა მხრიდან. ხორხის ხეობა მოქცეულია ფშავის არაგვსა და მთიულეთის არაგვს შორის, სათავე აქვს *სალაღოს მთაში.* ხშირად ხორხს შეცდომით წინაფშავს მიაწერენ. ხორხი სამხრეთ წინაფშავისაგან წყალგამყოფი ქედით გამოიყოფა. ასევე ქედითაა გამოყოფილი მთიულეთის არაგვის ხეობის მთისწინა სოფლებისაგან (მაგალითად, პავლეურისა და ციხისძირისაგან).

„ხორხი“ გამჭვირვალე ქართული ტოპონიმია. თანამედროვე ქართულ ენაში „ხორხი“ იგივე ღორღია, შესაბამისად „ხორხიანი“ – ღორღიანი[28]. მთის დიალექტებში ჭორხს ხეობის დასაწყის, სათავეს, ხეობის უკანა ნაწილს უწოდებენ[29]. *იოანე ბაგრატიონის* მიხედვით, ტოპონიმი *ჭორხები* ქვემო ქართლში, არგისის ხეობაშიც იყო[30]. ტოპონიმი „ხორხა“ არის მთის რაჭის სოფელ გლოლასთან (აქ ამომავალ მინერალურ წყალს ადგილობრივები „ხორხის მჟავე წყალს“ უწოდებებენ). რაც შეეხება შიდა ქართლის მთისწინეთის ხორხს, მას *იოანე ბაგრატიონი* საერთოდ არ ახსენებს; არ ახსენებს *ვახუშტი ბაგრატიონიც.* აშკარაა, რომ XVIII საუკუნეში ხორხის ხეობა დაუსახლებელი იყო. თუმცა *იოანე ბაგრატიონი* კახეთში მიუთითებს *ჭორხელს.* ეს სოფელი შეყვანილი აქვს ჩამონათვალში, რომელსაც

---

[28]ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1985.

[29]ალ. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005. ტოპონიმ *ხორხისა* და *ხორხელის* შესახებ გურამ ყორანაშვილი, არ ითვალისწინებს რა სხვდასხვა დიალექტოლოგიურ მონაცემებს, აღნიშნავს, რომ მისი „ეტიმოლოგია ხერხდება მეგრული ენის მეშვეობით“ (გ. ყორანაშვილი, „ქართველა ეთნოგენეზის საკითხი“, გვ. 88).

[30]ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1985, გვ. 50.

შემდეგი საერთო სათაური აქვს: „ცხრაკარის ადგილს რაც სოფლები მიეწერება დასავლეთის მხარეს...[31]“

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ კახეთის სოფელი **ხორხელი** წარმოქმნილია არაგვის ხეობის მთისწინეთიდან – ხორხის ხეობიდან მოსახლეობის გადასახლების შედეგად[32]. კახეთის ამავე რეგიონში -ელ სუფიქსიანი ტოპონიმი სხვაცაა – *მუქუელი*, რაც ასევე მთიელთა, ამ შემთხვევაში, ფშავის სოფელ მუქოდან მოსახლეობის გადასახლებაზე მიუთითებს. აქვე *იოანე ბაგრატიონი* ასახელებს აგრეთვე სოფლებს: *მთიული, ქისტაური, ჟალანი* (იგივე *ჟალური*), *ახტელი*, რომლებიც ასევე მთიელთა გადასახლების შედეგადაა წარმოქმნილი. აშკარაა, რომ ბახტრიონის ბრძოლამდე და ბახტრიონის ბრძოლის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა გაწყდა. მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ კი ნასოფლარები მთიდან და მთისწინეთიდან გადმოსახლებულებმა დაიკავეს. კახეთის აღნიშნული სოფლიდან ხორხში სალოცავად ბოლო დრომდე დადიოდნენ. ხორხელების ხორხიდან გადმოსახლების შესახებ გადმოცემა ბოლო დრომდე იყო შენარჩუნებული. ეთნოლოგმა *ივანე წიკლაურმა* 1974 წელს 76 წლის *კოლა ჟიჟიაშვილსაგან* შემდეგი გადმოცემა ჩაიწერა: „როცა ხორხიდან გადასახლდა ხორხელში ხალხი, იქ ერთი მოზვერი, რომელიც ხატის სახელზე იყო გაშვებული (ნასახელარი), თურმე პეტრე-პავლობის დროს გაგიჟებულა, ბუღრაობა და ღრიალი დაუწყია. ხალხი გადასახლების მერე თურმე ხორხში აღარ მიდიოდა სალოცავად და იქვე სოფელში გაკეთებულ ნიშთან ლოცულობდნენ და ამ მოზვერს გამოუწევია მთისაკენ – ხორხისაკენ, ხალხი მას თან გამოჰყოლია და ბუღა ხმალას სალოცავში ბუბუნით მისულა და გალავნის კარებთან დაწოლილა. მას მერე დაუწყია ხალხს იქ სალოცავად სიარული“. ანალოგიური გადმოცემა ჩაწერილი გვაქვს სოფელ ხორხელშიც: „მთავარმოწამის შესახებ ასეთი ლეგენდა გვაქვს: აქ მთიელი ხალხი ყოფილა და 200 წლის წინ,

---

[31]ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1985, გვ. 69.

[32]რ. თოფჩიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს., თბ., 1984, გვ. 65.

იქ სალოცავად რომ წასულან ხატში, იქიდან კურატი გამოქცევიათ, ხორხელში მოსულა და რომელ ადგილსაც მოსულა და დამდგარა, ბუღრაობდა, რქებით მიწას აწვებოდა, იმ ადგილზე ნიში აუშენებიათ აქაც“ (ქუჯაი სოლომონის ძე დალაქიშვილი, 36 წლის, სოფელი ხორხელი, 1976 წ.)

კახეთის სოფელი ხორხელი პირველად მოხსენიებულია 1670 წლის დოკუმენტში[33]. საბუთიდან ირკვევა, რომ ხორხელის მკვიდრნი ყოფილან *კოზმანაშვილები, კირაულები, აბელაშვილები, თაგვიანაურები*... 1736 წლის წყალობის წიგნით, ხორხელის მკვიდრნი ყოფილან გომურაშვილებიც. ახმეტის არქივში დაცული 1842 და 1867 წლების საბუთით აქ *ჯაბჯაურები* და *ჭავჭაურებიც* ცხოვრობდნენ. არა ერთხელ და ორჯერ იხსენიება სოფელი ხორხელი XVIII საუკუნის (1734, 1736, 1738, 1760, 1770, 1781, 1792, 1795, 1796 წლების) დოკუმენტებში[34]. შეტანილია ის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარშიც[35]. ხორხელების ხორხიდან გადმოსახლების დამადასტურებელი კიდევ ერთი ეთნოგრაფიული მასალა უნდა დავიმოწმოთ: „მამაჩემის დედისძმა იყო მიხა იმერლიშვილი და ის ამბობდა: ხორხლელები ხორხიდან ვართ. პირველად ცოტანი ყოფილიყვნენ და მერე შემატებოდნენ სხვა გვარები. Тადმოსახლებისას მათ სალოცავის *მთავარმოწამის* ნიშიც გადმოუტანიათ“ (მთხრობელი სიკო გიორგის ძე ჩანკაშვილი, 80 წლის, 1976 წელი, ქ. თელავი). ხორხის ხეობაში მართლაც არის სალოცავი „ხმალა მთავარმოწამე“, სადაც ადრე ძალიან ბევრი ხალხი მოდიოდა კახეთის ბარიდან.

ხორხელის შესახებ საუბარი ისევ სალოცავის სახელწოდებით უნდა დავამთავროთ. „ხმალა მთავარმოწამე“ პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ XVI თუ XVII საუკუნეში ხორხის ხეობიდან კახეთში გადასახლებული მოსახლეობა თავის დროზე მთიდან იყო მიგრირებული, კერძოდ კი ხევსურეთიდან – ცნობილია, რომ „ხმალა“ ხევსურეთში სისაურთ

---

[33]ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, თბ., 1970, გვ. 566-568.
[34]საქართველოს ისტორია ტოპონიმებში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი), ტომი მეორე, თბ., 2010, გვ. 374-475.
[35]*ივ. ჯავახიშვილი.* სეიძ, წიგნი II, თბ., 1974, გვ. 74-75.

თემის მფარველი ღვთაება იყო. სხვათა შორის, კახეთში „ხმალას“ სალოცავის ნიშები სხვაგანაცაა, მაგალითად, ახმეტის უტოს უბანსა და საბუეში (ყვარლის რაიონი)[36].

დავუბრუნდეთ ხორხის ხეობას. 1978 წელს ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალით, „ხორხი სულ ტყე ყოფილა პირველად. დიდურის მთიდან გადმოუხედია კაცს, ეკლესია დაუნახავს, ჩამოსულა, მოსწონებია კაი ადგილიაო. ეს კაცი ყოფილა მთიულეთის სოფელ წიფორიდან, გვარად ჟიჟიაშვილი. თავის სოფლელებს უთხრა. პირველად ის დასახლდა. მერე სხვები გადმოსულან. ჟიჟიაშვილები ქავთარაძეობას ამბობენ“. სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ხორხის ხეობაში შემდეგი სოფლებია: *ლაუშა, ბზიკურთა, სონდისველა, ხირაუშა, ქვემო ხორხი, უბანი, მენესო, ზემო ხორხი.* ჩამოთვლილ რვა სოფელს შორის მდინარე ხორხის მარჯვენა მხარეზე მხოლოდ ბზიკურთა მდებარეობს, ყველა დანარჩენი – მარცხენა მხარეზე. 1886 წლის საოჯახო სიებში მხოლოდ *ქვემო ხორხი, ზემო ხორხი* და *ბზიკურთაა* დაფიქსირებული[37]. 1926 წლისათვის აღნიშნულ სამ სოფელს კიდევ სამი სოფელი დაემატა – *სონდისველა, უბანი* და *ხირაუშა. ლაუშა* და *მენესო* პირველად 1930-იან წლებში ჩნდება. ქვემოთ ვნახავთ, რომ ხორხის ხეობის მკვიდრნი ძირითადად მთიულეთიდან, გუდამაყრიდან და ფშავიდან მიგრირებულებისაგან შედგება. გავუსწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ ჩვენთვის საინტერესო მიკროგეოგრაფიული ერთეულის მთიელებით დასახლება თანდათანობით მიმდინარეობდა; ის ერთდროულად არ მომხდარა. ამას, პირველ რიგში, სოფლების თანდათანობითი წარმოქმნაც ადასტურებს. 1821 წლის აღწერაში ორი დასახლებული პუნქტია მითითებული „ხორხის ხეობა“ და „ფშავი“[38]. 1860 წლის კამერალური აღწერის დავთარში ხეობაში მხოლოდ ერთი სოფელი – ხორხია – დადასტურებული. შემდეგდროინდელი აღწერის

---

[36]რ. თოფჩიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს. თბ., 1984, გვ. 89.

[37]Свод статистических данных о населении Закавказскокго Края, извлеченных из посемейных списков 1886 г. – Тифлис, 1893.

[38]სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქ. № 689, გვ. 24-45.

დავორები კი იმაზე მიუთითებს, რომ ეს სოფელი იგივე ქვემო ხორხია. როგორც 1873 წლის, ისე 1886 წლის აღწერაში სოფელი ასეა წარმოდგენილი: «Хорхи или Квемо Хорхи» („ხორხი ანუ ქვემო ხორხი“)[39]. როგორც ჩანს, ხეობის უკიდურეს სათავეში ფშაველთა მიგრაციამ ახალი სოფლის – **ფშავის** წარმოქმნა გამოიწვია, რომელიც შემდეგ **ზემო ხორხად** იწოდა. 1821 წლის აღწერაში „ხორხის ხეობაში“ აღრიცხული არიან გუდამაყრიდან მოსული ***ბუბუნაურები, ხარხელაურები, აფციაურები, ბექაურები, ჩოხელები,*** მთიულეთიდან – ***ჭიკაიძეები, „ქავთაროვები“*** ანუ ***ქავთარაძეები, სისაურები, ქარჩაიძეები, სეთურიძეები***. აქვე ცხოვრობდა ხევსურეთიდან მიგრირებული „არხოტივნელი იგივე წიკლაური“. სოფელ **ფშავში** კი 13 კომლი გვარად **ქისტაური** მკვიდრობდა. ორივეში ერთად 51 კომლი (280 სული) ცხოვრობდა.

1886 წელს ხორხის ხეობაში სულ თუ 99 კომლი და 765 სული ცხოვრობდა, 1926 წლისათვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა და 145 კომლი და 709 სული შეადგინა: **ბზიკურთკარი** (6 კომლი, 36 სული), **სონდისველი** (27 კომლი, 151 სული), **უბანი** (18 კომლი, 77 სული), **ხირაუშა** (21 კომლი, 112 სული), **ზემო ხორხი** (22 კომლი, 92 სული), **ქვემო ხორხი** (51 კომლი, 241 სული).

1860 წლის აღწერით, სოფელ **ხორხში**, იგივე **ქვემო ხორხში** სულ 57 კომლი (423 სული) ცხოვრობდა. 1873 წელს ეს მაჩვენებელი 435 კაცს შეადგენდა, 1886 წელს – 528. 1886 წლის მონაცემებით ესენი იყვნენ: ***ბექაურები*** (9 კომლი), ***სუარიშვილები*** (9 კომლი), ***ქავთარაშვილები*** (6 კომლი), ***ჟიჟიაშვილები*** (5 კომლი), ***სეთურიძეები*** (5 კომლი), ***წიკლაურები*** (4 კომლი), ***ჩოხელები*** (4 კომლი). იყვნენ აგრეთვე ***ბადაშვილები*** და ***ქარჩაიძეები*** (სამ-სამი ოჯახი), ***ბუბუნაურები, ხორხელიშვილები*** და ***ხარებაშვილები*** (ორ-ორი ოჯახი). თითო კომლი იყვნენ: ***ხეტეშვილი, ნარიმანიძე, წყარუაშვილი, კობაიძე, ჭიკაიძე, ხარხელაური.***

1860 წლის აღწერაში მოელი რიგი ოჯახები მიგრირებულებად არიან წარმოდგენილი. მიგრირებულებს გადმო-

[39]სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. № 264.

სახლების წელიც აქვთ მითითებული (გადმოსახლებულებს მინაწერი მხოლოდ იმ შემთხვევაში უკეთდებოდა, თუ ისინი წინა აღწერის დროს აქ არ ცხოვრობდნენ. წინა აღწერა კი 1840-1841 წლებში იყო ჩატარებული). ხოლო ის ოჯახები, რომლებსაც ასეთი მინაწერი არა აქვთ, უფრო ადრე იყვნენ გადმოსახლებული. ბუბუნაურების აღრიცხული ორი კომლიდან მხოლოდ ერთს აქვს მიწერილი, რომ ოჯახი გადმოსახლდა გუდამაყრის სოფელ *დუმაცხოდ*ან 1856 წელს[40]. მეორე კომლი ასეთი მინაწერის გარეშეა, რაც იმას ნიშნავს, ისინი აქ უფრო ადრე – XIX საუკუნის პირველ ნახევარში იყვნენ გადმოსახლებული. საყურადღებოა, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან გუდამაყარში გვარსახელი ***ბუბუნაური,*** ისევე როგორც ***თლოშიაური, თამნიაური, იგრიაული, ხარხელაური, ჭოჭოლაური, ჩობალაური*** აღარ არსებობდა. მათ წიკლაურის გვარი გაუფორმდათ[41]. ***ქავთარაშვილების,*** იგივე ***ქავთარაძეების*** 5 კომლიდან მხოლოდ 2 კომლს აქვს მინაწერი, რომ გადმოსახლდნენ მთიულეთის სოფელ *ქავთურთკარიდან* 1852 წელს. 1886 წელს ქავთარაშვილები უკვე 6 ოჯახი იყვნენ. 1846 წელს გადმოსახლებულა ***წაყრუაშვილების*** ერთი ოჯახი მთიულეთიდან. ***აფციაურების*** ერთი კომლი ხორხში 1855 წელს იყო გადმოსახლებული. 1857 წელს მოსულა გუდამაყრის სოფელ დიხჩოდან ***წიკლაურების*** 1 კომლი. სოფელში *წიკლაურების* კიდევ 2 კომლი ცხოვრობდა. ამ გვარისანი 1886 წლის საოჯახო სიებში 4 კომლის რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი. ***სუარიშვილების*** 9 ოჯახიდან ერთი 1885 წელს იყო გადმოსახლებული მთიულეთიდან (ეთნოგრაფიული მასალა: „ქვემო ხორხში სუარიშვილები 7 კომლი ვმოსახლეობთ. პაპის პაპა გადმოსახლებულა გოგნაურთიდან. ადრე სუარიძე ვყოფილვართ. წინ-წინ უფრო თავიდან ჭინჭარაულები ვყოფილვართ). *ადაშვილები* ხევიდან იყვნენ გადმოსახლებული. ქვემო ხორხში ხევსურეთიდან გადმოსახლებული *ჭინჭარაშვილე-*

---

[40]სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 236, გვ. 360-385.

[41]რ. თოფჩიშვილი. მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი. – მაცნე, ისტორიის... სერია, 1985, №2, გვ. 94-96

ბის/ჭინჭარაულების ერთი კომლიც ცხოვრობდა, *ხეტეშვილები* ქსნის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებული. 1860 და 1886 წლების აღწერებში ხორხში ***ქვაკლდიშვილის*** ერთი კომლიცაა აღრიცხული, რომლებიც აქ 1858 წელს ხანდოს სოფელ *ვეშაგურთკარიდან* მიგრირებულან („ხორხში გადმოსახლებულა პაპის პაპა. სამი კომი ვართ ვეშაგურები. ჩვენი სალოცავია ხანდოში მთავარანგელოზი“). 1886 წლის საოჯახო სიებში ქვემო ხორხში ***ხუცურაულის*** გვარიცაა შეყვანილი; ეს კომლი კი ფშავის სოფელ ვანხევიდან იყო გადმოსახლებული. ეთნოგრაფიული მასალებით, ქვემო ხორხში მთიულები და გუდამაყრელები ცალ-ცალკე უბნებად იყვნენ დასახლებული.

ზემო ხორხი ფშავიდან მიგრირებულებით იყო დასახლებული. 1886 წლის საოჯახო სიებში ამ სოფელში ცხოვრობდნენ ***ქისტაურები*** (21 კომლი), ***ჯერვალიძეები*** და ***ყეინიშვილები*** (თითო კომლი). 1873 წლის კამერალური აღწერის თანახმად, *ზემო ხორხს* მეორე სახელიც – **ქისტაურები** ერქვა. ამ დროს სოფელში ***ქისტაურთა*** გვარის 18 ოჯახი ცხოვრობდა. აქ ***ყეინიშვილების*** 6 კომლიც მკვიდრობდა, რომლებიც 1860 და 1861 წლებში ფშავის სოფელ შუაფხოდან იყვნენ გადმოსახლებული[42]. ამავე აღწერას ახლავს გვიანდელი მინაწერი, რომლის თანახმადაც 1892 წელს აქ სოფელ *ბოტკოდან* (ივრის ხეობაშია თიანეთისა და საგარეჯოს რაიონების საზღვარზე) გადმოსახლებულა *ჭრელო კიუაშვილი* (?), რომელსაც ეთნიკურობის გრაფაში ასევე ფშაველი აქვს მიწერილი.

სოფელ **ბზიკურთაში** 1873 წლის აღწერით, 13 კომლი (66 სული) ცხოვრობდა. 1886 წელს ეს მაჩვენებელი 10 კომლი (55 სული) იყო. ამ აღწერებში, ისევე როგორც ზემო ხორხელები, ბზიკურთელებიც ფშავლებად არიან აღრიცხული; ისინი გვარად *ქისტაურები* იყვნენ[43]. 1873 წლის აღწერაში ბზიკურთაში თითო კომლის რაოდენობით იყვნენ აგრეთვე ***ხუმარაშვილები, იმედაშვილები, ლაგაზაშვილები, ბეროშვილები*** **და** ***ხუციშვილები***. 1930-იან წლებში ბზიკურ-

[42]სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქ. № 258.
[43]სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. № 1793.

თაში ქისტაურების რაოდენობა შემცირებული იყო (7 კომლი). მოგვიანო პერიოდში აქ მთიულეთის სოფელ წიფორიდან გადმოსული *ქავთარაძეც* ცხოვრობდა. საყურადღებოა, რომ სოფლის თავზე არის „კავთის წმიდა გიორგის“ სალოცავი – ის ბზიკურთის სასოფლო სალოცავი იყო. მას სხვანაირად „კალათის წმიდა გიორგისაც“ უწოდებენ.

ეთნოგრაფიული მასალებით, სოფელ **სონდისველას** მკვიდრნი იყვნენ ***ბუბუნაურები, აფციაურები, ქავთარაძეები, წყარუაშვულები, ხუცურაულები, ბექაურები, დიდებაშვილები, სუარიშვილები/სუარიძეები, ჭინჭარაულები, კოდაშვილები, სეთურიძეები, ჩოხელები, ვეშაგურები, ხეტეშვილები***. 1935 წლის მონაცემებით სოფლის ძირითადი გვარები იყვნენ *ბექაურები* (6 კომლი), *ქავთარაძეები* (3 კომლი), *ბუბუნაურები* (6 კომლი), *დიდებაშვილები* და *ჩოხელები* (ორ-ორი კომლი). სოფლის პირველმოსახლენი გუდამაყრის სოფელ *ბოსელიდან* გადმოსახლებული ბუბუნაურები ყოფილან („ბუბუნაურებს სალოცავი ჰყავთ გუდამაყარში – „პირიმზეფუძის ანგელოზი“), აგრეთვე დუმაცხოდან მოსული – *აფციაურები.* სონდისველაში ლოცულობენ კვირაცხოველსა და გიორგობას.

სოფელ **მენესოში** (ამ სახელწოდების სოფელი მთიულეთის არაგვის ხეობის მოისწინეთშიცაა, ჭართლის ტერიტორიაზე) ***ჟიჟიაშვილები*** ცხოვრობდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით, ისინი მთიულეთის სოფელ წიფორიდან არიან გადმოსახლებული. „წიფორის წმიდა გიორგის“ სალოცავში იციან ბავშვის გაბანა. მეხუთე თაობაა, რაც გადმოსახლდნენ მენესოში. მათ მოსვლამდე მენესოში არავის უცხოვრია“. ჟიჟიაშვილების ადრინდელი გვარია ქავთარაძე. ერთ-ერთი გადმოცემით, ჟიჟიაშვილების წინაპარი უფრო ადრე წიფორში ხევსურეთიდან ყოფილა მოსული. გადმოცემას ხევსურის გვარი არ შემოუნახავს. ირკვევა, რომ ჟიჟიაშვილების ქავთარაძეთა გვარიდან გამოყოფა მიგრაციის შემდეგ კი არ მოხდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, არამედ მთიულეთში, გადმოსახლებამდე. 1781 წლის მთიულეთის მოსახლეობის აღწერაში სოფელ წიფორში აღრიცხული არიან: „ჟიჟიაშვილი ბერი და ზაზა“; „ჟიჟიაშვილი

თამაზა“; „ჟიჟიაშვილი ივანე, ბერი, ელისბარ და ქავთარ“[44]. ხოლო უფრო ადრინდელ 1774 წლის აღწერაში ეს გვარი წიფორში დაფიქსირებული არაა, ყველა მათგანი ქავთარაძედაა ჩაწერილი. რით უნდა ავხსნათ ეს? – იმით, რომ ძველ გვართან ერთად ახალ გვარსაც ატარებდნენ, ხან თავდაპირველი გვარით იწერებოდნენ, ხან – ახალი გვა-რით. უფრო მეტი, 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარში დაფიქსირებულია სოფელი *ჟიჟიანი,* რომლის მკვიდრნიც ქავთარაძეებად არიან ჩაწერილი. იმავე წლის მეორე აღწერით ირკვევა, რომ სოფელი ჟიჟიანი იგივე სოფელი წიფორია: «с. Жижиани или Ципори»[45]. იგივე მდგომარეობა გვაქვს 1886 წლის საოჯახო სიაში – სოფელ ჟიჟიანში 11 კომლი ქავთაროვია აღრიცხული[46]. ხოლო იმავე აღწერაში ჟიჟიაშვილის სამი კომლი დაფიქსირებულია სოფელ მკევლიანში (ცხვარიჭამიის მიდამოებში). ხორხიდან ჟიჟიაშვილები ბარის სხვადასხვა სოფელში გადასახლებულან. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში ხორხიდან ჩასახლებულან წინამძღვრიაანთკარში, წეროვანსა და წილკანში. წინამძღვრიანთკარში, ქავთარაძეებთან ერთად, ჟიჟიაშვილებს წიფორის წმიდა გიორგის ნიშიც გადმოუტანიათ – ერთ წელს თუ ადგილზე წინამძღვრიაანთკარში ნიშზე ლოცულობდნენ, მეორე წელს აუცილებლად მთიულეთში სოფელ წიფორში მიდიოდნენ.

მენესოში ***სეთურიძეები*** და ***ჯამასპოვებიც*** იყვნენ. ეს უკანასკნელნი *ხმალას* ხატის ყმანი ყოფილან, რომელიც ხორხის ხეობის ერთ-ერთ მთავარ სალოცავად ითვლება. ჟიჟიაშვილების ერთ კომლს *კომშიანაშიც* უცხოვრია. ეს სოფელიც ხორხის ხეობას ეკუთვნოდა. ის ზემოთ დასახელებულ არც ერთ აღწერაში არაა შეყვანილი. კომშიანას სხვანაირად *ფშავლებსაც* უწოდებდნენ. აქ უცხოვრიათ *ყეინიშვილებს* (3 კომლი), რომლებიც უკანაფშავის თემიდან ყოფილან გადმოსახლებული. კომშიანას მკვიდრები ყოფილან ***ტოხიშვილებიც***. XX საუკუნის 30-იან წლებში მო-

---

[44]*იხ. ჯავახიშვილი.* სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 118.

[45]სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. №232, გვ. 7.

[46]სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. № 1802.

სულან აგრეთვე ***ქისტაურები*** და ***ჯერვალიძეები, სუარიშვილები*** და ***ხარხელაურები.***

სოფელ **უბანში** 1935 წელს ყველაზე მეტი რაოდენობით ***ხუცურაულები*** (10 კომლი) და ***ქავთარაძეები*** (5 კომლი) იყვნენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, აქვე *ჟიჟიაშვილების* 2 კომლიც ცხოვრობდა. ფშავის სოფელ *ვანხევიდან* მოსული ხუცურაულები მეოთხე თაობას ითვლიდნენ. თუმცა აქ ისინი არა უშუალოდ ფშავიდან, არამედ სოფელ ხორხიდან იყვნენ გადმოსახლებული. სოფელ უბანში არის სალოცავი „საყოველაწმინდაო გიორგი“, რომელიც უზარმზარი კომპლექსია გალავნითა და სათავსოებით. ის, რა თქმა უნდა, ხორხის ხეობის ადრინდელი მოსახლეობის სალოცავი იყო.

ხორხის ხეობის პატარა სოფელი იყო **ხირაუშა**. 1935 წლის მონაცემებით აქ იყვნენ: ***სუარიშვილები*** (8 კომლი), ***ჟიჟიაშვილები*** (5 კომლი), ***ჩოხელები*** (3 კომლი), ***ქავთარაძე*** (1 კომლი). იყვნენ ***ბადაშვილებიც***. 1970-იანი წლებისათვის სოფელში მხოლოდ ბადაშვილების, სუარიშვილებისა და ჟიჟიაშვილების თითო კომლი იყო დარჩენილი.

სოფელ **ლაუშაში**, ეთნოგრაფიული მასალებით, ორი გვარის ხალხი ცხოვრობს. 1970-ი წლების დასაწყისისათვის ესენი იყვნენ: ***პაპკიაურები*** (9 კომლი) და ***ბეწუაშვილები*** (7 კომლი). როგორც ერთი, ისე მეორე გვარი აქ ხევსურეთიდანაა მიგრირებული. პაპკიაურები შატილის ხეობიდან მოსულან: „ჭეჭყეთიდან, შატილის ხეობიდან არიან წამოსულები. ერეკლე მეორეს მერე ვართ წამოსულები. მას შემდეგ შვიდი თაობაა გასული. თურქა ყოფილა იქა, კაცი შემოკვდომია და გამოქცეულა. ხევსურეთში ჭინჭარაულები ყოფილან. ირაკლის ჯერ დაუსახლებია ხერთვისში, ხერთვისიდან ლაუშაში გადასულა. ლაუშა ზევითაა და ხერთვისი გაშლილი, ვაკე ადგილია. ლაუშა ნასოფლარი ყოფილა მაშინ და პირველი მცხოვრები თურქა ხევსური ყოფილა. ლაუშადან გადასულან ავენისში. მერე ავენისიდან ისევ ლაუშაში (სხვათა შორის, 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარში სოფელ ავენისის აღწერის ბოლოს მიწერილი აქვს: „ახლად დაარსებული სოფელი ლაუშა, მაგრამ ეს შემდეგ გადაშლილია და გაგრძელებულია სოფელ ავენისის კომლების ნუმერაცია. აღრიცხულია პაპკიაურების 5 კომლი და

ერთი კომლი – ქოჩორაშვული[47]). ის თურქა ლაუშის მოურავი ყოფილა. ლაუშა სახელმწიფო მიწა იყო. პაპკიაურები ღვთისმშობლის ყმებია. თითონ თურქას ჭეჭყეთიდან წამოუღია ნიში – ბროლის ქვა“.

XX საუკუნეში **ხორხში** ***თეთრუაშვილიც*** მოსახლეობდა, რომელთა ძირითადი განსახლების არეალი სოფელი არანისია. ამ გვარის წარმომადგენლებიც შიდა ქართლის მოისწინეთის აღნიშნულ სოფელში მთულეთიდან იყვნენ მოსული: „ჩვენ გვიცხოვრია მთაში მთიულეთში. ჩვენი გვარის კაცს შემოკვდომია კაცი. **გვარად ვყოფილვართ ბუჩუკურები**. შემდეგ ეს კაცი მოუკლავთ. მის ცოლს შეშინებია, რომ შვილებსაც დამიხოცავენო და წამოსულა იქიდან და ზანდუკელებს დასდგომია მოსამსახურეთ. ამ ქალს ყოლია სამი ვაჟი. არანისში დასახლებულან. ქალს რქმევია სახელი *თეთრუა.* ქალს დაუმალია თავისი გვარი, რომ არავის გაეგო მისი ვინაობა. ამ ბიჭებს კი დედის სახელით ეძახდნენ და დაარქვეს თეთრუასშვილები. ამ ბიჭებს არ მოსწონებიათ როცა დაზრდილან ბატონთან ცხოვრება. ერთი წასულა წილკანში და იქ დასახლდა და თანაც თეთრაძეთ დაწერებულა. მეორე ძმა დასახლებულა დიღომში თეთრაშვილად. ხოლო უმცროსი ძმა დარჩენილა დედასთან არანისში და დაეწრა თეთრუაშვილად“ (გიორგი სიმონის ძე თეთრუაშვილი, 75 წლის. 1978 წელი). „ბუჩუკურს დავდევდი ერთ ქალს და მამამ მითხრა: არა, შვილო, არ შეიძლება, ჩვენ თეთრუაშვილები ბუჩუკურები ვართ ძირათ, ქვეშეთიდანო“ (ილიკო ალექსის ძე თეთრუაშვილი, 85 წლის, 1977).

ზემოთ აღინიშნა, რომ ხორხის ხეობის კახეთში გადასახლებული მოსახლეობის სალოცავი იყო „ხმალა“, რამაც გამოგვატანინა დასკვნა, რომ ისინი თავის დროზე მთიდან, კერძოდ კი ხევსურეთიდან იყვნენ მოსული. ყველა მთიელს მამა-პაპათა საგვარო, სასოფლო თუ სათემო სალოცავთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გააჩნდა – ამ სალოცავს ისინი არ ივიწყებდნენ და წინაპართა თავდაპირველი განსახლების არეალში სალოცავად დადიოდნენ ან ახალ საცხოვრისში ნიში გადაჰქონდათ. XIX საუკუნესა და XX

[47]სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 226, გვ. 10-12.

საუკუნის დასაწყისში მთიულეთიდან, გუდამაყრიდან და ფშავიდან ხორხის ხეობაში გადასახლებულებსაც იგივე დამოკიდებულება ჰქონდათ წინაპრების სალოცავისადმი, ბოლო დრომდე და დღესაც დადიან სალოცავად მთაში. ხუცურაულები ფშავის სოფელ შუაფხოში „იახსარის“ სალოცავში დადიოდნენ, ჩოხელები – გუდამაყარში ჩოხის წმიდა გიორგის სალოცავში, წიკლაურები და ბექაურები – გუდამაყრის „პირიმზე ფუძის ანგელოზის“ სალოცავში, ქავთარაძეები და ჟიჟიაშვილები – მთიულეთში წიფორის წმიდა გიორგის სალოცავში, სეთურიძეები – მთიულეთის სოფელ სეთურებში, სუარიშვილები – მთიულეთის სოფელ გოგნაურში, ვეშაგურები – ხანდოში. ჯამასპოვების სალოცავი იყო „ხმალა, რომელიც არის ხორხის ხეობის ზემოთ და მას ხმალას წმიდა გიორგის უწოდებენ“ („ხმალა-მთავარმოწამეო“ – დალოცვის დროს ამბობენ. ხალხი კი „ხმალა-წმიდა გიორგიო“). ის ხორხის ხეობის მთავარ სალოცავად ითვლებოდა. ეს ეთნოგრაფიული მასალა იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ჯამასპოვები ხორხის ხეობის უძველესი მკვიდრნი იყვნენ.

ხორხში მთიულეთიდან და გუდამაყრიდან გადმოსახლებულებს თავიანთი ძირითადი, გამაერთიანებელი სალოცავების ნიშების გადმოტანაც არ დავიწყებიათ – მათ აქ გაუმართავთ მთიულთა საერთო სალოცავის – *ლომისას* და გუდამაყრელთა საერთო სალოცავის – *პირიმზე ფუძის ანგელოზის* ნიშები. ხორხშივეა *კვირაცხოვლისა* და *ღვთისმშობლის* სალოცავები, აგრეთვე „წვერის ანგელოზი“ (მას „ხმალასაც“ უწოდებენ), „აჩაქველის წმიდა გიორგი“, „ლაღაურის წმიდა გიორგი“, „საყვირალ წმიდა გიორგი“.

1843 წლის აღწერის დავთარში ხორხში საგულისყურო ანთროპონიმიული ფაქტია დადასტურებული, კერძოდ სამი მამაკაცი ატარებდა პიროვნულ სახელს „ხორხელა“. ორი მათგანისათვის თუ ის ოფიციალური სახელი იყო, მესამე აღნიშნულ სახელთან ერთად ნათლობის სახელითაც – ივანე – იყო ჩაწერილი[48].

---

[48]სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 2126, გვ. 65-73.

ამრიგად, ხორხის ხეობის დასახლება XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო და გრძელდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ხეობაში ცხოვრობენ მთიულეთიდან, გუდამაყრიდან და ფშავიდან გადმოსახლებულები. ხორხის ადრინდელი მოსახლეობა XVI-XVII საუკუნეებში კახეთში იყო გადასახლებული, რომლებიც გვიანობამდე აქ სალოცავად დადიოდნენ. ხეობის ადრინდელი მოსახლეობაც, თავის მხრივ, მთიდან იყო მოსული, რასაც ადასტურებს სალოცავის სახელწოდებაც – „ხმალა“. ხმალა კი, როგორც ცნობილია, ხევსურეთში ლიქოკის თემის საერთო სალოცავი იყო. ასე რომ, ხორხი იყო გარდამავალი, მთისწინა ზოლი, სადაც, ისევე როგორც მთისწინეთის სხვა რეგიონებში, მთიელების ხშირი მიგრაცია ხდებოდა, რომლებიც შემდეგ ბარის ნასოფლარებს იკავებდნენ.

ბაზალეთი/„დაბალი საერისთავო“

აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდინარეა არაგვი. არაგვის ხეობა სამ განსხვავებული გეოგრაფიულ ზონას მოიცავს – მთა, მთისწინეთი, დაბლობი (ბარი). მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებზე რომ არაფერი ვოქვათ, მთისწინეთია *ხანდო, ჭართალი, ხორხი.* უფრო დაბლობშია *ძაგნაკორა* და კიდევ უფრო დაბლა – *ბაზალეთი.* ენციკლოპედია „საქართველო“ მის შესახებ ასეთ ინფორმაციას გვაწყდის: „ისტორიული მხარე ქართ-ლ-ში. ვახუშტის მიხევით, აღმოსავლეთიდან საზღვრავდა მდ. არაგვი, სამხრეთიდან – ბოდავის ციხე (შეცდომაა, ვახუშ-ტის უწერია – „ციხებდავი“ – რ. თ.) და ტინის მთა, დასავ-ლეთიდან – გრემისხევი და ალევის მთა (ახლანდელი ალე-ვის ქედი), ჩრდილოეთიდან – ჭართლის მთა“[49]. ბაზალეთი არა მხოლოდ მხარის სახელწოდებაა, არამედ სოფლისაც, რომელიც ბაზალეთის პლატოზე, მდინარე ტინისხევის მარ-ცხენა ნაპირზე მდებარეობს. აქვეა ყველასათვის ცნობილი ბაზალეთის ტბაც.

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში დადასტურებულია, რომ „არაგვის საერისთავოს ბირთვს ბაზალეთ-არაგვისპირი წარმოადგენდა. ეს, ჯერ ერთი, განპირობებული იყო ამ მხა-რის მაღალი ეკონომიკური მდგომარეობით (განვითარებული მემინდვრეობა-მევენახეობით) და, მეორეც, ბაზალეთის პლა-ტოს ხელსაყრელი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეო-ბით“[50]. როგორც შენიშნავენ, სწორედ აქ, არაგვის ხეობის დაბლობ ნაწილში იყო არაგვის საერისთავო, რომელმაც შემდეგ „დაბალი საერისისთავოს“ სახელწოდება მიიღო[51]. არაგვის ერისთავებს თავისი რეზიდენციაც აქ ჰქონდათ – ბაზალეთ-დუშეთში.

---

[49] საქართველო. ენციკლოპედია, 1, თბ., 1997, გვ. 325.

[50] ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგ-რაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 79.

[51] დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თ., 1955, გვ. 95.

ვახუშტი ბაგრატიონისა და *იოანე ბაგრატიონის* თანახმად, ბაზალეთის ორგვარი გაგება არსებობდა, ***ბაზალეთი ვიწრო გაგებით და ბაზალეთი ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით ბაზალეთი მხოლოდ ბაზალეთის პლატოზე, ბაზალეთის ტბის ირგვლივ მდებარე სოფლების ერთობლიობა იყო, ხოლო ფართო გაგებით ბაზალეთში შეჰყავდათ არაგვის ხეობის მარჯვენა ნაპირის მთისწინეთი და ბარი.*** *ვახუშტი ბაგრატიონს* „არაგვის პირისა და ბაზალეთის" მხარე შემდეგნაირად აქვს დახასიათებელი: „ხოლო კვალად არაგვისპირს არს ოხერხიდა. ...მისაქციელიდან და ოხერხიდიდამ ანანურამდე არს ვენახოვანი, ხილიანი; და ოხერხიდის ჩრდილოთ არს ბოდორნას ქვაბნი გამოკვეთილნი და ციხე მაგარი. ამას ჩრდილოთ *ურია,* მოსახლენი ვაჭარნი. ჩრდილოთ მისა, არანისთან, ზანდუკელისჭევი. მას ზეით ვეძათჭევისჭევი. ამ ჭევისა და არაგვის კიდეზედ არს ანანური. ... ვეძათჭევის დასავლით არს საფერშეთი და ალევი, მთასა ზედა. ... ესე მთა ჰყოფს ქსნის ჭევსა და ბაზალეთსა. ... არამედ ჭეობასა ამას ბენის-ჭილუტამდე ეწოდების გრემისჭევი. არა არს გრემისჭევს ვენახი და ხილიანი, სხვითა ყოვლითა მოსავლიანი. და ***ამ სიმგრგვალეს შორის არს ბაზალეთი,*** რომელსა ეწოდების დაბის გამო. აქვს ბაზალეთს აღმოსავლით არაგვი, სამჭრით ***ციხებდავისა და ტინის მთა, დასავლით გრემისჭევი და ალევის მთა, ჩრდილოთ ჭართლის მთა.*** არს აქა ტბა ბაზალეთისა, დუშეთის წინარე მდებარე. ... არიან ტბის გარემოს, მუხრანის კერძ არაგვისაკენ, გრემის კერძ და ანანურის კერძოდ, დაბნები ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი და უწყლობით არა მრავალნაყოფიერნი. ... ***ხოლო ანანურს ზეით ერთვის არაგვს დასავლიდამ ჭართალის ჭევი. მის ჩრდილოთ არს მთიულთკარი. ...მას ზეით ნასასახლევი მეფეთა და ხანდოსჭევ***"[52].

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ჩამოთვლილი ბაზალეთის სოფლები სწორედ მის მიერ ფართო გაგებულ ბაზალეთში, ზემოთ მოხაზულ ტერიტორიულ ერთეულში თავსდება: ***„ბაზალეთი:*** *1. ნაოტა, 2. არჩვეთი, 3. ბოდორნა, 4. ინიანი, 5.*

---

[52] ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 67.

ხიდა, 6. საკრამული, 7. საშაბურო, 8. ვეჟური, 9. მლაშე, 10. ლაფაური, 11. ადვალა, 12. იწრი, 13. მინდორაული, 14. ბაზალეთი, 15. კობიანთკარი, 16. დუშეთი, 17. არღუნი, 18. წითლიაური, 19. ფიტავი, 20. ფხუნდა, 21. საფერშეთი, 22. ვეძისხევი, 23. კასრისხევი, 24. აფხავი, 25. ანანური, 26. არანისი, 27. ეთვალისი, 28. აშა, 29. ყვავილი, 30. იორი, 31. ურია, 32. არაგვისპირი, 33. ჟინვანი, 34. ავენისი, 35. ხარხევი, 36. ვეძისი, 37. ლოშო, 38. ციხისძირი, 39. ჭართალი, 44. პავლიაური, 41. მთიულთკარი; ხანდოში: სოფელი 9"[53].

იოანე ბაგრატიონი თითქმის იგივე სოფლებს ჩამოგვითვლის სათაურის ქვეშ: „*ამასვე შეუდგების* ***არაგვის საერისთოს სოფლები ვაკისა,*** რომელნიც თუს ეყოდა მეფის ძეს ვახტანგს". ***ბაზალეთს, რომელიც მიეწერება***: *ნაოტა,* მოსახლენი, *არჩვეთი,* მოსახლენი; *ნავაზა,* მოსახლენი; *ბოდორნა,* მოსახლენი; *ინიანი,* მოსახლენი; *ხიდა,* მოსახლენი; *საკრამული,* მოსახლენი; *საშაბურო,* მოსახლენი; *ვეჟური,* მოსახლენი; *მლაშე,* მოსახლენი; *ლაფაური,* მოსახლენი; *ადვალი,* მოსახლენი; *იორი,* მოსახლენი; *მინდორულა,* მოსახლენი; *ბაზალეთი,* მოსახლენი; *კობიანთკარი,* მოსახლენი; *დუშეთი,* მოსახლენი; *არღუნი,* მოსახლენი; *წითლაური,* მოსახლენი; *ფიტავი,* მოსახლენი; *ფხუნდა,* მოსახლენი; *საფერშეთი,* მოსახლენი; *ვეძისხევი,* მოსახლენი; *ქასრის ხევი,* მოსახლენი; *აფხავი,* მოსახლენი; *ანანური,* მოსახლენი; არანისი, მოსახლენი; *ეთვალისი,* მოსახლენი; აშა, მოსახლენი; *ყვავილი,* მოსახლენი; *იორი,* მოსახლენი; *ურია,* მოსახლენი; *არაგვისპირი,* მოსახლენი; *ჟინვანი,* მოსახლენი; *ავენისი,* მოსახლენი; *ხარხევი,* მოსახლენი; *ვეძისი,* მოსახლენი; *ლოშო,* მოსახლენი; *ციხისძირი,* მოსახლენი; *ჭართალი,* მოსახლენი; *პავლიაური,* მოსახლენი; *მთიულთკარი,* მოსახლენი; *ხანდო* მცირე ხეობა არის. ამას აქუს სოფელი ცხრა, შენნი"[54]. ბატონიშვილი ბაზალეთის ჩამოთვლილ ყველა სოფელს მიაწერს „მოსახლენი", რაც იმის დადასტურებაა, რომ ყველა

---

[53] ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 204-205.

[54] იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 34-35.

მათგანში მოსახლეობა მკვიდრობდა, არც ერთი სოფელი ნასოფლარად არ იყო ქცეული.

სოფლების შედარებით ნაკლები რაოდენობაა წარმოდგენილი 1781 წლის არაგვის საერისთავოს ბარის სოფლების აღწერის დავთარში. ეს სოფლებია: *პავლეური, ციხისძირი, ავენისი, ანანური, ჟინვალი, ქაისხევი, არანისი, ეთვალისი, უნდილაანთკარი, არაგვისპირი, იორი, ყვავილი, აში, აფხავი, იწრი, ბოდორნა, საშაბურო, ბაზალი, ტონჩა გრემისხევი, მთიულთკარი, არღუნი, ზენდუშეთი, ჭილურტი, დუშეთი, სასახლის დუშეთი, წინდუშეთი*[55].

1886 წლის საოჯახო სიებით დუშეთის მაზრის ბაზალეთის „უჩასტოკში“ შედიოდა: (I. ავენისის სასოფლო საზოგადოება) *ავენისი, პავლეური*; (II. ანანურის სასოფლო საზოგადოება) *ანანური, ზოტიკიანთკარი, ხუნდავი, ციხისძირი*; (III. არანისის სასოფლო საზოგადოება) *არაგვისპირი, არანისი, ბიჩლინგაურთკარი, ბოდავი, ვარცლა, გუდრუხი 1, გუდრუხი 2, კენჭაკიძე, ქუბრიანთ-კარი, ფუძნარი, თვალივი, ჩინთი, ეთვალისი;* (IV. ბაზალეთის სასოფლო საზოგადოება) *ამილახვრიანთკარი, ბაზალეთი, გრიგოლაანთკარი, წინდუშეთი, კობიანთკარი, ჭონტილი, ჩრდილელანთკარი;* (V. გრემისხევის სასოფლო საზოგადოება) *არბოეთი, ბურღული, გრემისხევი, დელკანი, ჯვარისუბანი, კატამზვარე, სარბიელი, ტონჩა, თხილოვანი;* (VI. ყვავილის სასოფლო საზოგადოება) *აში, დუდაურთკარი, ზენდუშეთი, ინიანთკარი, იწრია, იორი, კარაულთკარი* (უნდა იყოს – კარიაულთკარი), *ყვავილი, ქერანა, პირმისაანთკარი*; (VII. საკრამულის სასოფლო საზოგადოება) *არჩოეთი, ბაგა, ბოდორნო, ბუჩაანთკარი, ყარსიმაანთკარი, მლაშე, ნაგლიანთკარი, საკრამულო, ს(შ)აშაბურო, ხიდო;* (VIII. თანდილაანთკარის სასოფლო საზოგადოება) *ბანცურთკარი, კადოეთი, ქაისხევი (ვეძათხევი), თანდილაანთკარი, უფურეთი, შალიკიანთკარი;* (IX. ჭროფავის სასოფლო საზოგადოება) – შედიოდა ხორხი და წინაფშავის ზოგიერთი სოფელი; (X. ჭართლის სასოფლო საზოგადოება); (XI. ჭილურტის სასოფლო საზოგადოება) *ჭაშა*

[55] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 120-139.

(ძვალისქედი), ჭილურტი, ებნისი[56]. ამ დროს არაგვის ხეობის ბარის სოფლები – *ლამი, მისაქციელი, ნაოზა* – მცხეთის „უჩასტოკის“ მისაქციელის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა.

შემდეგი ჩამონათვალი, რომლებიც გაგვაჩნია ესაა 1926 წლის პირველი საკავშირო აღწერის მონაცემები. ამ დროს ჩვენი საკვლევი რეგიონი მოიცავდა ანანურის, ბაზალეთის, გრემისხევის, დუშეთის, ჟინვალის სასოფლო საბჭოებს. **ანანურის სასოფლო საბჭოში შედიოდა**: *ანანური, ავენისი, ბანცურთკარი, ველთაურთკარი, ვეძათხევი, ზოტიკაანთკარი, თანდილაანთკარი, კადოეთი, ლაუშა, პავლეური, უფურეთი, ფიტავი, ფხუნდავი (შადაანთკარი), შალიკაანთკარი, ციხისძირი.* **ბაზალეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა**: *ამოაანთკარი, არღუნი, ასლამაზიანთკარი, აში, ბაგა, ბაზალეთი, ბოდორნა, ბუჩაანთკარი, გრიგოლაანთკარი, დიდებაანთკარი, დუდაურთკარი, ებნისი, ვარსიმაანთკარი, თანიაანთკარი, თომა ჩუბინიძე, იორი, ინიანთკარი, კარიაულთკარი, კობიანთკარი, მგელიანთკარი, მთვარელაანთკარი, მილახვრი-ანთკარი, მლაშე, ნაგლიანთკარი, პირმისაანთკარი, საკრამულო, საკრამულო ძველი, უნდილაანთკარი, ფრიდონაანთ-კარი, ქარაულთკარი, ქერანა, ყარსიმაანთკარი, ყვავილი, საშაბურო, ხიდა, ჩანადირთკარი, ჩირდილელიანთკარი, ჭილურტი, ჭინჭარაანთკარი, ჯავახიანთკარი (იწრია), ჯიქურაულთკარი;* **გრემისხევის სასოფლო საბჭოში** შედიოდა: *არ-ბუეთი, გრემისხევი, ბეჟიტაანთკარი, გოძიანთკარი, თაბაურთკარი, ჰეტრიანთკარი, ქარქუშაანთკარი, ციგრიანთკარი, თხილოვანი, მურღული, მჭედლიანთკარი, ტონჩა, ქათამზვარე, ჭონტილი;* **დუშეთის სასოფლო საბჭო** მოიცავდა მხოლოდ ქალაქ *დუშეთს*; **მჭადიჯვრის სასოფლო საბჭოში შედიოდა:** *დარეჯანა, ილტოზა, კოდისწყარო, ლამოანი, მილის წყარო, ქვემო მზვარეთი, მჭადისჯვარი, ოძისი, ქვიტკირის წაყრო, შუახევი, ციხებდავი, ძვლიანთკარი (ბაქაქური), ჭაშა;* ჟინვალის სასოფლო საბჭო არაგვის ხეობის მარჯვენა მხა-

[56] Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 года, Тифлис, 1893.

რის ჩვენთვის საინტერესო სოფლებიდან მოიცავდა მხოლოდ *არანისს, ბიჩინგაურთკარს, ეთვალისს, ჟინვალს*[57].

1987 წლის ადმინისტრაციული ტერიტორიული დაყოფით ასეთი მდგომარეობა გვქონდა: **ბაზლეთის სასოფლო საბჭოში** შედიოდა *ბაზალეთი, ბაგა, გრიგოლაანთკარი, ლაზვიანი, მლაშე, ნაგლიანთკარი, საკრამულო, საშაბურო, უნდილაანთკარი, ყარსიმაანთკარი, ჩანადირთკარი, ჩირდილელიანთკარი, ჩუბინიანთკარი, ძველი საკრამულო, ჭონტილი.* **ანანურის სასოფლო საბჭო** მოიცავდა შემდეგ სოფლებს: *ანანური, ავენისი, ბანცურთკარი, დგნალი, ზოტიკიანთკარი, თანდილაანთკარი, კადოეთი, პავლეური, უფურეთი, ფხუნდავი, შალიკიანთკარი, ციხისძირი.* **ჭონქაძის სასოფლო საბჭო** მოიცავდა *ყვავილს, არაგვისპირს, არღუნს, ბოდორნას, დუდაურებს, ველთაურთკარს, ვეძათხევს, თანიანთკარს, იორს, მგლიანს, მეზვრიანთკარს, მჭედლიანთკარს, ნანიანს, ოქრუანს, ფრიდონაანთკარს, ქარაულებს, ქერანას, ქვემო აშს, ჯავახიანთკარს.* ისტორიული „დაბალი საერისთავოს“ ანუ ფართო გაგებით ბაზალეთის ქვეყნაში შემავალი ზოგიერთი სოფელი გრემისხევისა (მაგალითად, ტონჩა) და მჭადიჯვრის (მაგალითად, ებნისი და ჭილურტი) სასოფლო საბჭოებში შედიოდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტონჩა-გრემისხევს ხანდახან ქსნის ერისთავები ეუფლებოდნენ. აი, რას ვკითხულობთ 1731 წლის ერთ საბუთში: „ქ. ვეზირი ისაყა ფაშვკადრებ ჩვენ მაგივრად არაგვის ერისთავს თეიმურაზს ასე უანბეთ: მერე ტონჩა გრემისხევს ქსნის ერისთავი შანშე შემომეცილა და მოკითხული ვქენით, რომე ძველითგან თქვენი სამკვიდრო ყოფილიყო და ახლაც ისევ ჭელთ გეჭირა და აღარც ჩვენ მოგიშალე, რადგან თქვენი სამკვიდრო იყო. ამის იქით იმას ტონჩა გრემისჭევთან საქმე არდარა აქვს. თქვენივე სამკვიდრო ისევ თქვენთვისვე დაგვინებებია, ისე შენვე გეჭიროს“[58].

---

[57] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ., 1930.

[58] მითითებულია წიგნიდან: ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 73.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვის შემდეგ ბაზალეთში (როგორც ვიწრო გაგებით, ისე ფართო გაგებით ანუ არაგვის საერისთოს ვაკის სოფლები) ჩაწერილ გადმოცემას მოვიხმობთ. თავიდანვე ერთი მთხრობელის ფრაზა უნდა მოვიყვანო: **„არაგვისპირში ისეა ხალხი აქერჭრელებული, რა ვიცი, ვინ ვინაა“.** ამ ფრაზით მხოლოდ აქერჭრელებაზე შევაჩერებთ ყურადღებას. სინამდვილეში კი არაგვის დაბლობში მცხოვრებმა მოსახლეობის უმრავლესობამ გადმოცემებით კარგად იცის მათი წინაპრები საიდან არიან მოსული. მიგრაციის ამ პროცესს წერილობითი ძეგლები და საარქივო მასალები კარგად ავსებს.

სოფელ **ბაზალეთში** ყველაზე დიდ გვარებს წარმოადგენენ ***ლალიაშვილები, ეპიტაშვილები, ნათელაშვილები, დურგლიშვილები, დიდებაშვილები, პაპიაშვილები, ვერძეულები,*** აგრეთვე – ***ფოლადაშვილები, სანაშვილები, პატრიშვილები, სინჯარაძეები, ზარიძეები...*** 1781 წლის აღწერით სოფელ „ბაზალში“ დასახელებული გვარებიდან ცხოვრობდნენ: „ვერძაულის შვილი ბერი, მახარა“, „ლალის შვილი იასე, ივანე, გოგია“, „ბოგანო პაპიას შვილი ზაალ“[59]. ამავე დროს, აქვე ცხოვრობდნენ: ***პირმისაშვილები, ფეიქრიშვილები, ბოჭორაძეები, ყრინტაშვილები, გრიგოლასშვილები, დორეულები, მამსიკაშვილები*** და „აზნაური ბაზლიძე ივანე“. როგორც ჩანს, სოფელ ბაზალეთის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შეცვლილა. ზემოხსენებული აღწერის დავთრით სოფელ ბაზალეთში მკვიდრობდნენ აგრეთვე „ნატრაძე ივანე და თევდორე“ და „დორეული ბერიას შვილი ივანე“. ამ ორი გვარისანი სოფელში თითო კომლის რაოდენობით დღესაც ცხოვრობს. სოფელში 1886 წელს ***ნატრაძეების*** 3 ოჯახი ცხოვრობდა (1833 წლის აღწერით ნატრაძეები ბაზალეთის წმიდა გიორგის ეკლესიის გლეხები იყვნენ), ***ყრინტაშვილები*** – 5 ოჯახი. 1781 წელს კი აღწერილნი არიან: „ყრინტას შვილი მამუკას ობოლი ნინია“, „ყრინტას შვილი ბერი, ბერიძე“ და „ყრინტას შვილი თევდორე და შიო“. 1886 წელს აქვე იყვნენ ***პატრიშვილები*** (3 კომლი), ***ფოლადაშვილები*** (4 კომლი), ***მოლოდინები*** (4 კომლი), ***ილ-***

[59] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 120-131-132.

ურიძეები (5 კომლი), ***ღვინიაშვილები*** (7 კომლი), ***უნდილაშ-ვილები*** (6 კომლი), ***მამსიკაშვილები*** (4 კომლი), ***ნათელაშვი-ლები*** (10 კომლი), ***თათრიშვილი*** (1 კომლი), ***ჭიჭიკაშვილი*** (3 კომლი), ***ბაზალი*** (1 კომლი). ბაზალეთის ერთ-ერთი მკვიდ-რი გვარია აგრეთვე ***შუშიაშვილი.*** 1840 წლისათვის აქ 12 კომლი შუშიაშვილი ცხოვრობდა, 1886 წელს ისინი 6 კომ-ლი იყვნენ. ეს გვარი ბაზალეთში ფიქსირებულია 1781 წლის აღწერაშიც – „შუშის შვილი ნადირა“. ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია ***პარკაულების*** გვარიც (1940 წელს – 14 ოჯახი). ეთნოგრაფიული მასალებით, სოფელი **პარკაულები** ცალკეა, სადაც აქვთ ლომისას ნიში („პატარა ხატს ეტყვიან“). „პარკაულები ბაზალეთში სოფელია პატარა, მოსახლეობენ პარკაულის გვარისანი“. მათი ნა-ხევარი 1958 წელს მუხრანში გადასახლებულა. ომიანობის დროს პარკაულების 6 კომლი საცხოვრებლად გადასულა შირაქის სოფელ ზემო ქედში. პარკაულების „პირველი გვა-რი უნდილაშვილი ყოფილა“. გვარის შეცვლა ბაზალეთის ომის დროს მომხდარა, რადგან მათ წინაპარს პარკით ფუ-ლი ტყეში გადაუნახავს. დღესაც პარკაულები და უნდილა-შვილები ერთმანეთთან ბიძაშვილობენ. მთხრობლები აღნი-შნავენ, რომ „ჩვენ ძველი ამ ტერიტორიის ადრინდელი მაცხოვრებლები ვართ“.

ეთნოგრაფიული მასალებით, „ლალიაშვილები მოსულე-ბი ვართ მთიდან, პაპა ყოფილა თუ პაპის პაპა, რო გითხრა, ყველა ეგრეა დასახლებული. ჩვენი გვარი ეხლაც არის ჭა-რთალში“ (პირმისაშვილი-ლალიაშვილი ოლა გორას ასუ-ლი, 85 წლის, სოფ. ბაზალეთი, 1977 წ.). ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ლალიაშვილი ჭართლის ძირძველი გვარია. 1886 წელს ბაზალეთში ლალიაშვილების 9 ოჯახი მკვიდ-რობდა[60]. ჭართლიდან ლალიაშვილების ბაზალეთში გად-მოსახლების მიზეზი „მთა იყო. აქ მინდორი დიდი იყო, იქ ვიწრო, მთა-გორიანი, კლდიანი ადგილები იყო. საცხოვრისი ადგილი არ იყო და წამოვიდნენ აქა. ლალიაშვილები დუშეთში 8 კომლი ცხოვრობს, ბაზალეთში 18 კომლია“. ეთნოგრაფიული მასალებით, ლალიაშვილები ადრე ჭართა-

[60] სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქ. № 1793, გვ. 100-154.

ლში – „ჭართალ წმიდა გიორგიში“ – დადიოდნენ სალოცავად. მაგრამ მათ კარგა ხანია წინაპართა სალოცავში სიარული შეუწყვეტიათ. ირკვევა, რომ ვაჟები ამ გვარის ხალხს აუცილებლად ავენისის წმიდა გიორგის სალოცავში უნდა გაერია. ავენისი, რომელიც ანანურის გადმაა, ბაზალეთის წმინდა გიორგის მოძმედ ითვლება, მთხრობლის სიტყვით, ისინი „ძმები იყვნენ“. აგრეთვე, ლალიაშვილები ავენისში სალოცავად ნათელაშვილებსა და ვერძეულებთან ერთად მიდიოდნენ – „ავენისში ერთი სუფრა გვქონდა“. ამ სამ გვარს შორის ადრე ქორწინებაც დაუშვებელი ყოფილა.

სოფელ ბაზალეთის ერთ-ერთი დიდი გვარია ***ეპიტაშვილი.*** ეთნოგრაფიული მონაცემებით, ეპიტაშვილების თვადპირველი განსახლების არეალი იყო სოფელი **არღუნი.** მარტლაც 1781 წლის აღწერაში აქ ვხვდებით ეპიტაშვილებს[61]. 1886 წლის აღწერაში ეს გვარი „ებიტაშვილადაა“ ჩაწერილი – ამ დროს ისინი აქ 9 კომლის რაოდენობით იყვნენ. „ჩვენა ვართ ლეკიანობის დროს წინათ რომ დაეცნენ ლეკები, ჩვენი წინაპარი ეპიტაანთ ბავშვი სოფელ არღუნიდან წაიყვანეს ლეკებმა. მერე ის გაიზარდა ლეკებში, მეცხვარე იყო. მერე ერთ ღამეს სიზმარი ნახა: ეხლა შენი გზა ხსნილია, ადექი და წადიო. კავკავში მოსულა, სადაც ერთი არღუნელი მღვდელი ყოფილა. ამ მღვდელს შეენახა. ჩვენი წინაპარი ქართულს ვერ ლაპარაკობდა, მარტო არღუნს ამბობდა თურმე. არღუნში რომ ჩამოსულა, ყველაფერი, სახლ-კარი დანგრეული დახვედრია. მერე ბაზალეთში მოსულა და ბატონს, ჭილაშვილს, დასდგომია მოჯამაგირედ. ბატონს არ ეყმო, გამოეგდო და მას მხოლოდ საპანჩურო ნაკვეთი მიუცია სოფელ პარკაულების ზეიდან (პარკაულები იქვეა ბაზალეთთან). მერე ერთი **დათოშვილი** ყოფილიყო, მდიდარი კაცი და, როგორც შვილი, იმათ ისე მიითვისეს. მერე ჩემ წინაპარს შვიდი ბიჭი ეყოლა. ამ დათოშვილს კვრინჩხიანში მიეცა ადგილი, სადაც სახლი გააკეთა. ეხლა იმის ნაშენი ოც კომლამდე ვართ“ (მიხა დიმიტრის ძე ებიტაშვილი, 73 წლის, სოფელი ბაზალეთი, 1977 წ.). ბაზალეთიდან ეპიტაშვილები სალოცავად სოფელ არღუნში დადი-

[61] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 120-133.

ან, მათი სლოცავი ხატია „ცეცხლიჯვარი“, რომლის დღეობა 7 მაისს მოდის. სხვა ეთნოგრაფიული მასალებით, ეპიტაშვილებს თავდაპირველად სოფელ მარტყოფში უცხოვრიათ და აქედან ყოფილან; ჯერ არღუნში დასახლებულან. ამიტომაც მათი სალოცავია *არღუნის ცეცხლისჯვარი.* არღუნის ცეცხლიჯვრობას, რომელიც 7 მაისს მოდის, ლოცულობდნენ აგრეთვე სოფელ ქერანაში მცხოვრები ***ჯავახიშვილები*** და არღუნელი ***ჯანგირაშვილები.*** ცეცხლისჯვრის სალოცავში ***ჭიაბერაშვილებსა*** და სხვა გვარებს თავისი „ბინები“ ჰქონიათ, სადაც ისინი დღეობის დროს დაბინავდებოდნენ ხოლმე.

სოფელ ბაზალეთში მოსახლე ***ვერძეულები,*** როგორც ზემოთაც აღინიშნა, *ავენისის წმიდა გიორგის* ეყმობოდნენ. გადმოცმით, ისინი ჭართლიდან წარმომავლობენ. 1886 წელს სოფელში ვერძეულების 8 კომლი მკვიდრობდა. ამავე სოფელში მცხოვრებ ***ზარიძეებს*** შემდეგი გადმოცემა აქვთ: ამ გვარისანი სოფელ არანისში სამი ძმა ყოფილა. ერთი თიანეთში დასახლებულა, მეორე – საგურამოში და მესამე – ბაზალეთში. საგურამოდან შემდეგ ძაგნაკორას სოფელ დავათშიც გადასულან. მართლაც, ზარიძეები აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და მთისწინეთში ფართოდ იყვნენ განსახლებული – ხევსურეთში (ხორნაულების ადრინდელი გვარია), ზემო თიანეთში, სადაც ამ გვარის სახელის მატარებელი სოფელიცაა. XVIII საუკუნის აღწერის დავთრების თანახმად, ზარიძეები მართლაც ცხოვრობდნენ ძაგნაკორაში და არანისში. აქაური ზარიძეები თავიანთ საგვარეულო სალოცავად „ბოდავ წმიდა გიორგის“ მიიჩნევენ. მთხრობლის სიტყვით, „მამაჩემმა პატარები რომ ვიყავით, სამი ურმით წაგვიყვანა. დედაჩემმა ნიშნობის ოქროს ბეჭედი და ბაღდადი დატოვა *ბოდავის წმინდა გიორგის* სალოცავში“. 1886 წელს ზარიძეები ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ ბაზალეთში.

ბაზალეთში გუდამაყრის სოფელ კიტოხიდან არიან გადმოსახლებული ***დიდებაშვილები.*** „დიდებაშვილების ძირითადი გვარი წინდაწინ ბექაურად ყოფილა. დუშეთის თავზე არიან კიდევ ჩვენი გვარის ხალხი. სალოცავი გვაქვს „პირიმზე“ და „კვირიკე“ (ალექსი გიორგის ძე დიდებაშვილი, 73

წლის, სოფელი ბაზალეთი, 1977 წ.). 1886 წლის საოჯახო სიებით, ბაზალეთში დიდებაშვილების 6 კომლი მკვიდრო-ბდა[62]. ბაზალეთში მთიულეთიდან არიან მოსული ***დურგლიშვილების*** წინაპრები, რომელთა ადრინდელი გვარია ქავთარაძე. მთიულეთიდან ხუთი ძმა წამოსულა, რომლებსაც ბაზალეთში მიწა უყიდიათ. ხუთი ძმიდან ოთხი ერთ ღამეს მომკვდარა. დღევანდელი დურგლიშვილები მეხუთე, გადარჩენილი ძმის შთამომავლები არიან. მათი სალოცავია „ლომისა“. სალოცავად დადიოდნენ ამ ხატის ნიშზე ქაისხევში სოფელ ქერანაში.

სოფელ ბაზალეთში მკვიდრობენ ***პაპიაშვილებიც,*** რომელთა შვიდი კომლია დადასტურებული 1866 წლის საოჯახო სიებში. ამ გვარის წინაპარი ზესიძედ მოსულა ქსნის ხეობის სოფელ გრუდან. XIX საუკუნეში სოფელ გრუში 5 კომლი პაპაშვილი ცხოვრობდა. ცხოვრობენ აგრეთვე ფასანაურსა და „კობიანთკარში, დუშეთის გადმა“. 1781 წელს აქ ამ გვარის ერთი კომლი მკვიდრობდა – „ბოგანო პაპიას შვილი ზაალ“. ქსნის ხეობიდან არიან ბაზალეთში გადმოსახლებული აგრეთვე ***დორეულები*** (1886 წელს 1 კომლი), ***ილურიძეები*** (1886 წელს 5 კომლი). დორეულები აქ ჯერ კიდევ 1781 წელსაც ცხოვრობდნენ: „დორეული ბერიას შვილი ივანე“.

ეთნოგრაფიული მასალებით, ბაზალეთში ***ნათელაშვილების*** წინაპრები ფშავის უძილაურთა თემიდან არიან გადმოსახლებული: „ნათელაშვილები ფშავლებია, გვარად უძილაურნი. მაგრამ თავდაპირველად ხევსურეთის სოფელ უკანახოდან ფშავში წამოსულან სამი ძმანი: *გელანა, ბაგრატა* და *დათიკო.* იქიდან ჯერ ჟინვალის მახლობლად, სოფელ ავენისში გადასახლებულან, ხოლო შემდეგ ბაზალეთში გადასულან. როდესაც ეს სამი ძმა ბაზალეთში მოვიდა, აქ მათ დახვდათ *ლალიანი, ნატრაძიანი* და *ეპიტაანი.* იმათ უოქვამთ – ეს ძმები აქ დავაყენოთ, ლეკებს არ მოუშვებენო და დაუსახლებიათ ბაზალეთის წმ. გიორგისათვის შეწირულ ადგილზე. ამიტომ ნათელაშვილები ამ ხატს ჩაბარდნენ. იქაური სოფლელები საეკლესიო ყმები იყვნენ. ნათელა-

[62] სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე №1793, გვ. 100-154.

შვილებიც საეკლესიო ყმები გახდნენ. ... ბაზალეთის წმ. გიორგის დეკანოზი ლალიაშვილებიდან და ნათელაშვილებიდან დგებოდა. ... უძილაურების შთამომავლობის სამი ძმა ბაზალეთში უკვე ნათელაანთ გვარს ატარებდა და სამ საძმოდ იყო გაყოფილი. გელანას შთამომავლობა, პაპანი და დათიკოს შთამომავლობა – ძაღლაური და დათიკანი. ... როდესაც ბაზალეთში ჩამოსულან, მაშინ გელანას თან ლაშარის ჯვარი გამოჰყოლია და მისი სამოსახლო ადგილის გვერდით „დაბრძანებულა“. იმ ადგილას ნათელაანთ ლაშარის ნიში და მარანი დაუშენებიათ“[63].

პირმისაშვილების შესახებ ასეთი თქმულებაა: „სოფელ **პირმისაანში** უწინდელ დროში ცხოვრობდა თურმე ვაჟკაცი ბეჟანიშვილები, რომლებიც გველეშაპს ჰყვანდნენ. ისინი კახეთში წასულან და მათ ნამოსახლარ ადგილზე კი პირმისაანი დასახლებულან“. პირმისაშვილები 1755 წლის განჩინებაში არიან მოხსენიებული, რომლის მიხედვითაც *შალუა პირმისაშვილს* სასისხლო საქმე ჰქონია *სულხან* და *უორუთ ხიმშიაშვილებთან.* პირმისაშვილს ხიმშიაშვილების მამულში (როგორც ჩანს, ძაგნაკორაში ან ერწოში) ღორები დაჰყოლებიათ: „პირმისაშვილი შალუა ამას ამბობდა: მე მთაში ღორები მყვანდაო; ის მთა კათოლიკოზისაც არისო და ამ ხიმშიაშვილებისაცაო, რაც იქ ღორის საბალახეს აიღებენო, ნახევარს კათალიკოზის კარის კაცები აიღებენო და ნახევარს ესენიო. კათალიკოზის კაცი მოვიდაო, სულ იმან გამომართვაო; რაც ჩემის ღორიდამ საბალახე ერგებოდათო, ნახევარი იმან წაიღო და ნახევარი ამ ხიმშიაშვილებს მისცაო. ამას აღარ დასჯერდნენო, ამათ ერთი ღორი კიდევ წამართვესო; ამისთვის ჩხუბი მოგვივიდაო და სულხანის შვილს თავი გაუტყდაო“[64]. სამართლებლივი დავის გარჩევა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს და მხოლოდ იმასდა აღვნიშნავთ, რომ არაგვის ხეობის დაბლობიდან გლეხებს ღორები საბალახედ სხვაგან, არაგვის ხეობის მა-

---

[63] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტომი I, ფშავი, თბ., 1974, გვ. 96.

[64] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი IV, თბ., 1972, გვ. 668.

რცხენა მხარეზე თავად ხიმშიაშვილების მამულში დაუდიოდათ. ამ საბუთით აშკარაა ქვეყნის შინაგანი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირის ერთ-ერთი სახე. 1799 წლის განჩინებით გოგია პირმისაშვილი *ნაზირი* ყოფილა[65].

1843 წლის სახელმწიფო გლეხების კამერალური აღწერის დავთარში ბაზალეთში შეყვანილია ორი კომლი ***მოლოდინი:*** „გიგოლო ბერუა შვილი მოლოდინი“ და „გიორგი სიხარულა შვილი მოლოდინი“[66]. საისტორიო საბუთების თანახმად მოლოდინების გვარი ბაზალეთში ქვემო ქართლიდან უნდა იყოს მოსული – XVII საუკუნეში მოლოდინაშვილები აქ არიან მოხსენიებული. ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც ეს გვარია დაფიქსირებული, 1647 წლით თარიღდება. ამ წელს გულისა მოლოდინაშვილს და მის შვილებს სვიმონსა და შიუკას ბანდია ყორღანაშვილისათვის სამი დღის მიწა მიუყიდიათ სოფელ საცხენისში. 1655 წლის ნასყიდობის წიგნის თანახნად სოფელ ელფიაში მცხოვრებ ქიტია მოლოდინაშვილსა და მის ძმას დათუნას ზურაბ ლარაძისათვის თავისი მკვიდრი ვენახი მიუყიდიათ. XVII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული საბუთით, მღვდელ საბა მოლოდინაშვილს პაპუნა გოსტაშაბიშვილისაგან თავისი განაყოფის, იმარინდოს მამულის მეოთხედი უყიდია[67]. ამ საბუთებით აშკარაა, რომ, მოლოდინაშვილები ყმა-გლეხები არ იყვნენ. ისინი მიწებს ყიდულობენ (აგრეთვე ჰყიდიან) თავად-აზნაურებისაგან. საგულისყუროა, რომ ერთ-ერთი მოლოდინაშვილი ატარებდა პიროვნულ სახელს – მოლოდინა. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის ყმების ნუსხაში დასახელებულია „მოლოდინას-შვილი პაპუა“[68]. 1823 წლის აღწერით, მოლოდინაშვილები კვლავ ცხოვრობდნენ ქვემო ქართლში, კერძოდ სოფელ ბოგვში, მაგრამ მათი ერთი კომლი ძირითად გვარს გოგიაშვილს ატარებდა, მეორე – შერმაზანაშვილს: «Гоги-

---

[65] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VI, თბ., 1976.

[66] სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 2126, გვ. 138.

[67] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, თბ., 2004, გვ. 206-207.

[68] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბ., 1953, გვ. 30.

ашвили он же Молодинашвили», «Шермазанашвили он же Молодинашвили»[69].

ბაზალეთის ძველ მოსახლეობად „ხეხელანი (***ხეხელაშვილი***) მიიჩნევა, რომლებიც *ყრინტაშვილებისაგან* წარმომავლობენ. ***პატრიშვილები*** შავნაბადადან მოსულან და ბოლო დრომდეც სალოცავად აქ დადიოდნენ. 1873 წლის აღწერის თანახმად, ბაზალეთში სოფელ ციხისძირიდან ახალი გადმოსახლებული იყო სოსიკა ნინიკას ძე ***ჯღუნიაშვილი.*** ამავე აღწერით ბაზალეთში დროებით ვალდებული ***ჭიჭიკაშვილების*** სამი ოჯახიც ცხოვრობდა.

ბაზალეთის სოფელია **ჩანადირები.** 1926 წლის დოკუმენტში ფიქსირებულია როგორც *ჩანადირთკარი.* 1940 წელს ჩანადირთკარში ყველაზე მეტი ჩანადირები იყვნენ (11 კომლი), აგრეთვე – ***ჭინჭარაშვილები*** (7 კომლი), ***ნარიმანიძე*** (3 კომლი), ***ნადიბაიძე*** და ***ბაშარაძე*** (2-2 კომლი). აქვე ცხოვრობდნენ ***ბოდაველები.*** XIX საუკუნეში სოფელი ჩანადირები ოფიციალურად არ არსებობდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ ჩანადირები სოფელში ჭართლიდან არიან მოსული. „კაცი შამაკვდომოდათ, ადგნენ და გამაერიდნენ. სამი ძმანი ყოფილან. ერთი აქ დამდგარა, მეორე ეთვალისში, მესამე – საგურამოში. მერე კიდევ მისაქციელში გაჩნდნენ ბარტყები. ჩვენი გვარი ყოფილა გიგაური. თავიდანვე გიგაურები ვართ, მაგრამ ჩანადირები გავხდით იმაზე, რომ ჩაინადირაო“. ჩანადირების სალოცავია „ჭართალ ღვთიშობელი“. ჩანადირებში კი „ფშარაველ წმიდა გიორგის“ ლოცულობენ. რაც შეეხება ჩანადირებში მოსახლე ბოდაველებს (5 ოჯახი), ისინი 1937 წელს ბოდავიდან გადმოსახლებულან. **მიგრაციის მიზეზი ადგილის უვარგისობა ყოფილა. „გასაგებად დადიოდნენ, სად სჯობიაო, აქა სჯობდა, აქ პური მოდიოდა და მაშინ გლეხკაცს მეტი რა უნდოდა. ჩვენი სალოცავი *ბოდავ წმიდა გიორგია.* ჩვენ ზარიძეები ვყოფილვართ, მისახლდნენ ბოდავში და გაიკეთეს გვარი ბოდაველად“.** ბოდავში კი მათი წინაპარი თიანეთიდან გადმოსახლებულა. ტრადიციით ბოდაველები ზარიძეებზე არ ქორწინდებიან. ჩანადირების გადადმა არსებულ

[69] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 802, გვ. 5.

ფშარაველ წმიდა გიორგის სალოცავზე კი „ახლო-მახლო ხალხი ლოცულობს. საიდანღა აღარ მოდიან, კახეთიდან, გორიდან – აქედან წასული ხალხია წინათ. მე მახსოვს, მოვიდნენ მარტყოფიდან ვართო. გორელი ვარო, ერთი იყო, ოთხი წლის წინ (1974 წელს), მანძულაშვილი სოსია ვარო“. ჩანადირებში მოსახლე *ჭინჭარაშვილები* „ზემოდან ვართ, მთიდან. ადრინდელი გვარია ჭინჭარული“. გადმოსახლების მიზეზი მესისხლეობა ყოფილა. სალოცავად დადიან სოფელ არანისში, სადაც მათი მოგვარეები მკვიდრობენ. შაინტერესოა, რომ მთელი გვარი სალოცავად „გერის წმიდა გიორგი“-ში ყოფილა. ჩანადირებში მოსახლე *ბაშარაძეები* მეზობელი სოფლიდან – ხიდადან გადმოსახლებულან 1930 წელს. აქ ისინი ოძისიდან ყოფილან გადმოსახლებული. თავდაპირველი გვარი კი ბაშარული ყოფილა. „მღდელი მოუკვლიათ და გამოქცეულან“.

ბახალეთს ეკუთვნის **გრიგოლაანთკარი**. 1926 წელს გრიგოლაანთკარში სულ 16 ოჯახი ცხოვრობდა. უფრო ადრე, 1886 წლის საოჯახო სიებით, 25 ოჯახი იყო. ამ დროს გრიგოლაანთკარის ყველაზე დიდი გვარი ***უნდილაშვილების*** გვარი იყო (8 კომლი). ***სონიშვილები*** 5 ოჯახის რაოდენობით იყვნენ, ***კენკიშვილები*** – 3, ***თომაშვილები, კრინტა-შვილები, გოლოშვილები*** და ***ბადაშვილები*** – 2-2[70]. XVIII საუკუნეში უნდილაშვილების წინაპრები ***უნდილაძის*** გვარს ატარებდნენ; ისინი მკვიდრობდნენ სოფელში, რომელიც უნდილაანთკარის სახელს ატარებდა. მაგალითად, 1781 წლის აღწერაში ამ სოფელში დაფიქსირებულია „უნდილაძე როსტევანის შვილი წესიერა და დემეტრე“[71]. ეს გვარი ერთ-ერთი უძველესია – პირველად მოხსენიებულია 1247-1269 წლებით დათარიღებულ დაწერილში[72]. უნდილაძე მოხსენიებულია 1466-1479 წლების საბუთშიც. 1660-1679 წლის წაყლობის წიგნით, შიხასან უნდილაძე ქაჩიბაიძეთა აზნაური ყოფილა. 1600 წელს კი მათ სოფელ ხოფისში სამი კომლი

---

[70] სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე № 1793, გვ. 104-114.

[71] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 125.

[72] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 135.

გლეხი ჰყოლიათ[73]. XVII საუკუნის შუა ხანების დოკუმენტით ამოვარდნილი უნდილაძის მიწაზე „მესხი *ვარძიელა ლადაძე* და *იოსეფაშვილი*“ სახლობდნენ“[74].

სოფელ **მლაშეში** 1940 წლისათვის ყველაზე მეტნი ***არაჩაშვილები, ქერდიყოშვილები*** და ***ბედოშვილები*** იყვნენ (6-6 კომლი). შემდეგ მოდიოდნენ ***თოთიაურები*** (5 ოჯახი), ***გიგაურები*** 4 კომლს შეადგენდნენ. სამ-სამი კომლის რაოდენობით იყვნენ ***ლალიაშვილები, სისაურები, ოღაძეები*** და ***კოხტაშვილები.*** 1886 წლის საოჯახო სიებით ამ გვარებს ემატებიან: ***პეტრიაშვილები*** (2 კომლი), ***თხისჭირები*** (3 ოჯახი), ***თოთიაურები*** (5 ოჯახი), ***თედელურები*** (3 ოჯახი), ***ოღაძები*** (4 ოჯახი), რომლებიც XX საუკუნეში ამ სოფელში აღარ ჩანან. ამ გვარებიდან 1781 წელს თოთიაურების სამი კომლი („თოთიაური ივანე“, „თოთიაური დავით და სვიმონ“ და „თოთიაური თამაზას ობოლი გიორგი“) საშაბურაში ცხოვრობდნენ[75]. თოთიაურები პირველად 1678 და 1680 წლების საბუთებში არიან მოხსენიებული. პირველ მათგანში გამიხარდი თოთიაური მოწმედაა დასახელებული რევაზ ერისთავის მიერ ნინია ოდიშელიძისათვის მიცემული საადაპე წიგნისა[76]. თოთიაურები ხევსურეთიდან მოსულან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ გვარის სახელის მატარებელი სოფელი (თოთიაურები) გუდამაყარში იყო. თხისჭირების წინაპრები 1781 წელს წინდუშეთში ცხოვრობდნენ – „თხისჭირის შვილი გლახა და თამაზ“[77]. 1843 წლის კამერალური აღწერა სოფელ მლაშეს სოფელ საკრამულთან აიგივებს: «Сакрамули или Млаше»[78]. ამ აღწერაში თოთიაურები მხოლოდ ერთი კომლით არიან წარმოდგენილი. ამავე აღწერაში მლაშეში დაფიქსირებული არიან აგრეთვე ***კახუაშვილები*** (2 კომლი) და ***გაბიდაურები.*** სოფელში გარკვეული მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა, ხდებოდა რო-

---

[73] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, თბ., 2007, გვ. 262.
[74] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, თბ., 2007, გვ. 262.
[75] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 130-131.
[76] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993, გვ. 314.
[77] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 130-137.
[78] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქმე № 2126, გვ. 189.

გორც შემოსახლება, ისე გასახლება. სამი კომლი იყო სოფელ ნაოზიდან მიგრირებული, სამიც – ბაგადან (***ჩხუტიაშვილები***) და სხვა. „ბოგანო ჩხუტიაშვილი შიო“ 1781 წლის აღერაში საშაბუროშია მოხსენიებული. 1940 წელს ჩხუტიაშვილები ძირითადად **წითელსოფელში** ცხოვრობდნენ, რომლებიც ახალი საკრამულიდან იყვნენ გადმოსული 1927 წელს. ამ გვარის მთხრობელის თქმით, „მამა-პაპა იტყოდა ძირად ხევსურები ვართო“. მათი ადრინდელი გვარი ჭინჭარაული ყოფილა. მესისხლეობის გამო წამოსულები ჯერ ქაისხევში დასახლებულან, შემდეგ კი საკრამულში. შაცრამულაში 1940 წელს ჩხუტიაშვილები 12 კომლი იყვნენ. საშაბუროშივეა აღრიცხული ლალიაშვილის წინაპარი – „ლალას შვილი გოგია, ბარნაბე“.

მლაშეში არაჩაშვილებისა და სხვა გვარების მკვიდრობას 1723 წლის წყალობის წიგნი ადასტურებს: „ესე წაყლობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩვენ, არაგვის ერისთავმან პატრონმან ოთარ... შენ, ***კობიაშვილს*** საამს და შვილსა შენსა ზურაბს, იოსებს, გიორგის და იოთამს... ასე რომე წყალობას გვეაჯენით ... და გიბოძეთ **მლაშეს** სამი კომლი: ერთი ***ფიტკვილაური***, იმისი ძმა დათუნა, შვილი მახარე, მეორე ***ერეჩაშვილი ბერი***, იმისი ძმა თამაზა, მესამე ***კანატიელის*** მამული; იმაზე სახლობს ***მახარაშვილი შუშანა,*** იმისი ძმა თამაზა“[79]. ამ საბუთში არაჩაშვილები *ერაჩაშვილებად* არიან მოხსენიებული, დანარჩენი გვარები (*ფიტკვილაური, კანატიელი, მახარაშვილი*) კი შემდეგდროინდელ სხვა დოკუმენტებით მლაშეში არ ჩანან.

1873 წლის კამერალური აღწერის დავთრით სოფელ **ბაგაში** სულ 30 კომლი ცხოვრობდა; მისი ძირითადი მკვიდრი იყვნენ ***ცქიმანაურები*** (11 კომლი), ***ლაზვიაშვილები*** (5 კომლი), ორ-ორი კომლი იყო ***გვრიტიშვილი, დავითური, ოთარაშვილი, ცოცხალაშვილი.*** კიდევ ერთი კომლი „ივანე ცოცხალას ძე ცოცხალაშვილი“ გადმოსახლებული იყო არაგვის ხეობის მთისწინეთის სოფელ ციხისძირიდან 1865 წელს. ამავე წელს იყო აქ დასახლებული ოქროპირაშვი-

---

[79] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 200.

ლის ერთი კომლი სოფელ ახატნიდან[80]. 1886 წლის საოჯახო სიები ცქიმანაურების უკვე 15 კომლს გვიჩვენებს, ლაზვიაშვილებს – 6 კომლს, ცოცხალაშვილებს – 3 კომლს, გვრიტიშვილებს – 2 კომლს. ლაზვიაშვილები, გვრიტიშვილები, დავითურები ხანდოდან იყვნენ გადმოსახლებული XIX საუკუნის დასაწყისში, ცოცხალაშვილები კი არაგვისავე დაბლობის სოფელ ციხისძირიდან, ორი კომლი XIX საუკუნის დასაწყისში და ერთიც 1865 წელს, მამაცაშვილი მოსული იყო ქსნის ხეობიდან 1871 წელს. 1940 წლისათვის ბაგაში ***ცქიმანაურები*** 8 კომლი იყვნენ, ***მოლოდინები*** – 9 კომლი, ***დავითურები*** – 11 კომლი. ამავე დროს აქვე 5 კომლი **შაბურიშვილიც** ცხოვრობდა. სოფელ ბაგაში მცხოვრები გვარებიდან ყველაზე ძველი მაცხოვრებლები ცქიმანაურები ჩანან – 1781 წლის აღწერაში ისინი საშაბუროში არიან მოხსენიებული, როგორც აზნაურ შაბურიშვილების ყმები: „ცქიმანაური კაცია“, „ცქიმანაური იასე“, „ცქიმანაური დარჩია“. ეთნოგრაფიული მასალებით, ცქიმანაურების წინაპარი ხევიდან გადმოსახლებულა. მათი თავდაპირველი გვარი სუჯაშვილი ყოფილა („სუჯაშვილები თურმე ყაზბეგში მოჭარბებული ხალხი ყოფილა, ადგილ-მამული არ ჰყოფნიდათ. ამიტომ ერთ-ერთი მათგანი წამოსულა და სოფელ ბაგაში დასახლებულა, სადაც მას თავისი გვარი ცქიმანაურად შეუცვლია“). მოხევე ყოფილა შაბურიშვილების წინაპარი, ძირი-გვარია შადური. საშაბუროში არიან მოხსენიებული ***მოლოდინებიც***: „მოლოდინი გიორგი, ზაქარია, ბერუა, შერმაზან“[81]. XIX საუკუნის აღწერებში ბაგაში მოხსენიებული ***ლაზვიაშვილებიც*** 1781 წელს საშაბუროში ცხოვრობდნენ („ბოგანო ხანდოელი ლაზუას შვილი მამუკა“).

სოფელ ბაგაში ორი სალოცავი ხატია – *„ჯაჭველის წმიდა გიორგი“* და *ნიკოლოზის ეკლესია.* ამას გარდა, ბაგელები ლოცულობდნენ *ლომისას,* რომლის ნიშები ქერანასა და ფრეზეთშია, *ფშარაველ წმიდა გიორგის,* რომელიც სოფელ ჩანადირებშია და *ბოდორნის ღვთისმშობელს.* **ჯაჭველის წმიდა გიორგი უფრო მეტად მოლოდინების, ცქიმა-**

---

[80] სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 227.

[81] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 130-131.

ნაურების და შაბურიშვილების ხატად ითვლება. მაგრამ, ამავე დროს, სოფელ ბაგის ყველა მცხოვრები თავის შვილებსა და პატარძლებს „ჯაჭველის წმიდა გიორგის“ ხატში გარევდა ხოლმე. ჯაჭველის წმიდა გიორგის დეკანოზი პირველად გვარად დავითური ყოფილა, შემდეგ კი – ცქიმანაური.

სოფელ **ყარსიმაანთკარი** ძირითადად ***ყარსიმაშვილებითაა*** დასახლებული. 1940 წელს აქ ამ გვარის 10 კომლი ცხოვრობდა. ეთნოგრაფიული მასალით, „ბაზალეთში რომ ყარსიმაანთკარია, იქაური ყარსიმაშვილები ძირად არიან ხევსური გიგაურები“. აქვე ***ნაგლიაშვილები*** 6 კომლი იყვნენ, ***ღავილაშვილები*** და ***ირემაშვილები*** – სამ-სამი კომლი. 1886 წლის საოჯახო სიებითაც ყარსიმაანთკარში 10 ოჯახი ყარსიმაშვილი ცხოვრობდა. აქვე იყო 9 ოჯახი ***ჭიკაძე.***

სოფელ **ლაზვიანში** 1940 წელს ***ლაზვიაშვილის*** გვარისა სულ 2 კომლი ცხოვრობდა, 2 კომლი იყვნენ ***ქარაულებიც.*** 1781 წელს ქარაულები სოფელ **აფხავში** მკვიდრობდნენ: „ქარაული სიხარულის შვილი გივი“, „ისე ქარაულის შვილი ბაწაწუნი და სიხარული“[82].

სოფელ **ჩრდილელიანთკარში** 1940 წელს მკვიდრობდნენ: ***ქავთარაძეები*** (9 ოჯახი), ***სინჯარაძეები*** (8 ოჯახი), ***ქურციკაძეები*** (8 ოჯახი), ***ხულელიძეები*** (5 ოჯახი), ***გვრიტიშვილები*** (5 ოჯახი), ***ჯაბანაშვილები*** (8 ოჯახი), ***გელიაშვილები*** (19 ოჯახი), ***ფარნაშვილები*** (4 ოჯახი), ***სონიშვილები*** (21 ოჯახი), ***მოსიაშვილები*** (10 ოჯახი), ***გუჯარაიძეები*** (7 ოჯახი)***... ჩრდილელები*** აზნაურები იყვნენ. თუმცა აქ ამ გვარის ხალხი აღწერის დავთარში არ ჩანს. „აზნაურშვილი ჩრდილელის შვილი ჩრდილელი და რევაზ“ 1781 წელს სოფელ ჭილურტში ცხოვრობდნენ. აქვე ჰყავდათ მათ ყმა-გლეხები. 1886 წელს ამ გვარებიდან ჩრდილელიანთკარში ცხოვრობდნენ მხოლოდ *ხულელიძეები* (3 კომლი), *გვრიტიშვილები* (1 კომლი), *გელიაშვილები* (5 კომლი), *სონიშვილები* (9 კომლი), *მოსიაშვილები* (5 კომლი), *გუჯარაიძეები* (2 კომლი). იყვნენ აგრეთვე *ბურაშვილები* (3 კომლი) და *ჩაბაკაურები* (2 კომლი). არაგვის ერისთავთა ყმები ქურციკაძეები 1688-

---

[82] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 130-128.

1694 წლებით დათარიღებულ ყმების მირთმევის წიგნში არიან მოხსენიებული: „ჩვენ, ერისთავმა გიორგიმ ჩვენი მემკვიდრე ყმა და გლეხი მოგართვით თქვენ, ბიძა ჩვენს ენისელთ მოურავს სულხანს ... *ქურციკაძე ნადირა მისის ცოლ-შვილითა, ქურციკაძე შალვა ... ქურციკაძე ობლები ფოცხვერა და გიორგი...*“[83].

1781 წლის აღწერით სოფელ **საშაბუროში** მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ სახასო გლეხები, თუმცა აქ აზნაურ *შაბურიშვილებიც* და მათი ყმა-გლეხებიც ცხოვრობდნენ. აქ მცხოვრები ზოგიერთი მკვიდრი გვარის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი (*თოთიაური, ცქიმანაური, მოლოდინი...*). შაბურიშვილები არაგვის ერისთავთა აზნაურები იყვნენ, მაგრამ 1743 წელს საერისთავოს გაუქმების შემდეგ სამეფო აზნაურებად იქცნენ. თავდაპირველად „დაბალი საერისთაოს“ ერისთავები შაბურიშვილები იყვნენ. წერილობით ძეგლებში პირველად 1398 წელს არიან მოხსენიებული შაბურიძის გვარით. 1781 წლის არაგვის ხეობის აღწერით საშაბუროში შაბურიშვილები შვიდ კომლად ცხოვრობდნენ. აღწერაში მოხსენიებული არიან: ქაიხოსრო, ბეჟან, ბარამ, რამაზ, დავით, გიორგი, იოთამ, ივანე, ფირან, იოსებ, ზაზა, ფარსადან, ოთარის ობოლი გლახა შაბურიშვილები. 1873 წლის საარქივო მონაცემებით, შაბურიშვილებს ყმა-მამულის მფლობელობა ჰქონდათ ბაგაში, საშაბუროსა და ყარსიმაანთკარში[84]. 1781 წელს საშაბუროში ცხოვრობდნენ აგრეთვე *ბუჩასშვილები, ძგიბაურები/ძგიბაშვილები, ჯანასშვილები, პავლეურები, ამირიძეები, პატაშურები, სისოურები, ჭიკაძეები, ღავლაშვილები, ყასიმაშვილები (იგივე ყარსიმაშვილები), ბეშქენაძეები, ზეიკიძეები* და სხვები. დღეისათვის შაბურიშვილები ძირითადად სოფელ ბაგაში ცხოვრობენ. გადმოცემით, ისინი ხევიდან არიან მოსული: „ჩვენ მოხევეები ვართ, ასე იტყოდნენ ხოლმე ჩვენი მამაპაპა. ყოფილა ერთი მაგარი კაცი. აქ ბოდორნასთან სადმე

---

[83] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 371.

[84] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბ., 2011, გვ. 363.

მომხდარა ბრძოლა, მაგრა უომია. შადური ყოფილა და გადაკეთდა შაბურიშვილად. ბაგაში შაბურიშვილები 20 კომლი ვიქნებით. ჩვენი გვარის კაცი სხვაგან არსად მინახია. ძირითადად საშაბუროს ფარგლებში ვართ. **ნაგლიანი, ბაგა და საშაბურო საერთოდ საშაბურო იყო წინათ.** ჩვენი სალოცავი *ჯაჭველ წმიდა გიორგია.* ომის წლებში კახეთიდან მოდიოდა ხალხი ჯაჭველზე ბაგაში დახურული, ჩარდახიანი ურმებით" (შაბურიშვილი აკაკი სოლომონის ძე, 47 წლის, 1977 წ.). ზემოთ ნახსენები *დავლაშვილები* ნაგლიანებიდან (საშაბუროდან) მისაქციელში გადასახლებულან. 1818 წლის მონაცემებით, ზეიკიძეების 4 კომლი საეკლესიო გლეხები იყვნენ, რომლებიც აქ ჯავახეთიდან იყვნენ მოსული[85]. 1833 წლის საეკლესიო გლეხების აღწერით საშაბუროში ***ბაშარაძეების*** ორი კომლი ცხოვრობდა, რომლებიც ანანურის „სობორის" ყმანი იყვნენ[86].

ბუჩაშვილების შესახებ ზემოთ უკვე ნათქვამი იყო, რომ აქ ისინი ჭართლის სოფელ ბუჩანთკარიდან არიან გადმოსახლებული. ეს გვარი მოხსენიებულია 1757 წლის განჩინებაში, რომელშიც ვკითხულობთ: „ქ. კობიაშვილი მოურავი საამ და ბუჩაშვილი ლომი ჩიოდნენ. ეს ბუჩაშვილი მკვიდრათ ამ კობიაშვილებისა ყოფილიყო. ბარძიმ ერისთავს ეს ბუჩაშვილი თავის ნასყიდის მამულით ანანურთა ღმრთისმშობლისათვის შეეწირა და სამკვიდრო მამული ამ საამს დარჩენოდა და ჯიმშერს მამის ჩვენის ბძანებით ეს ბუჩაშვილის სამკვიდრო მამული ამ საამისათვის მიეცა"[87].

1886 წლის საოჯახო სიებით **ნაგლიანთკარში** მხოლოდ ორი გვარის ხალხი ცხოვრობდა: ***ნაგლიაშვილები*** (7 კომლი) და ***ირემაშვილები*** (6 კომლი). აზნაურ კობიაშვილის ყმა „ნაგლის შვილი გოგია" 1781 წლის აღწერაში წინდუშეთშია მოხსენიებული. აქვე ცხოვრობდნენ ამავე აზნაურის ყმები ირემაშვილები: „ირემას შვილი გიორგი", „ირემას შვილი იასე" და „ირემას შვილი ნინია"[88].

---

[85] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 804, გვ. 64.

[86] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 2045, გვ. 49.

[87] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი IV, თბ., 1972, გვ. 462.

[88] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 130-137.

ბაზალეთს მიეკუთვნება სოფელი **საკრამულო.** 1926 წლის აღწერით საკრამულო ორი იყო – საკრამულო და ძველი საკრამულო. ამ დროს პირველ მათგანში თუ 71 კომლი იყო, მეორეში – მხოლოდ 16. 1940 წელს ძველ საკრამულში ეთნიკური ოსები ცხოვრობდნენ. 1886 წლის საოჯახო სიებით საკრამულში 43 კომლი იყო. ყველაზე მეტნი ***ჩხუტიაშვილები*** იყვნენ (8 კომლი). სოფელში ცხოვრობდნენ კიდევ ***კახუაშვილები*** (7 ოჯახი), ***აბრამაშვილები, აგაშენაშვილები, მნათობიძეები, სეთურები და ჯავახები*** (4-4 კომლი). ***ნარიმანიძეები*** და ***როსტომაშვილები*** 2-2 კომლის რაოდენობით იყვნენ[89]. 1843 წლის სახელმწიფო გლეხების აღწერით საკრამული და მლაშე ერთი და იგივე სოფელია, რომელშიც ზემოხსენებული *კახუაშვილები, აბრამიშვილები (იგივე გვრიტიშვილები), ჩხუტიაშვილები, მნათობიძეები, აგაშენაშვილები (იგივე გაბიდაურები)* ცხოვრობდნენ. ამ აღწერას იმ მხრივაც აქვს მნიშვნელობა, რომ მასში მითითებულია აბრამიშვილებისა და აგაშენაშვილების ადრინდელი გვარები, რომელთაგანაც პირველი მათგანი ხანდოდან მოსული გვრიტიშვილების შთამომავალნი ყოფილან, მეორენი კი – ფშავიდან მოსული გაბიდაურისა.

იოანე ბაგრატიონის აღწერის თანახმად, სოფელ **ხიდაში** მოსახლეობა მკვიდრობდა. 1886 წლის საოჯახო სიებით ხიდაში 31 კომლი ცხოვრობდა. ყველაზე დიდი გვარი ***ჩანადირები*** იყვნენ (12 ოჯახი), შემდეგ კი მოდიოდნენ ***ჭინჭარაშვილები*** (6 ოჯახი), ***ბაშარაძეები*** (3 ოჯახი), ***კოხტაშვილები*** და ***ნადიბაიძეები*** (2-2 ოჯახი). სოფელში ნადიბაიძეები ქაისხევიდან იყვნენ გადმოსახლებული, ოდიშელიძეები – დავათიდან 1850 წელს. ჭინჭარაშვილები კი უფრო ადრე არანისიდან იყვნენ გადმოსული.

სოფელი **არღუნი** 1781 წლის აღწერაშია შეტანილი. ამ დროს სოფელში 16 კომლი ცხოვრობდა. სოფლის ყველაზე დიდი გვარი ***ჯანგირაშვილი*** იყო (4 კომლი). 2-2 კომლის რაოდენობით იყვნენ ***ჭიაბრიშვილები*** და ***წულისშვილები.*** ამას გარდა აქვე თითო კომლი იყვნენ ***ბიბილასშვილები, ხუცისშვილები, მერაბასშვილები, ქირქაისშვილები, ებიტას-***

---

[89] სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქმე № 1817, გვ. 42-62.

შვილები, ასლამაზასშვილები და ***ჯავახი***[90]. 1886 წლის საოჯახო სიებით სოფელში მხოლოდ *ჯანგირაშვილები* (15 კომლი) და *მერაბაშვილები* (1 კომლი) იყვნენ შემორჩენილი. ამასთანავე მერაბ მერაბაშვილის ოჯახში ცხრა ცოლშვილიანი ძმა და ბიძაშვილი ცხოვრობდა. 1940 წლისათვის სოფლის მკვიდრნი იყვნენ: *ჯანგირაშვილები* (14 ოჯახი), *მერებაშვილები* (9 ოჯახი), *ხუციშვილები* (3 ოჯახი), *ჯიქურები* (10 ოჯახი). 1843 წლის აღწერით ამ უკანასკნელი გვარის წარმომადგენლები ჯიქურაშვილად არიან ჩაწერილი (3 ოჯახი). ეთნოგრაფიული მასალებით, ამ ჯიქურაულების ნაწილი, მესისხლეობის გამო, ჯანგირაშვილად ჩაწერილა. ათი ნაწილი ჭოპორტშია გადასახლებული. საერთოდ ჯანგირაშვილების ადრინდელი გვარია გიგაური. გადმოსახლებული არიან ჭართლიდან. „მერაბაანი არღუნში ითვლებიან გიგაურებად“. არღუნსავე ეკუთვნოდა **ხუციაანი,** რომელშიც აზნაურ ***ხუციშვილების*** ხუთ კომლს და ჯანგირაანთ განაყოფს – ***ბერანაანებს*** უცხოვრიათ. სოფელ არღუნის სალოცავებია: *კვირაცხოველი, წმიდა მოციქული* (შემორჩენილი ნაშალ-ნანგრევების სახით), *ცეცხლის ჯვარი* (სოფლის მახლობლად ქვის ჯვარია) და *ცეცხლისჯვრის ბუსნო* (=მეიდანი). ჭიაბრიშვილების ნაწილი აქედან კახეთში – ახმეტაში გადასახლებულა. ეთნოგრაფიული მასალებით, ახმეტაში მცხოვრები *ფაქიზაშვილები* სწორედ დუშეთიდან გადმოსახლებული, ძირად ჭიაბრიშვილები არიან. ფაქიზაშვილების სალოცავია სოფელ არღუნის „ცეცხლისჯვარი“, სადაც ყველა ერთად დადიოდა.

1940 წლის მონაცემებით სოფელ **ბოდორნის** ყველაზე მრავალრიცხოვანი ***ბერბერაშვილების*** გვარი იყო (19 კომლი). სოფელში ცხოვრობდნენ კიდევ ***გალეგაშვილები*** (6 ოჯახი) და ***კაკალაშვილები*** (5 ოჯახი). 1926 წელს სოფელში სულ 17 კომლი მკვიდრობდა. ბოდორნაში უფრო მეტი მოსახლეობა იყო 1886 წელს (24 კომლი): *ბერბერაშვილი* (10 კომლი), *კაკალაშვილი* (5 კომლი), *გალეგაშვილი* (4 კომლი), ***სიხაშვილი*** (3 კომლი), ***მათიაშვილი*** და ***შიოლაშვილი*** (2-2 კომლი), *სეთური* (1 კომლი). თითქმის ასეთივე დემოგ-

[90] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 130-133.

რაფიული მდგომარეობა გვქონდა 1873 წელს. ამ აღწერით ისიც ირკვევა, რომ სეთურების ოჯახი აქ საშაბუროდან იყო გადმოსახლებული. ეთნოგრაფიული მასალა ბერბერაშვილების შესახებ: „ჩვენი გვარი თავიდანვე ბოდორნაში ვიყავით. უნდა გადავსახლებულიყავით ბულაჩაურში. მაგრამ ერთი მალხაზა იყო, მოხუცებული კაცი. იმან თქვა, წავიდეთ მკითხავს ვკითხოთო და მკითხავმა უთხრა, თუ გადასახლდებით, სულ გაწყდებითო. თქვენი ძე აღარ იქნებაო. ისეთ კლდეზე ვიდექით, რომ სულ გაგიკვირდებოდა. *გალეგაშვილები* აქეთ იყვნენ, ჩვენი გვარის ხალხი ზევით. ჩვენ ვიყავით *ღვთიშობლის* ყმები – ღვთიშობელს არ ვეშვებოდით. ეს ღვთიშობელი აქ არის, ბოდორნაში. ბოდორნაში სახელმწიფო ყმები ვიყავით, წმინდა ქართველები ვართ“. მაგრამ უნდა ითქვას, რომ 1781 წლის აღწერის დავთარი თქმულს არ ადასტურებს. ამ დროს ბოდორნაში არც ერთი აღნიშნული გვარი არ მკვიდრობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1886 წელს აქ მოხსენიებულ მათიაშვილებს. ამ დროს ბოდორნაში ცხოვრობდნენ „მათეს შვილი ბერი და შიო“ და „მათეს შვილი თევდორე“. სოფლის მკვიდრი გვარები – ***ნონიაშვილები*** (3 კომლი), ***ჩიტისშვილები*** (3 კომლი) და აგრეთვე ერთი კომლი „ბატატიძე თაორის შვილი შიო, ელისბარ“ ბოდორნის წნიდა ღვთისმშობლის ყმები იყვნენ. სოფელში მცხოვრები დანარჩენი კომლები ხიზნები, ე. ი. მიგრირებულები იყვნენ და ისინი წარმოადგენდნენ როგორც სახასო ყმებს, ისე საკათალიკოსო, მანგლელის, ძაგნაკორადან მოსულ ხიმშიაშვილის, აგრეთვე, რუისიდან და ჯავახეთიდან მოსულებს[91]. რაც შეეხება ***ბატატიძეს,*** ის უდავოდ მთიულეთიდან იყო გადმოსახლებული, რადგან ამავე დროის აღწერით, მთიულეთში არსებობდა სოფელი „ბატატიანთკარი“. ეთნოგრაფიული მასლებით, ბოდორნის ღვთიშობელში კახეთიდანაც მოდიოდა ხალხი სალოცავად; ისინი ოდესღაც აქედან ყოფილან გადასახლებული.

XIX საუკუნეში სოფელი **დუდაურები** მხოლოდ ერთი გვარით – ***დუდაურებით*** – იყო დასახლებული. აქ ამ გვარის 5 ოჯახი მკვიდრობდა 1886 წელს, ხოლო სოფელი დუ-

[91] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 130-129-130.

დაურთკარის სახელს ატარებდა. 1873 წელს ამ გვარისანი სოფელში 3 კომლის რაოდენობით იყვნენ. 1513 წლის საბუთით დუდაურები კახეთის სოფელ ხოდაშნის მკვიდრები იყვნენ – ამ გვარის კაცი გიორგი მეფეს დავით გარეჯის მონასტრისათვის შეუწირავს. დავით გარეჯის ყმებად ჩანან დუდაურები XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის დასაწყისის დოკუმენტებითაც. 1678 წლის საბუთით დუდაური ოთია არაგვის ხეობაში ჩანს – ის იყო მოწმე რევაზ ერისთავის მიერ ნონია ოდიშელიძისათვის მიცემული მეაღაპობის წიგნისა[92]. საყურადღებოა, რომ 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარში დუდაურთკარში მოსახლე დუდაურების ოთხსავე კომლს აქვს ასეთი მინაწერი: „აზნაურის ღირსების მაძიებელნი, მცხოვრები საკუთარ მამულზედ“[93].

არაგვის ხეობის დაბლობში იყო სოფელი **იორი**. 1886 წელს იორში 27 კომლი ცხოვრობდა. ეს სოფელიც, ისევე როგორც არაგვის ხეობის დაბლობის სხვა სოფლები, პირველად 1669 წლის საბუთშია მოხსენიებული. 1940 წელს სოფელ **იორში** ძირითადად ***ქაშიაშვილები*** მკვიდრობდნენ (12 ოჯახი). აქვე ***ქურციკაძეები*** (7 კომლი), ***გელიაშვილები*** (4 კომლი) და ***სისაურებიც*** (3 კომლი) იყვნენ. 1926 წელს იორში 27 კომლი მკვიდრობდა, 1886 წელს – 37. ამ აღწერით იორში ცხოვრობდა აგრეთვე ***მჭედლიშვილების*** 16 ოჯახი და ***როსტიაშვილები*** (2 კომლი). გელიაშვილები კი მგელიაშვილებად იყვნენ აღრიცხული (8 კომლი). ქურციკიძეები 6 კომლი იყვნენ, ქაშიაშვილები – 4 კომლი. 1873 წლის აღწერაც რაოდენობრივი თვალსაზრისით, მჭედლიშვილების პრიორიტეტს ადასტურებს. სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა 1781 წლის აღწერა. ამ დროისათვის იორი მოზრდილი სოფელი იყო – მასში 37 კომლი მკვიდრობდა, რომელთაგან 9 კომლი ბოგანო იყო, ე. ი. ახლად დასახლებულნი უმამულონი იყვნენ. გვიანდელი გვარებიდან იორში 1781 წელს ცხოვრობდა მხოლოდ ქაშიაშვილების ერთი ოჯახი: „ქაშიას შვილი პავლია, საბრალო, ივანე“.

---

[92] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993, გვ. 102.

[93] სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქმე № 230 გვ. 197-199.

სავარაუდოდ, მჭედლიშვილების წინაპარი უნდა იყოს „მჭედლიძე ოსეყმეს შვილი როსტევან, ღთისავარ, ადამ“. იყო მგელიაშვილების ორი ოჯახიც: „მგელის შვილი მამუკა“ და „მგელის შვილი ბეცია, საბრალო“. იორში ცხოვრობდნენ აგრეთვე ***ბერისშვილები*** (4 კომლი), ***მამაგულისშვილები*** (3 ოჯახი), აგრეთვე „ბოგანო გაგელიძე სეხნიას შვილი ელისბარ“, „ბოგანო ნარიმანიძე ხუტელა, ქიტესა“, „ბოგანო ჯავახი“, ბოგანონ ნადიბაიძე გივის შვილი აბა, დემეტრე“, „ბოგანო ბარანყული ბერუა“, „ბოგანო ბუჩუკური“, „თიანელი მათურელი“[94]. ამავე აღწერაში ***გაგელიძეები*** ქაისხევში არიან მოხსენიებული („გაგელიძე ოთარას შვილი ბერი“), რომელიც ამ სოფლის მკვიდრი იყო, ხოლო იორში მოსახლე გაგელიძე მოხსენიებულია სოციალური ტერმინით „ბოგანო“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ იორში გაგელიძე ქაისხევიდან იყო გადმოსახებული. ნარიმანიძე, ბუჩუკური და ნადიბაიძე კი მთიულეთიდან იყვნენ გადმოსახლებული. 1821 წლის აღწერაც იორში ჩამოთვლილი გვარების მკვიდრობას ადასტურებს.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, „სოფელ იორში მოსახლე ქაშიაშვილები ძირად არიან ხანდოდან. ადრინდელი გვარი ყოფილა დავითური. იქიდან გამოუძევებიათ მკვლელობის გამო და ხატში ქვა (სამანი) ჩაუგდიათ, აღარ გამრავლდნენ. ამ თორმეტი წლის წინ მთელი გვარი კურატით წასულა ხანდოში, წმიდა გიორგის ხატში და ის ქვა ამოატრიალეს“. ქაშიაშვილები იორიდან საცხოვრებლად გადასული არიან დუშეთსა და მისაქციელში. ზემოთ მოხსენიებული *ქურციკიძეები* კი სავარაუდოდ, ხორხის სოფელ ქურციკიანებიდან იყვნენ გადმოსახლებული, სადაც ისინი ქურციკიშვილის გვარს ატარებდნენ. მჭედლიშვილების უბანს ხან როგორც ცალკე სოფელს ისე მოიხსენიებენ – **მჭედლიაანთკარ**ი. როგორც სოფელ იორის, ისე მჭედლიანთკარის მოსახლეობა „იორის წმიდა გიორგის“ ეყმობოდა.

არაგვის ხეობის დაბალ ნაწილში ერთ-ერთი ძველი სოფელია **ყვავილი,** რომელშიც 1781 წელს 28 კომლი ცხოვრობდა. ძირითადი მკვიდრნი კი ***ჭონქაძეები*** იყვნენ. ამ გვარისა

---

[94] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 130-126-127.

მოურავიც ყოფილა: „ჭონქაძე მოურვი ზაზა, ბერი და ლა-ზარე“. 1799 წლის განჩინებაში მოხსენიებულია კარის მღვდელი შიო ჭონქაძე. 1647 წლის საბუთით გიორგი არა-გვის ერისთავს ანანურის საყდარში რვა ქოცო ჩაუდგამს და ყვავილელი ***ჯაბანიშვილებისათვის*** დაუვალებია ვენახის ერთი კვალის დამუშავება და ამ ქოცებში ექვსი კოკის ჩასხმა[95]. XVII საუკუნის შუა ხანების ორ დოკუმენტში სო-ფელ ყვავილში ***ყვავილაძის*** გვარიცაა მოხსენიებული. XVII საუკუნის მეორე ნახევრის საბუთით, ყვავილში უცხოვრიათ ***სარემაულებსაც,*** რომელსაც ევალებოდა ანანურის დეკანო-ზისათვის შობის მეორე დღეს ერთი თოხლის მიტანა[96]. XVII საუკუნის შუა ხანების საბუთით, ყვავილში უცხოვ-რიათ ***კაკაბაშვილებსაც.*** 1781 წელს სოფელში სამი კომლი ***კენკიძე*** და ერთი კომლი ***კენკიშვილი*** იყო აღრიცხული. ვა-ვილშივე იყო ქსნის ხევიდან შემოხიზნული სამი ოჯახი ***შერმადინი*** და კიდევ „ბოგანო თათიკაძე ტეტია“[97]. 1886 წელს ჭონქაძეები ყვავილში 16 კომლის რაოდენობით ცხოვ-რობდნენ. ამავე რაოდენობით იყვნენ ***კაჭკაჭურები*** (1639-1648 წლის ყმების შეწირულობის წიგნში მოხსენიებულია ზა-ზუტა კაჭკაჭური). დანარჩენი გვარებიდან უნდა დავასახე-ლოთ: ***მეზვრიშვილები*** (11 ოჯახი. *1833 წლის აღწერის თანახმად მეზვრიშვილები ანანურის ეკლესიის გლეხები იყ-ვნენ*), ***თანიაშვილები*** (14 კომლი), ***დიაკვნიშვილები*** (3 კომ-ლი), ***ბარათაშვილები*** (2 კომლი), ***კაკაბლიშვილები*** (2 კომ-ლი), ***საღირაშვილები*** (4 კომლი). ირკვევა, რომ **ყვავილი** მო-იცავდა საბჭოთა პერიოდის ისეთ სოფლებსაც როგორები-ცაა **მეზვრიანი, თანიანთკარი.** 1940 წელს სოფელ თანიანთკ-არში 22 კომლი ცხოვრობდა – ყველა თანიაშვილი. 1926 წლის მონაცემებით კი სოფელში 36 კომლი იყო. თანიაშვი-ლების გვარი პირველად 1622 წლის ნასყიდობის წიგნშია მოხსენიებული[98]. „იასაული თანიაშვილი როსტევან“ მოხსე-ნიებულია 1728-1740 წლებით დათარიღებულ ნაწყიდობის

---

[95] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993, გვ. 142.

[96] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, თბ., 2007, გვ. 141.

[97] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 127.

[98] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993, გვ. 229.

წიგნში[99]. მეზვრიშვილების მკვიდრი ხატი იყო *კვირაცხოველი,* რომელიც *კვირიკეს ხატის* მახლობლად მდებარეობს. მეზვრიშვილების გარდა, ამ ხატს ლოცულობენ თანიანთ-კარისა და ყვავილის მოსახლეობა. 1935 წლისათვის ყვავილში მხოლოდ ჭონქაძეები (26 კომლი) და საღირაშვილები (7 კომლი) იყვნენ აღრიცხული, ზემოხსენებული მეზვრიშვილები (14 კომლი), კაჭკაჭურები (6 კომლი) და ციხელაშვილები (4 კომლი) კი – მეზვრიანთკარში. 1843 წელსაც ყველა ეს გვარი ყვავილზე იყო მიწერილი. არც თანიანთ-კარი და არც მეზვრიანთკარი ცალ-ცალკე სოფლები არ ყოფილა. ეთნოგრაფიული მასალებით, მეზვრიშვილები სოფლის ძველ მკვიდრებად მიიჩნევენ თავს, მათი სალო-ცავიც „იორის წმიდა გიორგია“. მაგრამ, მათივე აღნიშვნით, „მამა-პაპა მლეთაში დადიოდნენ სალოცავად“, რაც იმას გვავარა-უდებინებს, რომ ოდესღაც მათი წინაპრები მთიულეთიდან იყვნენ მოსული. კაჭკაჭურების გვარზე კი ასეთი გადმოცე-მაა: „მეზვრიანებში არიან კაჭკაჭურები. ესენი ადრე ყოფი-ლან ბეკოშვილები, მაგათ პატარა უბანს ბეკოანებს ეძა-ხიან“. რაც შეეხება ***ციხელაშვილებს***, ისინიც მიგრირებული არიან და ადრინდელ გვარად გიგაურს მიუთითებენ. Tადმო-სახლების მიზეზი კი ქისტის მოკვლა ყოფილა, „გამორიდე-ბიან მთიდან და დაირქვეს სხვა გვარი – ციხელაშვილი“. ეთნოგრაფიული მასალებით, „ბეკოიანთი (კაჭკაჭურების) და ციხელაანთ ხატი იყო „ფშარაველის წმიდა გიორგი“. ფშა-რაველის წმიდა გიორგის ხატი მოთავსებული იყო სოფელ ჭინჭარაანთას ბოლოს“. მეზვრიანთ-კარიდან ციხელაშვი-ლების ნაწილი მისაქციელში გადასულა საცხოვრებლად. ისინი ორი სალოცავის ყმად მიიჩნევენ თავს: „ჩვენ ვეყმო-ბით ლომისას, მლეთაში. სხვა სალოცავიც გვყავ, ფშარა-ველ წმიდა გიორგი. ფშარაველის ნიში აქვე გვაქვს, კაკლის ქვეშ. ჩვენი მამა-პაპის მიერ არის გადმოტანილი ბაზალეთი-დან ფშარაველის ნიში. აქ რომ გადმოსულან, ფშარაველს შავწირვებულვართ. თურმე შვილები არ გვრჩება და იმიტომ

[99] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 227.

შავწირვებულან“. ყვავილში მცხოვრები ***საღირაშვილები*** ჭართლიდან არიან გადმოსახლებული და მათი ადრინდელი გვარია გიგაური: „საღირაშვილი ძირად ვართ ჭართლიდან. ძირეულად ჩვენ საღირაშვილები არა ვართ, ძირად ვართ გიგაურები. ჩვენი დაუჭერიათ ლეკებს და იმ კაცს რქმევია საღირი. ნისლიანი დღე ყოფილა, საქონელი ყოლია. აქედან დაუძახეს, ლეკები მოდიანო. საქონელს თავი დაანება, გამოიქცა და ლეკებში კი შევარდა. ლეკებმა დაიჭირეს და წაიყვანეს. ლეკებში ჰყავდათ ოთხი წელიწადი. ცხვარში დადიოდა. მერე ერთი დღეობა რომ ჰქონდათ და მთელი, დიდი და პატარა ამ სალოცავში არიან. იქიდან უყურებენ, საღირს, დახედე, რა შორს წაიყვანა ცხვარიო და დადამდა თუ არა, გამოიქცა. ტყეში დაიმალა ღამე და მეორე დილა რომ გათენდა, გამოუდგნენ ლეკები. საღირი კი მაყვლოვანში იყო ჩამძვრალი და თავ-პირი ჰქონდა დაგაზული. მერე იქიდან უყურებს, ლეკები ვერა ხედავენ. საღირს დაუნახავს, გზაზე ლეკებმა განავალში ჩაყვეს თითი, ახალია თუ არა განავალიო. ეხ, რატომ არ მოვკალითო, – ამბობდნენ. მერე ღამე იმგზავრა, დღე იმალება, ღამე მოდის. იქიდან ერთი კვირა იარა. შემდეგ დაიჭირეს თათრებმა. ერთი წელიწადი რო შაასრულა, იქიდანაც გაიპარა. შემდეგ საქართველოს მიჯნაზე მოვიდა. მინდორში ქართველებმა თათრულ ტანსაცმლიანი რომ დაინახეს, წამოცვივდნენ. საღირმა დაუძახა, მე ქართველი ვარ. მერე მივიდა იმ ცეცხლთან და უთხრა, რომ პური მშივა ძალიანო და პური მაჭამეთო. აჭამეს, ასწავლეს გზა. წამოვიდა და აქ რომ მოვიდა, თათარია ეგაო, არ უშვებდნენ. მე თათარი თუ ვარ, გაჩვენებთ, ჩემი წყალი და წისქვილი სადაც იყოო და უჩვენებია. ეხლაც მეტსახელათ ჩვენ „თათრიანთ“ გვეძახიან. ბეკოიანებში ნათლიდედა ჰყოლია და წამოდით, ის მიცნობსო, ჰოდა, ამ დედაკაცმა რომ დაინახა, დაუწყო კოცნა. მერე იმ დედაკაცს აუძრახდნენ, მაგრამ მაინც მისცეს გზის აქეთ ადგილი. **საღირაანთ სალოცავი არის ლაშარის ჯვარი. ნიში აქ არის, არაგვისპირში**. მანდ კი არ დავდივართ, მაგრამ დავდივართ მთისკენ, ჭართალს ზევით. ჩვენი გვარისანი გრემისხევშიც არიან და აქ მოდენილან ისინი. ჭართალს დადიოდნენ კურატით ლაშარში. ჭართალ წმიდა გიორგისაც ლოცულობენ“ (ილი-

კო ივანეს ძე სადირაშვილი, 81 წლის, სოფელი ყვავილი, 1977 წ.). სხვათა შორის, სოფელ ყვავილში გიგაურები რომ მკვიდრობდნენ ამას XVII საუკუნის მეორე ნახევრის საბუთიც ადასტურებს – ყვავილში მცხოვრებ მამუკა გიგაურის სახლს ევალებოდა პურისა და ღვინის ნაცვლად ***სუ-ლ-თაობა დღეს*** ანანურის დეკანოზისათვის ერთი თოხლის მიტანა[100].

ჭონქაძეები ადგილობრივები არიან, მაგრამ ამ გვარის ზოგიერთი დანაყოფი ძირად ჭონქაძე არაა. მთხრობლის სიტყვით, „ნამდვილი ჭონქაძეები ვართ *მოურაანი, უხუცესები* და *მახარანი.* დანარჩენებს – *გიგილაანთა, მეცხალანთ* და *ჭიკოინებს* შეცვლილი აქვთ გვარი და ჭონქაძეზე არიან გადმოსული. ზოგი ჭონქაძე გიგილაშვილი ყოფილა. საფლავის ქვაზეც არის. იყვნენ ჭიკაიძეები. თანიანთ ზემოდან არის ჭონქაძეების სალოცავი – *კვირიკე.* სანამ ხატში არ გავიყვანდით, თავს არ გადავპარსავდით. ლომისას ნიში არის აქ, სადაც **კაკაბანებს** ვეძახით“.

ეთნოგრაფიული მასალებით, *კაჭკაჭურებისა* და *ციხელაშვილების* სალოცავია საშაბუროში „ფშარაველი“. ამ გვარის ხალხი მაწონსა და რძეს არ ჭამდა, მანამ, სანამ ფშარავლობა არ მოვიდოდა. „რო იმაზე წინ შეეჭამათ, საქონელი სისხლს მოიწველიდაო. თავეულს გააკეთებდნენ, ქილაში ერბოს ჩაასხავდნენ და დანიშნავდნენ. იტყოდნენ, ეს ფშარაველის თავეულიაო. სანთლებს აუნთებდნენ და მერე შესჭამდნენ. თავეული ვისი გაკეთებულიც იყო, თუ ის გარდაიცვლებოდა. შთამომავლობა ხელს ვერ ახლებდა, ფშარაველში უნდა წაეღოთ და დაედგათ“. ირკვევა, რომ ყვავილში მცხოვრებ ყველა ოჯახს არაგვისპირში, ჯიქურაულებში, ფოტეს ხევის პირზე, ყველას ჰქონდა ვენახი. შოფელ **ქუბრიანთკარშიც** ჰქონიათ ვენახები. სოფელ ყვავილიდან ყოფილან გადასახლებული ბიწმენდელი ***გელიაშვილები,*** რომლებიც ბოლო დრომდე „(ფ)შარაოში“ დადიოდნენ სალოცავად. რაც შეეხება „ფშარაველს“, მისი ძირი-სალოცავი არის გუდამაყრისა და წინაფშავის წყლგამყოფ ქედზე,

[100] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი I, თბ., 1991, გვ. 636.

რომელსაც ძირითადად ლოცულობდა გუდამაყრის სოფელ ლუთხუბისა და ფშავის სოფელ გომეწრის მოსახლეობა.

სოფელ **ველთაურთკარში** ცხოვრობდნენ ***ველთაურები*** და ***ნარიმანიძეები*** (3 კომლი). ველთაურები წარმომავლობით ქავთარაძეები არიან. ველთაურთკარში ძველად თურმე *ბიბილაანი* ცხოვრობდნენ, მთიულები, რომლებიც ხანდოს ხევის ზემოდან ყოფილიყვნენ აქ გადმოსახლებული. აქ ვერ უგვარიათ და ისევ უკან გადასახლებულან. მთიულეთის სოფელ წიფორიდან წამოსულა ერთი *ველთურა ქავთარაძე* და აქ დასახლებულა. სახელი ველთაურასაგან მთელს მის ნაშენობას ველთაურები შერქმევია. ველთაურთკარში აქვთ *აფხავ წმიდა გიორგის* სალოცავი ნიში (=განძი), იფნის ხის ქვეშ.

ყვავილთან ახლოს მდებარებს სოფელი **ინიანთკარი**, რომელშიც 1886 წელს 24 კომლი მკვიდრობდა: ***ლოთიკაშვილები*** (10 ოჯახი), ***დათუაშვილები*** (7 ოჯახი), ***ყაჭიურები*** (4 ოჯახი), ***ინაშვილები*** (3 ოჯახი), ***გოდორაშვილები*** (2 ოჯახი), ***ომარაშვილები*** (1 ოჯახი). „ლოთიკაანი აფხავ წმიდა გიორგის ყმებია. ლოთიკაშვილები საიდან არიან მოსული, არავინ იცის“

არაგვის ხეობის დაბლობში სოფელი **აში** ერთ-ერთი ძველია. ის პირველად 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარშია მოხსენიებული[101]. შემდეგი საბუთი, რომელშიც სოფელი აში იხსენიება 1559 წლითაა დათარიღებული, რომელშიც მასში მკვიდრი ***ოდიშელიძეებიც*** იხსენიებიან[102]. 1678 წელს აშელი ოდიშელიძეები რევაზ არაგვის ერისთავს გაუთარხნებია და შეუწირავს ანანურის ეკლესიისათვის. მათ რევაზის ძმის ოთარის მოსახსნებლად აღაპის გადახდა დააკისრა და ყოველწლიურად ანანურის ღვთისმშობლისათვის უნდა მიერთმიათ: ერთი საპალნე ღვინო, ორასი გამომცხვარი პური, ერთი ძროხა, ერთი ცხვარი, ერთი ჩარექი სანთელი და ერთი სტილი საკმელი[103]. აში ნახსენებია 1669 წლის საეკ-

---

[101] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 19.. გვ. 176-181????

[102] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 19.. გვ. 176-181????

[103] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, თბ., 2004, გვ. 320.

ლესიო დოკუმენტში[104]. არაგვის დაბლობის სხვა სოფლებთან ერთად, აში XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დოკუმენტშიცაა სახელდებული. აში და მასში მცხოვრები კომლები შეტანილია 1781 წლის აღწერის დავთარშიც. ამ დროს აშში 30 კომლი ცხოვრობდა. ამ აღწერის თანახმადაც სოფელ აშში მცხოვრები ძირითადი გვარი *ოდიშელიძეები* იყვნენ. ამ დროს აქ ცხოვრობდნენ აგრეთვე „პავლეური ძნელას შვილი დათუნა, ბერი, წესიერი, გიორგი“, „ვახუტაძე გოგიას შვილი მამუკა“, კიდევ ბოგანოები: *ძველური, ბრაჭული, სეთურიძე,* „ებნისელი დათუნას შვილი ოქროპირი და გიორგი“, ჯავახეთიდან, დაოთიდან, ხანდოდან, ხადიდან მოსულები[105]. ერთი საუკუნის განმავლობაში აშში მოსახლეობა შეცვლილა. ძველი მკვიდრებიდან მხოლოდ ოდიშელიძეები იყვნენ დარჩენილი (1886 წელს – 7 კომლი). 1886 წლის საოჯახო სიებს აშის მკვიდრებად გარდა *ოდიშელიძეებისა,* დაფიქსირებული ჰყავს: ***ახალაშვილები*** (15 კომლი), ***ქარაულები*** (9 კომლი), ***მირზიაშვილები*** (8 კომლი), ***მგლიშვილები*** (6 კომლი), ***ნაცვალაშვილები*** (5 კომლი), ***ფერხულები*** და ***ნანიაშვილები*** (4-4 კომლი)***, ზავრადაშვილები, ფრიდონაშვილები, ხოსრიაშვილები, ბუქურები, ჯავახიშვილები*** (3-3 კომლი), ***მახუტაშვილები*** (2 კომლი). ეს გვარები დაფიქსირებულია 1843 წლის სახელმწიფო გლეხებისა და 1873 წლის აღწერაშიც. ოდიშელიძეების წარმომავლობის შესახებ ძაგნაკორას მონაკვეთში გვექნება საუბარი. ისინი ერთი წარმომავლობის არიან და ამ გვარის შესახებ აქ აღარ ვისაუბრებთ. აშის მკვიდრი გვარების სალოცავია „აფხავ წმიდა გიორგი“. ამ ხატის აქ ჭართლიდან გადმოტანა ***ახალაშვილებს*** მიეწერება. „ახალაშვილების უფროსი ხევსური ყოფილა. მას სახელად *ახალა* რქმევია და გვარად *ფიცხელაური* ყოფილა. ხევსურეთიდან სამნი წამოსულან“. ძირად ფიცხელაურები ყოფილან ***მგელიაშვილებიც***. მათი წინაპარი პირველად საგურამოში ჩასულა, იქიდან ნატახტარსა და წილკანს შუა მდებარე სოფელ ახალუბანში გადმოსახლებულან და ბოლოს ზემო აშში

---

[104] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 19.. გვ. 176-181.

[105] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 128.

დაბინავებულან. „ხევსურეთიდან ფიცხელაურების სამი მეკომური წამოსულა. როდესაც ისინი აფხავში მოვიდნენ, აქ უღრანი ტყე ყოფილა, მახლობლად კი თურმე ერთი ნასოფლარია, რომელსაც **„ძველი-აფხავი“** ეწოდა და რომელსაც ამჟამად მოსახლეობა სახნავ მიწებად ხმარობს. აშში მოსულ ფიცხელაურს ახო გაუჭრია, დასახლებულა და რამდენიმე ხნის შემდეგ გაბრუნებულა ხევსურეთში და იქიდან *აფხავის წმიდა გიორგის ხატი* გაუტაცია და ზემო აშში მოუბრძანებია. მგელიაშვილების, ზავრადაშვილებისა და ახალაშვილების გარდა, აფხავ წმიდა გიორგის მკვიდრი ყმები იყვნენ ციხისძირიდან *გულანი,* ველთაურთკარიდან – *ველთაურები,* კარიულთკარიდან – *კარიულები,* ზემო აშიდან – *ქარაულები,* ჯიქურულთკარიდან – *კახურაშვილები,* ლაშედან – *თოთიაურები,* არანისიდან რატომდაც *ზანდუკელები* (აზნაურები) მოდიოდნენ ხატობას“. საყურადღებოა, რომ აფხავ წმიდა გიორგის სოფელ ჯიქურულთკარში და მილახვრიანთკარში „თითო-თითო ვენახი ჰქონდა“. ***ზავრდაშვილების*** წინაპარი ხევსურეთიდან მოსულა. დღეს აშში მცხოვრები ***ქარაულები*** 1781 წელს სოფელ აფხავში ცხოვრობდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით, ქარაულების ადრინდელი გვარია ბექაური. ***ფრიდონაშვილები*** კი გიგაურებისაგან წარმომავლობენ. გიგაურობას ამბობენ აგრეთვე ***ნანიანი (ნანიაშვილები),*** რომლებიც თავდაპირველად საგურამოში დასახლებულან. ორივე ეს გვარი – ნანიანებიცა და ფრიდონიანიც – ჭართალში საგიგაუროს აძლევდნენ. „გინდა ლობიო მიგვეცა, ფული თუ არ გვქონდა, მაგასაც გვიშვებდნენ. თითო კომლს უნდა მიეცა, ყველას. გაზაფხულით ამაღლებას, მაისში მოდიოდა, მნათეებს მივცემდით ხოლმე. დღეობის წინადღით ჩამოვიდოდნენ ჭართლიდან, და ვინც გიგაური იყო, ყველას შემოივლიდნენ, ვინც მისცემდა მისცემდა, ვინც არა და – არაფერი“.

სოფელი აში ორად იყოფა – **ზემო აში** და **ქვემო აში.** ქვემო აშს სხვანაირად **ქარაულებსაც/ქარაულთკარსაც** უწოდებდნენ, ზემო აშშია „წმიდა ტყეში წმიდა გიორგის ხატი, რომელსაც „აფხავის წმიდა გიორგიც“ ეწოდება (ბაზილიკაა). ეთნოგრაფიული მასალებით, აფხავ წმიდა გიორგი ახალ ეკლესიას ეწოდება. დამწყალობნების დროს კი

ამ ხატს მოიხსენიებენ სახელწოდებით – „პირიმზე ფუძის ანგელოზი“. ამ ხატის ყმები თავდაპირველად მარტო ***ქარაულები*** ყოფილან, შემდეგში კი ამ ხატს სოფელში მოსახლე დანარჩენი გვარებიც შეწირვიან. „ქარაულებიც შთამომავლობით ხევსურები არიან, გვარად ბექაურები. როდესაც ბექაური ხევსურეთიდან წამოსულა, მას თან გამოუტაცია *ფუძის ანგელოზის ჯვარი*, ჯერ არანისთან, ხანდუკელიანთან მისულა და იმისთვის უთხოვია, შენს მიწაზე დავდგებიო. იმ აზნაურს მიურეკია ეს კაცი აშში და ისიც იქ დამდგარა, ვედარ მიპოვიან მდევრებიო და იმ კაცს სახელად ქარაული დაურქმევია. *ფუძის ანგელოზის* დღეობაზე ქარიანები (ქარაულები) ხევსურეთში მიდიოდნენ ხოლმე ძველად და თან მიერეკებოდნენ 20-40 კურატსა და ასობით ცხვარს. ეს მთელი სოფლის – *ქარიანებისა* და *მგლიანების* შესაწირავები იყო, რომლებსაც ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში აგროვებდნენ“. ზემო აშის მკვიდრები იყვნენ: ***ფერხულები*** (ფერხულიანი), ***ნანიაშვილები*** (ნანიანი), ***ფრიდონაშვილები*** (ფრიდონაანი), ***ქარაულები*** და ***მგლიშვილები*** (მგლიანი). ქვემო აშში ცხოვრობდნენ: ***ოდიშელიძე,*** **მირზიანი (მირზიაშვილი), ზავარდანი (ზავრადაშვილი), ახალაანი (ახალაშვილები)** და ***რამაზაანი (რამაზაშვილები).*** ეს უკანასკნელნი სოფელ ჭილურტიდან ყოფილან გამოსული.

ზემო აშში *ფრიდონაშვილების* წინაპარაი ეოვალისიდან გადმოსულა, რომლებიც ძირად გიგაურები არიან და დღესაც სალოცავად „ჭართალ წმიდა გიორგიში“ დადიან. ისე კი სოფელ ეოვალისის თავზე მოთავსებული „წვერის ანგელოზის“ მკვიდრი ყმები არიან. აშში (ძველი აფხავი) მცხოვრები მგლიშვილები (5 კომლი) და ქარაულები (4 კომლი) 1833 წლის საეკლესიო გლეხების აღწერის დავთრით. **„მუნებურის წმიდა გიორგის** ყმები“ იყვნენ[106].

XIX მეორე ნახევარში დასახლდნენ ეთნიკური ოსები სოფელ **ჭონტილში**. 1860 წლის აღწერით ამ სოფელში სულ 6 კომლი ცხოვრობდა, რომლთაგანაც ***ზუკოშვილების*** 2 კომლი ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ხარისკითადან იყო გადმოსახლებული, ***თეგეთაშვილების*** ერთი კომლი კი –

[106] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 2045, გვ. 56.

შიდა ქართლის მთიანეთის სოფელ ყვავისჯვრიდან[107]. 1873 წლისათვის მიგრირებული ოსების რაოდენობამ მოიმატა, ახლა ისინი უკვე 11 კომლს შეადგენდნენ, ხოლო 1886 წელს – 19 კომლს. მატება შიდა ქართლის მთის სოფლებიდან მიგრაციის ხარჯზე ხდებოდა[108].

ბაზალეთის ერთ-ერთი ძველი სოფელია **ჭილურტი**. ირველად ის მოხსენიებულია 1669 წლის წილკნელის სამწყოს შემავალი სოფლების საბუთში. 1781 წლის არაგვის ხეობის დაბლობის აღწერაში ჭილურტი ცალკეა შეტანილი. ამ დროს აქ 16 კომლი ცხოვრობდა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 1781 წელს ჭილურტში მცხოვრები გვარებიდან აღარც ერთი არ ცხოვრობდა XIX საუკუნეში. 1781 წელს ჭილურტში ცხოვრობდა ერთი კომლი ***„აზნაურშვილი ჩრდილელის შვილი ჩრდილელი და რევაზ“,*** აგრეთვე ***გიგაურისა*** და ***სისაურის*** თითო ოჯახი, ***ხუციშვილი*** (2 კომლი), ***ოქროპირისშვილი*** (3 კომლი), ***ტურიასშვილი, ყელიგრიხასშვილი, ჯარიასშვილი, ნაობისშვილი, ომარასშვილი, მახარასშვილი, ფარეშისშვილი*** (თითო კომლი)[109]. 1886 წელს ყველაზე მეტნი ***ფეიქრიშვილები*** იყვნენ (13 კომლი), შემდეგ მოდიოდნენ: ***ოსეფაშვილები*** (8 კომლი), ***ზურაბაშვილები*** (7 კომლი), ***ხოსრუაშვილები*** (6 კომლი), ***პაპკიაურები, ნაზღაიძეები*** (5-5 კომლი), ***რევაზაშვილები, ლამარაზაშვილები*** (4-4 კომლი), ***გორ(გ)იაშვილები, კიტრიშვილები*** (3-3 კომლი), ***კენკიშვილები, საამიშვილები, ილურიძეები, ციკურები*** (ჩოქურები ?) (2-2 კომლი). 4 კომლი ***ნაგტენაშვილი*** მეორე გვარითაც – ***გაბიდაური*** იყო მოხსენიებული[110], რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ფშავიდან იყვნენ მიგრირებული. 1860 წლის აღწერა კი გვიდასტურებს ჭილურტში ნაზღაიძეების მთიულეთის სოფელ ზემო მლეთიდან მიგრაციას XIX საუკუნის შუა ხანებში. სოფელში ცხოვრობდა ***ხევსურიშვილების*** ერ-

---

[107] სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 2, საქ. № 236, გვ. 524-526.
[108] სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქ. № 1827, გვ. 1-11.
[109] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 134.
[110] სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქმე № 1827, გვ. 21-60.

თი ოჯახი, რომლებიც მეზობელი სოფლიდან, ჩრდილელი-ანთკარიდან იყვნენ გადმოსული.

ჭილურტში მცხოვრები ზემოხსენებული გვარებიდან *ხოსრუაშვილი, ფარეშიშვილი, სისაური* და *კიტრიშვილი* 1800 წლის არზაში იხსენიებიან: „ქ. მისის უგანა-ოლებულესობის მეფის ძის ვახტანგის წინაშე მოსაჴსენებე-ლი მათის მონის ხოსრუაშვილის ხოსროსი. ჩემო ჴელმწი-ფევ! თქვენი წყალობა დაგვემართა და ჭილურტს მაჩურის ბეითალმანი მამული გვიბოძეთ. ეს მამული რომ კარგა ხანი ბეითალმანი ყოფილა, ამ მიზეზით ვინც მოხვედრია, ყვე-ლას თავისთვის გაუგლეჯია, რომ ამ მამულიდამ ბევრი გვაკლია, ვიცით სხვათ უჭირავს, მაგრამ არ გვანებებენ: ფა-რეშიშვილსაც უჭირავს, სისოურსაც უჭირავს, კიტრიშვილს პაწაწუნს თავის ვენახის ზემოთ იმისი ნავენახობი უჭი-რავს“[111].

1781 წლის აღწერაში შეტანილია სოფელი **იწრი** (1886 წლის საოჯახო სიებით – **იწრია**). სოფელში ცხოვრობდნენ ***აზნაური ჭილაშვილები***: „აზნაური ჭილას შვილი ბაბანა მი-ლახვარი და გლახა“. ასე რომ, ესაა შემდეგდროინდელი **მი-ლახვრიანთ-კარი,** რომელიც ცალკე სოფლად აღრიცხულია 1926 წლის აღერაში. ამ დროს მილახვრიანკარში 43 კომლი ცხოვრობდა. იწრიაში 1886 წელს მხოლოდ 10 კომლი იყო აღრიცხული: ***მიქელაძეები*** (7 კომლი), ***ასლამაზიშვილები*** (2 კომლი) და ***ხუტელაშვილი,*** რომელიც ჭოპორტში ცხოვრობ-და. 1871 წელს აზნაურ ჭილაშვილების ყმა-გლეხები სოფელ იწრიაში იყვნენ: ***ჭიაბრისშვილები*** და ***ყავლაძეები*** (2-2 კომ-ლი), ***ყაჭიასშვილი, მამუკასშვილი*** და ***ჯავახი***. დანარჩენნი ხიზნები და ბოგანოები იყვნენ, მათ შორის „ასლამაზის შვილი ზაალა“. 1860 და 1886 წლებში ცალკე სოფლად მოხ-სე

ნიებულ მილახვრიანთკარში ყველაზე დიდი რაოდენობით ასლამაზიშვილები იყვნენ (შესაბამისად 5 და 13 კომლი). 1886 წელს მილახვრიანთკარში ცხოვრობდნენ აგრეთვე ***ქა-ზუმაშვილები*** (6 ოჯახი), *ყავლაძეები* და ***ძიროსანაშვილები*** (4-4 ოჯახი), ***ჭიაბრიშვილები*** (3 ოჯახი). ***ჭარუაშვილებიო,***

---

[111] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VIII, თბ., 1985, გვ. 654.

კაკაშვილები და *კაციაშვილები* 2-2 ოჯახის რაოდენობით იყვნენ.

1781 წლის აღწერაში ცალ-ცალკეა შეტანილი **ზენდუშეთი, დუშეთი, სასახლის დუშეთი** და **წინდუშეთი**. ამ დროს **ზენდუშეთში** 33 კომლი მკვიდრობდა. აზნაურთაგან აქ ცხოვრობდა „*კობიაშვილი* ფასიტა“, მისი ყმები კი იყვნენ: „ცოცხალასშვილი ნადირა და ხახარა“ და „მანგუას შვილი ბეცია და გოგია“. აზნაური გახლდათ აგრეთვე „*წითლიშვილი* ანდრია“, რომლის ყმებსაც წარმოადგენდნენ „ახალუბნელი ბუზალაძე პეტრე“ და „ჩოლხისშვილის მახარას ობოლი ბერი და ნინია“. ანანურის ეკლესიის ყმა იყო „ნინიკაშვილი ღვთისავარ და გოგია“. ზენდუშეთშივე ცხოვრობდნენ ბოგანო ხანდოელები (3 კომლი, რომელთაგან ერთი *ირემაშვილი* იყო და მეორე *ჯუხარაშვილი*) და „ხიზანი ქსნისხეველი *წიპტაური* გიორგი“. ზენდუშეთის ძირითადი მკვიდრები კი იყვნენ: *პირმისასშვილები* („პირმიშას შვილი შალვა და თანდილა“, „პირმიშას შვილის ადამას ობოლი გიორგი“, „პირმიშას შვილი პაპუნა“), *მანგიაშვილები* („მანგიას შვილი ნაცვალი ბერუკა“, „მანგუას შვილი ქიტესა“, „მანგუას შვილი ბეცია და გოგია“), *კარიაულები* („კარიაული ბეცია, მარცვალა, დავითა“, „კარიაული მღვდელი გრიგოლ და მახარა“), *გრიგოლასშვილები* („გრიგოლას შვილი ბერი“, „გრიგოლას შვილი გლახა“), *დიდებაშვილები* („დიდებას შვილი ნიკოლა, საამ, ბერუა“, „დიდებას შვილი ქუჩა“, „დიდებას შვილი პეტრე“), *მეგრელიშვილები* („მეგრელის შვილი შიო მღვდელი“), *სეფიყულიშვილი* („სეფიყულის შვილი ღთისია და შიო“, „სეფიყულის შვილი ბერუა“), *ვარსიმაშვილები* („ვარსიმას შვილი ბაწაწუნი, გოგია“, „ვარსიმას შვილი პატა, თანდილა, ბერი“). ზენდუშეთში ცხოვრობდნენ აგრეთვე *სულიაშვილი, ყაყაძე*. 1886 წლის საოჯახო სიებში ცალკე ზენდუშეთში მხოლოდ *დიდებაშვილების* 10 ოჯახი ცხოვრობდა და აგრეთვე 2 ოჯახი – *ავლოხაშვილი*. სამაგიეროდ ჩნდება სოფლები, რომლებიც XVIII საუკუნეში აქ მცხოვრები გვარების სახელებს ატარებს; ეს სოფლებია: **პირმისაანთკარი** (რომელიც გადაშლილია და ზევიდან წერია „ზენდუშეთი“), *კარიაულთკარი* (ისეც გადაშლილია და ზემოდან აწერია „ზენდუშეთი“). პირმისაანთკარში პირმისაშვილები

(8 კომლი) და ვარსიმაშვილები (5 კომლი) ცხოვრობდნენ. კარიაულოკარის მკვიდრები კი იყვნენ: *კარიაულები* (10 ოჯახი), *მანგიაშვილები* (3 ოჯახი). 1886 წელს ცალკე სოფელი იყო ***გრიგოლაანთკარი,*** რომელშიც საოჯახო სიების თანახმად არც ერთი გრიგოლაშვილი არ ცხოვრობდა. აქ მკვიდრობდნენ: *უნდილაშვილები* (8 ოჯახი), *სონიშვილები* (5 ოჯახი), *კენკიშვილები* (3 ოჯახი), აგრეთვე, *თომაშვილები, ყრინტაშვილები, გოლოშვილები, ბადაშვილები* (2-2 ოჯახი).

ეთნოგრაფიული მასალებით, ***პირმისაშვილები*** ადგილობრივი მკვიდრნი არიან, რომელთა სალოცავი არის „წმიდა გრიგოლი". ნინია პირმისაშვილი მოწმედ მოხსენიებულია 1678 წელს რევაზ ერისთავის მიერ ნინია ოდიშელიძისათვის მიცემულ მეადაპედ დაყენების წიგნში. 1691 წლის ნასყიდობის წიგნში კი იხსენიება შერმაზან პირმისაშვილი[112]. მთხრობლის სიტყვით, თავდაპირველად პირმისაანებში მხოლოდ პირმისაშვილები მოსახლეობდნენ. „ეხლა ქაისხეველები არიან პირმისაანებში მოსახლებული". 1947 წელს ვერა ბარდაველიძის მიერ ჩაწერილი მასალით, **„პირმისაშვილების ძველი გვარი გიგაურია, ჭართლიდან არიან გადმოსახლებული და სალოცავად იქ მიდიან ხოლმე. პირმისაანთ მკვიდრი სალოცავი ჭართლის ღმრთის მშობელია.** ამას გარდა, პირმისაანთ სალოცავებია: *წმიდა გრიგოლი, ქადაგიანთ კარის ლაშარის ჯვარი* და თვით პირმისანში წყაროსთან მოთავსებული *ლაშარის ნიში – წმიდა კაკლის ხე,* რომელიც ძველად შემოღობილი იყო". არსებობს კიდევ ერთი საინტერესო გადმოცემა, რომლის თანახმადაც, სოფელ პირმისაანებში უწინდელ დროში თურმე ორი ვაჟკაცი ბეჟანიშვილი ცხოვრობდა, რომლებიც გველეშაპს ჰყავდნენ. ისინი კახეთში წასულან და მათ ნასახლარ ადგილზე პირმისაანი დასახლებულან. XIX საუკუნეში პირმისაანთკარში, პირმისაშვილებთან ერთად, ვარსიმაშვილებიც ცხოვრობდნენ. 1926 წლის აღწერის თანახმად, სოფელი *ვარსიმაანთკარი* ცალკე იყო, რომელშიც აღნიშნული გვარის წარმომადგენლები 12 კომლის რაოდენობით იყვნენ. ***დიდებაშვილები***

---

[112] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, თბ., 2007, გვ. 40.

გუდამაყრიდან მოსული ბექაურების შთამომავლები არიან (პირველად მოხსენიებული არიან 1728-1740 წლებით დათარიღებულ ნასყიდობის წიგნში). *კარიაულები* ხევსურეთიდან გადმოსახლებულებული არიან. მათი ადრინდელი გვარია არაბული. მოიდან კარიაულების წინაპრის აყრის მიზეზი მესისხლეობა ყოფილა. კარიაულებს მიეწერებათ ზემო აშში *აფხაკ წმიდა გიორგის* გადმოტანა. „გუდაში ჩაუდია წმიდა გიორგის ჯვარი და „ააშენეს კარიაულთ ხალხმა“. ამ სალოცავის პირველყმებად სწორედ ისინი ითვლებიან.

ვარსიმაშვილები თელეთის წმიდა გიორგის ყმები იყვნენ და სალოცავად თელეთში დადიოდნენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, „ჩვენი გვარის უფროსი *საგარსამიძე* იყო თელეთელი და იქიდან ვართ გადმოსახლებულები“.

1821 წლის აღწერაში **ზენდუშეთში** დაფიქსირებულია სეპერგულოვების (ამ აღწერისათვის დამახასიათებელია ქართულული გვარების რუსული სუფიქსებით გაფორმება) ორი კომლი[113]. ***სეპერგულები*** დღესაც მკვიდრობენ დუშეთში. ეთნოგრაფიული მასალებით **მათი წინაპარი ხევიდან გადმოსახლებულა, ადრინდელი გვარია ჩქარეული.** Tადმოსახლების მიზეზი მესისხლეობა ყოფილა. მეორე გადმოცემით, „მთაში ცხოვრების დროს დამსახურებისათვის მიუციათ ადგილ-მამული დუშეთში. მოიდან აქ რომ ჩამოსულან დაუჯილდოვებიათ. მამიჩემის დროს ჩქარეულები მიგვდევდნენ და მოგვდევდნენ. სეფერკულებად იწერებოდნენ თურმე და მერე გადაუკეთებიათ სეპერგულად. Rეს გვარი მიუღიათ გადმოსახლების შემდეგ. ვიღაცა მოხუც პაპას ერქვა ხუტა და ხუტიანთსაც გვეძახიან“ (შალვა იასონის ძე სეპერგული, 71 წლის, დუშეთი, 1985 წ.).

1781 წელს **დუშეთში** 19 კომლი მკვიდრობდა, რომელთაგან ერთი ოჯახი აზნაურ ***ყარანგოზიშვილებისა*** იყო. დანარჩენები ადგილობრივი მკვიდრნი არ იყვნენ, რომელთაგანაც 6 კომლი „სახასო ბოგანო“ იყო: ხადადან მოსული ***ირიაული,*** აგრეთვე ***ბიბილური, სუნტიძე, ოგბაიძე.*** ხადიდან მიგრირებული იყო ***ხოსროშვილიც***, ხანდოდან – ***ვაჟიკაშვი-***

[113] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქმე №689, გვ. 133.

ლი. ხიზანთა შორის იყვნენ: „ხარჭაშნელის ყმა სისოური გივი“, „სიონის ყმა ოთარას შვილი ბერუა“, „სიონის ყმა ლაშქარას შვილი პატარკაცი“, „ქსნისხეველი გამხიტას შვილი გოგია და ბერუა“, „ხიზანი საგურამოელი იასე“. ერთი ოვალის შევლებით ჩანს, რომ დუშეთში მიგრირებული იყვნენ მთიულეთიდან, ხანდოდან, ქსნის ხეობიდან.

სასახლის დუშეთში 1781 წელს 67 კომლი ცხოვრობდა. კომლთა ამ რაოდენობიდან ფაქტობრივად ადგილობრივი არც ერთი არ იყო, თითქმის ყველა ბოგანოსა და ხიზანს წარმოადეგენდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და მთისწინეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან იყვნენ მოსული: „*ხანდოელი* გოგიას ობოლი გლახა“, „*ხანდოელი* ირემას შვილი გიორგი“, „*ხანდოელი* ცოტიას შვილი ბერუა“, „*ხანდოელი* ნათობიძე დემეტრე“, „*ხანდოელი* გვრიტის შვილის ობოლი წესიარი და მგელია“, „*ხადელი* სეოურიძე გივი, ნიკოლოზ, გიორგი“, „ქავთარაძე *ცხაოტელი*“, „*ხადელი* ნაცვლის შვილი თამაზა“, „*გუდამაყრელი* ჩობალაური ქოჩა“, აგრეთვე „ახალუბნელი ბუზალაძე პეტრე“, „იმერეთიდან გადმოსული გიორგი და ივანე“, „ვანათელი პატარკაცის შვილი შავაძე“, „ტაველური მახარას შვილი ნასყიდა“. აქვე ცხოვრობდა ორ-ორი კომლი ბურდულის სახელო („უშარაის შვილი მგელა“, „თეორაულის შვილი გამახარე“) და ნადიბაიძის სახელო („წიკლოური ივანე“, „ჩოქური ივანე და ბერი“). სასახლის დუშეთში მცხოვრებთა შორის გვხდება აგრეთვე ორი ბოგანო *ჯავახი* („ჯავახი ბერიძე პეტრია“ და „ჯავახი იასპას შვილი თამაზა“). მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ ქვემო ქართლიდან მოსულებიც (სოფლები: *ოფრეთი, წინწყარო, ტალავარი...*). იყვნენ დიღმიდან, ავჭალიდან, უფლისციხიდან, ძაგნაკორადან მოსულებიც[114].

წინდუშეთის 85 კომლს შორის 1781 წელს იყვნენ ხიზნები და ბოგანოები. მაგრამ უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ წინდუშეთში მკვიდრობდნენ ***აზნაური კობიაშვილები*** (9 კომლი). აქვე ცხოვრობდნენ მათი ყმა-გლე-

[114] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 135-137.

ხებიც: ***ირემასშვილი, ომარასშვილი, გამრეკელისშვილი, ნა-გლისშვილი, თხისჭირისშვილი, ქადისგული, დათუასშვილი, ფშაველისშვილი, ყაჭიური, ინასშვილი, კახასშვილი, მამსია-ური, ყანასშვილი, ჩიტისშვილი, მანგოსშვილები, თვარელის-შვილები, ახალშენასშვილები, გორზამისშვილი, თამაზასშ-ვილი, კუდურასშვილები, ტეფნიასშვილები, ინაუ-რისშვილი, სადაგდიაძე, იმედასშვილი, ინასშვილი, ბორძიკული, ლაბაურები*** („ლაბაურის შვილი გიორგის შვილი დავით“, „ლაბაურის შვილი მარტია“, „ლაბაური ბერის შვილის გიო-რგის ობოლი თამაზა, ივანე“), ***კავთელასშვილი, პატასშვი-ლები, ახალშენასშვილი***. წინდუშეთში, ისევე როგორც სა-სახლის დუშეთში, ორი-სამი კომლი ჯავახიც ცხოვრობდა და აქაც ისინი ბოგანოები იყვნენ. მთიდან იყვნენ გადმოსუ-ლი „ციქური ეგნატე“, „გვიანიძე გამახარე“, „მაჩურიძე შალ-ვა“, „ყაჭიური ივანე, გიორგი და ბესო“, „მამიაური მიქელას ობოლი ბერუა, ნინია“, ლაბაურები, „ინაურის შვილი პატა-რკაცი“, „ბორძიკული დავითა“, „გუდამაყრელი ბექაური ლომნია“, „გუდამაყრელი ჩობალაური ვაჟიკა“, „გუდამაყრე-ლი ბექაური ჯაბანი“, „გუდამაყრელი ბექაური ვაჟიკა“, „ხა-ნდოელი დათოს შვილი ვაჟიკა“, „არაგველი ბუჩას შვილი ბაწაწუნი, ივანე“... XIX საუკუნეში ამ გვარის მატარებელი სოფელი – **ბუჩანთკარი** – საკრამულის სასოფლო საზოგა-დოებაში შედიოდა. სოფელში მცხოვრები 14 კომლიდან 7 ***ბუჩაშვილი*** იყო, ***ბედუკაძე*** – 4, ***თეგაძე*** და ***მარხვაშვილი*** – 2-2 კომლი. 1886 წლის საოჯახო სიებში წინდუშეთი კვლავ ფიგურირებდა, ოღონდ აქ ზემოთ ჩამოთვლილი გვარებიდან ფაქტობრივად თითქმის აღარ ჩანან. მხოლოდ თითო კომლი ***ყაჭიური, გამრეკელაშვილი, ირემაშვილი, მა-მსიაშვილი*** (1781 წელს – *მამსიაური*), ქადიგულაშვილი (1781 წელს – *ქადისგული*) იყო აღრიცხული.

ზემოთ ხსენებული გორზამაშვილები 1693 წლის წაყ-ლობის წიგნშიც არიან მოხსენიებული: „...ესე ...წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ და შეგიწყალეთ ჩვენ, ერისთავ-მან პატრონმან გიორგიმ ... თქვენ, ჩვენსა ეროგულსა და თავდადებით ნამსახურს ყმას ***კობიაშვილს*** ელისბარს და შვილთა თქვენთა გივსა, ავთანდილს და ამირანს; – ასე რომე, მამულის წყალობას გვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და

მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ დუშეთს ***გორ-ზამაშვილი*** თანდილა, დემეტრე და გიორგი მისისა სამართლიანის მამულითა დღეს რისაც მქონებელი იყოს, სახლითა, კარითა, ველით, ვენაგით, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, საგნავითა და სათიბითა, ქვევრითა და მარნით“[115]. 1698 წლის ნასყიდობის წიგნით კი აზნაურ კობიაშვილს ერისთავისაგან ლაბაურები უყიდია: „„ესე ... წიგნი მოგეცით ჩვენ, ერისთავის-შვილმა ბატონმა ზურაბ ... შენ, ჩვენს ერდგულად და თავდადებით ნამსახურს ყმას ***კობიაშვილს*** საამს, ძმასა შენსა როსტომს, იორამს, დემეტრეს, შვილთა თქვენთა ზურაბს, ნასყიდას, დავითს, იოსებს, გიორგის და მომავალთა სახლისა შენისათა; – ასე რომე, ორმოცდა ორის მარჩილის ფეშქაში მოგვართვი და გიბოძეთ ***ლაბაური იანვარა*** მისის ცოლითა და შვილითა უმამულოდ, ყოვლისა კაცის უცილობელი“[116]. 1705 წლის წყალობის წიგნით კი არაგვის ერისთავისაგან აზნაურ სეხნია კობიაშვილს ებოძათ „გლეხები: მამსიაშვილი გიორგი, ქადისგული მგელია და ხარდია“[117].

1818 წლის აღწერის დავთრის თანახმად, დუშეთში ვაჭრებიც ცხოვრობდნენ; ასეთები იყვნენ: იმერეთიდან გადმოსახლებული გიორგი ***ცეკვაძეშვილი*** (1833 წლის აღწერაში ჩაწერილია ***ცეკვაძის*** გვარით. იყო მცხეთის „სობორის“ ყმა), რომელიც ვაჭრობდა ქართული ტილოთი. დუშეთში მკვიდრობდენ აგრეთვე პავლე და Tგაბრიელ ***მოზდოკელები,*** რომლებიც ჯავახეთიდან იყვნენ გადმოსულები (1833 წლის აღწერით, „მოზდოგელების“ ორი კომლი მცხეთის „სობორის“ ყმა იყო). ნინია ***წვენიაშვილი*** გორიდან იყო მიგრირებული. სამივე ქართული ტილოთი და ბამბეულის ქსოვილით ვაჭრობდა. აქ ცხოვრობდა კიდევ ქიტესა ***ხედიაშვილი,*** რომელიც ქვემო ქართლიდან („სომხითიდან“) იყო მოსული

---

[115] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 91.

[116] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 105.

[117] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 129.

და რომლის საქმიანობას სხვათა მიწების დამუშავება შეადგენდა[118].

არაგვის ხეობის დაბლობს მიეკუთვნება **ტონჩა, გრემისხევი** და მისი უბნები. 1886 წელს სოფელ **არბოეთში** 11 კომლი ეთნიკური ოსი ცხოვრობდა. ეთნიკური ოსები ცხოვრობდნენ სოფელ **ბურღულშიც** (133 ოჯახი), **ჯვარისუბანშიც** (8 კომლი), **დელკანშიც** (10 ოჯახი), **ქათამზვარეშიც** (14 ოჯახი), **თხილოვანშიც** (9 ოჯახი). 1886 წელს **გრემისხევში** 112 კომლი და 25 გვარი მკვიდრობდა. ეს გვარები იყო: ***პეტრიაშვილი*** (16 კომლი), ***პაპუკაშვილი*** (11 კომლი), ***მიშელაშვილი*** (10 კომლი), ***ციგრიაშვილი*** (10 კომლი), ***გოძიაშვილი*** (9 კომლი), ***საკარული*** (8 კომლი), **თაბორიძე** (6 კომლი), ***ბეჟიტაშვილი*** (6 კომლი), ***ხევსურიშვილი*** (5 კომლი), ***მგელიშვილი*** (5 კომლი), ***ბუჩუნტელი*** (4 კომლი), ***სადირაშვილი*** (4 კომლი), ***ლაფაური*** (3 კომლი), ***ბადაგაძე*** (3 კომლი), ***ბეკურიშვილი*** (3 კომლი), ***ბუზალაძე*** (3 კომლი), ***ტოტიკაშვილი*** (2 კომლი), ***დიდებაშვილი*** (2 კომლი), ***გოგებაშვილი*** (2 კომლი), ***კუსრაშვილი*** (2 კომლი), ***შერმადინი (ძულიაშვილი)*** (2 კომლი). თითო კომლი იყო ***არჯალაშვილი, ილაშვილი, შაბაშვილი, ბულაური, გულაშვილი.*** **ტონჩაში** სულ 50 ოჯახი ცხოვრობდა, გვართა რაოდენობა კი სულ 9 იყო. სოფელში ***ღარიბაშვილები*** 15 კომლი იყვნენ, ***შალიკაშვილები*** – 11 კომლი, ***ლაგაზაშვილები*** – 9 კომლი, ***გაგელიძეები*** და ***როშნიაშვილები*** – 4-4 კომლი, ***ბუჩუკურები*** – 3 კომლი, ***სისაურები*** – 2 კომლი, ***ქასაშვილი*** და ***თათარაშვილი*** – თითო კომლი.

1781 წლის აღწერაში ორივე სოფელი ერთადაა წარმოდგენილი („ტონჩა გრემისხევი“). ზემოთ დასახელებული გვარების უმეტესობა XVIII საუკუნის ამ აღწერაში მეორდება. სახასო გლეხები ყოფილან *ტოტიკასშვილები* (2 ოჯახი), *ციგროსშვილები* (1 ოჯახი), *გამხუასშვილები* (2 ოჯახი. ეს გვარი XIX საუკუნეში აღარ ჩანს), *ბეკურიშვილები* (1 ოჯახი), *ბერისშვილი* და *დავითასშვილი* (თითო ოჯახი, არც ესენი ჩანან XIX საუკუნის აღწრებში). სოფელში ყმები მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყავდათ ***აზნაურ ტერიშვი-***

---

[118] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 804, გვ. 66.

ლებს. დანარჩენი მოსახლეობა სწორედ აზნაურ *ზაალ ტერიშვილის* გლეხები იყვნენ. 1781 წლის აღწერაში ტონჩა-გრემისხევში 3 კომლი იყვნენ ***საკარულები.*** სავარაუდოდ ამ გვარისანი აქ ქვემო ქართლის სოფელ **საკარისიდან** უნდა ყოფილყვნენ მოსული. 1698 წლის ხელნაწერში მოხსენიებულია საკარულის ვენახი, რომელიც ბაინდურ ერისთავს აზნაურ ოთია **შაბურიშვილისათვის** უბოძებია. სოფელში ასევე *მიშელაშვილების* სამი კომლი ცხოვრობდა. 3-3 კომლი იყვნენ *როშნიაშვილები* და *ბეჟიტაშვილებიც.* 2 კომლს ითვლიდნენ *პაპუკაშვილები, მწერლისშვილები.* თითო კომლი იყვნენ: *ბუჩუკური, სალირაშვილი, ლაგაზასშვილი, სისოური, მწერლისშვილი, გურასშვილი, თათარასშვილი, ლაფაური, მერაბასშვილი, მიქელისშვილი.*

ეთნოგრაფიული მასალებით, გრემისხევი და ტონჩა უბნებად იყოფა. გრემისხევის უბნებია: **ბეჟიტაანი** (ცხოვრობენ ***ბეჟიტაშვილები, გიგაურები, ლაფაურები, გაგელიძეები, გვრიტიშვილები***), **ციხისუბანი** (ცხოვრობენ ***ხევსურიშვილები, საკარულები, ბედოშვილები, ბუზალაშვილები, ბადაგაძეები, მიშელაშვილები, ტერიშვილები, გოძიაშვილები*** – დიდი გვარია), **მიშელაანთ-უბანი** (***მიშელაშვილები, ხევსურიშვილები, ბუჩუნტელები***), **ქედელობა** (***ბუზალაძე, გედევანიშვილი, თაბორიძე, წიკლაური***), **პეტრიანი** (***პეტრიაშვილი*** – დიდი გვარია, ***პაპუკაშვილი*** – დიდი გვარია, ***შიუკაშვილი, ჭიკაიძე, გიგაური, თაბორიძე***), **კუსრანი** (***კუსრაშვილი, მწელიშვილი***), **მწელიანი** (***მწელიშვ***ილი), **მიქელიანი** (*მიქელაშვილი, შერმადინი, პაპუკაშვილი//გარსევანიშვილი*), **ბეკურიანი** (***ბეკურიშვილი***). სულ სამ უბანს აერთიანებდა ტონჩა: **სარკინეთი, ღარიბიანი, ლაგაზიანი**. ადვილი შესამჩნევია, რომ ტონჩა-გრემისხევში XVIII-XIX საუკუნეებში მოხსენიებულ გვარებს XX საუკუნში კიდევ რამდენიმე დამატებია. 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარში ცალკეა შეტანილი სოფელი **ციგრიანთკარი,** რომელშიც 24 კომლი ***ციგრიაშვილი,*** აგრეთვე 2-2 კომლი ***ბუჩუნტელი*** და ***ტოტიკაშვილი*** ცხოვრობდა.

გრემისხევსა და ციგრიაშვილებს ეხება 1782 წლის „არზა გოდერძი ციგურაშვილისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის იქმით“ (წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ

საბუთში ციგურაშვილის ნაცვლად ციგრიაშვილი უნდა იყოს): „ქ. ღმერთმან ბედნიერის ჭელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი გრემისჭეველს ციგურაშვილს გოდრძის მოსცეს. ჟიმშერ ერისთავმა გრემისჭევის აშენება მოინდომა. როდესაც იქაური კაცი ერთად შეჰყარა, ცალ-ცავკე კი ვერ დააყენა, რომ მტრისა ეშინოდა, მიიყვანა და იმთენი კაცნი სულ ჩემს მამულზე დააყენა. და მე სითარხნე მომცა, რადგან შენს მამულზედ ეს სოფელი დავაყენე, შენ აღარა გეთხოებოდეს რაო. იმ ხანებში ის გრემის ჭევი ისევ დაიცალა. ახლა კიდევ თქვენის დოვლათით ისევ აშენდა. მოვიდნენ და ისევ იმ ჩემს მამულზედ დადგნენ. მე აღარც სითარხნე მაქვს და მამულიც მერომევა. ვინცავინ იქ მდგომნი არიან, სულ აზნაურშვილების ყმანი გახლავან, ჩემის მეტი და ჩემის მამულის მეტი იქ მიწა (?) აღარა არის რა. რადგან მე მერომევა ის მამული, თქვენთვის მაინც ნუ დაჰკარგამთ“[119]. ოყვანილი საბუთიდან აშკარაა, რომ გრემისხევში (და, საერთოდ, არაგვის ხეობის დაბლობში) მოსახლეობა იცვლებოდა და სოფელიც იცლებოდა. ფეოდალები და ხელისუფლებაც კი ცდილობდა დარღვეული დემოგრაფიული ვითარების აღდგენას და მწარმოებელი მოსახლეობის თავმოყრას.

ტონჩაში ცხოვრობენ ***მათიაშვილები,*** რომლებიც შედარებით გვაიან არიან მოსულები. „იმათ უფროსს მათია რქმევია და ამიტომ იმის ნაშენსაც მათიაშვილი დაურქმევია. Tგვიდაქედან ჩამოსულა. მათიაშვილების ნამდვილი გვარი ბუჩუკურია“. თაბორიძეები ადრინდელი გვარი ბექაური ყოფილა. „ჰაპუკაშვილები კაცის სახელზე დარქმეულა. ჩვენი ნამდვილი გვარი არის წიკლაური, გუდამაყრიდან“. გრემისხევს ხევსურიანთუბნის ძირითად გვარს ხევსურიშვილები წარმოადგენენ: „ჩვენ, ხევსურიშვილები ძირად ხევსურები ვართ. ხევსურიშვილები ამიტომ დაგვარქვეს აქაურებმა. ჩვენი ნამდვილი გვარი ჭინჭარაულია. ადრე ჩვენ ასეც ვიწერებოდით ჭინჭარაულებად. პირველად ციხისუბანში დასახლებულან. იქიდან გოძიაშვილებს გამოუყრიათ (ძალიან ღონივრები ყოფილან გოძიაშვილები, რომ ერთი ხელით

[119] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VII, თბ., 1981, გვ. 555-556.

კამეჩს აჲსწევდნენ ხოლმეო). იქ მარტო ერთი კომი დარჩენილა ჩვენი გვარისა“. ციხისუბნიდან გამოგდებული ხევსურიშვილები ზემოთ მთაზე ასულან, ტყე გაუკაფავთ და ხევსურთუბანი დაუარსებიათ. ხევსურეთიდან არიან მოსული ბუჩუნტელებიც, რომელთა ადრინდელი გვარია ბუჩუკური. XX საუკუნის 30-იან წლებში ბუჩუნტელების ნაწილი ლამისყანაში და ოკამში გადასახლებულა. ტონჩაში ოლობის უბანში მოსახლე შალიკაშვილების, ღარიბაშვილებისა და როშნიაშვილების ადრინდელი გვარი ასევე ბუჩუკურია. მთიულეთის სოფელ გვიდაქეში ბუჩუკურებთან ჩაწერილი მასალით, „ჩვენი გვარისას, ეროს – დიდი ხნის ამბავია – კაცი შემოკვდომია და ქაისხევში გადასახლდნენ და დაეწერნენ ღარიბაშვილად. ორნი ძმანი წავიდნენ; ერთი დაეწერა ღარიბაშვილად, მეორე ჯაბანაშვილად. ეს ღარიბაშვილები და ჯაბანაშვილები სალოცავად მოდიან ჩვენს ხატში – ქაშუეთის წმიდა გიორგი. დიდი ეკლესიაა გვიდაქეში. Jურატებით მოდიან, საკლავით, ვის როგორ დამიზეზავს, ისე მოდიან“. გრემისხევის ბეკურიანთუბანში მოსახლე ბეკურიშვილებიც ხევსურები არიან, ძირად სამხარაულები. „კაცის სახელზეა შერქმეული მიშელაშვილის გვარი. ჩვენი ნამდვილი გვარი ხამხაძეა“.

ტოტიკაშვილები ძირითადად სოფელ **ციგრიაულთკარში** ცხოვრობენ. ეთნოგრაფიული მასალა ტოტიკაშვილების შესახებ: „მე გამიგონია, ჩვენი წინაპრები ცხრა ძმანი ყოფილან, ცხრა აკვანი რწებულა ერთ ოჯახში. რაღაცა ჭირი გაჩენილა. ამდგარან, ზოგი კახეთში გადასულა, ზოგი სხვაგან. ერთი აქ დარჩენილა. იმიდანა ვართ ჩვენა. მარტყოფშიც არიან ტოტიკაშვილები. ისინიც სისაურები ყოფილან და ჩვენ გვარზე იწერებიან. ერთმანეთს კი ვერ ვიცნობთ, მაგრამ გამიგონია. არავის ახსოვს, როდის მოვსულვართ აქა. აქ პირველად ჩვენი გვარის ხალხი მოვიდა, გრემისხევში კი – გოძიაშვილები. სხვაგან რომ ტოტიკაშვილები არიან, ყველა აქედან არის წასული“ (მიხა ტოტიკაშვილი, 85 წლის, სოფელი ციგრიაულთკარი, 1977 წ.). ტოტიკაშვილების ადრინდელი გვარი – სისაური – დაფიქსირებულია

1821 წლის აღწერაშიც: «Иосиф Тотикашввили, сын Степана Сисаури»[120]. ძირად ბექაურები არიან თაბორიძეები.

არაგვის ხეობის დაბლობში არაგვს მარჯვენა მხრეს ერთვის მდ. ნარეკვავი, რომელზედაც ზღვის დონოდან 900-1000 მეტრზე მდებარებს სოფელები **ჭილურტი** და **ებნისი.** ისევე როგორც არაგვის ხეობის დაბლობის არაერთი სხვა სოფელი ორივე ეს სოფელიც მოიხსენიება 1669 წლის „წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელში“. ჭილურტი შეყვანილია 1781 წლის არაგვის საერისთაოს ბარის სოფლების აღწერის დავთარში. ჭილურტი გვხვდება 1800 წლის ორ არზაში. ერთ-ერთ მათგანში სოფელში მცხოვრები გვარებიცაა დასახელებული: „მისის უგანათლებულესობის მეფის ძის ვახტანგის წინაშე მოსაკსენებელი მათის მონის ***ხოსრუაშვილის ხოსროსი***. ჩემო ჭელმწიფევ! ოქვენი წაყლობა დაგვემართა და ჭ ი ლ უ რ ტ ს მაჩურის ბეითალმანი მამული გვიბოძეთ. ეს მამული რომ კარგა ხანი ბეითალმნათ ყოფილა, ამ მიზეზით ვინც მოხვედრია, ყველას თავთავისთვის გაუგლეჯია და ასე დაუმცირებიათ, რომ ამ მამულიდამ ბევრი გვაკლია, ვიცით სხვასთ უჭირავსთ, მაგრამ არ გვანებებენ: „***ფარეშიშვილსაც*** უჭირავს, ***სისოურსაც*** უჭირავს, ***კიტრისშვილსაც პაწაწუნს*** თავის ვენახის ზემოთ იმის ნავენახობი უჭირავს. ამას გარდა სხვასაც გვედავებოდა. ... მერე რომელსაც ეს კიტრიშვილი მიწას გვედავებოდა, ის მიწა ჩვენვე გვებოძა ოქვენის სამართლით... თავად **მოგეხსენებათ მტრისაგან დავიღუპენით და რაღაც გადავრჩით, მაგ კაცს ჩვენის დაკარგვა უნდა იმ ადგილიდამ.** გევედრებით, რომ სამართალი მაღირსოთ. ეგ ნიადაგ ძალსა და ხმალზე დგას“[121]. ამრიგად, არზიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სოფელ ჭილურტში ბეითალმანი, უპატრონოდ დარჩენილი მამულები ყოფილა. ერთ-ერთი ბეითალმანი მამულის შესახებ ცილობა შექმნიათ ერთი მხრივ ხოსრუაშვილსა და მეორე მხრივ კიტრიაშვილს, სისოურსა და ფარეშიშვილს შორის. ყველა ეს გვარი სოფლის მკვიდრი იყო. სხვათა შორის, ამ გვარების ნაწილი –

---

[120] სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 689, გვ. 393.

[121] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VIII, თბ., 1985, გვ. 654.

„სისოური ბერიას შვილი პატარკაცი“ და „ფარეშიშის შვილი გოგია, ივანე, დათუნა“ – 1781 წლის დავთარშიცაა მოხსენიებული[122]. 1781 წლისათვის ჭილურტში კიდევ უცხოვრიათ: ***გოგია, ივანე და დათუნა გიგაურებს, ღარიბა და ნინია ტურიასშვილებს, ბაწაწუნი ხუციშვილს, ოქროპირისშვილებს*** (3 კომლი), ***ჯარიასშვილებს*** (2 კომლი), ***ნაობისშვილს, ომარაშვილს და მახარასშვილს***[123]. ჭილურტში ცხოვრობდა აგრეთვე ერთი აზნაურის ოჯახიც: ***„აზნაურშვილი ჩრდილელის შვილი ჩრდილელი, რევაზ“.*** არსებობს XIX საუკუნის სოფელ ჭილურტის რამდენიმე აღწერაც. 1821 წელს სოფელში სულ 29 კომლი ცხოვრობდა, რომელშიც 1781 წლის აღწერაში ზემოთ მოხსენიებილი მხოლოდ ერთი გვარი გვხვდება: ***ნაობისშვილი*** (1821 წლის აღწერაში – «Наобов») და არზის მიმრომევის გვარი – ***ხოსრუაშვილი*** («Хосров»). ნაობიშვილები 1843 წლის სახელმწიფო გლეხების აღწერაშიც არიან შეყვანილი. 1821 და 1843 წლების აღწერებში დასახელებული არიან ***ფეიქრიშვილები*** (6 კომლი), ***ზურაბაშვილები, ციქურაშვილები.*** 1843 წელს ჭილურტში ცხოვრობდნენ აგრეთვე: ***პაპკიაურები*** (1 კ.), ***კენკიშვილები*** (6 ოჯახი, რომელთა ერთი ოჯახი შიდა ქართლის სოფელ ნადარბაზევში გადასახლებულა 1848 წელს), ***გიორგიშვილები*** (2 კომლი. 1 კომლი 1859 წელს დუშეთში იყო გადასახლებული), ***ნაკრტენაშვილი*** (1 ოჯახი და ისიც 1847 წელს დუშეთში გადასახლებულა), ***მეზვრიშვილი*** (2 კომლი. 1 კომლი 1859 წელს დუშეთში გადასულა საცხოვრებლად), ***რევაზაშვილი, მაისურაძე*** (1 კომლი), ***ნაზღაიძე*** (2 კომლი) და ***ბაშარული***[124]. 1873 წელს ჭილურტში 74 ოჯახი ცხოვრობდა, 1886 წელს – 83 კომლი. ორივე ამ აღწერით აქ ცხოვრობდნენ: ***ელიოზოვი*** (1 კომლი), ***ფეიქრიშვილი*** (შესაბამისად 12 და 13 კომლი), ***კენკიშვილი*** (2 კომლი), ***რევაზაშვილი*** (2 კ.), ***ზურაბაშვილი*** (7 კომლი), ***ოსეფაშვილი*** (1873 წელს – 3 კომლი, 1886 წელს – 8 კომლი),

---

[122] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 134.
[123] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 134.
[124] სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 2126, გვ. 153-162.

გორგიშვილი (3 კომლი), *ილურიძე* (2 კომლი), *პაპკიური* (4 და 5 კომლი), *ხოსრუაშვილი* (5 და 6 კომლი), *კიტრიშვილი* (4 და 3 კომლი), *ნაქტენაშვილი* (4 კომლი. 1886 წლის საოჯახო სიებში მითითებულია **ნაქტენაშვილების ადრინდელი გვარი – გაბიდაური**, რაც მათ ფშავიდან წარმომავლობაზე მიუთითებს). XIX საუკუნის ზემოთ ხსენებული ორივე აღწერის თანახმად ჭილურტში ცხოვრობდნენ აგრეთვე *საამიშვილები, ღუდუშაურები, ხევსურიშვილი* (რომელიც ჩრდილელიანთკარიდან იყო გადმოსახლებული), *ჩოქური* (გადმოსახლებული იყო ბაზალეთიდან), *ბაშარული, გელიაიძე, შაბაშვილი, მაისურაძე, ზაქაიძე* (გადმოსახლებული იყო ბაზალეთიდან)... 1940-იან წლებში ჭილურტში ყველაზე დიდი გვარები იყო: *ფეიქრიშვილი* (18 ოჯახი), *რევაზაშვილი* (12 ოჯახი), *ოსეფაშვილი* (8 ოჯახი), *ხოსრუაშვილი* (6 ოჯახი), *ზურაბაშვილი* და *კენკიშვილი* (4-4 ოჯახი), *გორგიშვილი* (3 ოჯახი)...

სოფელ **ებნისში** 1940-იან წლებში მკვიდრობდნენ: *ჯარიაშვილები* (33 კომლი), *ოქროპირიძეები* (17 კომლი), *ყელიხაშვილები* (10 კომლი), *კბილცეცხლაშვილები* (7 კომლი), *რაზმაძეები* (5 კომლი), *ხაბაზიშვილები* (4 კომლი), *გულიშვილები* (3 კომლი), *ქორქაშვილები* (2 კომლი), *ვაჟიკაშვილები* და *მჭედლიშვილები* (2-2 კომლი). გავუსწრებთ მოვლენებს და აღვნიშნავთ, რომ ჯარიაშვილების წინაპარი ორი კომლი 1781 წლის აღწერის თანახმად მეზობელი სოფლის – ჭილურტის მცხოვრებნი იყვნენ: „ჯარიას შვილი ბასილა“ და „ჯარიას შვილი ივანე და ბერი“. 1821 წლის აღწერაში *ჯარიაშვილების* 6 კომლია დაფიქსირებული. ამ დროს სოფელში *ოქროპირიძეების* 3 ოჯახი ცხოვრობდა, *ვაჟიკაშვილებისა* და *ყელიხაშვილების* – 2-2 ოჯახი, თითო კომლი იყვნენ: *ილურიძე, ჟამუტაშვილი, კბილცეცხლაშვილი* (1843 წელს – 3 კომლი), *ტურიაშვილი, ბერიაშვილი,* იგივე *კოდალაშვილი, ხაბაზიშვილი, ქორქაშვილი* (გადმოსახლებული იყო სოფელ არღუნიდან), *პავლეური,* იგივე *ფოცხვერაშვილი*... XIX საუკუნის აღწერები (1860, 1873, 1886 წლები) შემდეგ სურათს გვიჩვენებდა: *ჯარიაშვილი* (შესაბამისად – 16, 19 და 27 კომლი), *ოქროპირაშვილი* (დღევანდელი ოქროპირიძე) (12, 15, 17 კომლი), *ყელიგრეხაშვილი* (7,

13, 13 კომლი), *ტურიაშვილი* (ყველა აღწერაში 2 კომლი), *ბერიაშვილი* (2, 2, 1 კომლი), *ვაჟიკაშვილი* (4, 4 და 5 კომლი), *სისაური* (1, 1 და 2 კომლი. როგორც ჩანს სისაურები 1781 წელს ჭილურტში მოხსენიებული სისაურების შთამომავლები არიან), *ხაბახიშვილები* (4, 4, 5 კომლი), *კბილცეცხლაშვილები* (4, 3, 6 კომლი), *ალღუზაშვილი,* იგივე *სლანაშვილი* (1), *ჩოჩოშვილი* (1-1 კ.), აგრეთვე: *გიგაური, ბრაჭული, ნადიბაიძე, კაიშაური, წიკლაური, კობაიძე, ჭიჭიკაშვილი, მოლოდინი* (გადმოსახლებული იყო ბაზალეთიდან), *ასლამაზიშვილი*. შესაბამისად ებნისში 1860 წელს 67 ოჯახი მკვიდრობდა, 1873 წელს – 81 ოჯახი, 1886 წელს – 91. 1843 წელს პავლეურიდან იყო გადმოსახლებული „პავლეური, იგივე კახუაშვილი“ და *ჯანტიშვილი* – ორუსოდან. ეთნოგრაფიული მასალებით, ებნისში მოსახლე ოქროპირიეები და XIX საუკუნეში მცხოვრები ჩოჩოშვილები ებნისში შიდა ქართლის სოფელ დისევიდან და ორტევიდან არიან გადმოსხლებული, სადაც უფრო ადრე დვალეთის ნარას საზოგადოებიდან იყვნენ მოსული. გადმოცემით, *ოქრო, ჩოჩი, ჯოჯი* და *თედე* ძმები ყოფილან, რომლებსაც საფუძველი ჩაუყრიათ ***ოქროპირიძეების, ჩოჩოშვილების/ჩოჩოურების, ჯოჯიშვილებისა*** და ***თედელურების გვარებისათვის.*** ეთნოგრაფიული მასალებით, კბილცეცხლაშვილები ქსნის ხეობიდან წარმომავლობენ, რომელთა ადრინდელი გვარი შერმადინი ყოფილა. ***კბილცეცხლა შერმადინს*** საფუძველი ჩაუყრია გვარისათვის. თავის მხრივ, ქსნის ხეობაში შერმადინები მთიულეთიდან გადმოსული ქავთარაძეებისაგან წარმომავლობენ. კბილცეცხლაშვილები XIX საუკუნის დასაწყისში გადასახლებული იყვნენ ერწოს სოფელ თოლენჯშიც. 1816 და 1821 წლები სახელმწიფო გლეხების აღწერაში თოლენჯში ისინი ორი კომლის რაოდენობით იყვნენ – „კბილცეხლი“ და „ქიტესა კბილცეცხლაშვილი“[125]. 1886 წელს თოლენჯში *კბილცეცხლაშვილების* უკვე 6 ოჯახი ცხოვრობდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოფელი ებნისი მოხსენიებულია 1669 წლის საეკლესიო საბუთში. გარდა ამისა, ებ-

[125] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქმე № 687, გვ. 648-649, 777.

ნისი გვხვდება 1781 წლის აღწერაში, უფრო სწორედ ციხისძირის აღწერაში გვხვდება „ბოგანო ებნისელი ოტიაშვილი გიორგი“. უფრო ადრინდელ, 1774 წლის აღწერაში ციხისძირში მოხსენიებულია „ბოგანო ებნისელი ჯარიაული ცოტის შვილი როსები“, რითაც ირკვევა, რომ *ჯარიაშვილების* ადრინდელი გვარი *ჯარიაული* ყოფილა. „ბოგანო ებნისელი დათუნას შვილი ოქროპირი და გიორგი“ 1781 წლის აღწერით სოფელ აშში ცხოვრობდა. ე. ი. გვეძლევა კიდევ ერთი ებნისური გვარის – დათუნაშვილი – გარკვევის საშუალება.

XIX საუკუნეში ჭილურტთან და ებნისთან ერთად ერთ სასოფლო საზოგადოებაში (ჭილურტის ს/ს) შედიოდა სოფელი **ჭაშაც** (იგივე **ძვლიანთკარი**), მაგრამ ეს ახლა უკვე ნასოფლარი გეოგრაფიულად ქსნის ხეობის დაბლობს მიეკუთვნებოდა. 1886 წელს სოფელში 14 კომლი მკვიდრობდა: ***ბაქაქურები*** (7 კომლი. 1833 წლის საეკლესიო გლახების აღწერით, ბაქაქურები ანანურის „სობორის“ ყმები იყვნენ), ***გურგენაშვილები*** (4 კომლი) და ***თვაურები*** (4 კომლი). 1860 წლის აღწერით, ჭაშაში 3 კომლი გურგენაშვილი ქსნის ხეობის სოფელ ოძისიდან იყო გადმოსახლებული, თვაურები კი – სოფელ იფნევიდან, სადაც ისინი დვალეთიდან იყვნენ მიგრირებული. სოფელი ჭაშა 1669 წლის „წილკნელის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელშია“ შეტანილი, რომელშიც ***დუდურისშვილებს*** უცხოვრიათ. 1833 წელს ჭაშაში ერთი კომლი ***ხუციშვილიც*** ცხოვრობდა, რომელსაც ასეთი მინაწერი აქვს: „ალევის წმინდის სამების ყმა, ახლად პოვნილი“. ამ მინაწერის მიხედვით, ეს კომლი ქსნის ხეობიდან უნდა ყოფილიყო გადმოსახლებული.

ქაისხევი ანანურთან ახლოს არაგვის მარჯვენა შენაკადია. **ქაისხევს** ზოგჯერ ერთ სოფლად გაიაზრებდნენ, ზოგჯერ რამდენიმე სოფლის ერთობლიობად. 1781 წლის აღწერაში ის ერთიანადაა წარმოდგენილი, ხოლო XIX საუკუნის აღწერის დავორებში მასში შემავალი სოფლები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი; ეს სოფლებია: **ბანცურები/ბანცურთკარი, ზოტიკიანთკარი, თანდილაანთკარი, შალიკაანთკარი.** 1781 წლის აღწერით ქაისხევში 37 კომლი მკვიდრობდა. მანამ, სანამ დოკუმენტურ მასალებს მოვიყვანთ, უპრიანია ქაისხევის შესახებ ეთნოგრაფიული მასალა მოვიხმოთ,

რომელიც ქაისხევის დასახლებას ეხება: „უწინდელ დროში ქაისხევში 60 ცალთვალა ივანე იყო, – იმდენად ბევრი ხალხი მოსახლეობდა თურმე აქა. მაშინ ხის ბადება არ ყოფილა. შემდეგში, როცა მოსახლეობა გაწყვეტილა, უღრანი ტყე გაჩნდა და აი, მაშინ მოსულან ქაისხევში სამი გვარის ხალხი: ***ცილიკიან-მამიანი*** (იგივე ***ზარიძე***), ***ნამგალაური*** (იგივე ***გიგაური***) და ***გაგელი*** (იგივე ***აფციაური***). თანდილა-ანოკარში ყველაზე ადრე ამჟამად მცხოვრებთა შორის ეს სამი გვარი გაჩენილა“. ამ გვარებიდან ქაისხევის 1781 წლის აღწერაში მხოლოდ ***გაგელიძე*** ჩანს – „გაგელიძე ოთარას შვილი პატარკაცი“. აღნიშნული აღწერაში დაფიქსირებული არიან აგრეთვე ***ფისაძეები,*** რომელთა ოჯახში 7 „თავი“ ყოფილა (ფისაძე პეტრეს შვილი მღვდელი ზოდიკე, გრიგოლ, გიორგი, ბარნაბე, იოვანე, იაკობ და იოსებ“). აისხევის მკვიდრნი იყვნენ აგრეთვე ***ბანცურები*** („გიორგის ობოლი ბანცურისა“), ***ინაურები*** („ინაური გიორგის შვილი ბერი“), ***ციგრიაულები*** („ციგრიაული პატარკაცის შვილი პატარკაცი“), ***მაღალაურები*** (ბოგანო მაღალაურის შვილი ბერი“), ***ბუნტურები*** („ხიზანი ქსნისხეველი ბუნტური ბალია“), ***მკერვალიძე*** („ბოგანო მკერვალიძე ბეჯან“), ***ზანგურაშვილები*** („ხიზანი ქსნისხეველი ზანგურაშვილი გიორგი“)[126]. აღწერის დავთარში ზოგჯერ დაფიქსირებული არიან ოჯახის უფროსები, მაგრამ გაურკვეველია, ისინი გვარებით არიან ჩაწერილი თუ მამიშვილობებით, მაგალითად, „ბერის შვილი“, „რუხიას შვილი“, „ბაბულას შვილი“, „ლაგაზას შვილი, „გამიხარდის შვილი“ და ა.შ.

1886 წლის საოჯახო სიებში ქაისხევის სოფელ **ბანცურთკარში (სულ 33 ოჯახი)** ყველაზე მეტი რაოდენობით გვარად ***ბანცურები*** იყვნენ (12 კომლი), შემდეგ ***მთიულიშვილები*** (10 კომლი), ***ჯაბანაშვილები*** (8 კომლი), ***გოგოლაშვილები*** (2 კომლი) და ***გამახარაშვილები*** (1 კომლი). 1843 წლის სახელმწიფო გლეხების აღწერაში ***გამახარაშვილები*** მეორე ანუ ადრინდელი გვარითაც – ***ქავთარაძე*** – არიან ჩაწერილი[127], ე. ი. მოსული იყვნენ მთიულეთიდან. სოფელი

---

[126] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 123-124.

[127] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქ. № 2126, გვ. 31.

ბანცურები არის ხანდოშიც, რომელშიც ამ გვარისანი 1886 წელს არავინ ცხოვრობდა. ტოპონიმი მიუთითებს იმაზე, რომ ქაისხევში ბანცურები ხანდოდან გადმოსახლდნენ და თან სოფლის სახელიც წამოიღეს. 1774 წლის ხანდოს აღწერაში ბანცურები დადასტურებული არ არიან. 1821 წლის აღწერაში ბანცურთკარში რამდენიმე სხვა გვარიცაა დადასტურებული (*ძაღლაური, შინშარაძე*...). 1886 წელსვე **ზოტიკიანთკარში** 21 ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ არც ერთი ***ზოტიკიშვილის*** გვარს არ ატარებდა. ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით, აქ ზოტიკიშვილები ცხოვრობენ და ისინი შთამომავალნი არიან ფისაძეებისა, კონკრეტულად კი 1781 წლის აღწერაში ქაისხევში მოსახლე მღვდლის ზოდიკე ფისაძისა, რომლებიც იმერეთიდან ყოფილან მოსული (ალექსანდრე ზოტიკეს ძე ზოტიკიშვილი, 92 წლის, ანანური, 1983 წ.). ეს პატარა გვარი ზოტიკიანთკარიდან ანანურშია გადმოსახლებული. ზოტიკიანთკარში მოსახლეობდნენ: ***ბულაურები*** (11 კომლი), ***რახრახაძეები*** და ***პავლიაშვილები*** (4-4 კომლი), ***ესტატეშვილები*** (2 კომლი) და ***ოქრიაშვილი*** (1 კომლი). ბულაურები თელეთში გადასახლებულან, სადაც ისინი დღეს ბულაშვილებად იწერებიან. გვარის მიგრაციის მიზეზი რახრახაძეებთან სისხლ-მესისხლეობა ყოფილა. ისინი ზოტიკიანთკარში ხატში – „ტეხისჯვარ წმიდა გიორგი“ – მოდენილან. ბულაურების სულ ადრინდელი გვარი ***ქოსელი*** იყო და გადმოსულები არიან ხევიდან. ქაისხევში დარჩენილი ბულაურები 1924 წელს ანანურში გადმოსულან საცხოვრებლად: „მამაჩემი იტყოდა ხოლმე, რომ ჩვენაო, მოხევეებიდან ვართ ჩამოსულიო. ადრე ფიცხელაური ყოფილან. ფიცხელაურის შემდეგ მჯედლიშვილებად ყოფილან. მერე კაცს ჰქვივნებია ბული და იქიდან წამოსულა ბულალაური. რახრახაძეები კი კახეთიდან იყვნენ მოსული“ (ნიკოლოზ პეტრეს ძე ბულაური, 65 წლის, ანანური, 1983 წ.). ანალოგიური ვითარებაა ასახული 1873 წლის აღწერაში. **თანდილაანთკარში** ცხოვრობდნენ: ***ნამგალაურები*** (13 ოჯახი), ***ინაშვილები*** (11 ოჯახი), ***მამნიაშვილები*** (7 ოჯახი),

ნადირაშვილები და ***გაგელიძეები*** (6-6 ოჯახი), ***ცილიკაშვილები*** (5 ოჯახი)... ეს უკანასკნელი გვარი 1821 წლის აღწერაში ჩაწერილია გვარსახელით ***ცილიკი.*** **შალიკიანთკარის** მკვიდრები იყვნენ: ***სინჯარაძეები*** (9 კომლი), ***ნარიმანიძეები*** (7 კომლი), ***ბედუკაძეები*** (6 კომლი. 1833 წლის აღწერის დავთრით ბედუკაძეები ანაურის ეკლესიის ყმანი იყვნენ), ***ბრაჭულები*** (5 კომლი), ***სიდამონები*** (4 კომლი), ***გურაშვილები*** (1883 წლის საარქივო მასალით იყვნენ ანაურის ეკლესიის ყმები) და ***სანაშვილები*** (3-3 კომლი), ***მამსირაშვილები*** და ***ბაბულაშვილები*** (2-2 კომლი). ეს უკანასკნელი გვარი ქაისხევის 1781 წლის აღწერაშიც გვხვდება („ბოგანო ბაბულას შვილი გოგია და პატარკაცი“). 1843 წლის აღწერაში **ქაისხევი** ცალკე სოფლის სახითაა წარმოდგენილი; სოფელში ცხოვრობდნენ: ***ოქროშვილები*** (4 ოჯახი. 1833 წლის საბუთში ჩაწერილი არიან ოქრიაშვილის გვარითა და ანანურის ეკლესიის ყმებად), ***ქაფიაშვილები*** (5 ოჯახი), ***ხულუზაურები*** (3 ოჯახი. იყვნენ ანანური ყმები), ***ინაშვილები*** (2 ოჯახი), აგრეთვე თითო კომლი ***ველთაური, ნარიმანიძე, თანდილაშვილი*** იგივე ***ბიბილური*** და ***კახოშვილი*** იგივე ***ხინჩალაშვილი***[128]***.*** ეს უკანასკნელი მოგვიანებით, 1858 წელს სოფელ არღუნში გადასახლებულა. ეს ერთადერთი შემთხვევაა აღწერის დავთარში ქაისხევში ***თანდილაშვილის*** მოხსენიებისა. არადა სოფელი თანდილაანთკარის სახელს ატარებდა და ატარებს. 1833 წლის აღწერის დავთრით ქაისხევში ცხოვრობდა აგრეთვე „გიორგი ესტატეს ძე პაპათი“, რომელიც იყო ანანურის ეკლესიის ყმა. როგორც ჩანს, შალიკიანთკარში შალიკაშვილები არ ცხოვრობდნენ. მაგრამ სოფლის სახელი ამას ადასტურებს, აგრეთვე 1688-

---

[128] 1843 წლის აღწერაში ოჯახის უფროსების ჩაწერის სხვადასხვა პრინციპია გამოყენებული. როდესაც პიროვნების გვარი -შვილი სუფიქსით ბოლოვდება, მამის სახელს განმსაზღვრელი სიტყვა არ ახლავს. ასე, მაგალითად, «Георний Автандила Окрошвили», «Сихарула махаробела Окрошвили». მაგრამ როცა გვარსახელი -ძე ან -ურ სუფიქსიანია, მაშინ მამის სახელს ერთვის სუფიქსი -შვილი: «Сосиа Шио швили Намгалаури», «Бери Гогия швили Эбрелидзе».

1694 წლების ყმების მირომევის წიგნი, რომლითაც არაგვის ერისთავს გიორგის *შალიკაშვილი გოგი* ბიძამისისათვის – ენისელთ მოურავ სულხანისათვის უბოძებია[129].

ქაისხევის შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მასალა. ***სინჯარაძეები*** 1977 წლისათვის ქაისხევში, დუშეთსა და მის მიმდებარე სოფლებში სულ 20 კომლის როდენობით იყვნენ. ხევსურეთიდან მოსულ ჭინჭარაულს ახალი გვარი – სინჯარაძე მიუღია. ქაისხევში გვარის სალოცავია „კვირიკე“. ძირად ჭინჭარაულობას ამბობენ ***ბანცურებიც.*** „ბანცურები და სინჯარაძეები სახლიკაცები არიან, ბანცური და სინჯარა ძმები ყოფილან“. სოფელ ბანცურში პირველად ბანცურები დასახლებულან, შემდეგ მოსულან მთიულიშვილები. ***მთიულიშვილების თავაპირველი გვარი ნადიბაიძე იყო*** – „მთიულიშვილები ნადიბაიძეებს არ დაუმოყვრდებიან“. ქაისხევში მოსახლე ***ინაშვილების ადრინდელი გვარი ჯიქური ყოფილა***, ჯერ ვეძათხევში დასახლებულან და მერე ინიანოკარში გადმოსულან.

ქაისევის მკვიდრთაგან 1800 წლის განჩინებაში მოხსენიებული არიან: ინაშვილი ბერი, ცილიკი ქიტესა, გაგელიძე გიორგი, მამნიაშვილი, ხულუზაური, ნამგალაურ, ბაბულაშვილი. ამავე საბუთში სოფელი **ბრაჭულთკარი ზემო ქისხევში** მდებარეობდა[130].

მთიულეთის სოფელ გვიდაქეში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით, ქაისხევში მოსახლე ***ჯაბანაშვილები*** და ***ღარიბაშვილები*** აქედან არიან გადასახლებული: „ჩვენი გვარისას ერთს, დიდი ხნის ამბავია, კაცი შემოაკვდა და ქაისხევში გასახლდნენ და დაეწერნენ ღარიბაშვილად და ჯაბანაშვილად. ორი ძმა წასულა და ერთის შთამომავლები ერთ გვარს ატარებენ, მეორესი – მეორეს. ეს *ღარიბაშვილები* და *ჯაბანაშვილები* სალოცავად მოდიან ჩვენს ხატში – გვიდაქეში, ქაშუეთის წმიდა გიორგიში“. ***ადრინდელი***

---

[129] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 371.

[130] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VI, თბ., 1976, გვ. 187-188.

გვარია ბუჩუკური. *მამნიაშილების* ადრინდელი გვარი კი *ზარიძე* ყოფილა.

1781 წლის აღწერაში დაფიქსირებული „ინაური გიორგის შვილი ბერი“ უდავოდ ინაშვილების წინაპარია. ეთნოგრაფიული მასალებით, „ინაშვილები „ქაისხევში ვცხოვრობდით ინიანთკარში. ჩვენი გვარი წარმოშობილი გვიდაქედანა. ძირითადად ბუჩუკურები ვართ. ინა ზესიძედ მოსულა ვიღაც ქალთან. ... მე ანანურში ვარ დაბადებული, მამაჩემი არის ქაისხევში დაბადებული. ქაისხევში ინაშვილები იყვნენ 15 კომლი“ (გრიგოლ ისაკას ძე ინაშვილი, 69 წლის, ანანური, 1983 წ.).

დღეს ბიწმენდში მოსახლე *ბედუკაძეები* ქაისხევიდან არიან გადასახლებული. „ზოტიკიანთკარში იყო სალოცავი *სინითურ წმიდა გიორგი.* ბედუკაძეების გვარის სალოცავი იყო“.

ეთნოგრაფიული მასალა ***გაგელიძეების*** შესახებ: „გაგელიძეები ძირითადად ვართ გუდამაყრიდან. ძველად არიან ჩამოსული და დასახლებულან ქაისხევში. ქაიხევიდან გადმოსახლებულან ტონჩაში. ერთ-ერთ წინაპარს შემოკვდომია კაცი და წინათ კანონი იყო ასეთი, უნდა გამოსცლიყო იმ ტერიტორიას ის ხალხი, ვისაც ასეთი მკვლელობა მოუხდა. ქაისხევში არის სხვადასხვა გვარები და გავრცელებული ყოფილა ლახტაობა და ლახტაობის დროს ქამრის გატაცებაში ერთ-ერთს (ცხრა ძმანი ყოფილან) ხელი ეკრა და ბანიდან გადმოვარდნილიყო და მარგილზე ჩამოგებულიყო და ამის გამო მთელი გვარი წამოვიდა. ერთი ძმა იქვე დასახლდა – უძახიან ზემო გაგელებს. მისი მომდევნო ძმა დასახლდა ტონჩაში და იმის შთამომავლობა ვართ, 6-7 თაობა იქნება გასული. მესამე ძმა კახეთში დასახლებულა, აწყურში და გეგელიძეებად იწერებიან. მთაში ჩვენი სალოცავია ***პირიმზე ფუძის ანგელოზი.*** ქაიხევში გვაქვს სპეციალურად ჩვენი გვარის ხატი – ***უფურეთ წმიდა გიორგი.*** ტონჩაში არის სალოცავი ჩვენი – ***გორანეთ წმიდა გიორგი***“ (ქიტესა იოსების ძე გაგელიძე, 78 წლის, 1978 წ.).

ეთნოგრადიული მასალა ***ბაბულაშვილების*** შესახებ: „ჩვენ ვცხოვრობდით ქაისხევში. ბევრი არ ვართ ძაან. იქაც შალიკიანთკარი ერქვა ჩვენს უბანს და აქაც დაარქვეს შა-

ლიკიანოკარი, იქიდან რომ ხალხი გადმოსახლდა. ***აბულა-შვილების ძირითადი გვარი არის გიგაურები.*** გიგაურებს უცხოვრიათ ჭართალში და აქედან ქვევით წამოსულან. ვიღაც ყოფილა ბაბალე და ზესიძედ მისულა გიგაურის გვარის კაცი და იმის შვილები დაწერილან ბაბულაშვილად. ჭართლიდან წამოსულან ქვევით, ჩამოსულან, ფერხულაანთ ეძახიან ზემო აშში. მერე მანდედან ღონიერი კაცი ყოფილა, ჩხუბი მოსვლია და კაცი შემოკვდომია და ქაისხევში გასულა. ქაისხევიდან აქ ჩამოვსახლდით სოფელში 36-37-ში. სულ დედამიწა დაიძრა, დაიმძღვლა, სახლები დაინგრა ნაწილობრივ და გადმოვედით. ქაისხევში ვეძახით *წმიდა კვირიკეს* – იმას ვლოცულობთ“ (სერგო ვანოს ძე ბაბულაშვილი, 83 წლის, შალიკიანოკარი, 1978 წ.).

„***ქაფიაშვილები*** თავდაპირველად ჭართალში ცხოვრობდნენ. ***ისინი გვარად გიგაურები არიან.*** ჭართლიდან ქაისხევში გადასახლებულან. ამის წინ რამდენიმე წლით ადრე, ქაისხევში მიწა ჩამოზოვდა (მეწყერი) და ამიტომ სოფელ ვეძათხევის მცხოვრებნი იქიდან აიყარნენ და დუშეთის განაპირა უბანში დასახლდნენ. ვეძათხევში, ქაფიაშვილების გარდა, ცხოვრობდნენ ***ინაშვილები*** და ***ხულუზაურები***, აგრეთვე ***ოქრუაშვილები***“. ვეძათხევის საერთო სალოცავი *გორანეთის წმიდა გიორგი* (ეკლესიაა) ყოფილა, აგრეთვე, *კვირაცხოვლის ხატი* (ქვის ჯვარია), *ღვთისმშობელი* (ეკლესიაა) და *ხმალა* (ეკლესიაა). ლოცულობდნენ ლომისას, ჭართლის ღვთისმშობელს, სოფელ ქადაგიანოკარში *ლაშარის ჯვარს* და ჭართლის *ღვთისმშობლის* განძს (=ნიში). ეთნლოგიური თვალსაზრისით საყურადღებოა დეკანოზის მიერ *გორანეთ წმიდა გიორგის* მოხსენიება – *„ხევსურეთის წმიდა გიორგი გორანეთს დაბრძანებული“.* იმავე მონაცემებით, გორანეთ წმიდა გიორგი „უფრო ხულუზაურების, ბაიდაანისა და ინაანის არის. ეს გვარები ხევსურეთიდან არიან პირველად გადმოსულები. ხულუზაურების უფროსს, რომელიც ხევსურეთიდან წამოსილა, ხუზიანი რქმევია. უბით ჩამოუყვანიათ გორანეთ წმიდა გიორგი. ვინც ჩამოიყვანა ის ყოფილა ხულუზაურების პაპის პაპა. ხევსურების ხატი ჩვენა გვმიზეზავდა, საიდანაც ჩვენი იყო მოყვანილი, რო მოიდნენო და გვნახონო“. ირკვევა, რომ გორანეთის/გვარანეთის

წმიდა გიორგის მკვიდრი ყმები გარდა ვეძათხეველებისა, ტონჩელებიც იყვნენ. ამ სოფლების მაცხოვრებლებს პირველად ამ ხატში უნდა „შეეწირათ“ თავიანთი ახლად დაბადებული შვილები. „ტონჩელები და ვეძათხეველები თავის დღეში ერთმანეთის ქალს არ ვითხოვთ. იმ ხატის გაფიცულები არიან“.

„*ცილიკიანი და მამნიანი* ერთი მამის შთამომავლობაა და ორი ძმის ნაშენია. ***მათი გვარი ზარიძე იყო***. ზარიძე ბოდავიდან გადმოსახლებულა პირველად მამნიანებში და შემდეგ ცილიკიანებშიც დასახლებულან. ორივე სოფელი თანდილაანთკარის უბნებია. ძველებიდან გაგვიგია, რომ ჩვენ ხევსურები ვართ წარმოშობითა. მაგრამ ბოდავში ეხლაც არიან ზარიძეები. ბოდავის წმიდა გიორგი ზარიძეების ხატია. ორივე ეს გვარი ბოდავში დადის სალოცავად“.

ამრიგად, ნათლად ჩანს, რომ ქაისხევში თავდაპირველი მოსახლეობა ფაქტობრივად აღარაა შენარჩუნებული, ზემოთ ჩამოთვლილი გვარები მთისწინეთის ამ რეგიონში გვიან შუა საუკუნეებში არიან მოსული აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან. ამ ფაქტს 1669 წლის „წილკნელის ღვთისმშობლის სამწყსოს სიგელიც“ ადასტურებს: „ქ. ქაისხეველებს არა აძევს რა: არა დრამა, არა სახუცო, არა ჩაყენება, წილკნელისა თვინიერ. ...ქაისხეველებს ამიტომ არა ედვათ რა, რომ იმათი გული კიდევ მოუქცევარი იყო: ეფისკოპოზის შესვლას წყინობდნენ, არც ახსარებისა იცოდნენ. ზაალ ერისთავმა რომანოზი წილკნელი შეგზავნა. წილკნელს ჯანღი უყვეს, არ შეუშვეს. ერისთავმა უწყინათ, იასაულები გამოუსივათ, ავად მოეპყრა“[131]. ორი აზრი არ არსებობს – საბუთით აშკარაა, რომ მთიდან ჩამოსახლებულებისათვის უცხო იყო ქრისრიანული ღვთისმსახურება. მათში ქრისტიანულს წინარექრისტიანული სჭარბობდა, „იმათი გული კიდევ მოუქცევარი იყო“. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ქაისხეველები არც შემდეგ ასრულებდნენ საეკლესიო ვალდებულებას, რასაც ადასტურებს 1792 წლის ვახტანგ ბატონიშვილის ბრძანება: „ბატონიშვილი ვახტანგ გიბრძანებ, ბოქაულ-

[131] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, თბ., 1970, გვ. 553.

თუხუცესო ბეჟან! მერე, ყოვლად სამდდელოს უფალს წირკ-ნელისათვის ქაისხეველთ დრამა სახუცო და, რაც საეფის-კოპოზო სამსახური არის, უნდა მოერთმევინათ...[132]“

სოფელ **პავლეურში** 1774 წელს 18 ოჯახი მკვიდრობდა. აქედამ 13 „მემკვიდრე“, ე. ი. ადგილობრივი იყო, ხოლო და-ნარჩენი ხუთი ხიზნებს და ერთი ბოგანოს (ე. ი. მოსულებს) წარმოადგენდნენ. მემკვიდრეთაგან ყველა პავლეურის გვა-რისა იყო. პავლეურის გვარი პირველად 1688-1694 წლების საბუთშია მოხსენიებული. 1781 წლის აღწერაში პავლეურში 14 კომლი ცხოვრობდა. ამ აღწერაში გვარსახელი ***პავლეუ-რი*** აღარსად ფიგურირებს, მაგრამ წინა 1774 წლისა და 1871 წლის აღწერების შედარება გვიჩვენებს, რომ მამის სახელე-ბით ჩაწერილნი გვარად პავლეურები არიან. პირველ აღწე-რაში შეყვანილია „პავლეური გამიხარდის შვილი როსტე-ვან, გიორგი და ფიცხელა“, 7 წლის შემდეგ ჩატარებული აღწერა ამ კომლს მხოლოდ ასე აფიქსირებს: „გამიხარდის შვილი როსტევან, გიორგი, ფიცხელა“, შესაბამისად, „პავ-ლეური პეტრეს შვილი გიორგი, ბერი, ტურია და შერმაზან“ – „პეტრიას შვილი გიორგი, ტურია, ბერი“; „პავლეური ბე-რას შვილი დარჩია“ – „ბერის შვილი დარჩია“; „პავლეური ფაცხვერას შვილი მამუკა და დათუნა“ – „ფაცხვერას შვი-ლი მამუკა, დათუნა, გამიხარდი“; „პავლეური გარსევანის შვილი გამოსაედი და ბერი“ – „გარსევანის შვილი ბერი“; „პავლეური გულბათას შვილი ხოსრო და ფაცხვერი“ – „გულბათას შვილი ფოცხვერი“; „პავლეური ჯაბანას შვილი გიორგი და ხოსრო“ – „ჯაბანას შვილი“; „პავლეური მამუ-კას ობოლი ისე და შერმაზან“ – „მამუკას შვილი ისე და შერმაზან“[133]. შვიდი წლის შემდეგ აღწერაში აღარ ჩანს 4 კომლი ხიზანი (ჭინჭარაული, დორეული, გაბიდაური). მხო-ლოდ ორი ასეთი კომლი აგრძელებდა აქ ცხოვრებას: „ხი-ზანი ხარჭაშნელის ყმა თიანელი სისოურის გამოხარდის შვილი ძაღლია“ (1774 წ.) – „ხიზანი ხარჭაშნელის ყმა სი-სოური ძაღლია“ (1781 წ.) და „არღუთაშვილის ყმა დავითა

---

[132] ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი, 1903, 263.

[133] შდრ.: ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 120.

და ნინია“ – არღუთაშვილის მოსეს ყმა დავითას შვილი ნინია“. 1781 წლის აღწერაში შეყვანილია კიდევ ორი კომლი *ბალიაშვილი* (2 კომლი). როგორც ჩანს, პავლეურში დაწყებული იყო ახალი გვარების წარმოქმნის პროცესი, რადგან შემდეგ თანდათან ქრება პავლეურის გვარი და მამის სახელები გადაიქცევა გვარსახელებად. 1886 წლისათვის ***პეტრიაშვილები*** უკვე 7 კომლი იყვნენ, ამავე რაოდენობით მოსახლეობდნენ აქ ***ხოსიაშვილები***, თუმცა მათი გვარი 1781 წლის აღწერაში დაფიქსირებული არ იყო. დანარჩენი გვარები შემდეგი რაოდენობით იყვნენ: ***ჯაბანაშვილები*** – 4, ***როსტიაშვილები*** – 3, ***ფოცხვერაშვილები, მამუკელაშვილები*** და ***გულბათაშვილები*** – 2-2, ***პაპიშვილი, ბერუაშვილი, ჩოლიაშვილი, ხუმარაშვილი, გარსევანაშვილი*** – თითო კომლი. 1843 წლის კამერალური აღწერის დავთარში პავლეურის გვარი ჯერ კიდევ ჩანს: ბერიშვილებს და ჩოლიაშვილებს მიწერილი აქვთ ადრინდელი გვარი – პავლეური, აგრეთვე, ხოსიაშვილებს, ჯაბანაშვილებს, მახარაშვილებს, იგივე გულბათაშვილებს, მამუკელაშვილებს, ჩიტალაშვილებს, ნინიაშვილებს, გოგიაშვილებს, გამიხარდაშვილებს. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, სოფელში მცხოვრებ 20 გვარის უფროსს მეორე გვარი (პავლეური) აქვს მიწერილი[134]. პავლეურიდან სოფელ წინამძღვრიანთკარში რამდენიმე თაობის გადასახლებულები არიან გულბათაშვილები.

ეთნოგრაფიული მასალებით პავლეურში მცხოვრები გვარების უმეტესობა ხევსურეთიდანაა მოსული: ხევსურეთიდან ყოფილან მოსული ფოცხვერაშვილები, „ზურაბ ერისთავს წამოუყვანია ობლები იქიდან, სამი ძმა, დედა ჰყოლიათ. გაუყვანია ბაზალეთის მინდორზე, არ უქნიათ იქ დასახლება. გამოუხედია და ეს მთა ურჩევიათ. შემდეგ კი ბევრი ჩვენი გვარისა გადასახლებულა ერედას. მათი გადასახლება არ მახსომს. იტყოდნენ ხოლმე, რომ ***ზოგი ამბობს ჭინჭარაული იყოო, ზოგი ამბობს ლაშქარაული იყვნენო.*** ... პეტრიაშვილები და ფოცხვერაშვილები ერთი გვარისანი არიან, ერთი კაცისაგან მოდიან. ხევსურეთში დადიოდნენ

[134] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქმე № 2126, გვ. 1-7.

ჩვენი წინაპრები, ხახმატში დადიოდნენ, ლაშარშიც ლოცულობდნენ, უკანაფშავში, კურატები მიჰყავდათ. პეტრიაშვილებსა და ფოცხვერაშვილებს შორის ქალის გათხოვება არ შეიძლებოდა, ეხლა დაირღვა“ (თედო ქიტოს ძე ფოცხვერაშვილი, 83 წლის, სოფელი პავლეური, 1983 წ.). დასახელებული ორი გვარის განაყრები არიან აგრეთვე ხოსიაშვილები და ბალიაშვილები. „ჩოლიაშვილებიც პეტრიაშვილებს და ფოცხვერაშვილებს ეკუთვნის, ერთი წინაპრიდან მოვდივართ“. თითქმის იგივე გადმოცემაა აქვთ შემონახული გულბათაშვილებს: „ჩვენა ვართ ხევსურეთიდან გადმოსულები. ადრე წინათ, ერთი 120 წლის იყო პეტრიაშვილი და იმისაგან ვიცი გადმოცემით, დაქვრივებულა ერთი დედაკაცი და ყოლია 3 ბიჭი. გადმოსახლებულა ისა ბაზალეთის მინდორზე ობოლი და უოქვია, რომ მე აქ ვერ შევინახავ შვილებსაო, იმ მთის ძირს მიმასახლეთო და წამოიყვანეს და მოასახლეს პავლეურში. ორ ძმაზე მოდის პავლეური. მესამე ძმისა ახლა აღარავინ არის. ჩვენა ყველა გვარი ამ სოფელში იმ ორი ძმის შთამომავლები ვართ. მესამე ძმისა პაპიაშვილები იყვნენ, ერთ კომლზე მოდიოდნენ. ... სოფლის მთავარი სალოცავი *ხმალა ღვთიშობელია*, პატარძლის, ბავშვის გარევა ხმალა ღვთიშობელში ვიცოდით. სიმღერის მიხედვით მეორეზეა *ადგილის დედა წმიდა გიორგი*. ბარში, საგურამოსა და დუშეთში გულბათაშვილები რომ არიან, აქედან არიან გადასულები, აქ მოდიან ეხლაც სალოცავად“ (პავლე თედოს ძე გულბათაშვილი, 81 წლის, სოფელი პავლეური, 1983 წ.).

ზოგჯერ გადმოცემები გვარების მოსულობისა და სადაურობა-წარმომავლობის შესახებ ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგალითად, ზემოთ მოხმობილი მასალის თანახმად, გულბათაშვილები ძირად ხევსურები არიან, მაგრამ სხვა მთხრობლის მიერ მოწოდებული მასალით, ისინი, როსტიაშვილებთან ერთად, მთიულეთიდან, კერძოდ, ხადადან არიან მოსული.: „გადმოცემაა, რომ ერთ ძმას გულბათა რქმევია, მეორეს – როსტია და ამის მიხედვით წამოვიდა ეს გვარები. ანანურის როსტიაშვილები და დუშეთის როსტიაშვილები ჩვენებია. ანანურში ცხოვრობდა სოლომონ როსტიაშვილი, იმისაგან ვიცი, რომ ჩვენი როსტიაშვილები, გულბათაშვი-

ლები და ნარიმანიძეები ერთები ვართო. ხადადან მოვსულ-ვართო. ნარიმანიძეები, გულბათაშვილები და როსტიაშვილები ერთმანეთში ქალს არ გაათხოვებენ“ (სონა მათეს ასული ამირიძე-როსტიაშვილი, 65 წლის, სოფელი პავლეური, 1983 წ.). აქ კიდევ ერთი უზუსტობაა – ნარმანიძეები ხადის მკვიდრი მთიულები არ იყვნენ.

აღნიშნილი გვარების წინაპართა პავლეურში მოსვლამდე, ადრე სხვა გვარებს უცხოვრიათ, კერძოდ, ***სვიანაიძეებს, თორელაანებს, კვიცაანებს*** („კვიცაანთკარი აქ ახლოს არის, ზევით ნასოფლარია. კვიცაანთ ზევით ყოფილა თორელაანების სოფელი“). პავლეურის ირგვლივ, ტყეებში არაერთ სხვა ნასახლარს მიუთითებენ. მთხრობელი იმასაც აღნიშნავს, რომ „არავინ იცის, სად წასულან“. მთიელთა პავლეურში მიგრაციაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ სოფელში *წმიდა გიორგის, ღვთიშობლის, კვირაცხოვლის* სალოცავებთან ერთად *ხმალასი* და *ადგილის დედის* სალოცავებიცაა. ხმალაზე კი სალოცავად მოდის ერედის, საგურამოს და მისაქციელის მოსახლეობა. პავლეურელებს საერთო საზიარო სალოცავი აქვთ ხორხისა და დოლასქედის მოსახლეობასთან. ამ სალოცავს პავლეურელები „წვერის წმიდა გიორგის“ უწოდებენ, ხორხლელები – „წვერის ანგელოზს“. საგულისყუროა გადმოცემა წვერის ანგელოზის შესახებ: „წვერის ანგელოზზე დევი ყოფილა შაჩვეული. დღეობის დროს მიდენილა და თითო ბიჭი მიყოლებია საჭმელად, არჩევდა ამ ბიჭებს. მერე ერთი ბიჭი მისულა, მე ბოლოში დავჯდებიო. ხმლითა ყოფილა თურმე გამზადებული. რო რამე მოხდეს აქაო, ხმა არავინ ამოიღოსო. მერე რომ მისულა ის დევი, დევს უთქვია, სულ იმას მაყვედრით, თავიდან არჩევო და ეხლა ბოლოდან წავიყვანო. იმ ბიჭს უთხრა, ვინც ბოლოში იჯდა, წინ გამიძეხიო. ეს ბიჭი გაუძღვა წინ, მოტრიალდა და გააგდებინა თავი, თავი იძახდა, გავსკდი, გავსკდიო. ბებერმა დაუძახაო, გასკდი და გაგიწყრა წმიდა გიორგიო“ (თედო ქიტოს ძე ფოცხვერაშვილი, 83 წლის, სოფელი პავლეური, 1983 წ.).

პავლეურში აღნიშნილი გადმოცემის სხვა ვარიანტიც დაფიქსირდა: „პირველი ყველაზე ძლიერი სალოცავია „ხმალა ღვთიშობელი“, ბავშვი აქ უნდა გაგვერია. მაღლა სოფ-

ლის თავზე გვყავს „წვერის წმიდა გიორგი“. მაგას, წმიდა გიორგის დევები ყოლია და პირველი ბავშვი იმ დევებს უნდა ეჭამა. იქ უნდა აეყვანათ დედ-მამას. დევი მივიდოდა და პირველ შვილს პირს დაავლებდა. ერთხელ როცა *წვერობა* იყო, გასათხოვარი ქალი იყო და წავიდა იმ ხატში, ხატობას. ეს ქალი არ მიყავდათ ხატში, რადგან გასათხოვარი იყო. იქ რო წასულა ეს ხალხი, *ხმალა ღვთიშობელთან* პირდაპირ არის სახთოს ანგელოზები (ხატი), სადღაც სიბერისაგან ხატი დაღუპულა. ყველა ანგელოზი წასულა, მაგრამ *ხმალა ღვთიშობელი* მანდ იყო ჩვენთან ახლოს დაბინავებული და ვერ წავიდა. დაიძახა იმ ხატმა, არ ამამდის სული, სანამ ხმალა ღვთიშობელი არ მოვაო. ადგა ეს *ხმალა ღვთიშობელი* და წავიდა – ნაბარევი მოუვიდა, წამოვიდა, ვერ ვკვდები, სანამ არ მოვაო. მდიდარი ყოფილა და დაურიგა ხატებს ყველაფერი. წასულა, მისულა და ისეთი ხმალი უჩუქებია იმ ხატს, რო მოდის *ხმალა ღვთიშობელი* თავის ადგილზე, რომ უნდა მოვიდეს მიწაზე დასთრევს ხმალი და დიდია და ვერ ერევა. ამოსულა *ხმალა ღვთიშობელი* და აქაურ ხალხს იმის კარზე გუთანი ბმია და რო გადაუხედია, უთქვია, მაგას რას აკეთებთო, რატომ ხნავთო, ადრე იქ არასდროს არ მოხნულა, დიდი მეიდანია; ეს რო დაიძახა, ვერ გააშეშა. აი იმ ხატმა ხმალი რო გამოატანა, ამოუწევია ხმალი სამი თითის დადება და გაშეშებულან ისინი. რო არ ამოეწივნა, არ გაშეშდებოდნენ ისინი. მერე რომ გაშეშებულა ხარ-გუთანი, მერე ხალხს ფეხი აღარ მიუდგია. ისე ღვთიშობელი ჰქვივნებია და იმან რომ ხმალი აჩუქა, ხმალა ღვთიშობელს ეძახიან. იმის შემდეგ ვსწირავთ საკლავს... ხმალა ღვთიშობელის ხევის გაღმა არის სალოცავი ხატი „საღვთო ანგელოზი“. *საღვთო ანგელოზთან* იყო ობოლი ბიჭი. იმ ღვთიშობელს ამანათივით ებარა ეს ბიჭი. რახან ობოლი იყო, ხატი პატრონობდა. ის გოგო, პირველი მსხვერპლი დევისა, პირველა შვილი რომ წავიდა აქედან *წვერის წმიდა გიორგიში* და იქ ხომ დევს უნდა შეეჭამა, ისივა ყავს ამ სალოცავს დევები. მიბძანდი შუაღამისას თუ გაივლი, იმ ობოლი ბიჭისათვის ხმალი შეება ხმალა ღვთიშობელს და ეთქვა: არავის დაენახო და როცა მაგ გოგოს დევი შეჭმას დაუწყებს, ხმალი სამ თითზე ამოწიეო

და ეს გოგო გაჩუმდებაო და შენ დევს კიდევ უთხარი, გამამყეო, წამომყეო. გოგოსთან საქმე არა გაქვს და მე გამომყეო. გაიმძღვარა დევი წინ ამ ბიჭმა. უთხრა წინ გამიძეღ, მე შენი სახლის გზა არ ვიციო, მაგრამ უკან არ მოიხედოო. არ მოიხედა დევმა უკანა. ამ ბიჭმა დაჰკრა თავში დევს ხმალი და იქვე მოკლა. წამოიდა ისეთი ნიადორი, რომ ეს ხალხი, მლოცავი, ნახევარი სულ დახოცა. ეს ხალხი რომ დაიხოცა, ამ გივს (ვინც მოკლა დევი), დევის სული ჩაუვარდა. დაბრუნდა და როცა გადმოიხედა და ხმალა ღვთიშობელი დაინახა ქედზე რომ გადმოდგა, გივი მოკვდა. წავიდა თითონ ხმალა ღვთიშობელი და თითონ წამოიღო ხმალი და გივიც წამოიღო და თითონ დაასაფლავა. ძველი ხალხისაგან და წინაპრებისაგან, შვილო, ეგრეა გადმოცემა. ეხლა ძროხას რომ პირველი ხბო ეყოლება, უნდა აუყვანოს და იქ დაკლას ხმალა ღვთიშობელში. ხმალა ღვთიშობელმა შეცვალა ის წესი, რომ პირველ შვილს იქ, *წვერის წმიდა გიორგიში,* დევი ჭამდა და დაწესა პირველი შვილის მაგიერ პირველი ხბოს შეწირვა. გივის ნასახლარია ეხლა მაგ ხატში – „საღვთო ანგელოზი“ (სონა მათეს ასული ამირიძე-როსტიაშვილი, 65 წლის, სოფელი პავლეური, 1983 წ.).

ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ დღეს ქართლის სოფელ ერედაში მცხოვრები *ფოცხვერაშვილები* პავლეურიდან გადმოსახლებული ორი ძმის შთამოამავლები არიან.

სოფელ **ციხისძირში** 1935 წლის მონაცემებით ყველაზე დიდი ორი გვარი იყო: ***ყარმაზანაშვილი*** (17 კომლი) და ***გულაშვილი*** (14 კომლი); ***ცოცხალაშვილი*** 8 კომლი ცხოვრობდა, ***ბიჭიაშვილი*** – 5 კომლი, ***ჯღუნიაშვილი*** – 3, ***ებრელიძე, რუხიაშვილი*** და ***გოზიტაშვილი*** – 2-2. რამდენიმე გვარი პავლეურიდან იყო გადმოსული, მაგალითად, ***ჯაბანაშვილი*** (7 კომლი). 1781 წლის აღწერა, სამწუხაროდ, მწირ ინფორმაციას შეიცავს, რადგან სოფელში მცხოვრები 17 კომლის უფროსები ძირითადად არა გვარით, არამედ გვარის დანაყოფით, თუ მამის სახელით არიან ჩაწერილი. ვხვდებით მხოლოდ „ყარმაზანის შვილ გოგია“-ს და „ბოგანო ცოცხალას შვილ პატარკაცს“. 1774 წლის აღწერის დავთარი გვიდასტურებს, რომ ციხისძირში, 1781 წლის აღწერის

დავთარში აღრიცხული *პატარკაცის შვილი, ხოსროს შვილი, გოდერძის შვილი, ელისბარის შვილი, ნადირის შვილი, შერმაზანის შვილი* ძირად ***გულაურები*** არიან, რომლებიც დღეს გულაშვილებად იწერებიან, ხოლო *ყარმაზანის შვილი, ცოცხალას შვილი და დემეტრეს შვილი* – ***ებრელიძეები:*** „გულაური პატარკაცის შვილი ნაცვალი ავთანდილ და ჭიჭო“. „გულაური ხოსროს შვილი გამიდარდი და ელისბარ“ (1781 წლის აღწერაში ელისბარის ნაცვლად გვხვდება „მაწაწუნი“), „გულაური გოდერძის შვილი ნინია და ივანე“, „გულაური ელისბარის შვილი მამუკა“, „გულაური ნადირას შვილი ლომნია და ბერი“; „ებრაელიძე ყარმაზანის შვილი გოგია“, „ებრაელიძე ცოცხალას შვილი გივი, გიორგი და ივანე“, „ებრაელიძე დემეტრეს შვილი ისე“...[135] 1886 წლის საოჯახო სიებით, გულაშვილი ციხისძირის ყველაზე დიდი გვარი იყო (16 ოჯახი), 9 ოჯახი იყო ყარმაზანაშვილების გვარი, ჯღუნიაშვილები, გოზიტაშვილები – 3-3, ბიჭიაშვილები, მირზიაშვილები და ჭილაშვილები – 2-2. ინფორმატორები ბიჭიაშვილების, რუხიაშვილების და მირზიაშვილების ადრინდელ გვარს ებრაელიძეს მიუთითებენ.

1774 წლის აღწერის თანახმად, ციხისძირში მემკვიდრეთა გარდა ორი კომლი ბოგანო და ერთი კომლი ხიზანიც ცხოვრობდა; ესენი იყვნენ: „ბოგანო ებნისელი *ჯარიაული* ცოტის შვილი როსები“ (1781 წლის აღწერაში – „ბოგანო ებნისელი ცოტიასშვილი გიორგი“), „ხიზანი გოგია ფიცხელაურის ყმა კორინთელი *გოგოლაური* გივის შვილი გიორგი“.

ეთნოგრაფიული მასალებით, ძირად ***ებრიალიძეები*** არიან ***ჯღუნიაშვილები, ცოცხალაშვილები*** და ***მირზიაშვილები.*** „ჯღუნიაშვილები და ბიჭაშვილები ადრე ყოფილიყო ერთი გვარი და ეხლა ცალ-ცალკე გვარად იწერება. ცოცხალაშვილი და ყარმაზანაშვილებიც ერთი გვარის ხალხი ყოფილან“. გოზიტაშვილებიც თავიანთი წინაპრების საცხოვრისად ხევსურეთს მიუთითებენ: „ჩვენი გვარი მოსულა ხევსურეთიდან. ხევსურეთში არაბულები ვიყავით. ვინც გადმოსახლდა, ერქვა *ჯუგარა*, რომლის შთამომავლები ვართ გო-

[135] ე. თაყაიშვილი. მასალანი საქართველოს..., თბ., 1907.Tგვ. 485.

ზიტაშვილები. ლეიბურის შვილები დაეწერნენ ხოსიაშვილებად პოვლეურში, მესამე გულანთში დასახლებულა და გულაშვილებად იწერებიან“ (ლადო მოსეს ძე გოზიტაშვილი, 97 წლის, სოფელი ციხისძირი, 1982 წ.). მნიშვნელოვანია ციხისძირის 1843 წლის სახელმწიფო გლეხების აღწერის დავთარში, რომელშიც მხოლოდ გულაშვილებს (8 კომლი) არა აქვთ ადრინდელი გვარი მითითებული, დანარჩენებს – ყარამაზანაშვილებს, ცოცხალაშვილებს, გოზიტაშვილებს, ჯღუნიაშვილებს, ბერიშვილებს, რუხიაშვილებს და გივიშვილებს – მითითებული აქვთ ადრინდელი გვარი – ებრელიძე. ერთი ცოცხალაშვილ-ებრელიძე 1852 წელს სოფელ ბაგაში იყო გადასახლებული[136].

საყურადღებო ფაქტია, რომ *ციხისძირის წმიდა გიორგი* არის *აფხავ წმიდა გიორგის* ნიში, რასაც სალოცავზე არსებული წარწერაც ადასტურებს: „ნიში აფხავ წმიდა გიორგისა. გულაშვილი“. სალოცავთან დიდი რაოდენობით ერბოს ქილები ეწყო. საერთოდ, მთელი სოფლის საერთო სალოცავად უფრო „ესოჯეს წმიდა გიორგი“ ითვლება, რომელიც სოფლიდან 3 კილომეტრის მოშორებით მთაზეა. მაგრამ ეს სალოცავი მაინც ძირითადად ყარმაზანაშვილებისა და ცოცხალაშვილების სალოცავად მიიჩნევა. აქ ნასახლარებში არის აგრეთვე *ლომისას* ნიშიც. აღნიშნული ორი გვარი ამ ნასახლარებს თავიანთი წინაპრების ოდინდელ საცხოვრისად მიიჩნევს.

სოფელ ციხისძირის შესახებ კიდევ ერთ საყურადღებო ეთნოგრაფიულ ფაქტს უნდა შევეხოთ. ***ყარმაზანაშვილებსა და ცოცხალაშვილებს ნაყიდობა ჰქონიათ დავათში, საშაბუროსა*** და ***ერწოში.*** „იქა ვხნავდით, ექვსი ძმანი ყარმაზანი ყოფილან და სამი – ცოცხალათი. ერთი თავის ნაყიდობაზე წასულა ერწოში, ყარმაზანათა რგებიათ დავათში. აქ გაუყიდიათ დავათში და სულ აქ მოხვეულან ყარმაზანი და მამული ხო ცოტა ექნებოდათ. ჩემი, ცოცხალაშვილის, მამაბიძანი კიდევ წასულან ერთი ერწოში და მეორე – საშაბუროში“ (ლადო ონისეს ძე ცოცხალაშვილი, 82 წლის, სოფელი ციხისძირი, 1983 წ.).

---

[136] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქ. № 2126, გვ. 7-13.

პავლეურსა და ციხისძირთან ახლოს მდებარეობს სოფელი **ავენისი.** 1935 წელს ავენისში *ქოჩორაშვილები* (5 კომლი) და *ნათელაშვილები* ცხოვრობდნენ. 1926 წელს ავენისში უფრო მეტი მოსახლეობა იყო (23 კომლი). სამწუხაროდ, არქივში ავენისის 1886 წლის საოჯახო სიები არ აღმოჩნდა, არადა აღწერა ნამდვილად ჩატარდა, რადგან ამ 1886 წლის სოჯახო სიების სატატისტიკური მონაცემები გამოქვეყნებულია. სოფელი მაშინ პავლეურთან ერთად, ავნისის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა და ითვლიდა 37 კომლს. 1843 წლის აღწერის დავთარში ავენისში 22 კომლია დადასტურებული: *ნათელაშვილი* (12 კომლი), *ჭრელაშვილი* (3 კომლი), *პაპკიური* (2 კომლი), *ბრაჭული* (1 კომლი) და *დათუაშვილი/დათიაშვილი/დათვიაშვილი* (3 კომლი). ამ უკანასკნელთა ერთ ოჯახს მეორე გვარი – *ქოჩორაშვილიც* – აქვს მიწერილი[137]. 1873 წლის აღწერის დავთარი ასეთ სურათს იძლევა: *ნათელაშვილი* (11 კომლი), *ჭრელაშვილი* (3 კომლი), *გვიანაური* (6 კომლი), *ქოჩორაშვილი* (3 კომლი), *ბრაჭული* (2 კომლი), და თითო კომლი *გარსევანიშვილი, მამსირაშვილი* (გადმოსახლებული იყო ანანურიდან 1873 წელს) და *ბურდული* (გადმოსახლებული იყო ქვემო მლეთიდან 1870 წელს)[138]. 1843 წელს აღწერილი დათუაშვილ-დათიაშვილი-დათვიაშვილებიდან ადარცერთი არ ჩანს. 1781 წლის აღწერის დავთრით, ავენისში 20 კომლი ცხოვრობდა, რომელშიც გამოკვეთილი გვარი მხოლოდ პირველ მათგანს უწერია: „ნათელიძე როსტევანის შვილი ხახო, დემეტრე“. დანარჩენებიდან უმრავლესობა, როგორც ჩანს, ასევე ნათელიძე-ნათელაშვილია, ოღონდ დაფიქსირებული არიან მამის სახელით („მგელას შვილი იასე, გოგია“, „ნებიერის შვილი ქოჩორა, ბერი, ნინია“ და ა.შ.). მაგრამ აქვე მოხსენიებული არიან „დათუნას შვილი როსტევან“, „დათვიას შვილი ზურაბა“ და „ჭრელოს შვილი გიორგი და ბერი“. სავარაუდოდ ესენი სოფელში გვიან მოსახლე დათუაშვილ-დათია-

[137] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქმე № 2126, გვ. 59-64.
[138] სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქმე № 226, გვ. 2-12.

შვილ-დათვიაშვილების და ჭრელაშვილები უნდა იყვნენ. ავენისელ და ბაზალეთელ ნათელაშვილებს საერთო წარმომავლობა აქვთ. ფშავიდან გადმოსახლებულები ჯერ ავენისში დამკვიდრებულან და ნაწილი შემდეგ ბაზალეთში გადასულა საცხოვრებლად. ისიც ირკვევა, რომ ავენისელი ნათელაშვილების ერთი ნაწილი ძირად გარსევანიშვილია. ***ქოჩორაშვილების წინაპარი ავენისში ხევსურეთიდან მოსულა, რომელთა ძირი-გვარიც ჭინჭარაულია.*** ამ უკანასკნელთა წინაპრის ავენისში ჩამოსახლების ძირითადი მიზეზი „დიდი ადგილ-მამულები ყოფილა“ – „ცალკეულ მხარეს ვხნავდით, ცალ მხარეს ვასვენებდით საქონლისათვის“. XX საუკუნეში როგორც ავენისის, ისევე ქაისხევის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ანანურში მოიყარა თავი.

ერთი საყურადღებო ფაქტია დადასტურებული 1821 წლის ავენისის აღწერაში – აქ მოსახლე ნათელაშვილების 18 კომლი „-შვილი“ სუფიქსის გარეშეა აღრიცხული – «Нателo», *დათუაშვილი/დათიაშვილი/დათვიაშვილები* – «Датиа»/Датиова»-ად, *ჭრელაშვილი* – «Чрелов»-ად.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ავენისში უცხოვრიათ ***გვიანაურებსაც***, 2 კომლი ყოფილა, „აღარ არიან, დაიხოცნენ, ქალები დათხოვდნენ. მე მომსწრალი არა ვარ, ***წუნაშვილები*** ყოფილან, დაიხოცნენ“ (ვანო ფრიდონის ძე ნათელაშვილი, 84 წლის, ანანურში ავენისიდან გადმოსახლებული 1980 წელს, 1983 წ.). „ფშავიდან ჩვენს წინაპრებს წამოუბრძანებიათ ავენისში *წმიდა გიორგი, მთავარანგელოზი, კვირია* – ეს სამი სალოცავი ფშავიდანაა გადმოტანილი. დიდი ხნის ამბავია ამ სალოცავების გადმოტანა. **მიზეზი გადმოსახლების ყოფილა ის, რომ ადგილებს ეხარბებოდნენ. ხალხი მიდიოდა, მოდიოდა, ზოგი კაი ადგილს ეკედლებოდა. მთის ხალხი რამდენია ახლა დასახლებული, ზოგი სად, ზოგი სად“**. *ბრაჭულებს* თავდაპირველი საცხოვრისი ავენისში ჰქონიათ. ქაისხეველი ბრაჭულები ავენისიდან არიან გადასულები. **ხევსურობას და ჭინჭარაულობას ამბობდნენ ჭრელაშვილები და ქოჩორაშვილები**. ამ უკანასკნელთა წინაპარი ნათელაშვილებთან მოჯამაგირედ ყოფილა, რომლისთვისაც მათ ქალი მიუციათ და ასე ჩაჭერია საფუძველი ქოჩორაშვილების გვარს.

აშკარაა, რომ ავენისში მცხოვრები გვარები არც ერთი ძირძველი არ იყო, ყველა მიგრირებული იყო სხვადასხვა დროს, მიგრაცია კი ძირითადად მთიდან ხდებოდა. ეთნოგრაფიული მასალები იმის შესახებაც მიუთითებს, რომ **აქ მცხოვრები გვარები ნასახლარებზე ეფუძნებოდნენ**: „ჩვენ რომ ვართ, მაგაზე წინ ავენისში რამდენიმე კომლს უცხოვრია, ნასახლარებია. ისეთი დიდი ქვებით არის აშენებული, რომ თითო ქვა ორი-სამი ტონა გამოვა. ქვევრები გამოდის კიდევა. წმიდა გიორგიში 32 ქვევრი აღმოაჩინეს, ისე რომ თითო ქვევრი ათასი ლიტრი ტევადობის იქნებოდა“ (ვანო ფრიდონის ძე ნათელაშვილი, 84 წლის, ანანურში ავენისიდან გადმოსახლებული 1980 წელს, 1983 წ.).

1935 წელს **ანანურში** ცხოვრობდნენ: ***როსტიაშვილები*** (2 კომლი), ***ბედოშვილები*** (2 კომლი), ***მაჭავარიანები*** (9 კომლი), ***ინაშვილები*** (2 კომლი), ***ზოტიკიშვილი*** (2 კომლი), ***ყანაშვილი*** (2 კომლი). მომდევნო წლებში ანანურის მოსახლეობა გაიზარდა მეზობელი სოფლებიდან გადმოსახლებულებით. 1886 წელს ანანურის მოსახლეობა 55 კომლისაგან შედგებოდა, რომელთაგანაც ქართველი 22 კომლი იყო, სომეხი – 31 და რუსი – 3. ამ დროს აქ მოსახლე ზოგიერთი გვარი შემდეგ ანანურში საერთოდ აღარა ჩანს, მაგალითად, *პეტრიაშვილები, წიკლაურები, ბარათაშვილები, ფიცხელაშვილები...* იგივე გვარებია დადასტურებული 1873 წლის აღწერაში. 1843 წლის სახელმწიფო გლეხების აღწერიდან დამატებით შეიძლება კიდევ დავასახელოთ: ***თორელიშვილები*** (იგივე ***ფშავლიშვილები***), ***ციმაკურიძეები*** (2 კომლი). სომხებად ჩაწერილი ***ბერელოვების/ბერელაშვილების*** ადრინდელი გვარი ***დიდუაშვილი*** ყოფილა, ***ყანდინაშვილებისა – მუხაშვილი, შაქაროვებისა – შაქარაშვილი*** (ისინი უფრო ადრე ***ჟამუტაშვილები*** ყოფილან). სხვათა შორის, ამ აღწერაში სომხებად არიან ჩაწერილი ***ჭინჭარაშვილებიც.*** ანანურის 1781 წლის აღწერის დავთარში გვიანდელი გვარებიდან დადასტურებული არიან *ყანაშვილები* („კიკო კობიაშვილის ყმა ყანას შვილი დათუნა“) და *ბრაჭულები* („ბრაჭული დეკანოზის შვილი დეკანოზი დავით, ზაქარია, ფილიპე და შიო“, „ბრაჭული ზაქარიას შვილი ივანე, ლაზარე“). შოფელში იყვნენ ბოგანოები და ხიზნები, რომლებიც ძირითადად

მთიულეთიდან იყვნენ მოსული, მაგალითად, „ბოგანო ხადელი ქვიცური ჭრელა“, ბოგანო ხადელი გოჭის ობოლები გოგია და ნიკოლოზ“ და სხვა.

XVII საუკუნის მიწურულის შეწირულობის წიგნით, ბარძიმ ერისთავს „ანანურის ღმრთისმშობლისათვის“ შეწირავს ანანურში მცხოვრებნი: ***როსტია, ნადირა და საღირ წუნაშვილები, სიდაშვილი, გიორგი ბედოშვილი, პაპუნა ბასილაშვილი, იოვანე*** და ***ხოსიტა ზაქარიაშვილები, დათუნა*** და ***ბერი იგოიძეები, გოჩიაშვილი თამაზა***[139]. ბედოშვილების გარდა, ამ გვარებიდან შემდეგ ანანურში აღარც ერთი აღარ გვხვდება.

ანანურთან ახლოს მდებარეობდა სოფელი **ფხუნდავი,** რომელშიც 1886 წელს 11 კომლი ***შადაშვილი*** ცხოვრობდა. შადაშვილებში ორ შტოს გამოყოფენ – ერთი ნამდვილი შადაშვილები და მეორე „ხამხაძიანი. ხამხაძეები ფხუნდავში ამანათად მისულან და „რადგან სოფელი იყო ერთი და ერთი გვარის ხალხი ცხოვრობდა, დაეწერნენ შადაშვილად“. აქაურთა განმარტებით, **„ამანათს მოჯამაგირეს ეძახდნენ, რომ მიეკედლები კარგ ოჯახს“** (გიორგი ზურაბის ძე შადაშვილი, 78 წლის, ანანური, 1983 წ.). საყურადღებოა, რომ ფხუნდავში სხვა სალოცავებთან ერთად (*დედაღვთიშობელი, წმიდა გიორგი, კვირაცხოველი*), ჰქონდათ აგრეთვე *სალოცავი ნიში „რომელსაც „განძს“* უწოდებდნენ, მის დღეობას კი – **„განძობას“** („განძობის“ დღესასწაული ჰქონდათ აგრეთვე ჭართალში. შდრ. აგრეთვე არაბულთა, ჭინჭარაულთა და გოგოჭურთა გაერთიანების სახელწოდება „სამაგანძურო“). ფხუნდავში მცხოვრებთ ტიპური ბარული მეურნეობა ჰქონდათ გამართული, რომელიც შეთანაწყობილი იყო მთისწინა მეურნეობასთან; გამოიყენებდნენ როგორც დიდ ქარრთულ გუთანს, ისე აჩაჩას: „აჩაჩა გუთნებიც გვქონდა და დიდი გუთნებიც. 7-8 უღელს შააბავდნენ და ისე ხნავდნენ. აჩაჩით გაზაფხულით ხნავდნენ. უღელი ყოფნიდა და ყევარი ყოფნიდა აჩაჩას. მამაჩემი თავად აკეთებდა ორივე გუთანს. შემოდგომით ვერ მოხნავდა აჩაჩა, მიწა მაგარია და გაზაფხულით – ჩვილი. ადვილი სახნავი იყო და აჩაჩა

---

[139] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993, გვ. 140.

ხნავდა. ურემი გვქონდა ხისა – საძნე და საბარო. ბოლოთ-რიებიც გვქონდა, იმით ვზიდევდით ძნასა. მარხილები გვქონდა, ზამთარში ვხმარობდით. ურმები ბევრი იყო და ბოლოთრია აუცილებლად უნდა ჰქონოდა თითო კომლსა. Სერდებიდან ბოლოთრიით გამოგვქონდა და ვაკეები საცა იყო – ურმითა. ვენახები არა გვქონდა, არ მოვსწრებივარ, რომ იქ ვენახები გვქონიყო. ახლა კი შემოიღეს. ავენისში კი ყოფილა ვენახები, კაი ადგილია, ფიცხი, ნამდვილი ყურძნის ადგილია (გიორგი ზურაბის ძე შადაშვილი, 78 წლის, ანანური, 1983 წ.)

1935 წელს **არანისში** სულ 13 გვარი იყო აღრიცხული, ყველაზე დიდი რაოდენობით კი *თეთრუა შვილები* იყვნენ (30 კომლი), *ზანდუკელები* (13 კომლი), *ჭინჭარა შვილი* (11 კომლი), *მოძმანა შვილები* და *ხიტალი შვილები* (8-8 კომლი), *ლომა შვილები* (6 კომლი), *უთურგა შვილები* და *ხადილა შვილები* (5-5 კომლი)... 1886 წლის აღწერაში დამატებით გვხვდება აგრეთვე *კურდღელა შვილებისა* (3 კომლი) და *ზარიძი-შვილების* (4 კომლი) გვარები[140]. ეს უკანასკნელი გვარი 1821 წლის აღწერაში ზარიძეებად არიან წარმოდგენილი. მაშინ ზარიძეები უფრო მეტნი ყოფილან (6 ოჯახი), რომელთა კლება მათ ერწოსა და მჭადიჯვარში მიგრაციას გამოუწვევია[141]. 1886 წელს დადასტურებულია აგრეთვე გვარი *ჯავახი*. 1873 წლის აღწერაში კი ამ ოჯახს ასეთი მინაწერი აქვს: „უკანონო შობილი ბესარიონ ჯავახისა ხაქარა“[142].

არანისი აზნაურ **ზანდუკელების** სოფელი იყო, რომელშიც ძირითადად მათი ყმა-გლეხები ცხოვრობდნენ. არანისი პირველად 1669 წლის წილკნელის საბუთშია მოხსენიებული. რაც შეეხება ზანდუკელებს, ისინი თავდაპირველად არაგვის ერისთავების აზნაურები იყვნენ, მაგრამ 1743 წლიდან, საერისთაოს გაუქმების შემდეგ, სახასო აზნაურებად იქცნენ. აზნაური ზანდუკელები ზემოთ დასახელებულ 1669 წლის დოკუმენტში არიან პირველად მოხსენიებული. გვარი ნაწარმოებია ტოპონიმ „ზანდუკზე“ -ელ სუფიქსის დარტ-

---

[140] სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. № 1791..

[141] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქ. №689, გვ. 321-328.

[142] სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე №226, გვ. 50.

ვით. ასეთი სახელწოდების სოფელი კი გუდამაყარშია. ა-შასადამე, ისინი წარმომავლობით გუდამაყრიდან არიან. 1873 წლის საარქივო მონაცემებით, ზანდუკელებს, გარდა არანისისა, ყმა-მამულის მფლობელობა ჩინოშიც ჰქონიათ[143].

1781 წლის აღწერაში არანისში ზანდუკელები 4 კომლის რაოდენობით იყვნენ. თეორუაშვილები 2 კომლით იყვნენ წარმოდგენილი: „თეორუას შვილი დარჩია“ და „თეორუას შვილი გიორგი“. მოძმანაშვილებიდან კი აღრიცხული არიან: „მოძმანაშვილი გიორგი, მირზა“, „მოძმანაშვილი იასე, თომა, პეტრე“, „მოძმანას შვილის ობოლი სიხარული“, „მოძმანას შვილი რუსია“, „მოძმანას შვილი თათარა“. ჭინჭარაშვილები, ლომაშვილები, კურდღელაშვილები და ზარიძეები მხოლოდ თითო კოლი იყვნენ („ჭინჭარას შვილი დათუნა, ხახა“, „ლომის შვილი რუსი, მახარებელი“, „კურდღელას შვილი რუსი, პაპუნა“, „ზარიძის შვილი ოტია“). აღწერაში შეყვანილი „უორუბას (sic) გლახა“ უოურგაშვილი უნდა იყოს. 1781 წლის აღწერაში საერთოდ არ ჩანან ხიტალიშვილები და ხადილაშვილები. დაფიქსირებულია ისეთი გვარები, რომლებიც XIX საუკუნეში აქ აღარ ჩანან; ესენი არიან: *ლომიტაშვილი, დემეტრესშვილი* (2 კომლი), *რამაზასშვილი* (2 კომლი), სისველასშვილი, *ჩიტიასშვილი, ოქროპირისშვილი* („ხიზანი გერმანოზის შვილის ყმა ოქროპირისშვილი მღვდელი გიორგი, რომანოზ, დათუა“), *შინჯიასშვილი* („სახასო ხიზანი მადაროელი შინჯიას შვილი ედიშერ“), *ღარიბასშვილი* („ხიზანი ლიყურელი ზურაბ სუფრაჯის ყმა ღარიბას შვილი ზაზა“), *ხინჩლასშვილი, იმერლისშვილი, ფანცქალასშვილი, როსტევანისშვილი, შიოსშვილი, ტოხისშვილი, ვაჟიძისშვილი*[144].

არანისისა და აქ მცხოვრები გვარების შესახებ საინტერესოა 1774 წელს შედგენილი მორიგე ლაშქრის ნუსხა – თეორუაშვილების ექვსი წარმომადგენელი (ოჯახის უფროსი) ჩაწერილია ***თეთრაულად*** („თეორაული დემეტრეს-

---

[143]რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბ., 2011, გვ. 134.

[144]ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 124-125.

შვილი მამუკა“, „თეთრაული ბერის-შვილი ჩქარიული“, „თეთრაული დემეტრეს-შვილი შიო“, „თეთრაული ბერის შვილი დარჩია“, „თეთრაული დემეტრეს-შვილი გიორგი“, „თეთრაული დემეტრეს-შვილი დავით“), მოძმანაშვილები – ***მოზმანაძედ/მოძმერეძედ*** („მოძმერაძე შიოს შვილი ბერი“, „მოძმანაძე ქრისტესის შვილი პეტრე“), ლომაშვილები – ***ლომაძედ/ლომსაძედ*** („ლომიძე გამახარეს შვილი რუხი“, „ლომსაძე გამახარეს შვილი შიო“, „ლომსაძე გამახარეს შვილი მახარებელი“, „ლომიძე ხინჩლას-შვილი გიორგი“), კურდღელაშვილები – ***კურდღელაძედ*** („კურდღელაძე ჯაბანიშვილი რუხია“, „კურდღელაძე ჯაბანის-შვილი პაპუნა“), ხიტალიშვილები – ***ხიტალიძედ*** („ხიტალიძე გამიხარდის შვილი მამუკა“), უოურგაშვილები – ***უოურგაძედ*** („უოურგაძე პაპასშვილი ჩიტა“, „უოურგაძე გიორგის-შვილი გლახა“), ჭინჭარაშვილები – ***ჭინჭარაძედ*** („ჭინჭარაძე ცოცხალას-შვილი დათუნა“). ამავე მორიგე ლაშქრის ნუსხაში შეყვანილი არიან არანისის სხვა მკვიდრებიც: „*ზარიძე* მამაცის შვილი ივანე“, „*ზარიძე* ჭილას-შვილი როსტევან“, „*ზარიძე* ფანცქალას-შვილი გიორგი“, „ლიყურელი *ქიტუას-შვილი* ღარიბა“, „გუდარეხელი *რონანაძე* ოქროპირის-შვილი ივანე“, „გუდარეხელი *რამნაძე* ოქროპირის-შვილი მღვდელი გიორგი“, „ხანდუკელი გიორგის ყმა ნასყიდი *რამაზის-შვილი* იესე მსახური“, „ხიზანი სახასო მაღაროელი *სინჯის-შვილი* ედიშერ“, „*იმერლის შვილი* ბერო“[145]. ზემოთ მოხმობილი ამონარიდები ადასტურებს, რომ 1774 წელს არანისში მოსულებიც ცხოვრობდნენ, კერძოდ, ქიზიყის სოფელ მაღაროდან და ქვემო ქართლის სოფლებიდან გუდარეხიდან/გუდარახიდან და ლიყურეთიდან (ლიყურეთი მდებარეობდა არგისის ხეობაში, გუდარახი – ზრბითის ხეობაში, გუდარეხი – თრიალეთის ქედზე შიდა ქართლში).

ეთნოგრაფიული მასალებით, არანისის მოსახლეობის დიდი ნაწილი მთიდანაა მოსული. **თეთრუაშვილების წინაპარი მთიულეთიდან გადმოსახლებულან, მათი ადრინდელი გვარია ბუჩუკური. ლომაშვილიბი თავიანთ ადრინდელ**

---

[145] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი II, თბ., 1974, გვ. 119-120.

საცხოვრისად გუდამაყარს მიუთითებენ. XIX საუკუნეში ლომაშვილების ნაწილი თიანეთში გადასულა საცხოვრებლად. **ძირად ჭინჭარაულები არიან ჭინჭარაშვილები:** „მამაჩემი იტყოდა ხოლმე, ჩვენი გვარიო გადმოსულა აქა შიმშილობის დროსა. აქ რომ ჩამოსულა ჩვენი საგვარეულო და დასახლებულა ჭინჭარაულები ყოფილან. გაზაფხულზე რომ ჩამოსულან, ჭინჭარი უკრებიათ და იმით ურჩენიათ თავი, რადგან შიმშილობა ყოფილა და რომ ჭინჭარმა გაკვება ჭინჭარაშვილად დაეწერნენ. სალოცავი ჩვენი გუდანის ჯვარია, გუდანიდან ვართ გადმოსულებიო. ხევსურებმა წინათ გადასახლება იცოდნენ მტრის გამო. გამოსახლებულან იმიტომ, რომ ღარიბად ყოფილან, იქ ვიღაც კაცი ყოფილა სოფლის თავი ხევსური, ისა გვჩაგრავდა. ჭინჭარაანთ უბანში ვიდექით. 7-8 კომლი ვართ ზემო არანისში. ქვემო არანისში 5 კომლია. საშაბუროშია ჩვენი საგვარეულო, აქედან წასული. აიყარნენ აქა, მამული არა ყოფნიდათ და წასულან საშაბუროში. ერთი მეკომური აქედან არის წასული ებნისში. მამა-პაპა გუდანში დადიოდნენ სალოცავად. ძია მიხა იტყოდა ხოლმე, არბოშიც დავდიოდითო. ხევსურები კი იყვნენ ძირად, მაგრამ რისთვის დადიოდნენ არბოში და საიდან იყო არბო ჭინჭარაშვილების სალოცავი, არ ვიცი“ (სანდრო დავითას ძე ჭინჭარაშვილი, 62 წლის, სოფელი არანისი, 1977 წ.).

ხევსურეთიდანვე, სოფელ ხიტალედან არის მოსული ხიტალიშვილის წინაპარი. უთურგაშვილების წინაპარი ხევსურეთის სოფელ შატილიდან გადმოსახლებულა: „ჯერ გადმოსახლებულან ბოდავში. მანდ ყოფილან, მანდ ეძახიან ეხლაც „უთურგაანთ ახოებს“. ბოდავიდან გადმოსულან არანისში. ჩემს ძმას მასწონდა ბოდავში ქალი და მამაჩემმა სულ ხელები გაასავსავა, არ შეიძლება, ერთი სალოცავი გვაქვსო. თვითონ სოფელში არ შეიძლებოდა, რომ სხვა გვარის ქალი გეთხოვა, მაგალითად, ლომიანი რომ ეთხოვათ უთურგაშვილებს, ჭინჭარაანებს თეორუაშვილები და სხვა. არანისში ქალი აუცილებლად სხვა სოფლიდან უნდა მოეყვანათ“ (გიორგი იოსების ძე უთურგაშვილი, 71 წლის, სოფელი არანისი, 1977 წ.).

ზემოთ აღინიშნა, რომ არანისში ***ზარიძეები*** ცხოვრობდნენ, რომელთა აქ მკვიდრობის ფაქტი ტოპონიმებს შემოუნახავს: „სადაც არანისში წმიდა გიორგის სალოცავია, ეხლაც ვეძახით *ზარიძეანთ კარს*“. კურდღელაშვილების არანისში მკვიდრობასაც ტოპონიმი ადასტურებს – „კურდღელათ წაქლი“. აქვეა „ქოჩორაანთ პანტა“. ჭილაშვილების ნასახლარსაც მიუთითებენ („*ჭილაანთ თელას* ეძახიან ეხლაც“). ჭილაშვილების „აქეთ კორიკანი ყოფილან – „*კორიკანთ კაკალიო*“.

არანისელი მოძმანაშვილები ადრე გაბაძიშვილები ყოფილან.

არანისთან ახლოს, მაგრამ არაგვის ხეობის მარცხენა ნაპირზეა სოფელი **ჩინთი,** რომლის ძირითად მაცხოვრელებს 1886 წელს ***მანგოშვილები*** წარმოადგენდნენ (13 კომლი). აქვე იყვნენ ***ბუჩუკურები*** (6 კომლი), ***ჩიტიშვილები*** (3 კომლი), ***ლომაშვილები*** და ***არაბულები*** (2-2 კომლი). 1843 წელს ჩინთში ზემოთ აღნიშნული გვარებიდან მხოლოდ მანგოშვილები, არაბულები და ბუჩუკური (1 კომლი) ცხოვრობდნენ. 1821 წელს ჩინთში სულ 6 ოჯახი იყო აღრიცხული, აქედან მანგოშვილები და არაბულები 2-2 კომლი. 1774 წლის მორიგე ლაშქრის ნუსხაში მანგოშვილები ***მანგაურის*** გვარით არიან წარმოდგენილი: „ბოგანო ჩინთელი მანგაური ზურაბის-შვილი დემეტრე“, „ბოგანო ჩინთელი მანგაური ზურაბის-შვილი ელისბარ“, „ბოგანო ჩინთელი. ავთანდილ კობიაშვილის ყმა მანგაური დემეტრეს შვილი პატარკაცი“. ჩიტიშვილი -ძე სუფიქსიანი გვარით (***ჩიტიძე***) იყო ჩაწერილი: „ბოგანო ჩინთელი ნიკოლოზ კობიაშვილის ყმა ჩიტიძე ხანიაშვილი ბაცაცი“[146]. ბუჩუკურები ჯერ კიდევ აქ არ ცხოვრობდნენ. ბუჩუკურებს მთიულეთის სოფელ გვიდაქედან გადმოტანილი აქვთ საგვარეულო სალოცავის – *ქაშუეთ წმიდა გიორგის* ნიში.

საყურადღებო გადმოცემებია დაცული სოფელ ჩინთში აქ არსებული ორი დიდი ლოდის შესახებ: „ჩინთში ორი დიდი ქვაა, ერთ დიდს *მოლევის ქვას* ეძახიან, მეორეს – *ნინოს ქვას.* და-ძმა ყოფილან და ძმა გამოსდგომია დას ავი

---

[146] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი II, თბ., 1974, გვ. 119-118.

ძრახვით და დას უოქვია, ქვად გვაქცია, მე ნინოს ქვად და შენ – მოლევის ქვადაო და გადაქცეულან ქვებად. ამბობენ, ნინოს ქვაშიო ბავშვის აკვანიაო. ჩინოში არის კიდევ საწვიმარი ქვა. როცა გვალვა იყო, მაშინ დასძრავდნენ კეტებით ამ ქვას. ამავე დროს გაღმა სოფლებიდან ორი თხა უნდა მოეტაცათ ახალგაზრდებს, ბიჭებს და წყალში გამოეტარებინათ და ამ ქვასთან დაეკლათ და მერე წვიმა მოვიდოდა“ (გიორგი ვასილის ძე ყაჭიური, 73 წლის, სოფელი არაგვისპირი, 1986 წ.).

არანისისთან ახლოს მდებარეობს სოფელი **ბიჩინგაურთკარი,** რომელიც შუა საუკუნეების არც ერთ დოკუმენტში არაა ნახსენები. არაა შეტანილი ეს სოფელი არც 1781 წლის აღწერაში. 1935 წელს ბიჩინგაურთკარში ცხოვრობდნენ ***ბიჩინგაურები*** (5 კომლი), ***ქადაგიშვილები*** (6 კომლი), ***ჩიხაშვილები*** (5 კომლი), ***ბადაგაძეები*** (8 კომლი), ***უნდილაშვილები*** (3 კომლი), ***ცერცვაშვილები*** (2 კომლი). 1926 წელს სოფელში სულ 27 კომლი მკვიდრობდა. 1821 წლის აღწერის დავთარში სოფელი ბიჩინგაურთკარი სხვა სახელითაა გატარებული, კერძოდ, ბიჩინგაურებისა და ქადაგიშვილების სოფელს აწერია „ჯიქურიულთკარი“. 1873 წლის აღწერით, „ბიჩლიგაურთკარში“ 29 ოჯახი ცხოვრობდა. ყველაზე მეტი (8 კომლი) *ქადაგიშვილები* იყვნენ, *ბიჩინგაურები* – 7 კომლი, *ლაბაურები* – 3 კომლი, *ცერცვაძეები* – 2 კომლი, *მელიწკაური* – 1 კომლი. რაც შეეხება *ბადაგაძეებს,* მათი მხოლოდ 1 კომლია აღრიცხული – „ზარიძე სოსიას ძე ბადაგაძე“, რომელსაც მიწერილი აქვს, რომ გადმოსახლდა სოფელ ჯიქურთკარიდან[147]. აქვე 3 ოჯახი ***მოძმანაშვილიც*** იყო აღრიცხული. 1886 წლის საოჯახო სიებით კი ასეთი მდგომარეება გვქონდა: *ბიჩინგაური* (7 კომლი), *ქადაგიშვილი* (8 კომლი), *ლაბაური* (7 კომლი), *მოძმანაშვილი* (4 კომლი), *ცერცვაძე* და *თეთრუაშვილი* (2-2 კომლი), აგრეთვე თითო კომლი *მელიწკაური, შერგილოვი* (რომელიც გადმოსახლებული იყო ბაგადან 1871 წელს), *ბადაგაძე, მახაშვილი, ღვთისიაშვილი.* 1857 წელს ბიჩინგაურთკარში ეთვალისიდან საცხოვრებლად გადმოსულა *ფრიდონაშვილების* ორი ოჯა-

[147] სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე № 227, გვ. 91-102.

ხი. 1781 წლის აღწერაში „ბიჩლიგაური მახარას შვილი გოგია, გლახა, გიორგი“ სოფელ არაგვისპირში არიან აღრიცხული.

ეთნოგრაფიული მასალებით, **ბიჩინგაურები ხევსურეთიდან არიან მოსული.** არაბულების ერთ-ერთი ძირი, ოთხი ძირიდან, ხომ ბიჩინგაური იყო: „გადმოცემით, ბიჩინგაურები ძირად ხევსურები ვყოფილვართ. ადრინდელი გვარია არაბული. არაბულების განაყარი შტო ვართ. ერთი კაცი წამოსულა ხევსურეთიდან და იმაზე მოვდივართ. პირველად სოფლის ადგილზე ის კაცი დასახლებულა და დარქმევია ბიჩინგაურთკარი, შემდეგ მოსულან სხვა გვარები. ჩემი წინაპარი მესისხლეობის გამო წამოსულა. წინაპრები სალოცავად დადიოდნენ გუდანში. **ბიჩინგაურთკარში წმიდა გიორგის ნიშიც იყო, გუდანიდან გადმოტანილი. მანდვე იყო ლაშარი და ლომისა**. სამივე სალოცავს მთელი სოფელი ლოცულობდა“ (დავით ივანეს ძე ბიჩინგაური, 66 წლის, სოფელი ბიჩიგაურთკარი, 1977 წ.). **ქადაგიშვილები ჭართლიდან გადმოსახლებულან, ძირად არიან გიგაურები.** „ქადაგი ყოფილა და ქადაგიძედ დაწერილან. **ჭართლის წმიდა გიორგი გვყავ აქა – ნიშია გადმოტანილი, ქვევრია და ზედ ვანთებთ სანთელს.** ჩარდახიანი ურმებით დავდიოდით ჭართალში სალოცავად. ლაშარს ეხლა მთელი სოფელი ლოცულობს. აქ ახლო-მახლო ბევრი სოფლიდან მოდის ხალხი. **მანდ მარტო ლაშარი კი არ არისო, არამედ თამარ-დედოფალიო და წმიდა გიორგიო.** მანდ სამი ხატიაო ერთად. ხალხი რომ მოდის სამივეგან ანთებენ სანთელს. **ბადაგაძეების სალოცავი არის ეთვალისში – „ჯაჭველ წმიდა გიორგი“, რომლის ნიშიც ბოდავიდან გადმოუტანიათ.** ბიჩინგაურთკარში ბადაგაძეების უბანს უწოდებენ *ზარიძეების უბანს.* წინაპრები დადიოდნენ თავლაშარში“ (ბადაგაძე ნიკო, 70 წლის, სოფელი ბიჩინგაურთკარი, 1977 წ.). ეთნოგრაფიული მასალებით გაირკვა, რომ *ლაბაურების შთამომავლები სოფელ ბიჩინგაურთკარში დღეს ჩიხაშვილის გვარს ატარებენ.* აქ ისინი სოფელ ჩიხაანებიდან ყოფილან ჩამოსული. „გადმოცემით ვიცით, რომ ჩიხაშვილები თუშის ჩამომავლბის ხალხი ვართ, ლაბაური ყოფილა ვინმე თუში. ერთი ლაბაური დაჩიხავებული ყო-

ფილა და იმის გამო შეარქვეს ჩიხაშვილი. ჩიხაანებიდან ჩამოვედი 1948 წელს“.

სოფელი **ჟინვალს** დღეს ადგილი შეცვლილი აქვს, რაც ჟინვალჰესის მშენებლობის დროს მოხდა. ის საქართველოს ერთ-ერთი ძველი დასახლებული პუნქტია. პირველად მოხსენიებულია 1189 წლის „დაწერილში ჭიაბერისა მღვიმისადმი“: „დაწერილი ეს დაგიწერე და მოგაჴსენე მე, მანდატურთუხუცესმან და ამირსპასალარმან ჭიაბერმან ... წმიდასა მამას შიოს. ... რომელ ამათდა სასოებითა თქუენ იყვენით ჩემდა მომართ, ჩემსა ჟინოვნისა ქონებასა შინა ვჰკადრე და მოვაჴსენე ღმრთისა სწორსა თამარს“. „გიბედნიერენ ღმერთმან მიუკინისამდე ჟინოვნით მიხითარაისძენი დავითის შვილნი: ოქრაი, მახარაი, ბრაჭი და იოანე“[148].Tგვხვდება ეს ოიკონიმი XII საუკუნის ბოლო პერიოდის საკათალიკოსო სოფლების დაწერილში: „ჟინოვანს დგომაჲ დღეღამე გ; ვეცხლი დრამა; ქრთილი კაბიწი ე.“[149]. აგრეთვე 1297-1298 წლებით დათარიღებულ სიგელში: „მოვიდა ჩუენ წინაშე ჭარმაული ჭაჭნიასშვილი გრიგოლ და გუეჰაჯა და მოგუაჴსენა, რაითამცა შევიწყალეთ და ჟინოვნისა შესავალი შუანისხევს, სოფელი ლაუშაი, სიგლითა ამით სამამულოდ მიუბოძეთ“[150]. ჟინვანი გვხვდება 1392 წლის საეკლესიო გუჯარშიც: „ჟინოანს კომლი კაცი შვიდი და ოთხი გაღმა“; 1669 წლის წილკნელის სამწყოში შემავალი სოფლების ნუსხაში: **„ჟინვანი არაგვს გაღმა ესახლა, ბატონის კათალიკოზის სამწყსო არის; ჟამთა ვითარებისაგან და ავის დროსგან არაგვს გამოღმა დასახლდა წილკნელის სამწყსოში**“[151]. „ჟინოვნისპირი“ ნახსენებია 1556 წლის საბუთში. 1781 წლის აღწერით ვიგებთ რომელი გვარები მკვიდრობდნენ სოფელ ჟინვანში, რომლის მოსახლეობა ამ დროს სულ 15 კომლი იყო. ეს გვარები იყო ***ჯაბნიაშვილი*** („ჯანბიაშვილი როსებ, გიორგი“. 1774 წლის მორიგე ლაშქრის ნუსხაში

---

[148] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ.96

[149] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ.74

[150] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 183.

[151] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 19.. გვ. 558.

ჩაწერილი არიან ***ჯაბნიაურის*** გვარით: „ჯაბნიაური ქურციკისშვილი გელია“), ***სისველაშვილი/სისველაური*** („სისველას შვილი გიორგი, ბერი“, „სისველას შვილი რამაზა“, „სისველას შვილი“, „სისველაური ზაზა“. 1774 წლის მორიგე ლაშქრის ნუსხაში – „ჟინვალიდამ სისველაური ბერის-შვილი გიორგი“), ***მანგოსშვილი*** („მანგოს შვილი ტეტია“), ***ჯარიასშვილი*** („ჯარიას შვილი ივანე“), ***რამაზასშვილი*** („რამაზას შვილი იესე“), ***გვიანაური*** („გვიანაური გვიანაური“), ***პაპკიაური*** („ბოგანო პაპკური ხახის შვილი თამაზა“, „ბოგანო პაპკური თვარელა“. 1774 წლის მორიგე ლაშქრის ნუსხაში – „ჟინვალიდამ ბოგანო ლაუშელი პაპკიაური ხახიაშვილი თამაზა“), ***ზურაბასშვილი, დემეტრესშვილი, მარცვალასშვილი*** („ხიზანი მიწობლიძის ყმა მარცვალას შვილი ზაზა, ბერო“), ***ბერიკასშვილი*** („ხიზანი სამცხეთო კარსნელი ბერიკას შვილი ივანე, ობოლა“), ***ბიბიაშვილი*** (ხიზანი ხიმშიაშვილის ყმა ბიბიაშვილი გიორგი“. 1774 წლის მორიგე ლაშქრის ნუსხაში – „ჟინვალიდამ ხიზანი სულხან ხიმშიაშვილის ყმა ძაგნაკორელი ბიბიაშვილი გიორგი“)[152]. 1926 წელს ჟინვალში 34 კომლი ცხოვრობდა. ოთხი კომლით ნაკლები იყო 1886 წელს. ამ დროს ჟინვალში მკვიდრობდნენ: *სისველაშვილები* (7 კომლი), *ხეკაშვილები, ჯაბანაშვილები* და *ხახიაშვილები* (6-6 კომლი), *ჯარიაშვილები, რამაზაშვილები, ნათელაშვილები და თინიბეგაშვილები* (2-2 კომლი). თუ შევადარებთ აღნიშნულ ორ აღწერას, აღმოჩნდება, რომ აქ XVIII საუკუნეში არ იყვნენ ხეკაშვილები, თინიბექაშვილები, ხახიაშვილები. მაგრამ აშკარაა, რომ ხახიაშვილების წინაპრები აქ ცხოვრობდნენ, რომლებიც პაპკიაურებისაგან მომდინარეობენ (ბოგანო პაპკური ხახის შვილი თამაზა“), რასაც ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს. იგივე ვიტარებას გვიდასტურებს 1873 წლის კამერალური აღწერაც, რომელშიც დადასტურებულია *კობაიძის* ოჯახიც, რომელიც აქ 1870 წელს იყო გადმოსახლებული მთიულეთის სოფელ ჩირიკიდან. 1821 წლის აღწერა დამატებით კიდევ გარკვეულ ინფორმაციას იძლევა, კერძოდ, იმას, რომ რამაზაშვილების

[152] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 122-123.

ადრინდელი გვარი ზარიძე ყოფილა: «Махаробел Рамаза шви-ли Заридзе»[153].

ეთნოგრაფიული მასალებით, *სისველაშვილები* მთიულეთის არაგვის სათავეში მდებარე ღუდას თემიდან არიან გადმოსახლებული: „ჩვენი წინაპარი მამა-პაპის გვარი ყოფილა **სისველები**. გვარის სალოცავი არის ღუდა ყველაწმიდა. დავდივართ იქ სალოცავად, ეკლესიაა, ჯვრებია. ჟინვანი ღონიერი სოფელი იყო, ყველაფრით გაკეთებული, მდიდარი პურით, საქონლით, ფულით. პაპები იმაზე წამოსულან ღუდიდან, რომ სახნავი არ იყო იქა, ტყე არ იყო. აქ დიდი ადგილებია, მინდორია, ბოშად, თავისუფლად არიან“ (სიმონ ყიდოს ძე სისველაშვილი, 70 წლის, ჟინვალი, 1978 წ.). ჟინვალში *ხახიაშვილები* ლაუშადან არიან გადმოსახლებული, რომელთა ადრინდელი გვარიც *პაპკიაურია*. **ჯაბნიაშვილები ხევსურეთიდან გადმოსახლებული გაბურების შთამომავლები არიან**. „ჟინვალი სულ ჯაბნიანების ყოფილა. ნეფე ერეკლეს დროს ყოფილან გადმოსულები, ადგილი არ ყოფილა კარგი. სამი ძმიდან ერთი ბეჩავი ყოფილა, ჯაბანი, ჯაბანიო და დაეწერნენ ჯაბნიაშვილად“ (ნიკო მოსეს ძე ჯაბნიაშვილი, 75 წლის, სოფელი ჟინვალი, 1978 წ.). ჟინვალის უფრო ადრინდელი მკვიდრნი **ხეკაანი (ხეკაშვილები)** ყოფილან, „ეხლა სულ ამოწყდნენ, ერთადერთი ბიჭია დარჩენილი, მლაშეში ცხოვრობს“.

სოფელი **ეთვალისი** პირველად 1669 წელს იხსენიება. 1781 წელს ეთვალისში 17 კომლი ცხოვრობდა. ამ დროს სოფელში მკვიდრობდნენ: ***ჩხუტისშვილები*** („თარხანი ჩხუტის შვილი ბერი, გლახა, რუხი“, „თარხანი ჩხუტის შვილი გელია, ქიტესა, გოგია, ბერი“). თარხნები იყვნენ კიდევ სამი კომლი: „თარხანი ბერის შვილი პეტრე, ზაზა“, „თარხანი ხევსური გიორგი“, „თარხანი თარქაიონის შვილი ბეჟან, გიორგი“. სოფელში ცხოვრობდნენ აგრეთვე ***ღანიასშვილი, ხუცისშვილი, დათუნასშვილი, ბადაგაძე, კახუასშვილი, ელისბარასშვილი, საღირასშვილი, კიკოლასშვილი, ფრიდონასშვილი, სულხანასშვილი*** და „ხიზანი **ხამხაძე** შუშას შვილი ივანე“. 1926 წელს ეთვალისში 36 კომლი ცხოვრობ-

[153] სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 689, გვ. 51.

და. 1935 წლისათვის სოფლის ძირითადი მოსახლენი იყვნენ: *ფრიდონაშვილები* (12 კომლი), *ღანიაშვილები* (11 კომლი), *მელიწკაურები* (12 კომლი), *ბადაგაძეები* (9 კომლი), *ჩანადირები* (8 კომლი), *გაბაძიშვილი* (2 კომლი). ამრიგად, 1781 წელს მოხსენიებული გვრებიდან XX საუკუნის პირველ ნახევარში ეთვალისში ცხოვრობდენ: *ფრიდონაშვილები, ღანიაშვილები, ბადაგაძეები.* 1886 წლის საოჯახო სიებში ეს სამი ბოლო გვარი დაფიქსირებულია. ამ დროს ისინი შესაბამისად იყვნენ ოთხი, ერთი და ოთხი კომლი. ამ დროს ეთვალისში მკვიდრობდა *უნდილაშვილების* 3 კომლი, *მელიწკაურების* – 6, *ჩანადირების* – 4, *პარკაულებისა* და *კახუაშვილების* – თითო კომლი. 1873 წლის აღწერა იგივე სურათს გვიჩვენებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მასში ბადაგაძეების 4 კომლიცაა შეყვანილი. 1821 წლის აღწერას დამატებით კიდევ გარკვეული სიცხადე შეაქვს. ირკვევა, რომ 1781 წლის აღწერაში დაფიქსირებული „თარქაიონის შვილი“ იგივე მელიწკაური ყოფილა. 1821 წლის ეთვალისის აღწერაში შეყვანილია 2 კომლი «Таркиванов»-ი. და კიდევ ორი კომლი – «Гогиа Бежани швили Элицкаури он же Таркиванов», «Георги Бери швили Элицкаури он же Таркиванов»[154]. დადასტურებულია ღანიაშვილების ადრინდელი გვარიც – ისინიც მელიწკაურები ყოფილან: «Мелицкауров он же Ганиев»[155]. დანარჩენი გვარები სუფიქსის გარეშე ან რუსული სუფიქსით არიან დაფიქსირებული: *ფრიდონოვ, ჩხეტია, უნდილოვ/უნდილო, კახია, ბადაგოვ* (4 კომლი). ამ დროს ეთვალისში ჩანადირები უკვე დამკვიდრებული იყვნენ (3 კომლი). 1821 წელს ეთვალისში ცხოვრობდა „კზიროვის“ 2 ოჯახი, რომლებიც 1873 წელს კზირიშვილად არიან აღნუსხული.

ეთნოგრაფიული მასალებით, 1949 წელს ***ღანიაშვილები*** გაუქმებული სოფელ ეთვალისიდან ბიჩინგაურთკარში არიან ჩამოსახლებული. **„ღანიაშვილები ვყოფილვართ გიგაურები. უცხოვრიათ ჭართალში,** იქ კაცი შემოკვდომიათ და

---

[154] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქ. № 689, გვ. 62.

[155] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქ. № 689, გვ. 62-68.

წითელსოფელში დასახლებულან, სადაც ციება დასწყებია და წასულა ეთვალისში. ეთვალისში იქამდე ცხოვრობდნენ მელიწკაურები, ჩხუტიაშვილები, ფრიდონაშვილები, ბადაგაძეები“. 1947 წელს ვერა ბარდაველიძეს ეთვალისში ჩაუწერია: **„ღანიაშვილები, მელიწკაურები, ბადაგაძეები, ფრიდონაშვილები, ჩანადირები. ჩანადირები იგივე ფრიდონანი არიან, ხოლო სუყველა ერთად გიგაურები ყოფილან მამაპაპით“.** ღანიაშვილებს დიდ ოჯახად უცხოვრიათ: „ეთვალისში ღანიანები იყვნენ. რომ გაიყარნენ ცხრა კომლად გაიყარნენ. ერთი ძმა მეძროხე იყო, მეორე – მეღორე, მესამე გუთანზე იყო და ასე. ყველა კაცი თავ-თავის საქმეზე იდგა“. ეთვალისის მკვიდრებს სოფელში *ლომისას* ნიში ჰქონდათ გადმოტანილი. **ძირად ხევსურები არიან ჩხუტიაშვილები – „ადრინდელი გვარია ჭინჭარაული**. იქ სისხლი აუღიათ და სისხლის პასუხი რომ არ დაებრუნებინათ, ჩამოსახლდა ქაისხევში და შეიცვალა გვარი. შემდეგ საცრამულში გადმოსახლებულან“ (არშაკ ნიკოლოზის ძე ჩხუტიაშვილი, 48 წლის, 1977 წ.). 1781 წლის აღწერა კი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ჩხუტიაშვილები ეთვალისის მკვიდრები იყვნენ. საკრამულში ისინი სწორედ რომ ეთვალისიდან გადასულან. **ძირად გიგაურები არიან ფრიდონაშვილები. „მელიწკაურები გიგაურები ვყოფილვართ**. ჩვენი გვარი დიდი არ არის. Xევსურები ვყოფილვართ, ეთვალისელები ვართ, საერთოდ მერე დავიქსაქსეთ“ (ვახტანგ მიხეილის ძე მელიწკაური, 48 წლის, დუშეთი, 1978 წ.).

დაბოლოს, ეთვალისის სალოცავის შესახებ: „ეთვალისში არის *კავთა წმიდა გიორგი*. ეძახიან *ჯაჭველსაც*. მკლავი ანგელოზებს ოქროს ჯაჭვით ჩამოუბიათ კავთა წმიდა გიორგისათვის. ამ ხატს დევი მოუკვლია და დევს მკლავი ჩამოუგლეჯია“. **„აფხავი ეთვალისშია. ეს ხატი სამ კაცს მოუპარიათ გუდამაყარში, ერთი აშში გაუკეთებიათ, მეორე – ეთვალისში და მესამე არ ვიცი“.**

სოფელი **არაგვისპირი** პირველად 1669 წლის დოკუმენტში გვხვდება. სოფელი შეტნილია 1781 წლის აღწერაშიც. ამ დროს სოფელში სულ 11 კომლი ბინადრობდა. არაგვისპირი გვხვდება XVII-XVIII საუკუნეების საბუთში, რომელ-

შიც საუბარია აქ ურიების ჩასახლების შესახებ[156]. საგულისყურია ეს ფაქტი, რადგან არაგვისპირის სიახლოვეს ვახუშტის მიხედვით, სოფელი **ურია** არსებობდა. 1821 წელს არაგვისპირი უფრო პატარა სოფელი იყო და მასში მხოლოდ 14 კომლი იყო აღრიცხული. ამ დროს აქ ცხოვრობდნენ: ***ჯიქურაულები*** (6 კომლი), აგრეთვე ***თათიკიშვილი***, რომლის ადრინდელი გვარიც ჯიქურაული ყოფილა. აღრიცხულია ცალკე თათიკიშვილების კიდევ 2 ოჯახი, რომელთა გვარიც სუფიქსის გარეშეა წარმოდგენილი – „თათიკა“. 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარით არაგვისპირში 17 კომლი იყო. ამჯერად *ჯიქურაულები* 7 კომლის რაოდენობით არიან წარმოდგენილი და *თათიკიშვილს* მეორე გვარი – *გიგაური* – აქვს დაფიქსირებული. *ნადიბაიძე* იგივე *აბაშვილი* 1850 წელს ნატახტარში იყო გადასახლებული, ხოლო ჯავახიშვილი – იმავე წელს – მისაქციელში, ლაბაური კი – საგურამოში. პავლეურები ისევ 3 კომლის რაოდენობით იყვნენ. ჯიქურაულები, თათიკიშვილები და პავლეურები 1781 წელსაც ცხოვრობდნენ არაგვისპირში: „მოყალნე ჯიქურაული ხიტელას შვილი ხიზანა, გოგია, ბერია, კიკოლა, საბრალო, მამუკა (ერთ ოჯახში 6 ცოლ-შვილიანი ძმა ცხოვრობდა), „თათიკის შვილი რუხი“, „პოვლეურის ანდრიას ობოლი“[157]. დანარჩენები იყვნენ: *ბიჩინგაური, პეტრესშვილი, მამუკასშვილი, ცერცვასშვილი* (2 კომლი), *იოთამისშვილი, ჯაბნიაშვილი*. 1977 წელს არაგვისპირში მკვიდრობდნენ: ***ლოთიკაშვილები*** (16 კომლი), ***კახურაშვილები*** (15 კომლი), ***ყაჭიურები*** (14 კომლი), ***საღირიშვილებ***ი (10 კომლი), ***ჯიქურაულები*** და ***თათიკიშვილები*** (8-8 კომლი), ***ინიაშვილები*** და ***მგელიაშვილები*** (6-6 კომლი). ეს უკანასკნელნი 1940-იანი წლების დასაწყისში სოფელ იორიდან იყვნენ ჩამოსული. კახურიშვილები შიდა ქართლიდან არიან გადმოსახლებული, „ბატონთან შეჯახება მოსვლიათ და იმიტომ გადმოსულან“. მაგრამ ჯერ საგურამოში – არაშენდაში დასახლებულან, შემდეგ კი არაგვისპირში თავისუფალი ადგილი ყოფილა და საბოლოდ აქ დამკვიდრებულან. საერთოდ, „პაპის

---

[156] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993, გვ. 29.

[157] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 122-126.

პაპა კახეთიდან წამოსულა და დაარქვეს კახურაშვილი“. ირკვევა, რომ „არაგვისპირში პირველად ყოფილან ინიაშვილები. არაგვისპირს ინიანთკარს ეძახდნენ.Rეგენი დასახლებულან პირველშია. მერე სხვა ხალხი მოვიდნენ“. ლოტიკაშვილების თავდაპირველი საცხოვრისი არაგვისავე ხეობის ძაგნაკორის თემი იყო[158]. ისინი ერწოს სოფელ ბოროტაძეებშიც ცხოვრობდნენ. 1787 წელს კახეთის სოფელ ლალისყურშიც მკვიდრობდნენ. გვარი საერთოდ პირველად 1669-1681 წლის საბუთშია მოხსენიებული[159]. ეთნოგრაფიული მონაცემებით, **„ჯიქურაულები ძირად ყოფილი ხევსური გიგაურები ვყოფილვართ**. იქ კაცი შემოკვდომიათ და ჩამოსახლებულან. ჯიქი, ჯანიანი კაცი ყოფილა და დაწერილა ამ გვარზე“. მთხრობელის სიტყვით, **„თათიკიშვილები ვყოფილვართ გიგაურები**. ჩამოსულები ვართ ძველადა, ლეკიანობა რო ყოფილა, ხალხს მთაში გაუწევია, მერე დაბრუნებულან ისევ. პაპის პაპა წასულა აქედან ჭართალში ლეკიანობის გამო. დავდიოდით ჭართალში სალოცავად. თათიკიშვილები ბევრნი ყოფილიყვნენ, ზოკო ეჭამათ და იმას გაეწყვიტა. ჯიქურაულები და თათიკიშვილები ჭართალში ერთად დავდიოდით სალოცავად ურმებით“.

ყაჭიურების გვარი 1781 წლის აღწერაში წინდუშეთში მოიხსენიება ერთი კომლის რაოდენობით („ყაჭიური ივანე, გიორგი, ბესო“); ისინი აზნაურ კობიაშვილის ყმა-გლეხები იყვნენ. **ყაჭიურებს სალოცავი აქვთ აფხავი. აფხავ *წმიდა გიორგის* ნიში არაგვისპირშიც ჰქონდათ გამართული. ფხავის ძირითადი სალოცავი მგელიანებში მდებარეობს, საიდანაც არაგვისპირში მისი ნიში ყაჭიურებს გადმოუტანიათ.** მაგრამ ეთოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ **ყაჭიურების ძირითადი სალოცავი იყო ლაშარის ჯვარი.** *„აქ არის ლაშარის ნიში ქადაგიანიდან გადმოტანილი, საწნახელია, ქვევრებია, სასანთლეც მანდ იყო. ღვინოს ჩაასხამდნენ საერთოდ და იმის დღეობა რომ მოვიდოდა სოფლურად სვამდნენ. ეს ლაშარის საწნახელი მარტო ყაჭიურების იყო.* ეს ნიში მარტო ყაჭიურებმა

---

[158] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 54.

[159] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993, გვ. 569.

გადმოიტანეს. სოფლის სხვა გვარები არ ლოცულობდნენ. ხატისათვის ერთი ქვევრი იყო და სხავდასხვა ოჯახები ურევდნენ, მოჰქონდათ და ასხამდნენ ერთ ქვევრში. მას ღვინის ზედაშე ერქვა. თავისი ოჯახის ღვინოც იქ ჰქონდათ ყაჭიურებს“ (გიორგი ვასილის ძე ყაჭიური, 73 წლის, სოფელი არაგვისპირი, 1986 წ.).

ძაგნაკორა/ზეგნაკორა

არაგვის ხეობის მთისწინა ზოლის მცირე ტერიტორიული ერთეული იყო ***ძაგნაკორა/ზეგნაკორა***. მაგრამ ის ***„არაგვის საერისთოს სოფლები ვაკისა“***-ს შემადგენლობაში არ შედიოდა და, როგორც მდინარის მარცხენა მხარეზე მდებარე, ის კახეთს ეკუთვნოდა. ძაგნაკორას/ზეგნაკორას შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ფაქტობრივად არაფერია ცნობილი. არაგვის ხეობის დაბლობის მარცხნივ მდებარე ძაგნაკორა და მასში შემავალ სოფლები (*ლაფანი, ნოკორნა, ბულაჩაური...*), ვახუშტი ბაგრატიონს თიანეთის „ქვეყნის“ ჩამონათვალში აქვს მოქცეული. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ძაგნაკორა/ზეგნაკორა ისტორიულად კახეთში შემავალი მხარე იყო და არაგვის ხეობასა და ერწოს შორის მდებარეობდა. მოიცავდა არაგვის მარცხენა შენაკადის – *აბანოსხევის* (ძველი *ნოკორნისხევის*) ხეობას, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი წერს, „ჩრდილოთ ნოკორნა-ბოკოწინს შორისი გორანი, ჩამოსული თიანეთის მთიდამ არაგვამდე“[160]. იოანე ბაგრატიონიც მას თიანეთის ხეობაზე მიწერილ სოფლებს შორის ასახელებს. ეს სოფლებია: ***კავთელა*** (კავთელების სოფელი), ***ბაღიანი*** (ბაღიაშვილების სოფელი), ***ნაცვლიანი*** (ნაცვლიშვილების სოფელი), ***ლაფანი*** (ლაფანაშვილების სოფელი), ***ვერხუნა, ტუტალა, ბირიანი*** (უნდა იყოს ***ბიბიანი***, რომელის *ბიბიაშვილების* სოფელი იყო), ***კახიანი*** (კახიაშვილების/კახიშვილების სოფელი), ***ბოტა, ნოკორნა, ძაგნაკორა, ბულაჩაური*** (ბულაჩაურების სოფელი)[161]... რატომღაც *იოანე ბაგრატიონს* სოფელი ***ოდიშელიძე*** ანუ იგივე ***დავათი*** სულ სხვა ჩამონათვალში აქვს შეტანილი – იქ, სადაც ჩამოთვლის საგურამოს მხარის სოფლებს (*ახატანს, ბოკოწინს, ზაქარას, ჯილაურს...*). კახეთის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის აღწერის დავთარში ძაგნაკორის მხარეცაა შეტანილი, რომელშიც ძაგნაკორასთან

---

[160] ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 94.

[161] იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 65.

ერთად **„ოდიშელიძეები“** და **„ლაფანაშვილებიც“** ფიგურირებს[162].

სათაურში *ძაგნაკორას* პარალელური ფორმა ***ზეგნაკორაც*** არის წარმოდგენილი. მართალია წერილობით ძეგლებში „ზეგნაკორა“ არ არის დადასტურებული (თუ არ ჩავთვლით 1886 წლის საოჯახო სიებს), მაგრამ ქართლის სოფლების ზეპირმეტყველებაში უპირატესობა ***ზეგნაკორას და ზეგნაკორელს*** ენიჭებოდა. ეს ტერმინებია დაფიქსირებული XIX საუკუნის რუსულენოვან დოკუმენტებშიც. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ძაგნაკორას მხარეს „ძაგნაკორას თემსაც“ უწოდებდნენ: „წინავ აქ ვინმეს რომ რამე დაეშავებინა, ზარს დარეკავდნენ და მთელი ***ძეგნაკორის თემი*** მოქუხდებოდა და დასჯიდნენ, ან ქვებს დაარტყამდნენ და მაკლავდნენ, ან გააძევებდნენ, დანაშაული აღარ მოხდებოდა“. ძაგნაკორას/ზეგნაკორას თემს სახელი ცენტრალური სოფლისაგან ჰქონდა მიღებული. დღეს ასეთ ნასოფლარს უთითებენ აბანოსხევის მარჯვენა მხარეს სოფელ ლაფანაანთკარიდან არცთუ ისე შორს. როგორც ირკვევა, ტოპონიმი მიღებულია ორი ტოპონიმის/სოფლის სახელის შეერთების შედეგად. XII საუკუნის საკათალიკოსო სოფლების შესავლის დაწერილში ცალ-ცალკე სოფლებადაა მოხსენიებული ***ძაგუ*** და ***ნოკორნა*** (იქვე ძაგნაკორას სხვა ორი სოფელი – ***ანეში*** და ***დაოთიცაა*** – მოხსენიებული)[163].

XVIII საუკუნის ბოლოსათვის ძაგნაკორას დიდი ნაწილი ფაქტობრივად დაუსახლებელი იყო, რომლის მოშენებაც მომდევნო XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა. 1886 წლის საოჯახო სიების თანახმად ***ძაგნაკორა/ზეგნაკორა*** შედიოდა დუშეთის მაზრის ჭოპორტის სასოფლო საზოგადოებაში[164], რომელშიც შემდეგი სოფლები შედიოდა: *არჯაკელი* (*ზენდილაანთკარი*), *ახატანი, ბოკოწინი,* **ბულაჩაური** (27 კომლი, 140 სული), *ბი-*

---

[162] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 52.

[163] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, IX-XII სს., თბ., 1964, გვ. 74.

[164] Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 года, Тифлис, 1893.

წმენდი, **დავათი** (61 კომლი, 297 სული), *ჯილაური,* **ძ(ზ)ეგნაკორა** (77 კომლი, 492 სული) და *ჭოპორტი.* აქედან უშუალოდ ძაგნაკორა/ზეგნაკორა-ს „ქვეყანას“ ბულაჩაური, დავათი და ძეგნაკორა ეკუთვნის. ასევე იყო 1926 წელს, ოღონდ დროის ამ პერიოდში ახალი სოფლები წარმოქმნილა (აღორძინებულა): **ვარდიანთკარი** (14 კომლი, 80 სული), **კოშკასყელი** (25 კომლი, 100 სული), **ლაფანაანთკარი** (18 სული, 119 სული), **მაღრანი** (13 სული, 91 სული), **მწითურები** (19 კომლი, 108 სული), **ნოჯა** (16 კომლი, 89 სული), **ნოჯიკეთი** (38 კომლი, 176 სული), **ახალი ოსები** (30 კომლი, 181 სული), **ძველი ოსები** (42 კომლი, 214 სული), **ზემო უბანი** (8 კომლი, 54 სული) **ქერიანთკარი** (20 კომლი, 126 სული), **ხიზნები** (9 კომლი, 39 სული)[165]. ეთნოგრაფიული მასალებით, **„ლაფანაანთკარის საბჭო სულ ძაგნაკორაა“** (ნიკა ლევანის ძე მწითური, დაბად. 1909 წელს). 1886 წლის საოჯახო სიებში თუ ძაგნაკორა ცალკე სოფლად იყო დაფიქსირებული, 1926 წლის აღწერაში ის საეროდ აღარა ჩანს. ვფიქრობთ, 1926 წლის აღწერაში დაფიქსირებული რამდენიმე სოფელი 1886 წელს საერთო სახელწოდებით – ძ(ზ)ეგნაკორა იყო გაფორმებული.

1886 წლის საოჯახო სიებით ბულაჩაურში ცხოვრობდნენ: **გიტიაშვილები** (1801 წლის აღწერაში – „გიტიაშვილი პეტრე, ძმა გოგია“), **ძულიაშვილები** (1801 წლის აღწერაში – „თავდახსნილი, ბატონის ყმა ძულიას შვილი დათუნა“), **თათრიშვილები** (1801 წლის აღწერაში – „თათარყოფილი გიორგი, შვილი აბრამ და ბეჟან, მსახური“), **კავთელიშვილები** (1801 წელს – „კავთელი თამაზა“, „კავთელი კაცია, ძმა ივანე, შვილი, მსახური“), **ღრუბელაშვილბი/ღრუბელაძეები** („ღრუბელაძე ღრუბელა“, „ღრუბელაძე ივანე, ძმა ჭიჭიკა“, „ღრუბელაძე გოგია“, „ღრუბელაძე ღუდელი იოანე, ძმა დემეტრე“ 1801 წლის აღწერაში არიან შეყვანილი), (სამსამი ოჯახი), **ბიბიაშვილებ**ი (1801 წლის აღწერაში – „ბიბიაშვილი ივანე“, „ბიბიაშვილი ზაზა“, „ბიბიაშვილი გრიგოლ ობოლი“), **თინიკაშვილები** (ორ-ორი ოჯახი), აგრეთვე

---

[165] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ., 1930.

თითო კომლი **ზაქაიძე, პატაშური, ალიბეგაშვილი, ბუჩუკური, ბრაჭული** (1801 წლის აღწერაში: „ბრაჭული ელიბო, ძმა პაკაცი მსახური“), **მანგიაშვილი** (1801 წელს – „მანგიაშვილი დათუნა, შვილი გიორგი“). 1873 წლის აღწერაში ამ გვარების უმრავლესობა შეყვანილია: *ძულიაშვილი, ალიბეგაშვილი, თათრიშვილი, კავთელიშვილი, ბრაჭული, ბიბიაშვილი, ღრუბელაძე, პატაშური, გიტიაშვილი, მანგიაშვილი, თინიკაშვილი* (გადმოსახლებულან ქსნის ხეობის სოფელ კორინთიდან 1866 წელს), *ბუჩუკური* (3 ოჯახი, გადმოსახლებულან მთიულეთის სოფელ გვიდაქედან 1862 წელს). მთიულეთიდან იყვნენ აგრეთვე გადმოსახლებული *ქუმსიშვილი* (სოფელ კაიშაურებიდან 1863 წელს), გუდამაყრის სოფელ ფახვიჯიდან – *წიკლაური* 1866 წელს, წინამხარიდან 1864 წელს – *ჩობალაური.* მთიულები *ქარჩაიძე* და *ნადიბაიძე* ერწოდან (სიმონიანთხევი და საყდრიონი) იყვნენ მიგრირებული შესაბამისად 1863 და 1865 წლებში.

1873 წლის ბულაჩაურის აღწერაში ქსნის ხეობიდან მოსახლეობის მიგრაციის ფაქტებიც არის დადასტურებული, რომელთა მიგრაციის შედეგად წარმოიქმნა ჯერ სოფელი **ძველი ოსები** და შემდეგ **ახალი ოსები.** პირველი მიგრანტი – *დრაშვილი* 1862 წელს მოსულა სოფელ *ყვავისჯვარიდან,* 1864 წელს *ბოსელთიდან* გადმოსახლებულან *ხოსროშვილი, დრაშვილი, ხოსიშვილი, ხინჩაგაშვილი,* 1865-1866 წელს *ბედოშვილების* სამი ოჯახი ბოსელთიდან და ციხისოფლიდან გადმოსულან...[166] იმავე წლის ქართულენოვანი აღწერაც ადასტურებს ზემოთ მოყვანილ საარქივო მონაცემებს. უფრო მეტი, ქსნის ხეობიდან მოსულებს დამატებული ჰყავთ კიდევ რამდენიმე გვარი: *ჯავაშვილი/ძავაშვილი, გოლოშვილი, ხალიშვილი, თექეთაშვილი...*[167]

1873 წლის **დაოთის** (იგივე **დავათის**) აღწერაში სულ 40 კომლი და 263 სულია დაფიქსირებული. ყველაზე მეტი იყვნენ ***ოდიშელიძეები*** (ზოგიერთი *ოდიშვილადაცაა* ჩაწერილი) – 18 კომლი, შემდეგ ***ვარდიშვილები*** – 12 ოჯახი, ***ცისკარაძე, ფანცქალაშვილი, ზაქაიძე*** და ***კურდღელაშვილი*** (ორ-

[166] სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. №257.

[167] სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. №227.

ორი კომლი). თითო კომლი იყო ***შერმადინი*** და ***სიმონაშვილი***. 1843 წლის კამერალურ აღწერაში სოფელ დავათში მხოლოდ სახელმწიფო გლეხები არიან აღრიცხული: *ვარდიშვილი* (5 ოჯახი), *ოდიშელიძე* (5 ოჯახი) და ერთი კომლი *ფანცქალაშვილი,* რომელიც არანისიდან იყო გადმოსახლებული. ცხრა კომლი სახელმწიფო გლეხი ცხოვრობდა **ბულაჩაურში**. ამავე აღწერაში ჭოპორტს მეორე სახელი – ლაფანაანთკარიც – აქვს მიწერილი. რა თქმა უნდა, ეს ძაგნაკორას სოფელი ლაფანაანთკარი არ არის. ჭოპორტისათვის მეორე სახელის ლაფანანაანთკარის მიწერა იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ამ დროს აქ უკვე ***ლაფანაშვილები*** ცხოვრობდნენ, რომელიც სოფლის ყველაზე დიდი გვარი იყო. 1818 წლის აღწერით, ჭოპორტში საეკლესიო გლეხების ლაფანაშვილების 7 კომლი ცხოვრობდა[168]. 1722 წლის სარუსოველო დროშის განწესებით, ლაფანაშვილები და ოდიშელიძეები სახასო (სახელმწიფო) გლეხები არიან[169].

1873 წლისათვის ლაფანაშვილები მთლიანად ჭოპორტში იყვნენ გადასახლებული. ამ გვარისა სოფელში 21 კომლი ცხოვრობდა. XVIII საუკუნის I მეოთხედში ძაგნაკორაში ცალკე არიან გამოყოფილი ***„კათალიკოზის ყმა ლა-ფანაშვილებ“*** (გიორგი, როსტია, ნადირა, თამაზა, მახარებელი), რომლებიც ერთი ოჯახის განაყოფებად არიან მოხსენიებული[170]. 1801 წელს ამ გვარისანი ბულაჩაურზე არიან მიწერილი: „***სამცხეთო ლაფანაშვილი გოგია, ძმა ბერი და ბეჟან“; „სამცხეთო ლაფანაშვილი იესე, ძმა გოგია“***[171]. ლაფანაშვილების საგვარეულო სალოცავი ***თავლაღი*** იყო ანუ როგორც ამ გვარისანი მიუთითებენ, ისინი თავლაღის ყმები არიან.

ძაგნაკორას მიკროორეგიონში მდებარეობს *დავათის ღვთისმშობლის ეკლესია*, რომელიც VIII-IX საუკუნეებშია აგებული, რომლის ინტერიერში მიკვლეულ იქნა VI საუკუ-

---

[168] სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქმე № 804, გვ. 121.

[169] ქართული ისტორიული საბუთები. II, თბ., 2013, გვ. 387.

[170] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ.52.

[171] გ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. – საქართველოს არქივი, წიგნი III, ტფ., 1927, გვ. 142.

ნის საკულტო-მემორიალური ძეგლი – *დავათის სტელა.* სტელაზე დიდების შარავანდედში ჩაწერილია ქართული ასომთავრული ანბანი. ესაა უძველესი და სრული ქართული ანბანი „ანიდან“ „ჰოემდე“.

ძაგნაკორა პირველად 1392 წლის წერილობით ძეგლშია მოხსენიებული; ესაა „ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი“: *„ძაგნაკორას ცამეტი კომლი კაცი, დაფირასშვილის და შერგილასშვილის მამული, მონასტერი ანეშისა და სოფელი ანეშ*“[172]. საბუთიდან ირკვევა, რომ ძაგნაკორაში სოფელი ანეში და ანეშში მონასტერიც არსებობდა. ანეშის მონასტერი 1447 წლის დოკუმენტშიც არის დაფიქსირებული: *„დაჭისძე მისითა მამულითა; ძაგნაკორნათვე ერთი გლეხი შერგილაშვილი, გიჯიყრელი მისითა მამულითა; მონასტერი ანეში მისითა შესავლითა*“[173]. სოფელი ანეში გვხვდება 1570 წლის საბუთშიც: „ჩვენ, ... ალექსანდრემ და სჯმეონ პანკრატოვანმან ... წიგნი და სიგელი ... მოგაჴსენეთ თქუენ, ... დედა ქალაქისა მცხეთისა კათოლიკე ეკლესიასა... მას ჟამსა, ოდეს ***ანეშს ოდიშელიძენი*** გლეხნი პირველთა მეფეთაგან და ერისთავთაგან თქუენთჳს შემოწირულნი ყოფილიყუნეს და ჟამთა ვითარებისაგან ... მოშლოდეს პატიოსანსა ტაძარსა თქუენსა, ვინათგან მთიულნი ... კაცნი იყუნეს ... ჩუენ ახლად ვიგულისმოდგინეთ და ... საყდარი ანეშისა და დაბა მოგაჴსენეთ...“[174]

დავუბრუნდეთ ძაგნაკორას – ის გვხვდება 1405, 1417, 1429, 1438, 1442, 1447, 1460, 1477, 1503, 1532, 1579, 1722 წლების საბუთებშიც. 1405 წელს ძაგნაკორელი ფეოდალი ***„აბულეთისძედ დასმული*** **ამირახორი ხიმშია“** სწირავს თავის გლეხს ***შერგილაშვილს*** მისი მამულით[175]. ეს დოკუმენტი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ძაგნაკორას მხარე თავდაპირველად აბულეთისძეების სამკვიდრო ყოფილა, რომელიც ხიმშიაშვილებს ბოძებიათ („**აბულეთისძედ დასმულმან**“

---

[172] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, თბ., 1970, გვ. 180-181.

[173] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, თბ., 1970, გვ. 190.

[174] საქართველოს სიძველენი, I, ტფ., 1899, გვ. 246-248.

[175] ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, III, ტფ., გვ. 3-5.

სწორედ ამას ნიშნავს). გლეხი *შერგილაშვილები* კი, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ძაგნაკორაში 1392 წლის საბუთშიც იყვნენ მოხსენიებული. იგივე შეიძლება ითქვას ***ლაფირასშვილების*** შესახებ, ოღონდ 1417 წლის სიგელში ეს გვარი ***ლაფირასძედაა*** მოხსენიებული: *„ჩვუენ, მეფეთა-მეფემან ალექსანდრემ და ძეთა ჩუენთა ...ესე სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ თქუენ, ჩუენისა კარისა მწიგნობარსა, მუშრიბსა ურდოველას შვილსა სუმბატს. პირველადაც მამისა თქუენისათუის სიგლითავე გუებოძა ძაგნაკორანთა ლაფირასძეული მამული ... როგორც ძუელთაგან ლაფირასძეთა ჰქონოდა. აწ შეგიწყალეთ და* ***დაგუსით ლაფირაძედ*** *და მათისა გუარისა ადარავინ იპოვებოდა. ... და ვინ გინდა ვინ ძაგნაკორანთა პატრონი იყოს, აგრე ვერავინ დაგეცილოს*“[176]. იგივეს იმეორებს 1429 და 1438 წლების სიგელები. 1447 წლის სიგელით ძაგნაკორაში ისევ ფიგურირებენ გლეხი ***შერგელაშვილი*** და „***გიჟიყრელი*** მისითა მამულითა“ და „მონასტერი ანეში“[177]. 1460 წლის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ აჯა და მოგსენება თქუენი და მოგიბოძეთ და დაგიმკვიდრეთ ძაგნაკორანთა, რაცა და რასთანაცა *ურდოელისშვილისა სუმბატსა* ჰქონდა და მისგან ნაშვილეობისა ნიშანიცა გქონდა: *ლაფირაძისეული* სასახლე; *მინასშვილისაგან* მოსყიდული ვენაგი; ერთი სხუავე ვენაგი *შვილიასაგან* მოსყიდული; ერთი სხუავე ვენაგი *კოკორაული*, მოსყიდული გლეხი ***მუნდასძე*** მისითა მამულითა; ***ლაფანასშვილი*** მისითა მამულითა; ***შიბასძე*** მისითა მამულითა; *ბაყუირული* მამული, ***მათიასშვილი*** მისითა მამულითა; ***კორცოფასძე*** მისითა მამულითა; ***თევდორასშვილი*** მისითა მამულითა; ***ჯაგრანისშვილი*** მისითა მამულითა და, რაც ***ლაფირისძესა*** სახასოდ საგნავი მიწები ჰქონდა, იგი უკლებლად; და *კომრავლა* საგნავითა, წისქუილითა და საწისქუილოთა“[178]. ამრიგად, ამ დოკუმენტში ძაგნაკორაში მცხოვრები რამდენიმე გლეხის გვარია მოხსენიებული: ***მინასშვილი, მუნდასძე, ლაფანასშვილი, შიბასძე, მათიას-***

---

[176] ქართული ისტორიული საბუთები. II, თბ., 2013, გვ. 121-122.
[177] ქართული ისტორიული საბუთები. III, თბ., 2014, გვ. 39.
[178] ქართული ისტორიული საბუთები. III, თბ., 2014, გვ. 112.

შვილი, ჯაგრანის შვილი. საბუთში მოხსენიებული გვარებიდან დღეს ძაგნაკორაში მხოლოდ ***ლაფანა შვილები*** და 1570 წლის საბუთში მოხსენიებული ***ოდიშელიძეები*** კვლავ აგრძელებენ ცხოვრებას. ***ოდიშელიძეები, ზვიადის შვილებთან*** ერთად, ძაგნაკორას მკვიდრებად 1532 წლის ალექსანდრე II-ის მიერ სვეტიცხოვლისადმი მამულის მფლობელობის განახლების წიგნშიც არიან მოხსენიებული: *„ძაგნაკორნას, რაც მცხეთისა არის და სოფელი ანუში და ოდიშელიძენი: ზარბი, მამის-იმედი და მისი განაყოფი“*[179]. XV-XVII საუკუნეების დოკუმენტებში ოდიშელიძეები ხან ანეშის და ხან ძაგნაკორას მკვიდრებად არიან მოხსენიებული._ამავე წიგნში ძაგნაკორას კიდევ ორი სოფელი – ***ნოჯა*** და ***ნოჯიკეთი*** – არის სახელდებული. ეს უკანასკნელი სოფელი სხვა ფონეტიკური ვარიანტით 1465 წლის *ვამიყ შაბურისძის* სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის წიგნშიც გვხვდება: „გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ესე ჩვენგან ... შემოწირული და მოჴსენებული მამული – *ნოჯიკეთა ნოჯისთავი*, ეკლესია მისითა მიმდგომითა ...***სიას შვილისეული*** მამული... ***საიქოსძე, ჩაბას შვილი, მაკარის შვილი*** და ***თევდოას შვილი...***“[180]

1477 წლის ანდრეძში ძაგნაკორაში მოხსენიებული არიან გლეხები ***შალვიას შილი*** და ***ხუტლიას შვილი***[181]. 1481-1482 წლის მეფე ალექსანდრეს შეწირულობის წიგნში გარეჯის მამულებს შორის არის მითითებული ძაგნაკორანთა[182]. 1722 წლის სარუსთველო დროშის განწესებაშიც არის „ძაგნაკორანი“ მოხსენიებული[183]. ამავე დოკუმენტში *„სახასო ოდიშელიძენი, სახასო ლაფანაშვილნი“*-ც და ***ხიმშია შვილებიც*** არიან დასახელებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძაგნაკორა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის კახეთის სოფლების აღწერაშიცაა შეტანილი. ამის შემდეგ საისტორიო

---

[179] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, თბ., 1965, გვ. 200.
[180] ქართული ისტორიული საბუთები. III, თბ., 2014, გვ. 146.
[181] ქართული ისტორიული საბუთები. III, თბ., 2014, გვ. 221.
[182] ქართული ისტორიული საბუთები. III, თბ., 2014, გვ. 254.
[183] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, თბ., 1965, გვ. 385.

საბუთებში ***ძაგნაკორა,*** როგორც მხარე და სოფელი, აღარ იხსენიება.

1801-1802 წლების კახეთის აღწერაშიც აღარ ფიგურირებს ძაგნაკორა. სამაგიეროდ აღწერაში შეტანილია რეგიონში შესასვლელი სოფელი **ბულაჩაური.** ისევე როგორც წინა საუკუნეებში ერთი სოფლის სახელი – ძაგნაკორა – მთელ მიკრორეგიონზე ვრცელდებოდა, ამ შემთხვევაში, მასზე ვრცელდება უკვე ერთი სოფლის (ბულაჩაურის) სახელი, რასაც ადასტურებს აღწერაში დაფიქსირებული გვარები; XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის აღწერაში ძაგნაკორაში აღრიცხული გვარების ნაწილი XIX საუკუნის დასაწყისისათვის ბულაჩაურში მეორდება. რა თქმა უნდა, ეს არაა სოფელი ბულაჩაური, ესაა ძაგნაკორას მხარე, რომელსაც აღმწერმა ახლა ბულაჩაური უწოდა. ეს გვარებია, უპირველეს ყოვლისა, ***ოდიშელიძე*** და ***ლაფანაშვილი***, რომლებიც აქ უკვე XV საუკუნიდან იხსენიებიან. 1460 წელს ერთ-ერთი *ლაფანაშვილი სუმბატ ურდოელიშვილის* ყმა ყოფილა და გიორგი მეფეს მისი წყალობა დაუმტკიცებია სუმბატის შვილობილის, მესტუმრე *ვირშელ ზვიადიშვილისათვის.* XVI საუკუნის მეორე ნახევარში ძაგნაკორელი ლაფანაშვილების 12 კომლი კათოლიკოსის გლეხები ყოფილან. ძაგნაკორაში იხსენიებიან ისინი XVII საუკუნის დოკუმენტებშიც[184]. შეიძლება კიდევ მოვიხმოთ შემდეგი გვარები: ***კავთელი, ბიბიაშვილი, შაშუკაშვილი, ჯავახი, ბრაჭული, ღრუბელაძე,...*** ეს ორი უკანასკნელი გვარი ძაგნაკორას მკვიდრებად იხსენიებიან ჯერ კიდევ 1399-1419 წლების დოკუმენტში, რომელთა ვენახების გვერდით მდებარე ვენახი ძაგნაკორაში ქავთარ ლაკუზაძეს სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს[185].

ძაგნაკორა ისტორიულად *თავად ხიმშიაშვილებს* ეკუთვნოდათ, რაც პირველად 1392 წლის საბუთშია დადასტურებული. ეს ფაქტიC დაფიქსირებულია 1801-1802 წლების კახეთის აღწერის დავთარშიც, რომლის მიხედვითაც ბულაჩა-უ-

---

[184] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993, გვ. 556.

[185] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, თბ., 2004, გვ. 215.

რი ანუ იგივე ძაგნაკორა ეკუთვნოდათ *გიორგი, ღონენა, დავით* და *რამაზ ხიმშიაშვილებს*. მაგრამ ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ძაგნაკორაში მიწის მფლობელობა უფრო ადრე ჰქონდათ *აბულეთიძეებს, შაბურისძეებს, მიწობლიძეებს* (სამიოდე კომლი ყმა მიწობლიძეს 1801 წელსაც ჰყავდა). მამულები და გლეხები ეკუთვნოდათ სახელმწიფოსა და მცხეთის ეკლესიასაც (მაგალითად, ლაფანაშვილები 1801 წლის აღწერაში „სამცხეთოდ“ არიან მოხსენიებული). საინტერესოა, რომ ძაგნაკორას მოსახლეობა XVIII საუკუნის განმავლობაში ძალიან შემცირებულა. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში აქ თუ 116 კომლი გლეხი მკვიდრობდა, 1801 წლისათვის ეს მაჩვენებელი 30 კომლამდე დასულა, ე. ი. მოსახლეობა 65,2%-ით შემცირებულა, რაც მთელი აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული მოვლენა იყო. ეს იყო შედეგი ოსმალობის, ყიზილბაშობისა და, ყველაზე მეტად, ლეკიანობისა. აღწერის დავთარში დაფიქსირებული გვარების უმეტესობა ამოწყდა, ან სხვაგან გადასახლდა. ძაგნაკორაში XIX საუკუნის დასაწყისში აღარ ცხოვრობდნენ: *მამულაშვილები, აბრამაშვილები, ზუბიაშვილები, ელიზბარაშვილები, პეტრეშვილები, ბერიაშვილები, სვიმონიშვილები, გულბათიშვილები, ბუჩუკურები, კაისშვილები, მაზანაშვილები, დორელები, ფათერაკაშვილები, თარხანაულები, ფიჩხაურები, შანშეურები, ლომიანიშვილები, მამამუკაშვილები, კბილაძეები, გამხუაშვილები, იმერლიშვილები, ნარიკაშვილები, კახიაშვილები/კახიშვილები, ქერაშვილები, კობიაძეები, დვალიშვილები, მაღალაშვილები (გლეხები), ზარიძეები, ბაცაცაშვილები, ბუბნიაშვილები, ჯიღაშვილები/ჯიღაურები, ხორელაურები, რატიაშვილები, გვინდაძეები, ფოცხვერაშვილები, ბადრიაშვილები, ზაზუტაშვილები, სათიბეგაშვილები, ზარხოშაშვილები, ხუციისშვილები, იოლისშვილები, ციგრუასშვილები, ცოტაყმაშვილები, მაზიაშვილები, ღვინიაშვილები, თევდორაშვილები, მაჩიხაშვილები, ღარიბაშვილები, დათუკაშვილები, ბერუკაშვილები, ღუტუაშვილები, მუხაძეები, ბაღიაშვილები, ნადირაშვილები*[186]. **XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში**

[186] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ.52-54.

მხოლოდ ერთი კომლი იყო ბულაჩაური (*„ბულაჩაური თამაზ“*). ეს გვარი, რომელიც პირველად 1648 წლის საბუთშია დაფიქსირებული, შემდეგ საერთოდ ამოწყდა და მხოლოდ სოფელს დაუტოვა ოდინდელი სიმრავლის დასადასტურებლად სახელი. სოფელი **ბულაჩაური** რამდენჯერმე არის მოხსენიებული XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. 1788 წლის განჩინებაში ვკითხულობთ: „ხიმშიაშვილი სულხან თავისი სახლის კაცებს ... ბულაჩაურზედ ედავებოდა: სანატრელს მეფეს თეიმურაზს ბულაჩაური საკუთრად ჩემის ოჯახისათვის უბოძებია და თქვენ მძლავრობით დაგიჭერიათო. ეს ხსენებული სიგელი სულხანმა სასამართლოში წარმოაყენა, რომელშიაც სწერს: გიბოძეთ ხიმშიაშვილს შერმაზანას და თამაზს ... ბულაჩაური და ბიბიანიო...“[187]

ძაგნაკორას ერთ-ერთი პირველი სოფელი, რომელიც წერილობით ძეგლებში მოიხსენიება ***დავათია,*** ოღონდ სხვა ფონეტიკური ვარიანტით – „***დაოთი“.*** პირველად გვხვდება 1170 წლის გიორგი მეფის სიგელში მღვიმისადმი: „დაოთი კუირიკე კახთა მეფისაგან შემოწირული“[188]. XII საუკუნის ბოლოს საკათალიკოსო სოფლების დაწერილში დაოთთან ერთად ჩამოთვლილია სოფლები **ნოკორნა, ძაგუ, ანეში**[189]. 1189-1200 წლების „დაწერილი მღვიმის კრებულისა ტოხაჲსძეებისადმი“: „...თქუენისა გუარისა მოძღუარი ყოფილიყო კვირიკე კახთა მეფისაჲ, ბასილი ტოხაჲსძე და მას მისითა მოძღურობითა შემოეწირვინა წმიდისა შიოჲსთჳს, რჩევით, მთათა შინა **დაოთი** და ბართა შინა **რუეთი**“. „და გაეჩინა მისისა სულისა სამლოცავად ერთი ფუძე გლეხი დაოთს – ***ვაკშამაჲსძე*** და რუვეთს – ***უშიშარაჲსძე***“[190]. XV-XVI საუკუნეებით დათარიღებულ შიომღვიმის საბუთების ნუსხაში ვკითხულობთ: „ერთი სიგელი სხუა დაოთური“. 1781 წლის

---

[187] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, თბ., 1974, გვ. 418.

[188] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, თბ., 1964, გვ. 64.

[189] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, თბ., 1964, გვ. 74.

[190] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, თბ., 1964, გვ. 83.

აღწერის დავთარში სოფელ აშში მითითებულია „*ბოგანო დაოთელი შიოს შვილი რამაზა*“[191]. დავათი ოდიშელიძეების სამკვიდრო სოფელი იყო და არის. *იოანე ბაგრატიონი* ამ სოფელს სწორედ გვარის სახელით მოიხსენიებს – „ოდიშელიძე“[192].

ზემოთ იოანე ბაგრატიონის ჩამოთვლილი ძაგნაკორის სოფლების შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ უმეტესი მათგანი უკვე ნასოფლარს წარმოადგენდა, რადგან მათ გასწვრივ „მოსახლენი“ არა აქვს მიწერილი ან ზოგიერთ მათგანში თითო-ოროლა კომლიღა იყო. **კავთელაში** ***კავთელების*** გვარისანი 1801-1802 წლების აღწერის დავთრით მხოლოდ ორი კომლიღა იყო. **ბიბიანში** სამი ოჯახიღა ცხოვრობდა. **ნაცვლიანში** (***ნაცვლიშვილების*** სოფელი) ერთი კომლი იყო. **ბაღიანში** (***ბაღიაშვილების*** სოფელი) აღარავინ მკვიდრობდა. იგივე შეიძლება ითქვას **ვერხუნაზე, ტუტალაზე, კახიანზე** (***კახიაშვილების/კახიშვილების*** სოფელი), **ბოტაზე, ნოკორნაზე, ძაგნაკორაზე.**[193]... XVIII საუკუნის დასაწყისის ძაგნაკორას სოფლების გვარების დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, ამოწყდა, ნაწილი კი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. მაგალითად, 1781 წლის აღწერით „ხიზანი ხიმშიაშვილის ყმა ბიბიაშვილი გიორგი“ ჟინვალში ცხოვრობდა, „ხიხზანი გიორგი ხიმშიაშვილის ყმა იასეს შვილი ბერუა“ – ბოდორნაში, „ხიზანი სახასო დაოთელი მგელიაშვილი შერმაზან“, „ხიზანი სახასო დაოთელი მგელიაშვილი ბერი“, „ხიზანი რამაზ ხიმშიაშვილის ყმა ნაცვლიშვილი გიორგი“ – საშაბუროში, „ხიმშიაშვილის ყმა ნადიკას შვილი ბერუა, დემეტრე და გოგია“ – დუშეთში, „ხიზანი რამაზ ხიმშიაშვილის ყმა მანგიას შვილი დათუნა“ – სასახლის დუშეთში.

ძაგნაკორაში დაფიქსირებულ გვარებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ზოგი მათგანი ადგილობრივი მკიდრი იყო, ზოგი კი – მიგრირებული, განსაკუთრებით მთიდან (***ბუჩუკურები, დორელები, თარხანაულები, ფიჩხაურები, შანშეურები, დვალიშვილები, ზარიძეები, ჯიღაურები, ხორელაურე-***

---

[191] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ.128.

[192] იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 64.

[193] იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 65.

ბი). ძაგნაკორაში მცხოვრები ზოგიერთი გვარი იმავე დროს ერწო-თიანეთშიც მკვიდრობდა, მაგალითად, ***ფიჩხაური, ბერიაშვილები, გულბათიშვილები, კახიაშვილები, ლოტიკაშვილები, ნადირაშვილები, ხუციხშვილები, მაღალაშვილები, ფათერაკაშვილები, ზარიძეები...*** XIX საუკუნეში ***გვინდაძეები*** თიანეთში ჩანან გადასახლებულები. XVIII საუკუნეში დასახლებულან ძაგნაკორაში ***ქუფრიაშვილები,*** რადგან აღნიშნული საუკუნის დასაწყისში ესენი აქ არ იხსენიებიან, ხოლო 1801 წელს ოთხი კომლია დაფიქსირებული. იგივე შეიძლება ითქვას ***ღრუბელაძეებზე, შაშუკაშვილებზე, კოჭობაურზე, ხუცურაულზე, გიტიაშვილზე, ვარდიშვილზე.***

XX საუკუნეში ძაგნაკორას სოფლები ძირითადად ლაფანაანთკარის სასოფლო საბჭოში იყო გაერთიანებული. ცალკე იყო ბულაჩაურის საოფლო საბჭო.

სოფელ *მაღრანის* ძირითადი მკვიდრები არიან: ***აფციაურები, ქეთელაურები, წიკლაურები, შეთეკაურები, ციხიშვილები***. ეთნოგრაფიული მასალებით, მაღრანს „ნინიანებსაც ეძახიან“. აქ მოსახლე ყველა გვარი აღმოსავლეთ საქართველოს მთიდანაა ჩამოსახლებული XIX საუკუნეში. ეს გვარები ჯერ ქერიანთკარში დასახლებულან და შემდეგ გადმოუნაცვლებიათ მაღრანში, რომლის პირველი მოსახლე ***ბუჩუკური*** ყოფილა. სოფლის ძირითადი მკვიდრი ***წიკლაურები*** (1940 წელს – 14 კომლი) გუდამაყრიდან არიან გადმოსახლებული. მათი ჩამოყვანა ბუჩუკურებს მოუხდენიათ. ***ქავთარაძეებს*** ჯერ ლაფანაანთკარის ამოსასვლელში, ადგილ *ჯულანაანებში* უცხოვრიათ და შემდეგ გადასულან მაღრანში.

1940 წელს სოფელ **ლაფანაანთკარში** აღარც ერთი კომლი ლაფანაშვილი აღარ ცხოვრობდა. სოფელში ყველაზე მეტი ***ოდიშელიძე*** იყო (24 კომლი). ორ-ორი კომლი იყვნენ ***წიკლაურები*** (ერწოს სოფელ საყდრიონიდან გადმოსახლებულები), ***ხუციანიძეები*** (ჭართლის სოფელ სონდიდან მიგრირებულები), ***კობაიძეები.***

უმრავლესობას შეადგენდნენ *ოდიშელიძეები* დავაოშიც (47 კომლი). ამ სოფელში 27 კომლი მკვიდრობდა ***ვარდიშვილების*** გვარი. ***ფანცქალაშვილებს*** (7 ოჯახი), ***ზარიძეებს*** (3 კომლი), ***სიმონიშვილებს*** და ***ბურდულებს*** (თითო ოჯახი)

დავათში ხიზნებად მოიხსენიებდნენ. აქვე მკვიდრობდნენ ***მა-ღალაშვილები*** (4 ოჯახი) და *გელიაშვილები* (სამი ოჯახი). მაღალაშვილები ძაგნაკორაში XVIII საუკუნის დასაწყის-შიც ცხოვრობდნენ.

XIX საუკუნეშის მეორე ნახევარშია წარმოქმნილი სოფელი **მწითურები,** რომელშიც მხოლოდ ქსნის ხეობიდან მიგ-რირებული ***მწითურები*** მკვიდრობენ. 1940 წლისათვის ისინი 26 კომლს ითვლიდნენ. *მწითურები* ყველაზე დიდი რაოდე-ნობით (16 ოჯახი) სოფელ **აბანოსხევშიც** ცხოვრობდნენ. აბანოსხევის დანარჩენი მოსახლეობაც მთიდან იყო გადმო-სახლებული; ესენი იყვნენ: ***აფციაურები*** (1940 წელს 5 ოჯახი), ***ბუთხუზები*** (3 კომლი), ***ბაიაშვილები*** (7 კომლი), ***კე-დელაშვილები*** (4 კომლი), ***ნაზღაიძეები*** (3 კომლი), ***ბუჩუკუ-რები*** (6 ოჯახი), ***ქარჩაიძეები*** (6 კომლი), ***პაპკიაურები*** (5 კო-მლი), ***წიკლაურები*** (3 კომლი), ***შალიკაშვილები, ბანცურე-ბი...*** საბჭოთა პერიოდის საკომლო დავთრებში სოფელ **აბა-ნოსხევში** ***ქუბრიაშვილის*** გვარიც იყო დაფიქსირებული (1 კომლი). ბულაჩაურის მუნიციპალიტეტში არის სოფელი, რომელიც ამ გვარის სახელს ატარებს – ***ქუბრიანთკარი.*** 1873 წ. ქუბრიანთკარში 14 ოჯახი ქუბრიაშვილი ცხოვრობ-და. აქ ისინი საკმაოდ ბევრნი არიან. ისინი 1801 წლის აღ-წერაში ბულაჩაურში (იგივე ძაგნაკორას მხარეში) მოსახლე ***ქუფრიაშვილების*** შთამომავალნი არიან: *„მიწობლიძის ნოდარის ყმა ქუფრიაშვილი კალმახელი, ძმა ზაზა, შვილი ღვთისავარ და დემეტრე“; „ქუფრიაშვილი გიორგი, შვილი ივანე და აღდგომელი“; „ქუფრიაშვილი ქუფრია, ძმისწული ზურაბ“; „ქუფრიაშვილი არჯალა. ტყვეობიდან მოსული“*[194]. ეთნოგრაფიული მასალებით, „ქუბრიაშვილები მზითვში არიან გამოყოლებული საგურამოდან“. ამავე სოფელში 1873 წელს იყო გრემისხევიდან გადმოსახლებული პავლე ***ლაფა-ური*** და 1 კომლი ***ზამთრეული.***

მთიდან ჩამოსახლებულები ცხოვრობენ აგრეთვე **ზემო უბანში** (*ბუჩუკური, როსტიაშვილი*), **ქერიანთკარში** (*ქარჩა-იძე, ბუჩუკური, ნარიმანიძე*), **კოშკასყელში** (*გოგოჭური, ჭინ-*

---

[194] გ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. – საქართვე-ლოს არქივი, წიგნი III, ტფ., 1927, გვ. 142.

ჭარაული, არაბული, ხორნაული, არდახიშვილი, ქისტაური, წოწკოლაური), **ნოჯასა** (*წოწკოლაური* – 1940 წელს 14 კომლი, *კობაიძე, ხუცურაული, გოგოლაური, ბადრიშვილი, ბუჩუკური, ხარანაული*), და **ნოჯიკეთში** (*გოგოლაური,* 4 კომლი, *არაბული,* 7 კომლი, *ალბუთაშვილი, გიგაური,* 4 კომლი, *რახიკაშვილი, ხორნაული*). ძაგნაკორაში არის კიდევ ორი სოფელი **ძველი ოსები** და **ახალი ოსები**, რომლებშიც მკვიდრობენ ***ბედოშვილები, ხალიშვილები, დრიაშვილები, ყორბესაშვილები, ხოსიშვილები, თეგეთაშვილები.***

სოფელ **ბულაჩაურის** მკვიდრი გვარებიდან შეიძლება დავასახელოთ: ***ბიბილაშვილები*** (1940 წელს – 15 კომლი), ***ალბუთაშვილები*** (15 კომლი), ***გვრიტიშვილები*** (20 კომლი), ***ქავთარაძეები*** (10 კომლი), ***კავთელიშვილები*** (12 კომლი), ***ვეშაგურები*** (5 კომლი), ***წიკლაურები*** (8 კომლი), ***არაბულები*** (6 კ.), ***აფციაურები*** (5 კ.), ***ხარანაულები*** (3 კ.), ***პაპკიაურები*** (2 კ.), ***წოწკოლაურები*** (3 კ.), ***მიგრიაულები*** (3 კ.), ***ფრიდონა-შვილები*** (3 კომლი), ***ჭიკაიძეები*** (3 კ.), ***ოდიშელიძეები*** (3კ.), ***ნადიბაიძე*** ები(3 კ.), ***ბეჟიტაშვილები*** (3 კ.), ***ზურაბაშვილები*** (3 კ.)... ამ გვარების დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა მხარიდანაა ჩამოსახლებული (ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი), აგრეთვე არაგვის დაბლობის სხვადასხვა სოფლიდან. ზოგს კი იქიდანვე, ძაგნაკორას სხვადასხვა სოფლიდან გადმოუნაცვლია, მაგალითად *ალბუთაშვილებს* თავდაპირველად ნოჯასა და ნოჯიკეთში უცხოვრიათ, *ფრიდონა-შვილებს* – ეთვალისში, *ბეჟიტაშვილებს* – გრემისხევში. რაც შეეხება *კავთელიშვილებს* ისინი აქ დიდი ხნის მაცხოვრებელნი არიან და აღრიცხული არიან როგორც XVIII საუკუნის დასაწყისის აღწერის დავთარში („*გამიხარდი კავთელი მოკვლე*“, „*კავთელი მოკვლე*“, „*მისი განაყოფი კავთელი*“[195]), ისე 1801-1802 წლის აღწერაში („*კავთელი კაცია, ძმა ივანე შვილი, მსახური*“, „*კავთელი თამაზა*“[196]).

---

[195] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ.52-53.

[196] გ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. – საქართველოს არქივი, წიგნი III, ტფ., 1927, გვ. 141-142.

კავოელიშვილების (ადრინდელი კავოელების) შესახებ შემდეგი გადმოცემა გვაქვს დადასტურებული: „კავოელიშვილები ზემო ბულაჩაურში 11 კომლია. ჩვენი გვარი პირველად ვყოფილვართ გიგაურები. მთიული გიგაურები ვართ. ყოფილა ერთი გმირი, რომელსაც სახელი რქმევია *კავოელი გიგაური*. ლეკიანობის დროს, როცა შემოესივნენ, კავოელის და ლეკებს მოუტაციათ. ის კავოელი მთლიანად დაკარგულა დის ძებნაში და კავოელის შვილები დაიწერნენ კავოელიშვილად და გვარი შეიცვალეს. რომელი სოფლიდანა ვართ, არ ვიცი. მამაჩემი იტყოდა ხოლმე, შეიძლება არეულ-დარეულობის დროს კავოისხევიდანაც ვართ წამოსულიო. ისე კი გვახსოვს, რომ მთიდანა ვართ წამოსულიო. ამ სოფელში პირველი დასახლება ჩვენია, კავოელიშვილებისა. იქიდან რომ წამოსულან, ლაფანაანოკარში დასახლებულან დროებით, ლაფანაანოკარში ეხლაც არის *„კავთა წმიდა გიორგი“*. იქიდან რომ წამოსულან კავოელიშვილებს „ხატი“ ზემო ბულაჩაურში გადმოუსვენებიათ. ლაფანაანოკარში კავოობა ნოემბრის ბოლოს მოდის, ზემო ბულაჩაურში – 6 მაისს. პაპაჩემი ლაფანაანოკარიდან ბავშვი ჩამოსულა (ეხლა რომ ცოცხალი იყოს 150 წლის იქნებოდა). Zაფანაანოკარში ეხლაც ეძახიან „კავოელიანთ ნაფუძარს“. კავოელიშვილები მთაშიც დადიოდნენ სალოცავად – *ლომისაში* და *პირიმზეში*. ყოველ წელიწადს მიდიოდნენ, არ აცდენდნენ. მე ბავშვობაში ავად ვყოფილვარ და ოდონდ გადარჩესო და პირიმზეში წამიყვანეს. **ბულაჩაურში არის ლომისას ნიში; ესეც კავოელიანთ გადმოუბრძანებიათ**. ადრე გადმოუტანიათ. აქ ლომისას ნიშზე ჩამოდიან ლაფანაანოკარის ახლოს სოფელია ***მწითურები*** (მწითურები ცხოვრობენ) (მთხრობელი ვალერიან ილიას ძე კავოელიშვილი, 50 წლის. 12. IV. 1977). ირკვევა, რომ ***ზემო ბულაჩაურში*** მთიელები შედარებით გვიან, ძირითადად XX საუკუნის 20-30-40-იან წლებში არიან მოსული. მართალია *წიკლაურები* გუდამაყრიდან არიან, მაგრამ ისინი „ჯერ შირაქში წასულან. მერე იქიდან, წაყლი და ტყე რომ არ იყო, აქ გადმოვიდნენ, ***ღარისწაყლაში*** და ღარისწყლიდან – ბულაჩაურში“. *ბაიაშვილებიც* ჯერ სოფელ მწითურებში დამკვიდრებულან, ბულაჩაურში კი 1950-იან წლებში. საბოლოდ ზემო ბულაჩაურში დასახლე-

ბულან. მწითურებშივე დასახლებულან თავდაპირველად *ნადიბაიძეები. გვრიტიშვილების* ნაწილი ზემო ბულაჩაურში ღარისწყალადან გადმოსულა, ნაწილი – შირაქიდან... მთიულეთის სოფელ ***ბიბილაანთკარიდან*** (სოფელი ფასანაურის შესასვლელშია) არიან გადმოსახლებული.

საინტერსოა *გვრიტიშვილების* ბულაჩაურში გადმოსახლების მიზეზი: „გვრიტიშვილები ზემო ბულაჩაურში 9-10 კომლამდე ვართ. ჩვენა, ხანდოს ეძახიან, ფასანაურის მარჯვეა, იქიდან ვართ ქართლზე წამოსული. **როცა რუსი შემოვიდა, სამხედრო გზის მშენებლობაზე დიდი ბეგარა ყოფილა. ხარებით, ურმებით მიდიოდნენ თურმე თვიდან თვემდე და, ამის გამო, აყრილან და ქართლზე წამოსულან.** ქართლში წასულან სოფელ დრეში (თეორი წყაროს რიონში). მერე დრედან მოსულან აქ. ჯერ ღარისწყალაში დასახლებულან. ბიძაშვილებიც დრედან ღარისწყალაში წამოსულან. ეს იყო 1872 წელს. ჩვენი გვარის სალოცავი ხანდოშია – „წვერის ანგელოზი“. დრეში უთქვამთ, აქაო, ხატი შორსა გვყავსო, იქ მარჯვეთ იქნებაო და წამოსულან. დრეში მარტო ჩვენები კი არ ყოფილან, ქავთარაძეები, წიკლაურები. ღარისწყალადან ნელ-ნელა ჩამოსახლდა ხალხი ბულაჩაურში, 1962 წლიდან. ღარისწყალაში გზა არ ვარგოდა, მისვლა-მოსვლა ჭირდა, სამუშაოდ აქ დადიოდნენ. ღარისწყალაში მეტი წილი სულ კავის გუთნით, აჩაჩით ვხნავდით. იქ უფრო საქონლით ვცხოვრობდით, ჩვენი საკმარი პური ძლივ მოგვყავდა. გვრიტიშვილები ქუბრიანთკარშიც არიან; ისინი ქსნის ხეობის სოფელ იკოთიდან 1911-1912 წლებში მოსულან. **აქ ისეთი ადგილი იყო ხალხი ძალიან ეტანებოდა, ეხლა სუ მოსული ხალხია აქა.** ჩემს ხსომობაში 15-16 კომი იყო ზემო ბულაჩაურში, მეტი არა. ქვევით სულ არავინ იყო. *კავთელიშვილები* იყვნენ, კიდევ *ღორბელაშვილი, ნამგლიშვილი.* ქაისხევიდან არიან *გუაშვილები* და *რახრახაძეები.* კოლექტივები რაც დაიწყო, მაშინ მომრავლდა ეს ხალხი, ისე ვინ მოუშვებდა. ღარისწყალაში სულ წყაროები იყო და ჩვენ მამა-პაპათ ღარისწყალი დაურქმევიათ. წინათ კი ***მონასტრის ღელე*** რქმევია... მონასტერი არის იქა – დიდია (სავარაუდოდ აქ უნდა ყოფილიყო სოფელი ანეში და ანეშის მონასტერი – რ. თ.). ჩვენ რომ მანდ მოვსულვართ, არაფერი

ველი არ ყოფილა, სულ ტყე ყოფილა. ჩვენებს გაუახოებიათ. ნასოფლარები ტყეშია, ერთ ადგილას კი არ არის გორებზეა. ღარისწყალაში ნიშია *ბოდორნის ღვთიშობლისა.* ეს ნიში წინათვე ყოფილა. გაიგეს მკითხავებმა, რომ ბოდორნის ნიშიაო“ (გაბო გიორგის ძე გვრიტიშვილი, ზემო ბულაჩაური, 78 წლის, 1977 წ.).

ეთნოგრაფიული მასალა ოდიშელიძეების შესახებ: „ოდიშელიძეები ვართ სამ სოფელში: დავათში, აშში და კახეთში. ჩვენა ვართ წარმოშობით აბაშიძეები და წამოსულან ოდიშიდან. სამი ძმანი გამოქცეულან, მკვლელობა მოსვლით, მამულის გულისათვის. რადგან ოდიშიდან ვართ წამოსული, დაურქმევიათ ოდიშელიძე. **ჩვენი სალოცავი არის *კვირია,* რომელიც აშში ბრძანდება, იქ მიდიოდა ხოლმე ჩვენი ხალხი და ღვთიშობელი, რომელიც ჩვენი სოფლის თავზეა. დავთშიც გვაქვს კვირიას ნიში და მთავარი საბრძანებელი კვირიასი იყო აშში.** დავათში, შიგ სოფელში არის კიდევ *თეთრი გიორგი.* ლაფანაანთკარში *კვირიას* ეძახიან. მინდორია, ადგილს **ბაღიანთკარს** (იოანე ბაგრატიონი აქ ასახელებს სოფელს – „ბაღიანი“ – რ. თ.) ეძახიან, იქ არის ერთი ხატი, *ბერას ხატს* ეძახიან“. „*ძველ ოსებშია წმიდა ბარბარე* – რახან ძველად ჩამოსახლებულებია, ძველ ოსებს ეძახიან. არის ახალი ოსებიც, ახალი ჩამოსახლებულებია. **ხიზნებშია** კვირაცხოველი. ახალ ოსებში – ღვთიშობელი, მაღრანში – გიორგობა. ლაფანაანთკარში არის ერთი პატარა ადგილი, ნაჭერი, უშუალოდ ეგ იყო ლაფანაანთკარი. დავათში მინდვრებია, **ზურაბიანთკარი** ჰქვია – ისე გამოცვლით **ჟონჟლიანთკარსაც** უწოდებენ. აქ აღმოჩნდა დიდი სპილენძის ქვაბი, რომელშიც სპილენძის ჭურჭელი იყო და თასი, რომელსაც ეწერა „ზურაბი გარაყანიძე“. ოსების თავზეა ადგილი, ვეძახით **ბოკორნას**. **ვარდიანთკარში** არიან *ვარდიშვილები.* ისინი ლოცულობენ „შარაოს“ – ახატნის თავზე რომაა“ (ალექსანდრე ილიას ძე ოდიშელიძე, 50 წლის, 1977 წ. სოფელი დავათი). ვარდიშვილების შესახებ – 1801-1802 წლების აღწერაში ძაგნაკორას „ქვეყანაში“ შეყვანილია „საერთო ხიმშიანთ, მოსაფლავე

ვარდიშვილი გიორგი“[197]. ამ გვარის სალოცავი ყოფილა „იახსარი“ თიანეთში.

ძაგნაკორაში მცხოვრები ოდიშელიძეების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. პირველად აქ ისინი 1532 წლის შეწირულობის წიგნში არიან მოხსენიებული. რაც შეეხება დუშეთის მახლობლად სოფელ **აშში** მცხოვრებ ოდიშელიძეებს, ისინი პირველად 1476-1511 წლებით დათარიღებულ საბუთში გვხვდებიან, აგრეთვე – 1527-1556 წლების დავის წიგნში[198].

ეთნოგრაფიული მონაცემებით, „ბაიაშვილები აბანოსხევში **კახიანთკარიდან** (იოანე ბაგრატიონის თანახმად ძაგნაკორაში იყო სოფელი **„კახიანი“** – რ. თ.) (ლაფანაანთკარის საბჭო) გადმოსულან“ საცხოვრებლად. აქედანვე ჩავიდნენ იქ *კედელაშვილები. ბაიაშვილები* ნამდვილად ფშავლებია“. „დიდი ხნის მოსულები არ არიან მწითურები“. გადმოცემით მწითურების ძველი გვარია სისაური. ძაგნაკორაში გადმოსული არიან ქსნის ხეობის სოფელ ალევიდან. „იქ, ალევში ორი კომი ყოფილან და გამრავლებულან. ახლა ალევში ერთი კომია დარჩენილი და ისიც მწითურად იწერება. წითურები „ლომისას“ ყმები არიან. 1774 წლის ქსნის ხეობის აღწერაში სოფელ ალევში დასახელებულია „სისოური წითურის შვილი დავითა“[199]. ასე რომ, ეთნოგრაფიული და წერილობითი დოკუმენტი ერთმანეთს ეთანხმება. ამ გვარისანი, ოღონდ სახეშეცვლილი ფორმით, – *წითურაულით* ქსნის ხეობისავე სოფლებში საძეგურსა და გეზევრეთშიც იყვნენ აღრიცხული. ერთ-ერთი მთხრობელი (ნიკა ლევანის ძე მწითური, დაბადებული 1909 წელს, სოფელი მწითურები) თავისი წინაპრების განსახლების არეალად ქსნის ხეობაში ამ უკანასკნელ სოფელს – გეზევრეთს – მიუთითებდა. Tეზევრეთიდან გამოქცეული ორი ძმა, გიორგი და სოსია, ჯერ ქართლში დასახლებულა, შემდეგ ერწოს სოფელ გორანაში და ბოლოს მწითურებში მოსულა. ინფორმატორის მიერ მო-

---

[197] გ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. – საქართველოს არქივი, წიგნი III, ტფ., 1927, გვ. 142.

[198] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი III, თბ., 2004, გვ. 320.

[199] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 195.

წოდებულ ინფორმაციას ადასტურებს 1873 წლის კამერალური აღწერა. მწითურები ძაგნაკორაში მართლაც ერწოს სოფელ გორანადან მოსულან 1864 წელს. ასეთი მინაწერი აქვს მწითურების ოთხ ოჯახს, რომელთა უფროსები იყვნენ: შიო გიორგის ძე (40 წლის), მახარე გიორგის ძე (50 წლის), ივანე მახარეს ძე (28 წლის) და დიმიტრი სოსიას ძე (35 წლის)[200]. 1909 წელს დაბადებული მთხრობლის სიტყვით, ქსნის ხეობიდან წამოსვლის შემდეგ „შვიდი მამაც არაა გამოცვლილი“. მიგრირებულებს გეზევრეთიდან სალოცავის – *გეზევრეთის წმიდა გიორგის* – ნიშიც გადმოუტანიათ („სასანთლეა და მუხაზე ვლოცულობთ“), თუმცა მწითურები ქსნის ხეობის სოფელ გეზევრეთში დროდადრო მაინც დადიოდნენ სალოცავად. „ნიში ჩემმა ბიძაშვილმა წამოიღო, გადაიქცეოდა, ალაპარაკებდა. სულ მთელი გვარი ვიყავით, კედლის ქვა, მიწა და პატარა ზარი წამოიღო“. მწითურები კიდევ ლოცულობენ დიდ ეკლესიაში, *ნოჯის წმიდა გიორგიში* **(„ნოჯის წმიდა გიორგი ბოკორნობით იწერება, ჭალის გაღმა საერთო ბოკორნაა“**; „ნოჯის წმიდა გიორგის ნოჯელები *ადგილის დედა* ეძახიან და ჩვენ *წმიდა გიორგის* ვეძახით. მისი დღეობა მოდის აღდგომას, ამაღლებას და გიორგობას“). მწითურებში დასახლებულებს ადგილზე ღვთიშობელის სალოცავი დახვედრიათ და მისი ლოცვაც დაუწყიათ.

ზემოთ მოკლედ ძაგნაკორას სალოცავების შესახებაც აღინიშნა. ზოგიერთი მათგანი მთიდანაა გადმოტანილი. რეგიონში *ლაშარის-ჯვარიც* არის: „დავათში შიგ სოფლის პირში გვაქვ ლაშარის ნიში. ამ ლაშარის ნიშზე ქვის ჯვარი იყო (ერთი მეტრი სიმაღლის ჯვარი). *ბებრიანთ იორდანეს* (სიმონიანთხეველს) გაურტყია თოფი და დაუმტვრევია. მასზე ხმლიანი კაცი ყოფილა გამოხატული“. როგორც ინფორმატორები მიუთითებენ, ძაგნაკორაში ტყეებში პატარ-პატარა ნიში ბევრია, რომელთა სახელები დღევანდელმა მოსახლეობამ არ იცის და არც არავინ არ ლოცულობს ამ ნიშებთან. ეს ფაქტი ძაგნაკორას ქვეყანაში უდავოდ მოსახლეობის ცვლაზე მიუთითებს.

---

[200] სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქმე № 257.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ერთ-ერთი სოფლის სახელი – „მაღრანი“ მეორდება. ის დავათის ზემოთ ტყე-მინდვრიანი ადგილის სახელწოდებაცაა.

1886 წლის საოჯახო სიებით ძაგნაკორას მხარეში სულ 165 კომლი და 1.229 სული მკვიდრობდა (საშუალოდ კომლში 7,5 სული). 1926 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა – კომლთა რაოდენობა 329 განისაზღვრებოდა, ხოლო სულთა რაოდენობა – 1.725 (საშუალოდ კომლში 5,24 სული). მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მიგრაციული პროცესებით. ამ ზრდის მაჩვენებელი ისაა, რომ 1886 წელს ნაცვლად სამი სოფლისა, 1926 წლისათვის უკვე 14 სოფელი არსებობდა.

ამრიგად, ძაგნაკორნა/ძეგნაკორნა/ზეგნაკორნა არაგვის ხეობის დაბლობში, მის შენაკად აბანოსხევზე მდებარე მიკროორეგიონი იყო, რომელიც მეორე მხრიდან ესაზღვრება ერწოს. ისტორიულად ის კახეთში შედიოდა. ძაგნაკორას თემი რამდენიმე სოფლის მომცველი იყო, მათ შორის, ისეთი სოფლებისა, რომლებიც ადრევე იხსენიება ქართულ წერილობით ძეგლებში (ანეში, დავათი, ლაფანი ანუ ლაფანაანოკარი, ბულაჩური. ცალკე სოფელი იყო თვით ძაგნაკორაც).

წერილობითი ძეგლებისა და საარქივო საბუთების თანახმად, ძაგნაკორა სახელმწიფოს, ეკლესიის და ფეოდალების მფლობელობაში იყო. ფეოდალთაგან თავდაპირველად ყმა-მამული აქ აბულეთისძეებს ეკუთვნოდათ. შემდეგ კი გვიანობამდე, ვიდრე ბატონყმობის გადავარდნამდე ძაგნაკორნას ძირითადი მფლობელები იყვნენ ხიმშიაშვილები. ბუნებრივია, ეს ხიმშიაშვილები კახელი ხიმშიაშვილები იყვნენ. ამის თქმის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ 1796 წლის არზაში „ქართლელი ხიმშიაშვილები“ არიან მოხსენიებული: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ჭელმწიფის ჭირი ხიმშიაშვილს გოგიას მოსცეს. ჩემო მოწყალევ ჭელმწიფევ! **ქართლელი ხიმშიაშვილები** რომ მამულზედ მედავებიან და ჩემს სახლიკაცობას ჩემობენ, ისინი მე დავას არ დამიჭერდნენ, თუ იმ სიცრუეზედ ოსტატი არა ჰყოლოდათ“[201]._მამულები

[201] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VIII, თბ., 1985, გვ. 382.

აქ აზნაურ მიწობლიძეებსაც ჰქონდათ. მიკროორეგიონში დასტურდება საეკლესიო მიწათმფლობელობა, „სამცხეთო გლეხების“ არსებობაც.

ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში, აქაც მოსახლეობის ხშირ ცვლას ჰქონია ადგილი. ორიოდე გვარის გარდა (*ოდიშელიძე, ლაფანაშვილი, კავთელიშვილები, ვარდიშვილი...*) ძაგნაკორას ძველი მოსახლეობა, ფაქტობრივად, აქ აღარ ცხოვრობდა. მისი ძირითადი ნაწილი საგარეო ფაქტორთა მოქმედებით ამოწყდა ან სხვაგან გადასახლდა. XVIII საუკუნის დასაწყისში ძაგნაკორაში მცხოვრები გვარების უმრავლესობამ უკვე XIX საუკუნის დასაწყისისათვის ვერ მოაღწია. აქ მოსახლე მთელმა რიგმა გვარებმა არსებობა შეწყვიტეს (*შანშეური, დორელი, ბუბნიაშვილი, თარხანაული, კოჭობაური, ხორელაური, სათიბეგაშვილი, ცოტაყმაშვილი, ბულაჩაური, ღუტუაშვილი, დუხჭაშვილი...*). XIX საუკუნეში ძაგნაკორა მეჩხრად იყო დასახლებული. ამ პერიოდიდან კი იწყება მთის მოსახლეობის მიგრაცია და ნასოფლარების აღორძინება. **მთიელებმა მოახდინეს მოსახლეობის აღწარმოება, თუმცა ეს მთიელები ძაგნაკორაში ადრეც გადმოსახლდებოდნენ. მათი მიგრაცია აქ ფაქტობრივად უწყვეტი პროცესი იყო.** ძაგნაკორა-ში მიგრაცია ხდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან (ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, ქსნის ხეობა). ხდებოდა მოსახლეობის გაცვლა ერწო-თიანეთთანაც. ძაგნაკორაში მთიელთა მიგრაციას ადასტურებს აგრეთვე მთიდან გადმოტანილი სალოცავების ნიშებიც. მცირე გამონაკლისის გარდა, ძაგნაკორას დღევანდელი მოსახლეობა ძირითადად მოსულია.

ძაგნაკორას მიმდებარე არაგვის ხეობის დაბლობის სოფლები

ძაგნაკორას გარდა არაგვს გაღმა ანუ არაგვის ხეობის დაბლობის მარცხენა მხარეზე კიდევ მდებარეობდა სოფლები. ჭოპორტის შესახებ უკვე ნათქვამი გვქონდა. აქაა კიდევ დღეს დუშეთის მუნიციპალიტეტში შემავალი **ახატანი, წითელსოფელი, ღარისწყალა, ქუბრიანთკარი, ახალციხე, დოლოშა, ვარცლა, კენჭაკლდე, მიგრიაულები, საცხავატლო, ფიჭვიანი, წითელი კლდე**. 1886 წლის აღწერაში შეყვანილია შემდეგი სოფლები: **ახატანი, არჯაკელი, ბოკოწინი, ბიწმენდი, ჯიღაურა, ფუძნარი, ჭოპორტი** (შედიოდა ჭოპორტის სასოფლო საზოგადოებაში), **ქუბრიანთკარი** (არანისის ს/ს), **საცხაოტლო, ხეობა** (ნოჯიკეთის ს/ს), **ჩინთი** (არანისის ს/ს).

ისევე როგორც არაგვის ხეობის დაბლობის სხვა სოფლები, ეს სოფლებიც XIX საუკუნეში ძირითადად მთიდან მიგრირებულთა მიერ იყო მოშენებული. 1886 წელს სოფელ **ახატანში** სულ 44 კომლი ცხოვრობდა და აქედან ნახევარს ხიზნები შეადგენდნენ. ყველაზე მეტნი იყვნენ *ოზიაშვილები* (5 კომლი), შემდეგ – *ვეშაგურები, ოქროპირიძეები, ღარიბაშვილები* (3-3 კომლი), *ღვინიაშვილები, ხეოშვილები, ბიძინაშვილები, ნაზღაიძეები, წიკლაურები, ხუცურაულები* (2-2 კომლი). 1873 წელს სოფელში შესაბამისად 3-3 ოჯახი იყო *ოზიაშვილების, ვეშაგურებისა* და *ოქროპირიძეების,* 2-2 ოჯახს შეადგენდნენ: *ხეოშვილები, ბიძინაშვილები, ღარიბაშვილები.* ოზიაშვილები აზნაურთა მაძიებლებად არიან მოხსენიებული. საარქივო დოკუმენტით ამ დროს დიდი იყო სხვადასხვა სოფლებიდან ახატანში გადმოსახლების ფაქტები, მაგალითად, ეოვალისიდან იყვნენ გადმოსახლებული *ჩხუტიაშვილები,* მცხეთიდან – *მაისურაძე,* მთიულეთის სოფელ ქავთურთკარიდან – *ქავთარაძე,* ხანდოდან *მელიქიშვილი,* კავთისხევიდან – *სიდამონი,* ჯიქურთკარიდან – *ჯიქურაული...* არც ერთი ეს გვარი არ გვხვდება XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარში. ამ დროს

ახატანში 39 კომლი მკვიდრობდა[202]. ახატნის მაშინდელი მკვიდრები იყვნენ: *ბულიაშვილები, ბერუკაშვილები, სულიკაშვილები, მჭადაძეები, ირემაშვილები, შალიაშვილები, დავითაშვილები, ბიბილურები, ასაჯანაშვილები, ვარსიძეები, უგანაშვილები, მოძმანაშვილები, იარაჯულები* და სხვა. 1774 წლის აღწერის დავთარში ჭართლის სოფელ სარეკოუბანში აღრიცხული იყო „ხიზანი ტუსის შვილის შიოშის ყმა ახატნელი *ყვინჩილის შვილი* გოგია“[203].

ეთნოგრაფიული მასალებით, „მელიქიშვილები ხანდოდან ვართ გადმოსახლებული. მამაჩემი იყო აქ გადმოსახლებული, მეცხვარე იყო. მაშინ ხიზნები ვიყავით, ბატონების მოსამსახურეები. იქ, მთაში ცხოვრება არ მიმდიოდაო. მამაჩემს ცხვარი ჰყავდა დაზიარებული ოზიაშვილების. ხატანში გვყავს *შარაო წმიდა გიორგი.* დიდი მლოცველი მოდიოდა ახატანში ავჭალიდან, დიღმიდან, გლდანიდან, დავათიდან... (გიორგი ივანეს ძე მელიქიშვილი, 100 წლის, სოფელი ახატანი, 1976 წ.).

ეთნოგრაფიული მასალებით, ახატანში მცხოვრები **მამულაშვილები** სალოცავად კახეთში დადიოდნენ. ახატნის ერთ-ერთი დიდი გვარია ***ღარიბაშვილების გვარი, რომელთა ადრინდელი გვარიც ხამხაძე ყოფილა.*** თავისი საცხოვრისიდან გამოქცეული ხამხაძე ბატონ ტუსიშვილს შეხიზვნია. „ბატონმა ამ კაცს შერთო ცოლი. ერთი მახინჯი ქალი ყოფილა, ბერბერაშვილი, ბულაჩაურელი. აქედან მერე ეს კაცი გამრავლდა, იმდენი, რომ ვართ ახლა 30 კომი. დაახლოებით 150 წელი იქნება, რაც ჩვენი წინაპარი ახატანში მოსულა“ (სოლომონ სპირიდონის ძე ღარიბაშვილი, 76 წლის, სოფელი ახატანი, 1976 წ.). საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ღარიბაშვილების წინაპარი ხამხაძე ახატანში XIX საუკუნის პირველ ნახევარში იყო დასახლებული. 1843 წლის სახელმწიფო გლეხების აღწერაში ახატანში ხამხაძის მხოლოდ ერთი ოჯახია დაფიქსირებული[204]. ამ დროს მათ ჯერ კიდევ ღარიბაშვილის გვარი მიღებული არ ჰქონდათ. ღარი-

---

[202] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 51-52

[203] ე. თაყაიშვილი. მასალანი საქართველოს... თბ., 1907.Tგვ. 480.

[204] სცსსა, ფ. 254, 16. 1, საქ. № 2126, გვ. 276.

ბაშვილების სალოცავი არის სამება სოფელ ტონჩასთან ახლოს – „ვეძახით სამება ოქროსკარიანს“. ეს ეთნოგრაფიული მასალა კი იმის შესახებ მიუთითებს, რომ დარიბაშვილების წინაპარი ახატანში სოფელ ტონჩიდან არის გადმოსახლებული. აქ სალოცავად მთელი გვარი ერთდ მიდიოდა და დღეობაზე საერთო სუფრასაც მართავდნენ.

ახატანში მცხოვრები ხეოშვილები თიანეთის სოფელ ჟებოტაში სალოცავ „იხინჭაში“ დადიოდნენ.

საცხაოტლოში (შედიოდა ნოჟიკეთის ს/ს) 13 ოჯახი იყო: ***ცაბაური*** (6 კომლი), ***ქისტიანი*** (3 კომლი), ***არაბული*** (2 კომლი), ***ხაიური*** და ***ანთაური*** (თითო კომლი.). საცხაოტლოს ძველი მოსახლეობა ან სხვაგან გადასახლდა ან ამოწყდა. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში აქ ცხოვრობდნენ: ***ყურმუშაშვილი, ხოსიტაშვილი*** (6 ოჯახი), ***კაკბაური, ფოცხვერაშვილი*** (2 ოჯახი), ***ლოზიკაშვილი, დვალი, მიდელაშვილი*** (2 ოჯახი)[205]. დღეს აღარც *ყურმუშაშვილები* არსებობენ, აღარც *კაკბაურები* და აღარც *ლოზიკაშვილები.* საყურადღებო ტოპონიმია „საცხაოტლო“ – ამ ტოპონიმის არაგვის ხეობის მთისწინეთში წარმოქმნა მთიულეთის ცხავატის თემთან უნდა იყოს დაკავშირებული. საცხაოტლო, ე. ი. ცხავატელთა კუთვნილი ადგილი, რომელიც შეიძლება სწორედ მიგრაციის შედეგად წარმოქმნილიყო.

1886 წელს სოფელ **ჯიღაურაში** სულ 15 კომლი ცხოვრობდა (1873 წელს – 10 კომლი), რომელთაგანაც ***მახარაშვილები*** 10 კომლი იყო, ***ცოტნიაშვილები*** – 3 კომლი და ***ძაგანაშვილები*** – 2 კომლი. ეს უკანასკნელნი მთიულეთის ხადის ხეობის სოფელ წკერედან იყვნენ მოსული. 1774 წელს წკერეში ძაგანაშვილების წინაპარ ***ძაგანაურების*** 6 ოჯახი ცხოვრობდა. სოფლის სახელი პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ მასში ჯიღაურთა გვარისანი ცხოვრობდნენ. ერწოს ჯიღაური პირველად 1722 წლის „ღმრთაების გუჯარშია“ მოხსენიებული[206]. ჯიღაურები ერწოს მკვიდრებად მოხსენიებული არიან XVIII საუკუნის პირველი მეოთ-

---

[205] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 85.

[206] ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 366.

ხედის აღწერაში[207]. ერწოელი ჯიდაური იოსებ მოხსენიებულია 1697 წლის საბუთში, XVI საუკუნის ბოლოს ვხვდებით პაატა ჯიდაურს, ჯიდაურთა სოფელი XVII საუკუნის მეორე ნახევარშია დასახელებული[208].

არაგვის მარცხენა მხარეს ყველაზე დიდი სოფელი **ჭოპორტი** იყო, რომელიც პირველად 1392 წლის „ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარშია“ მოხსენიებული – „სოფელი ჭოპარტი“[209]. ოიკონიმი გვხვდება XV საუკუნის ბოლო მეოთხედის, 1579 და 1722 წლების საბუთებშიც. საინტერესოა, რომ 1722 წლის „გუჯარის“ თანახმად **არა მხოლოდ სოფელი ჭოპარტი/ჭოპორტი არსებობდა, არამედ უფრო დიდი გეოგრაფიული ერთეული/„ქვეყანა“:** „ამიერიდგან მახლობლად ღმრთაებისა საყდრისა პირისპირ არიან სოფელნი ჭ ო პ ო რ ტ ა, ზოგნი მსახლობელნი და უმეტესად უშენნი, ნაოჭარნი.Rესე ჭოპორტა არს სამძღვრით ვ ა ნ კ ო დ ა მ დ ე და აქეთ ნორიის თავამდე“[210]. 1722 წლის „ღმრთაების გუჯარის“ თანახმად ჭოპორტი რუსთველის ეპარქიაში შედიოდა._ამრიგად, XVIII საუკუნის დასაწყისში სოფელი და მხარე „ჭოპორტა“ ძირითადად „უშენნი“ და „ნაოჭარნი“ იყო. საგარეო ფაქტორის გამო, მოსახლეობა უკიდურესად შემცირებული იყო. ამას XIX საუკუნის აღწერის დავთრებიც ადასტურებს, რადგან აქ ძირძველი გვარები ფაქტობრივად ადარ იყვნენ.

ჭოპორტში 1886 წელს 86 კომლი ცხოვრობდა. ყველაზე მეტნი ***ლაფანაშვილები*** იყვნენ (21 კომლი), რომლებიც ძაგნაკორას სოფელ ლაფანაანოკარიდან იყვნენ თავის დროზე გადმოსახლებული. ***ზეიკიძეები*** შეადგენდნენ 8 ოჯახს, ***ბეკურაშვილები*** – 6 ოჯახს, ***თექთუმანიძეებ***ი – 5 ოჯახს, ***შალვაშვილები, გოგოლაურები, საძაგლიშვილები***

---

[207] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 48, 50-51.
[208] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, V, თბ., 2015, გვ. 504.
[209] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 19.. გვ. 181.
[210] ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 373.

(4-4 ოჯახს), ***ღარიბაშვილები, შაღაშვილები*** – 3-3 ოჯახს, ***ჯანგირაშვილები, გვრიტიშვილები*** – 2-2 ოჯახს. 1860-იან წლებში ინტენსიური მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა, როგორც მთიანეთის, ისე ახლო-მახლო მთისწინეთის სოფლებიდან, მაგალითად, საშაბუროდან, არაგვისპირიდან, ხუნდავიდან (1864-1865 წლებში – შაღაშვილები), საკრამულიდან, ახატნიდან, იწრიიდან, დავათიდან. ძირად გიგაური ფერხულები ჭოპორტში გადმოსახლებული არიან სოფელ აშიდან XX საუკუნის 20-იან წლებში. არდუნიდან არიან მიგრირებული ჯანგირაშვილები (ძირად ჯიქურაულ-გიგაურები); ზეიკიძეები ატენიდან ყოფილან მოსულები. 1980-იანი წლების დასაწყისში ჭოპორტში 15 კომლი იყვნენ **ბეკურაშვილები. ეთნოგრაფიული მასალებით, ისინი კაწალხევიდან წარმომავლობენ და მათი ძირი-გვარია ზარიძე**. გადმოსახლების მიზეზი მესისხლეობა ყოფილა. თავის მხრივ ჭოპორტიდან ბეკურაშვილები ბიწმენდშიც გადასულან საცხოვრებლად. ბეკურაშვილები სალოცავად კაწალხევში დადიოდნენ.

არაგვის ხეობის მარცხენა მხარეს ჩინთიდან მდინარის მიმართულებით XX საუკუნეში წარმოიქმნა რამდენიმე სოფელი. თუმცა უფრო ადრე აქ სოფელი **ხეობა** არსებობდა, რომელშიც 1886 წელს ფშავიდან გადმოსახლებული 24 კომლი ***წოწკოლაური*** ცხოვრობდა. აქ არის სოფლები **ახალციხე, წითელი-კლდე, ფიჭვიანი, გურგალველი, კენჭაკლდე, საცხავატლო, მიგრიაულები, წობენი...** ეთნოგრაფიული მასალებით, ახალციხეში მცხოვრები ***ყეინიშვილი*** სოფელ ხეობიდან 1984 წელს გადმოსულა საცხოვრებლად: „ჩამოვსახლდი სოფელ ხეობიდან, დაიმზღვრა იქაურობა. ორი-სამი კომლიდა დარჩა იმ სოფელში (უბანში) – **წითელი კლდე** ჰქვია. დაბადებული ვარ წითელკლდეში. ჩემს ბავშვობაში წითელკლდეში იყვნენ: **ჯერვალიძეები** (3 კომლი), **ყეინიშვილები** (5 კომლი), **წოწკოლაურები** (5 კომლი)“ (ნიკოლოზ სვიმანას ძე ყეინიშვილი, 58 წლის, სოფელი ახალციხე, 1986 წ.). მთხრობლის პაპა წითელკლდეში ხორხიდან გადმოსახლებულა. ფშავიდან ჯერ ხორხში გადმოსახლებული ყეინიშვილები სალოცავად დადიოდნენ შუაფხოში იახსრობას. წითელკლდესთან ახლოს კი ჰქონდათ სა-

ლოცავი „თავლადი“. ამ სალოცავზე შემოდგომის გიორგობას სალოცავად ხალხი თიანეთიდან და კახეთიდან მოდენილა. მთხრობელისავე სიტყვით, **„პირველად ჯერვალიძეები და ყეინიშვილები დასახლებულან წითელკლდეში, მამაჩემი მეტყოდა, ამ მამულებს რასაც ხედავ სულ ტყე იყო, გავსჭერით, გავაველეთო“**. „ჯერ წითელკლდეში ჩამდგარა ხალხი და მერე მოდენილან და მოდენილან. **ახალციხეში** იყვნენ *აფციაურები, ბურდულები, კედელაშვილები, გვრიტიშვილები*. აქვე გორზე არის სალოცავი ნიში „ბზიანს“ ეძახიან“. **გურგვალველში** ცხოვრობდნენ *ქავთარაძეები, მთიულიშვილები, აფციაურები, ნარიმანიძეები, ვეშაგურები, წამალაიძეები*, **კენჭაკლდეში** – *აფციაური, მთიულიშვილი, წამალაიძე* (წამალაიძეები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გადმოსახლებული არიან ხადის ხეობის სოფელ ქოროღოდან), *ჭიკაიძე*. მთიულიშვილები ქაისხევიდან არიან გადმოსული. ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით, გურგვალში ნარიმანიძეები სოფელ სონჩოდან გადმოსახლებულან 1944 წლს. **საცხავატლოში** ცხოვრობდნენ *ცაბაურები, ქისტაურები, ვეშაგურები, ბუჩუკურები, ხუზაურები*. **მიგრიაულებში** ფშავიდან გადმოსული *მიგრიაულები* ცხოვრობდნენ.

საკანაფის ხევზე სამი სოფელია: **ვარცლა, დოლოშა, ბოდავი**. **ბოდავი** საისტორიო დოკუმენტებში ჯერ კიდევ XII საუკუნის მიწურულსაა მოხსენიებული ჟინვანთან, წირდალთან, წობენთან და არაგვის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად[211]. ბოდავი შეტანილია XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის კახეთის აღწერის დავთარში, რომლის თანახმადაც სოფელში 12 კომლი ცხოვრობდა. მაშინ ბოდავის მკვიდრნი იყვნენ *„აპრილაშვილი მთვარელი“* და *„აპრილაშვილი ჯაბანი“, „იმარინდოშვილი მამუკა“* და *„იმარინდოშვილი ბაწუნკელი“*, აგრეთვე თითო კომლი *მაწაწაშვილი, ხუხიძიბოშვილი, ვეიძისშვილი, ლაშქარაშვილი* და *ნადირაშვილი*. 1784 წლის ნიკოლოზ ალავერდელის არზით, ბოდავიდან მისული *ბოდაველები* მის სამწყსოში სახლობენ, ე. ი. კახეთს

[211] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ.74.

არიან გადასახლებული[212]. *იოანე ბაგრატიონი* სოფელ ბოდავს ასახელებს[213], მაგრამ მას „მოსახლენი“ არა აქვს მიწერილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მაშინ სოფელში არავინ ცხოვრობდა. ნასოფლარზე კი უკვე სხვები მოსულან. 1886 წლის საოჯახო სიების თანახმად ბოდავში ცხოვრობდნენ: ***ბოდაველები*** (12 კომლი), ***ხისფეხიშვილები*** და ***ნამორაძეები*** (5-5 კომლი). თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა მოცემული 1873 წლის აღწერაში. ორივე აღწერაში დაფიქსირებულია აგრეთვე თითო კომლი ***ქუტარელი*** და ***ობგაიძე.*** იგივე გვარები ცხოვრობდნენ ბოდავში 1843 წელსაც: ხისფეხიშვილი, პაატაშვილი-ბოდაველი და ბოდაველი (4 კომლი). 1860 წლის აღწერის დავთრით, ბოდავში 19 კომლი (145 სული) მკვიდრიბდა., რომელთაგან უმრავლესობას ბოდაველთა გვარისანი წარმოადგენდნენ (11 კომლი); აქედან თითო კომლი ახმეტიდან და ზემო თიანეთიდან იყო გადმოსახლებული. ნამორაძეები 4 კომლი იყვნენ, ხისფეხიშვილები – 2.

ბოდავის წმიდა გიორგის სალოცავს, გარდა ბოდავში მცხოვრები მოსახლეობისა, მის გარეთაც ჰყავდა ყმა-მლოცველები. მისი მკვიდრი ყმები იყვნენ: ***ჩიტაურები, ჯანგირაშვილები,*** თიანელი ***ცალულელაშვილები*** და ***ჯამაგიძეები***. ეთნოგრაფიული მასალებით, ამ ხატს „შეეწირა“ (ყმად იქცა – რ. თ.) ***ლატაურის*** გვარის ხალხი. სხვანაირად იტყოდნენ ხოლმე, ლატაურებმა ბოდავის წმიდა გიორგის ხატში „მხარი ინათლესო“. მათზე სხვანაირად კიდევ იტყოდნენ: „მხარნანათლი ბოდავის ყმანიო“.

განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ბოდავის სალოცავისადმი ხევსურეთის მოსახლეობას. *ალექსი ოჩიაურის მასალებით,* „შვიდ წელს დაიწვა ხევსურეთი, პური არ მოვიდა. ხალხმა თქვა, მოვიყვანოთ ბოდავიდან მინდორის ჯვარიო. ბერდიაულთ მოუყვანია. ბერდიაულთ ნასახლკრალია სოფელში რო ჯვარნია. ეგენი დააყენეს ბერდიაულებმა. ბოდავიდან ავლევდნენ დროშას. ნიკორა ხარი მიყავდა ბოდავში, ჯვარში. თუ ნიკორა არ იყო, შუბლში რამეს თეთრს დააკრავდნენ. ლუდი იდუღებდა ივნისში და დრო-

---

[212] ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 614.

[213] ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 65.

შას მაშინ მოიყვანდნენ. ხარ იქ დახკლებდეს ბოდავში. ნიში ქმოსტშიც იყო. თუ ეს არ შაესრულა, დაიწვებოდა ან დაისეტყვებოდა. მანამ მინდორისჯვარი არ მოიყვანეს, ქერს ღარიც არ ჰქონდა, მერე დაედო ღარი. მის მოყვანილი იყო მინდორის ჯვარი, მაგრამ მოსული მედროშაე თავადავ მოკლეს. წაიცდინა ჯვარმა. დროშა თავის სახლის კულაზე (ქვის ოთხკუთხედი სვეტი – რ. თ.) გადო. მერე ეგ ჯვარნი იმ დროშაზე გაჩინდნენ და გამკვიდრდნენ. იქ სულ ბერდიაულთ ნასახლარებია. როცა მოკლა, მერე ძენგლად (ძენგლი – რაიმე დანაშაულზე გარკვეული მონანიება, ერთგვარი თვითგასამართლება – რ. თ.) დაედო. უსაჯურთ უნდა მოეყვანა დროშა, მანამდინ სხვებიც ეხმარებოდბნენ (უსაჯურნი ბერდიაულებია). ... სოფელი ერთ ჭედილას უკლავდა ყველგან. ქმოსტში ბატკანსაც უმატებდნენ. პურიც მოდიოდა. ხევსურეთის ყველა კომლი თითო ჩარექს ერბოს და ერთ სატანს (=ყველი – რ. თ.) აძლევდა“.

1886 წელს სოფელ **ვარცლაში** 17 ოჯახი ცხოვრობდა. სოფელი მდებარეობს იქ, სადაც საკანაფის ხეობა წობენის ველზე გამოდის. მისი ძირითადი მკვიდრნი იყვნენ ***გორთამაშვილები*** (12 კომლი) და ***ხარანაულები*** (2 კომლი). არ იყო ამ დროს მოსახლეობა დოლოშაში. 1926 წელს ვარცლასა და დოლოშაში 14-14 კომლი მკვიდრობდა. **ვარცლაში გორთამაშვილები კაწალხევიდან ყოფილან გადმოსახლებულები. მათი კაწალხევიდან მიგრაცია 1860 წლის აღწერის დავთარშია დაფიქსირებული[214]. ბოლო დრომდე ბავშვის გაყვანა სწორედ კაწალხევის წმიდა გიორგი სალოცავში იცოდნენ.** თავდაპირველი წარმომავლობა გორთამაშვილებს ქართლიდან – გორიდან ჰქონიათ, საიდანაც ჯერ კახეთის სოფელ მატანში დასახლებულან, მატნიდან კი ჯერ ფუძნარში დამკვიდრებულან, ბოლოს ფუძნარიდან – ვარცლაში. ეთნოგრაფიული მასალით, „ფუძნარიდან დედაკაცები წყალზე წამოსულან. წყალი მოსწონებიათ და გადმოსულან საცხოვრებლად ვარცლაში“. გორთამაშვილები თავიანთ ძველ გვარს – ზარიძეს მიუთითებენ. ვარცლაში ***ცხორაგაულებიც*** ცხოვრობენ, რომელთა სალოცავი ხატიც **ხახმატი** ყოფილა.

[214] სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 248-ა.

ვარცლის მთავარი სალოცავი კი „თავლადის წმიდა გიორგი“ იყო. სოფელ **დოლოშაში** ცხოვრობდნენ: ***ცალუღელაშვილები*** (ადრინდელი გვარი ზარიძე), ***ცხორაგაულები*** (1 კომლი), ***ქისტაურები*** (1 კომლი, გადმოსული არიან ფუძნარიდან), ***წოწკოლაურები*** (ხეობიდან გადმოსახლებულები), ***მიჯახტაშვილები*** (ძირად გიგაურები. ბავშვის გაყვანა იცოდნენ ხევსურეთის სოფელ ბლოში). 1873 წლის აღწერით, დოლოშის მკვიდრები მხოლოდ იარაჯულები (3 კომლი) და ცალუღელაშვილები იყვნენ (1 კომლი).

ბოდავისხევზეა სოფელი **ფუძნარი,** სადაც XIII საუკუნის ტაძარი მდებარეობს. ფუძნარს, სამწუხაროდ, არც *ვახუშტი* და *არც იოანე ბაგრატიონები* არ მოიხსენიებენ. მისი აღორძინება XIX საუკუნის 50-იან წლებში მოხდა, როდესაც აქ ფშავის სოფელ მათურიდან მოსული ***ხუმარაშვილების*** 2 ოჯახი, ბზიკურთიდან – ***წიოლაშვილის*** ერთი ოჯახი და კაწალხევიდან ***იასეშვილისა*** და ***საბაშვილის*** ოჯახები დასახლებულან. 1860 წელს ფუძნარში სულ 5 კომლი ცხოვრობდა. შემდეგ ხევსურეთის სოფელ ბისოდან გადმოსახლებული ***ქეთელაურების*** 4 ოჯახი დასახლდა[215]. 1886 წელს **ფუძნარში** ისევ ექვსი კომლი ცხოვრობდა; ესენი იყვნენ: ***ქისტაური*** (2 კომლი), ***ხალიაშვილი*** (2 კომლი) და თითო კომლი ***გორთამაშვილი*** და ***წიოლაშვილი.*** ყველანი ფშავიდან იყვნენ გადმოსახლებული. 1935 წლისათვის კი სოფელში უმრავლესობას ***გიგაურები*** წარმოადგენდნენ (5 კომლი).

[215] სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 1731, გვ. 92.

ხერკის/თეზამის ხევი
(საგურამოს მხარე)

დღევანდელი საგურამო და მისი მიმდებარე სოფლები ისტორიული ხერკის/ხერკისხევის ქვეყანაში შედიოდა. *ვახუშტი ბაგრატიონი* მის შესახებ წერდა: „და ამათ შორის ქვეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანათს, საგურამოს ანუ თეძმისჴევს (რომელსა ეწოდების ხერკი)“[216]. პირველად საგურამო მოხსენიებულია 1424 წლის სიგელში, რომლის თანახმადაც აქ ცხოვრობდნენ ***„გლეხნი მოდალაურენიანი*** და ***ჯაჭუელისშვილი“***[217]. 1434 წლის ალექსანდრე მეფის სიგელში სვეტიცხოვლისადმი კი ვკითხულობთ: „შემოგუიწირავს ... მცხეთისა საყდრისათვის ...„ხერკის ჴევს ***ზედაძნელაშვილი ასათ*** მისითა მამულითა“[218]. შემდეგ ხერკის ხევს თეძმისხევი ეწოდა. 1579 წლის სიგელში „თეზმის ჴევი“ გვხვდება. 1579 წლის „მამულების მფლობელობის განახლების წიგნში ალექსანდრე II-ისა სვეტიცხოვლისადმი“ ამ მხარის სოფლებიცაა ნახსენები: „და ხანდაკს ***კირაულნი***, მათითა მამულითა; სოფელი **ბაგა;** და ***ცოცხაძის*** მამული, სულა ერთპირად, მისი სოფელი **ჭოპარტი**; სოფელი **ბიწმენი** და ***გიჯიყრელნი*** ორნი სახლნი; **ახატანს** ხუთი მთელი გლეხი და საგლეხო მამული; **მეორე ბიწმენი;** სოფელი **ბოკოწინი;** სოფელი **არჯაკელი;** და ***მიწობელნი,*** ნავნიოს და გიორგი; ... სოფელი **იპტისი;** სოფელი **ზაქარიანი;** სოფელი **აზვი;** საგურამოს ***ზედაძნელაშვილნი...***“[219]. 1886 წლის საოჯახო სიებით, საგურამოს მხრეში შედიოდა სოფლები: **არაშენდა (შანკევან(რ)ი), ბზიანკა-**

---

[216] ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 87.

[217] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II, თბ., 2013, გვ. 135.

[218] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II, თბ., 2013, გვ. 193.

[219] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, თბ., 1965, გვ. 200.

რი, გურამიანთკარი, ივტის-ზაქარო, კოტორაანთკარი, ნავ-დარაანთკარი.

სოფელ **არაშენდა** 1886 წლის საოჯახო სიებში მეორე სახელითაც – შანკევანი – არის ჩაწერილი – «Арашенда он же Шанкевари» (შედიოდა გურამიანთკარის საზოგადოებაში). ასევეა 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარში. ამ დროს აქ 25 კომლი მკვიდრობდა. 1926 წლისათვის კი ეს მაჩვენებელი 49 კომლი იყო. სოფელში ყველაზე მეტი რაოდენობით ***მოძმანაშვილები*** იყვნენ (5 კომლი). ცხოვრობდნენ აგრეთვე ***მჭედლიშვილები*** (4 კომლი), ***ქავთარაძეები, ბერიძეები, ხუცურაულები, ომარაშვილები, ლომაშვილები*** (2-2 კომლი). მოძმანაშვილების გვარი საისტორიო საბუთებში პირველად 1690-1694 წლებისა და 1712 წლების საბუთებში კახეთის სოფელ თვალშია მოხსენიებული. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარში ახატანში ცხოვრობდა „მოძმანაშვილი ხოსიტა. მისი განაყოფი ბერიკა“. 1781 წელს ეს გვარი არანისში ჩანს[220]. 1774 წლის მორიგე ლაშქრის ნუსხაში არანისში მაცხოვრებლები ***მოძმანაძის*** გვარით არიან დაფიქსირებული: „ზანდუკელის ოთარის შვილის გლახას ყმა მოძმანაძე ქრისტესის შვილი პეტრე“[221]. ამრიგად, მოძმანაშვილები არაშენდაში/შანკევანში არც თუ დაშორებული სოფლებიდან არანისიდან ან ახატნიდან იყვნენ გადმოსახლებული, სადაც XIX საუკუნეში კვლავაც აგრძელებდნენ ცხოვრებას. 1873 წლის აღწერის დავთარში შანკევანში (იგივე არაშენდაში) მოძმანაშვილები 2 კომლი იყვნენ. ინტენსიური ჩანს აქ მოსახლების სხვადასხვა სოფლებიდან მიგრაცია. მაგალითად, ***ხუცურაულის*** ოჯახი სოფელ ახატნიდან აქ საცხოვრებლად 1864 წლს გადმოსულა, ***მჭედლიშვილების*** 2 ოჯახი 1867 წელს არაგვის ხეობის დაბლობისავე სოფელ იორიდან, ერთი კომლი მოძმანაშვილი – მეზობელი კოტორაანთკარიდან 1863 წელს. ამავე სოფლიდან მიგრირებულა 1863 წელს ***ომარაშვილის*** კომლი. ქსნისა და ლეხურას ხეობებიდან 1864-1866 წლებში 13 კომლი დასახლებულა (***ბასილაშვილი, ბედოშვი-***

---

[220] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, ობ., 1967, გვ. 39, 52, 124.

[221] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი II, ობ., 19, გვ. 119.

ლი, მუზაშვილი, ბოლოთაშვილი, მელაძე...)[222]. ამრიგად, ორიოდე კომლის გარდა (მოძმანაშვილი, ვეშაგური, ქავთარაძე), სოფლის დასახლება ძირითადად მოხდა 1860-იან წლებში – 1862-1866 წლებს შორის სოფელში 24 კომლი დასახლებულა, როგორც არაგვის ხეობის მთისწინეთის სოფლებიდან, ისე ქსნის ხეობიდან. 1860 წელს შანკევან-არაშენდაში სულ 5 ოჯახი იყო. შანკევარი (იგივე არაშენდა) გურამიანთკართან ორი ყოფილა. პირველში თუ ქართველები ცხოვრობდნენ, მეორეში – ეთნიკური ოსები იყვნენ დასახლებული. 1886 წელს აქ სულ 17 კომლი ოსი მკვიდრობდა, რომელშიც ხიზნები ცხოვრობდნენ, ე. ი. ახალდასახლებულები იყვნენ.

1886 წელს **ბიწმენდში** 30 კომლი იყო აღრიცხული. დიდი გვარი არც ერთი არ იყო. ყველაზე მეტს ***ბეკურაშვილები*** (7 კომლი) და ***სუხიაშვილები*** (6 კომლი) წარმოადგენდნენ, 3-3 კომლი იყვნენ: ***ჩანადირები*** და ***სისაურები,*** 2-2 კომლი – ***ბექაური, მამულაშვილი, საღირაშვილი.*** საღირაშვილები, 1873 წლის აღწერის თანახმად, ბიწმენდში ერწოს სოფელ სიმონიანთხევიდან 1865 წელს გადმოსახლებულან. ერწოს სოფელ ნადირაანთხევიდან 1897 წელს გადმოსახლებულა ***სულიაურების*** 12 სულიანი ოჯახი, ოღონდ თავის დროზე, ისინი ხევიდან იყვნენ მიგრირებული. სოფელში ერთი კომლი ***მეზვრიშვილი*** 1850 წელს სოფელ ყვავილიდან იყო გადმოსახლებული. XIX საუკუნის აღწერის დავთრებზე დაკვირვება პირდაპირ გვიჩვენებს იმ ფაქტს, რომ ბიწმენდში მცხოვრები გვარები არც ერთი ძველი მკვიდრი არ იყო – მათი უმრავლესობა ახალი გადმოსახლებული იყო არაგვის ხეობის დაბლობის სხვადასხვა სოფლიდან. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის აღწერით, ბეკურაშვილები თიანეთის სოფელ *სახასოში* ცხოვრობდნენ. *სუხიაშვილები* კი ქართლისა და კახეთის სხვადასვა სოფლის მკვიდრები იყვნენ. შუა საუკუნეებში სოფელი „ბიწმენის“ სახელს ატარებდა. პირველად ის მოხსენიებულია 1438-1440 წლების სიგელში. 1610 წლის დომენტი კათალიკოსის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „...შეგიწყალეთ და გიბოძეთ ბიწმენს: ***ცხუირ-***

---

[222] სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქმე № 236.

მრუდი გიორგი, მისითა შვილითა და შვილის შვილითა; ***ჩეკურაშვილი ნადირა*** მათის მამულითა“[223]. 1711 წელს ბიწმენელებს მამულზე დავა ჰქონიათ **აზნაურ მიწობლიძეებთან**[224]. 1722 წლის სარუსთველო დროშის განჩინებით, ბიწმენი სახასო ყოფილა. 1579 წლის წიგნით ირკვევა, რომ ბიწმენი ორი ყოფილა: „სოფელი **ბიწმენი** და გიჯიყრელნი ორნი სახლნი; ახატანს ხუთი მთელი გლეხი და საგლეხო მამული; **მეორე ბიწმენი;** სოფელი ბოკოწინი“[225]. *ქვემო ბიწმენი* და *ზემო ბიწმენი* აგრეთვე მოხსენიებილი 1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში. 1447 წლის სიგელშიც ორ ბიწმენზეა საუბარი: „**ბიწმენები სოფლები მისითა მზღრითა“.**

ბიწმენდში ცხოვრობენ ***ბედუკაძეები,*** რომლებიც აქ ქაისხევიდან არიან გადმოსახლებული. მათი გადმოსახლების მიზეზი ის გამხდარა, რომ „ცხვრისათვის აქ კარგი, მზვარე ადგილები იყო“. ეთნოგრაფიული მასალებით ხევის სოფელ არშიდან ერწოსა და ბიწმენდში სულიაურების გადმოსახლების მიზეზი მთაში სიღატაკე და სიღარიბე ყოფილა. აქ მოსული სულიაური გელიაშვილების ოჯახში ზესიძედ შესულა. იმის გამო, რომ არშის წმიდა გიორგის დღეობა შემოდგომით მოდის და ხშირად გზები იკეტებოდა, ამიტომ „ავდექით და ქვა (ე. ი. ნიში) გადმოვიტანეთ“. ბიწმენდელ გელიაშვილებს სალოცავი დუშეთის მახლობლად, სოფელ ყვავილში აქვთ („გიორგობას მივდივართ ხოლმე *შარაოში* მთელი სოფელი. ჩვენი მეგვარეები თვითონ ყვავილშიც არიან. ძირითადად გელიაშვილების სოფელია ყვავილი“). ბიწმენდელი ***მამულაშვილები*** სალოცავად დადიოდნენ ივრის ხეობაში, ლაშარის ჯვარში. ლაშარის ნიში მამულაშვილებს ბიწმენდშიც აქვთ გადმოტანილი. ეთნოგრაფიული მასალებით, „მამულაშვილები კახეთიდან არიან გადმოსულები; რომელი სოფლიდან, არ ვიცი. ლაშარს ზვრები ჰქონდა კახეთში. სადაც ზვრები ჰქონდა კახეთში ლაშარს, იქიდან არიან მამულაშვილები ბიწმენდში მოსულები. ამუ-

---

[223] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 388.
[224] ქართული სამართლის ძეგლები, IV, თბ., 1972 გვ. 237.
[225] ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 200.

ლაშვილები ორ ნაწილად განიყოფებიან აქ. ერთნი ადრე არიან მოსულები, მეორენი – გვიან. კახეთიდან კულუხი რომ მოვიდოდა თიანეთში – ჟებოტაში შევხვდებოდით ხოლმე“ (შაქრო ივანეს ძე მამულაშვილი, დაბადებული 1895 წ., სოფელი ბიწმენდი, 1976 წ.). ბიწმენდში ***ბეკურაშვილები*** ჭოპორტიდან არიან გადმოსახლებული, ***სუხიაშვილები*** – ერწოს სოფელ გორანადან.

1886 წლის საოჯახო სიებში საგურამოს მხრეში დადასტურებულია სოფელი **ბზიანგორი,** რომელშიც ამ დროს 18 კომლი მკვიდრობდა. სოფელი არსებობდა 1926 წელსაც (28 კომლი). შემდეგ ეს სოფელი აღარ ჩანს. 1886 წელს ბზიანგორში ყველაზე მეტნი ***ჯავახიშვილები*** და ***ინაშვილები*** იყვნენ (4-4 კომლი), ***ისმაილაშვილები*** და ***მეზვრიშვილები*** კი 2-2 კომლი იყო აღრიცხული. თითო კომლით იყვნენ წარმოდგენილი ***შამხალაშვილი, ჩალაგაძე, აფციაური, მამულაშვილი, ბიჩნიგაური, ყველაშვილი*** (იგივე ჯარიაშვილი). ამ აღწერაში ისიცაა დაფიქსირებული, რომ ბზიანგორის ყველა ოჯახი ხიზანი იყო, ე. ი. ახალდასახლებული იყვნენ. ბზიანგორი ესაა დღევანდელი **ახალსოფელი**.

სოფელ **ბოკოწინში (იგივე გალავანში)** 1886 წელს მცხოვრები 15 კომლიც ხიზანს წარმოადგენდა: ***ამირხანაშვილი*** (4 კომლი), ***ატაშვილი*** (3 კომლი), ***ობგაიძე*** (2 კომლი)... 1926 წელს ამ სოფელში სულ 44 კომლი ცხოვრობდა. ხოლო ცოტა უფრო ადრე, 1873 წელს ბოკოწინის/გალავნის მცხოვრებთა რაოდენობა 13 კომლს შეადგენდა. აღწერის შემდეგ კი დამატებიათ ***ჭინჭარაშვილის*** ოჯახი სოფელ არანისიდან. 1843 წლის მონაცემებით, ბოკოწინში 9 კომლი ცხოვრობდა და ამ ცხრა კომლიდან ადგილზე რამდენიმე წლის შემდეგ მხოლოდ 6 კომლი იყო დარჩენილი, რადგან 3 კომლი მეზობელ სოფელ ***კოტორაანთკარში*** იყო გადასახლებული, შესაბამისად, 1849, 1850 და 1852 წლებში. ასე რომ, ამ სოფლის ხელახლა მოშენება XIX საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო. XVIII საუკუნის ბოლოს „საგურამოს ხეობის“ სოფელ ბოკოწინში მოსახლეობა რომ არ იყო, ამას *იოანე ბაგრატიონის* აღწერილობაც ადასტურებს, რადგან სოფელ ბოკოწინის გასწვრივ მას „მოსახლენი“ არა აქვს მიწერილი. ბოკოწინი ჩვენამდე მოღწეულ საბუთებში

პირველად 1568 წელსაა მოხსენიებული, რომელშიც ბოოკ-წინში მოსახლე ***ბასანაშვილია*** მოხსენიებული[226]. ბოკოწინი მოხსენიებულია 1579 წლის საბუთშიც. 1630 წელს ზაქარია კათალიკოსს ***გურგენ გარაყანიძისათვის*** ბოკოწინი უბოძებია, რადგან „ძველადცა თქვენი სამკვიდრო ყოფილიყო“-ო[227]. დასახელებულია ეს სოფელი 1751 და 1779 წლების საბუთშიც. ამ უკანასკნელ საბუთში ასეთი რამ წერია: **„ბოკოწინს გალავანს რომ აკეთებდნენ, იმ ხანათ ჰავჭალელნი საგურამოს მივიდნენ“**[228]. ასე რომ, ბოკოწინის მეორე სახელწოდების – გალავნის – წარმოქმნა რეალურად სოფელში გალავნის მშენებლობასთან ყოფილა დაკავშირებული. აღნიშნულს ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს: **„ლეკიანობის დროსა შამორტყმული ყოფილა და იმაზე ეძახიან გალავანს. გალავანს ადრე ბოკოწინი ერქვა“.**

სოფელ გალავანში მცირე რაოდენობით არიან ***აზალაძეები***: „გადმოსული ვართ შიდა ქართლის სოფელ ქვეშიდან. 21 წლის გადმოვსახლდი. ორი წლის ჩამოსული ვიყავი ნიკალაის ომი რომ დაიწყო. ამ ადგილს ვინცა ცხოვრობდა, ჩვენებური კაცი იყო, მეჯვრისხეველი ტატიშვილი; იმან ჩამომიყვანა აქა. პირველად აქ ვიყიდე გარაყანიძე პეტასაგან, კნიაზი იყო. ჩემი ცოლი აქაური, გალავნელი ქალია, ამირხანაშვილი, მაგათი სალოცავია „გორიჯვარი“. ბევრი არიან ***ამირხანაშვილები*** გალავანში, ნახევარზე მეტი სოფელი მაგათია. ამირხანაშვილები გორიჯვარში დადიან სალოცავად. სვენეთიდან არიან მზითევში მოყოლილი. ჩვენი სალოცავი იყო არბო, გერი“ (დავით ვანოს ძე აზალაძე, 86 წლის, სოფელი გალავანი, 1976 წ.). სოფელ გალავნიდან „***ატაშვილები*** სალოცავად დადიოდნენ ხევის სოფელ ხურთისში. აქ ახლა ესენი 8 კომლია. ადრინდელი გვარია წიკლაური“. მესისხლეობის გამო გამოქცეულებს, გვარი შეუცვლიათ. ამავე მიზეზით 1907 წელს ყოფილან ხევის სოფელ სნოდან მოსული ***გოდერძიშვილები.*** ხევიდან არიან

---

[226] საქართველოს ისტორია ტოპონიმებში, ტომი პირველი, თბ., 2010, გვ. 144.

[227] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 490.

[228] ქართული სამართლის ძეგლები, VII, თბ., 1981, გვ. 430.

გალავანში მოსული ***მოხევიშვილები***, რომელთა ძირი-გვარც ჩქარეული იყო. გალავანში მთიულეთიდან არიან გადმოსახლებული ***ბორძიკულები:*** „ბორძიკული ერთი კომლი ვართ ამ რაიონში, მამაჩემი გაზრდილა ერთი ობლადა. წინამძღვრიანთკარში მოჯამაგირედ ყოფილა. წამოსულა მთიულეთიდან, კობათკარიდან. ბიძაშვილები იქა მყვანან, კობანთკარში“. XVIII საუკუნეში ბორძიკულების გვარი დუშეთში მკვიდრობდა. 1781 წლის აღწერაში ისინი წინდუშეთში არიან მოხსენიებული: „აზნაურ კობიაშვილ ივანეს ყმა ბორძიკული დავითა“[229].

დღევანდელი სოფელი **საგურამო** ადრე **გურამიანთკარის** სახელწოდებას ატარებდა. ასეა ის დაფიქსირებული XIX საუკუნის აღწერის დავთრებში და 1926 წელსაც, რომელსაც ამ დროს მეორე სახელწოდება **(არაგვიანი)** აქვს მიწერილი. 1926 წელს გურამიანთკარში 100 კომლი მკვიდრობდა, ხოლო 1886 წლიასათვის ეს რაოდენობა 51 კომლით განისაზღვრებოდა. გურამიანთკარის ყველაზე დიდი გვარი ***ლაბაური*** იყო (12 კომლი). 1886 წელს ***უნდილაშვილები*** 9 კომლი იყვნენ, ***მოძღვრიშვილები*** – 5 კომლი, ***ჩალაური*** და ***გზირიშვილი*** (4-4 კომლი), ***ბიჩნიგაური*** და ***ქურციკიძე*** (3-3 კომლი), ***შამხალაშვილი, ჭილაშვილი*** და ***შოთნიაშვილი*** (2-2 კომლი). აქ მკვიდრობდნენ კიდევ ***თარაშვილი, ზანგურაშვილი, პავლეური, ჯავახიშვილი, ილურიძე, ნადირაძე, ჯელაძე***[230]. 1873 წლის აღწერის დავთარი გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ იმ დროს ინტენსიურად მიმდინარეობდა ამ სოფელში მიგრაცია. მაგალითად, მართალია, გურამიანთკარში უკვე დამკვიდრებული იყო *ლაბაურების* 8 კომლი, მაგრამ აქ 1863 წელს ლაბაურების ორი კომლის – ტუხო და ზალიკო ლაბაურების – დასხლკარება სოფელ არაგვისპირიდან კვლავ მომხდარა. ერთი კომლი ლაბაური საგურამოში არაგვისპირიდან 1850 წელსაც გადმოსახლებულა. ორი კომლი ***ჭილაშვილიდან*** ერთი არანისიდან გადმოსახლებულა, მეორე – არაგვისპირიდან. ქაიხევიდან იყო 1865 წელს მიგრირებული სიმონ ***ნადირაძის*** ოჯახი. სოფელ ყვავილიდან

---

[229] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, ობ., 1967, გვ. 139.

[230] სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქმე № 1796, გვ. 32-52.

ასევე ორი ოჯახი გადმოსახლებულა 1865 წელს – მახარე და სოსიკა *მეზვრიშვილები*. 1862 წელს სოფელ აშიდან იყო გადმოსული გიგოლო *ჯავახიშვილი,* ჯიქურაულთკარიდან 1865 წელს – ისაკ *პავლეური,* ებნისიდან – ზაქარია *ჯარიაშვილი*, წინამხრიდან – მახარე *აფციაური*, ცხინვალიდან – გიორგი *ილურიძე,* ქისიყიდან – ნინიკა *ორუჯაშვილი*, თელავიდან – ივანე *ჯელაძე*. გადმოსახლებულები 20-დან 30 წლამდე ასკისანი იყვნენ. სოფელი და მხარე საგურამო არაერთხელაა მოხსენიებული ქართულ საბუთებში. პირველად ის 1392 წლის დოკუმენტშია დასახელებული: ქვემო და ზემო ბიწმენის, არჯაკალის, ივტისის გვერდით: „საგურამოს ოთხი კომლი კაცი *მელალაურნი*“[231]. 1661 წლის წყალობის წიგნში საგურამოს მკვდრად დასახელებულია ბერუა *ჯუბჯაური*[232]. ირკვევა, რომ XVIII საუკუნეში საგურამოს მთიელები ცხვრის საზამთრო საძოვრებად იყენებდნენ. 1798 წელს გიორგი XII-სადმი მირთმეულ არზაში *ზაალ გურამიშვილი* წერს: „**რაც საგურამოში არაგველთ და ან სხუათ ცხვარი უყენიათ, შვიდი წელიწადია იმათს საბალახეს ჩემის სახლის კაცნი იღებენ** და მე არას მაძლევენ. შარშანაც მცხეთელებს ღალა იმათ გამოართვეს“[233]. არზას მრავალხმრივი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია ის, რომ საგურამოში ფაქტობრივად მკვიდრი მოსახლეობა არ იყო ან თუ იყო უმნიშვნელო რაოდენობით. სწორედ ამიტომაც მას არაგველები (მთიელები) საზამთრო საძოვრებად იყენებდნენ.

სოფელი **ზაქარო** XIX საუკუნეში **ივტის-ზაქაროს** სახელს ატარებდა. 1886 წელს სოფელში 51 კომლი მკვიდრობდა (1873 წელს – 44 კომლი), ყველაზე მეტნი კი *დორეულები* იყვნენ (11 კომლი). ამ დროს ივტის-ზაქაროში 9 კომლი *მოხევიშვილი* ცხოვრობდა, *კახობერაშვილი* და *ედიშერაშვილი* 7-7 კომლი იყო, *წიკლაური* – 4 კომლი, *ჭართლე-*

---

[231] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 181.

[232] საქართველოს ისტორია ტოპონიმებში, ტომი მეორე, თბ., 2010, გვ. 96.

[233] ქართული სამართლის ძეგლები, VIII, თბ., 1985, გვ. 504.

ლი – 3, ***ჩოხელ***ი და ***ჭონიაიძე*** – 2-2. თითო კომლი იყო ***უნდილაშვილი, ძაგანიშვილი, ელიოზაშვილი.*** 1864 წელს ერწოდან იყო გადმოსახლებული ***ბუთხუზის*** ოჯახი. 1875 წელს აღწერის შემდეგ არაგვისპირიდან გადმოსახლებული იყო ერთი კომლი ***ჯიქურაული,*** რომლის შთამომავლები 1886 წელს მოხსენიებული ჭართალელები უნდა იყვნენ. *ვახუშტი* და *იოანე ბაგრატიონები* საგურამოს „ქვეყანაში“ სოფელ ზაქარასთან ერთად მოიხსენიებენ სოფელ ***იპისს.*** ეს უკანასკნელი სწორედ რომ შემდეგდროინდელი „ივტისი“ უნდა იყოს. თუმცა 1392 წლის დოკუმენტში (ამ საბუთის დათარიღება კი ოდნავ საეჭვოს მიგვაჩნია) საგურამოს მხარეში ბიწმენისა და არჯაკელის შემდეგ სოფელი ***ივტისია*** მოხსენიებული. XIXC საუკუნის ივტის-ზაქაროს გვარებზე ერთი თვალის გადავლებაც კი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ სოფლის მკვიდრები ძირითადად მთიდან მოსულები იყვნენ. ზაქაროში მცხოვრები ***მოხევეშვილები*** სავარაუდოდ ძირად ჩქარეულები უნდა იყვნენ; ამის საფუძველს კი ის ფაქტი იძლევა, რომ 1843 წლის სახელმწიფო გლეხების აღწერაში ჩქარულის ორი კომლი იძლევა. ზაქაროში ცხოვრობენ ***მარტოძეებიც*** („ეგეც მოჯამაგირედ არის დამდგარი. შვილადა ჰყავდათ აყვანილი და მაგით გვარი მეზვრიშვილია. ერთი ღერი კაცი იყო და მარტო ძე არისო და ჩაწერეს მარტოძედ“). ეთნოგრაფიული მასალებით ზაქაროში მცხოვრები „კახობერაშვილები ქსნის ხეობაზე არის დღეობა – „კალობნობა“ – იქ დადიან ყოველ წელიწადს გვარი, კურატით“.

ივტის-ზაქაროს ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა სოფელ ***კოტორაანთკარში.*** ამ სოფელში 1873 წლს 14 კომლი ცხოვრობდა, 1886 წელს – 21. სოფელში 1873 წელს 1 კომლი ***ბედუკაძე*** მკვიდრობდა, 1886 წელს – 6 კომლი. აღწერის დავთარში რადგან დროის ამ მონაკვეთში ამ გვარის მიგრაციის შესახებ არაა მითითება, ამიტომ ასეთი მატება უთუოდ დიდი ოჯახის გაყოფის შედეგი უნდა იყოს. 1886 წელს კი ყველაზე მეტი კოტორაანთკარში ***მოძმანაშვილები*** იყვნენ (4 ოჯახი), რომლებიც აქ 1863 წელს საგურამოსავე სოფელ არაშენდადან იყვნენ გადმოსახლებული. საერთოდ კი ეს გვარი მკვიდრობდა არანისისა და არაგვისპირის მახ-

ლობლად მდებარე **მოძმანაანთკარში**. აქ ასეთი სოფელი დაფიქსირებულია 1843 წლის აღწერაში, რომელშიც მოძმანაშვილებს მიწერილი აქვთ, რომ გადასახლდნენ საგურამოში 1845 წელს და ბიჩნიგაურთკარში 1850 წელს. ამავე სოფელში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდნენ აგრეთვე ***არჯინაშვილები, ედიშერაშვილები, კობაიძეები*** (2-2 კომლი), აგრეთვე ***გორთამაშვილი, ჩოჩოშვილი, კბილცეცხლაშვილი, ქავთარაშვილი, ყველაშვილი.*** ეს უკანასკნელნი აქ ქსნის ხეობის სოფელ *თოხთიდან* იყვნენ მიგრირებული 1866 წელს. სოფლის ძველი მკვიდრი გვარებიდან აღარავინაა შემორჩენილი. აქ რომ ოდესღაც კოტორაშვილები ცხოვრობდნენ, ამაზე სოფლის სახელწოდებაც მიუთითებს.

სოფელ **ნავდარაანთკარში** 1886 წელს უმრავლესობას ***ნავდარაშვილები*** შეადგენდნენ (9 კომლი). 5-5 კომლის რაოდენობით იყვნენ ***პაპუჩელაშვილები*** და ***ჭართალელები*** (იგივე ***გიგაურები***), ***ჩანადირები*** და ***წიკლაურები*** 3-3 ოჯახს რაოდენობით იყვნენ, ***ჭინჭარაულები, გოგოლაურები*** და ***სისაურები*** – 2-2. ამ დროს ნავდარაანთკარში სულ 36 კომლი მკვიდრობდა. 1860 წლის მონაცემებით ნავდარაშვილები საეკლესიო გლეხები იყვნენ.

საგურამოში მდებარეობს სოფელი **წინამძღვრიანთკარი,** მაგრამ XIX საუკუნის საარქივო მონაცემებით, სოფელი წინამძღვრიანთკარი აქ დაფიქსირებული არაა. არ ჩანს ეს სოფელი 1886 წლის საოჯახო სიებში. 1926 წელს წინამძღვრიანკარში 90 კომლი მკვიდრობდა. 1948 წლის საკომლო დავთრებით, წინამძღვრიანთკარის ყველაზე დიდი გვარი ***ბექაური*** იყო (23 კომლი) შემდეგ მოდიოდნენ: **გულბათაშვილი** (20 კომლი), **რომელაშვილი** (16 კომლი) და ***წინამძღვრიშვილი*** (7 კომლი). ბუნებრივია, სოფლის სახელი აზნაურ ***წინამძღვრიშვილებს*** უკავშირდება. ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც აზნაური *წინამძღვრიშვილები* არიან დასახელებული 1658-1663 წლებით თარიღდება; ისინი თავად ციციშვილების აზნაურები იყვნენ და შიდა ქართლში ცხოვრობდნენ. XVIII საუკუნის დამლევს აზნაურმა ნოდარ ***მიწობლიძემ*** *გაბრიელ წინამძღვრიშვილი* იშვილა. ამის შემდეგ საგურამოს მხარეში მიწობლიძე-წინამძღვრიშვილების სოფელ ბოკოწინთან ახალი სოფელი წინამძღვრიანთკარი წა-

რმოიქმნა. წინამძღვრიანოკარში ჩაწერილი მასალით, **„წინამძღვრიანთკარს ქვივნებიან ადრე არჯაკელ**ი“ (არჯაკელი 1392 წლის დოკუმენტშია ნახსენები სოფელ ზემო ბიწმენის შემდეგ, აგრეთვე 1579 წლის შეწირულობის განა-ხლების სიგელში, შემდეგი თანამიმდევრობით: „სოფელი **ჭოპარტ**ი; სოფელი **ბიწმენი** და გიჯიყრელნი ორნი სახლნი, **ახატანს** ხუთი მოელი გლეხი და საგლეხო მამული; **მეორე ბიწმენი**; სოფელი **ბოკოწინ**ი; სოფელი **არჯაკელ**ი; და მიწობელნი... სოფელი **იპტისი**; სოფელი **ზაქარიანი**“[234]). სოფელი არჯაკელი 1886 წლის საოჯახო სიებით, ჭოპორტის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა, რომელშიც მცხოვრები 25 კომლიდან თითქმის ყველა (3 კომლის გარდა) ხიზნადაა ჩაწერილი. 1886 წელს არჯაკელში ყველაზე მეტი *ბექაურები* იყვნენ (4 ოჯახი), შემდეგ მოდიოდნენ *გულბათა შვილები* (3 ოჯახი), *რომელა შვილები* კი ერთი კომლის რაოდენობით ცხოვრობდნენ. 1843 წლის სახელმწიფო გლეხების აღწერაში არჯაკელში ამ კატეგორიის 4 კომლია აღრიცხული; ესენი იყვნენ გუდამაყრიდან გადმოსახლებული ბექაური და ჩოხელი და თითო კომლი *მამუკა შვილი* და *კბილცეცხლა შვილი*. ეს უკანასკნელი კი 1850 წელს იქვე ახლოს, სოფელ კოტორაანოკარში იყო გადასახლებული. 1873 წლის კამერალური აღწერით, არჯაკელში 22 კომლი ცხოვრობდა, რომლებსაც შემდეგი მინაწერი აქვთ გაკეთებული: „სახელმწიფო გლეხები საბატონო მამულზედ. აზნაურ წინამძღვრიშვილის მამულზედ მცხოვრებნი“. 1873 წელს სოფელში ცხოვრობდნენ: *ღარიბა შვილი, გოგოლაური, შოთნია შვილი, ბექაური* (2 კომლი), *ჩოხელი, წიკლაური* (3 კომლი), *ბითარას შვილი, გულბათა შვილი* (2 კომლი), *რომელა შვილი*. დანარჩენი კომლები მიგრირებული იყვნენ: *პაპია შვილი* (შიდა ქართლის სოფელ ფლავიდან), *ქუმსი შვილი* (მთიულეთის სოფელ კაიშაურებიდან), *ხარხელაური* (გუდამაყრის სოფელ დუმაცხოდან), *დიდება შვილი* (გუდამაყრის სოფელ დიდებაანთკარიდან), *ქუბრია შვილი* (სოფელ ქუბრიანოკარიდან), *მოძმანა შვილი* (არაგვისპირიდან), *ბუჩუკური*

[234] ქართილი სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 200.

(მთიულეთის სოფელ გვიდაქედან), ***ამირიძე*** (მთიულეთის სოფელ ამირთკარიდან), ***ჟიჟიაშვილი*** (ხორხიდან)[235].

გულბათაშვილები არაგვის ხეობის სოფელ პავლეურიდან არიან გადმოსახლებული. ახლა რომელაშვილებზე შევჩერდებით: „რომელაშვილები მამა-პაპით ვართ გადმოსულები ჯავის მხრიდან. იქიდანა ყოფილან ჩვენი პაპის-პაპები. ყმათა ყოფილა პაპაჩემი აქა. აქ დაბერებულა ბატონებთან. ის, ვინც გადმოსახლდა, მამაჩემის პაპა ყოფილა, ბიძაშვილებით გადმოსახლებულა. იქიდან წამოუყვანია ბატონს წინამძღვრიშვილს ყმათა. მზითევში გამოტანებული ვართ, ეგრე იტყოდა ხოლმე მამაჩემი. რომელაშვილების სალოცავია *არბო წმიდა გიორგი*“ (თედო დავითის ძე რომელაშვილი, 80 წლის, წინამძღვრიანთკარი, 1976 წ.). რომელაშვილები რომ მართლაც ქართლის მკვიდრნი იყვნენ, ამას 1700 წლის ერთი დოკუმენტიც ადასტურებს – *აღდგომელ რომელაშვილი ფარისში* (ეს იგივე ფრისია – რ. თ.) მცხოვრები ნუგზარის მეკოდისპურე ყმა-გლეხი ყოფილა[236].

ეთნოგრაფიული მასალებით წინამძღვრიანთკარში მცხოვრები ***ჟიჟიაშვილები*** (3 კომლი) ხორხიდან არიან გადმოსახლებული. „პაპას გიორგის ჭრელი მთიულური ძროხები წამოუსხია იქიდან და მიწური სახლი გაუკეთებია. მამაჩემი აქ არის დაბადებული. წინამძღვრიანთკარში ჟიჟიაშვილებმა *წიფორის წმიდა გიორგის* ნიში გავაკეთეთ“ (გიორგი ივანეს ძე ჟიჟიაშვილი, დაბადებული 1927 წელს, წინამძღვრიანთკარი, 1976 წ.).

წინამძღვრიანთკარის თავზე არის სალოცავი „უღლება“, რომლის დღეობაზე სოფელ ჭილანთკარის ხალხი ცხვრითა და კურატით მიდიოდა.

---

[235] სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 226, გვ. 84-92.

[236] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, თბ., 2007, გვ. 72.

სამუხრანბატონოში შემავალი არაგვის ხეობის ბარის სოფლები

არაგვის ხეობის მარჯვენა ნაწილში შედის ბარის რამდენიმე სოფელი: **წილკანი, ძალისი, მისაქციელი, ფრეზეთი, ლამი, უფურეთი, აღდგომელაანთკარი, ახალდაბა, ნაოზა, ნატახტარი, ახალუბანი, ერედა**. ამ სოფლებიდან ყველაზე დიდი და ამავე დროს, ცნობილი სოფელი წილკანია. **ჭილკანი** არაეთხელაა მოხსენიებული შუა საკუნეების ქართულ დოკუმენტებში. პირველად გვხვდება ის 1448 წლის საბუთში. 1514 წლის შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ: „...და შემოგწირეთ ჩუენი მკუიდრი ყმა, ნასყიდი **ფირიაშვილი** ასრე ამა წესითა, რომე მამული წილკნისა აქუს და თუით მისი სახლისკაცი პატრონსა კათალიკოზსა გაუყრელად იახლოს. და თუ კათალიკოზსა ეპრიანებოდეს, რომე ფირიაშვილი წილკნით აჰყაროს და სხუაგან დაასახლოს, მისი გამომნახავი ვერავინ იყოს“[237]. დასახელებულია წილკანი 1527-1558 წლებით დათარიღებულ საბუთშიც. 1669 წლის საეკლესიო საბუთი იმასაც გვამცნობს, რომ მთელი „დაბალი საერისთო“ წილკნელის ეპარქიაში შედიოდა.

1886 წელს **წილკანში** 185 ოჯახი მკვიდრობდა. 1886 წელს წილკანში მკვიდრობდნენ: *ლაშაურები* (11 კომლი, 1948 წელს – 25 კომლი), *ტაველურები/ტაველელი* (2 კომლი, 1948 წელს – 5 კომლი), *მისირელი* (3 კომლი, 1948 – 8 კ.), *მუმლაური* (1 კ., 1948 – 3 კ.), *ჩიკრიკაული* (1 კ.), *ძეველური, ხანდოელი* (2 კ.), *წიკლაური* (4 კ., 1948 – 11 კ.), *ქავთარაძე* (5 კ.), *ჩილინდრიშვილი* (13 კ., 1948 – 21 კომლი), *ამნიაშვილი* (5 კ., 1948 – 9 კ.), *გოგიჩაშვილი* (5 კ., 1948 – 2 კ.), *ცოციაშვილი* (6 კ.), *ელოშვილი* (3 კ.), *მაისურაძე* (5 კ.), *დიაკვნიშვილი* (3 კ.), *ასპინძელაშვილი* (3 კ.), *ბერიკაშვილი* (3 კ.), *ქაშიაშვილი* (4 კ., 1948 – 10 კ.), *ქაფიაშვილი* (5 კ.), *დიდმელაშვილი* (5 კ.), *წამალაშვილი* (5 კ.), *ოქრიაშვილი* (2 კ.),

---

[237] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, თბ., 2016, გვ. 51.

მონასელიძე (4 კ.), *ბედუკაძე* (2 კ., 1948 – 4 კ.), *შავლიაშვილი* (2 კ.), *როსტიაშვილი* (3 კ., 1948 – 8 კ.), *ნაზღაიძე* (4 კ.), *აღსაბაძე* (3 კ., 1948 – 14 კ.), *ზაქაიძე* (4 კ., 1948 – 7 კ.), *ხუროშვილი* (2 კ.), *ანდრიაშვილი* (2 კ., 1948 – 15 კ.), *დალაქიშვილი* (4 კ.), *ჟიჟიაშვილი* (3 კ., 1948 – 6 კ.), *ჭალელიშვილი* (2 კ., 1948 – 9 კ.), *ოქრუაშვილი* (2 კ., 1948 – 13 კ.), *გოსტამაშვილი* (4 კ., 1948 – 9 კ.), *ოქუაშვილი* (1948 – 13 კ.), *ლილუაშვილი* (1 კ., 1958 – 10 კ.), *შალიკაშვილი* (1 კ., 1948 – 13 კ.), *გვიანიშვილი* (2 კ., 1948 – 4 კ.), *სტეფნიაშვილი* (1948 – 5 კ.), *ქაფიაშვილი* (5 კ., 1948 – 8 კ.), *ციხელიშვილი* (1 კ., 1948 – 5 კ.), *წოწინაშვილი* (1 კ., 1948 – 4 კ.), *ქიტუაშვილი* (1 კ., 1948 – 5 კ.), *ძაგანაშვილი* (1 კ., 1948 – 3 კ.).

ზემოთ ჩამოთვლილ გვარსახელებს თუ დავაკვირდებით, ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ წილკანში ბევრი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან მოსული. ლაშაურების შესახებ საგულისყურო ეთნოგრაფიული მასალა გვაქვს დაფიქსირებული: **„ლაშაურები ძირად ფშავლები ვართ. ჩვენი ნამდვილი გვარი გიგაური ყოფილა.** ერთხელ, თურმე, ერთი წილკნელი ბერი საკალმახოდ წასულა ლაშარის ჯვარში და იქიდან წამოუყვანია უპატრონო ბავშვი. ეს ბავშვი აქ წილკანში აღუზრდიათ და აქვე დარჩენილა გალავნის შიგნით. ცოლი შეურთავს. ამბობენ, იმ ობლიდან გამრავლებულა ორი შტო გიგაურებისა, რომლებსაც აქ ლაშაური ეწოდათ. ეს ორი შტოა: 1. *კალატოზიანი* და 2. საკუთრივ *ლაშაურები.* ამათ ორივეს თავდაპირველად „ლაშარელი“ და მერე „ლაშაური“ დარქმევიათ. კალატოზიანებთან ჩვენ ლაშაურებს დიდი სიახლოვე გვქონდა და ეხლაც გვაქვს, ამბობენ ერთმანეთის განაყოფები ვართო. აქ არის კიდევ გიგაურების მესამე შტო, რომელსაც *კიდლიანნი* ეწოდებათ. კიდლიანები წილკანში გვიან ჩამოსულან ფშავიდან. ისინი გვარად გიგაურები არიან და აქ რომ მოსულან თავისთვის რატომღაც ლაშაური დაურქმევიათ. ამბობენ, კიდლიანები და დანარჩენი ლაშაურები ერთმანეთთან ისე შორეულები ვართ, რომ ჩვენს შორის დამოყვრება შეიძლებაო. Ჯალატოზიანი და ჩვენ საკუთრივ ლაშაურები წილკნის ძველი მოსახლეები ვართ, სხვა გვარებთან შედარებით“ (გიორგი ლაშაური, 76 წლის, 1981 წ.). 1833 წლის აღწერაში წილკანში

ლაშაურების 6 კომლია აღრიცხული – ისინი საეკლესიო გლეხები იყვნენ. საერთოდ, სოფლის თითქმის მესამედი საეკლესიო გლეხებს წარმოადგენდნენ, მათ შორის, *წოწინაშვილები, გოგიჩაშვილები, ამნიაშვილები, ოციაშვილები, დიღმელაშვილები, ასპინძელაშვილები, ბედუკაძეები, ომარაშვილები, ჩილინდრიშვილები* და სხვა[238].

ერთ-ერთი ძველი გვარია ***ტაველურების*** გვარც. მამისიმედი ტაველური მოხსენიებულია 1505 წლის საბუთში არაგვის ხეობის დაბლობის სოფელ ოროტაში[239]. ***ნდრიაშვილები*** ქართლში რამდენიმე ადგილას ცხოვრობდნენ და, მათ შორის, არაგვის ხეობის დაბლობშიც – XVII საუკუნის პირველ ნახევარში *რევაზ ერისთავისშვილს* ანანურის ღმრთისმშობლისათვის *პაპუნა ანდრიაშვილი* შეუწირავს[240]. ეთნოგრაფიული მასალებით, წილკანში ***ოქრუაშვილები*** მეჯვრისხევიდან არიან მოსული. 1873 წლის აღწერა კიდევ დამატებითი ინფორმაციის მომცემია. მაგალითად, ირკვევა, რომ ლაზარე ***ბზიკაშვილი*** წილკანში გადმოსახლებული ყოფილა დუშეთის მაზრის სოფელ აბანოდან, ყარამან ***საბანაშვილი*** – პატარა ლიახვის ხეობის სოფელ აწრისხევიდან, ივანე ***ქიმბარაშვილი*** – საშაბუროდან, შიო ***ჩქარეული*** – ხევის სოფელ გორისციხედან, დავით ***გელიაიძე*** – ოკამიდან, დავით ***ოსიშვილი*** – დუშეთის მაზრის სოფელ ***ფრეზეთიდან***, თევდორე ***ძუძუაშვილი*** და იოსებ ***ნაზღაიძე*** – დამპალოდან და ა. შ. წილკანში ***გვიანიშვილები*** მთიულეთის სოფელ ხარხეთიდან არიან გადმოსახლებული, სადაც სალოცავადაც დადიოდნენ. ამ გვარისანი თავიანთ ადრინდელ გვარად წიკლაურს მიუთითებენ; წინაპარი ხევსურეთიდან მოსულა. თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა წილკანში არაგვის ხეობის უფრო ზევით მდებარე სოფლებიდან მიგრაცია, მაგალითად, 1845 წელს სოფელ ყვავილიდან იყო გადმოსახლებული მეზვრიშვილე-

---

[238] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 2045, გვ. 35-44.

[239] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, თბ., 2007, გვ. 224.

[240] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991, გვ. 149.

ბის ოჯახი. 1858 წელს იყვნენ აქ გადმოსახლებული მუმლაურები სოფელ ფრეზეოიდან.

არაგვის მარჯვენა შენაკად ნარეკვავზეა სოფელი **მჭადიჯვარი,** რომელიც პირველად მოხსენიებულია 1669 წლის „წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელში“; შედიოდა სამუხრანბატონოში. ამ წერილობითი ძეგლით, მჭადიჯვრის მკვიდრნი ყოფილან ***ახნაური ბურდიაშვილები.*** მჭადიჯვარი ისტორიაში ცნობილია აგრეთვე 1745 წლის ლეკებზე გამარჯვებით, სადაც ერეკლე მეორემ ხუნძახის ბატონი დაამარცხა. მჭადიჯვარი გვხვდება 1792 წლის არზაში, რომლის მიხედვით, ირკვევა, რომ ამ სოფელში მოსახლეობდა ჯავახეთიდან ლტოლვილი, ვარძიის დეკანოზისშვილი გიორგი ***როსეფაშვილი***[241]. „მჭადისჯუარს“ იხსენიებს *იოანე ბაგრატიონი,* რომელსაც გვერდით მიწერილი აქვს „მოსახლენი“, რაც იმას ნიშნავას, რომ XVIII საუკუნის ბოლოს აქ მოსახლეობა იყო. 1940-იანი წლებისათვის მჭადიჯვარში მკვიდრობდნენ: ***დინუაშვილები, შაღაშვილები, მახარაშვილები, არჩუაძეები, მალუტაშვილები, ფოთოლაშვილები, ძლიერიშვილები, თემრიყაშვილები, მიღდისოვები*** (ძირად მიღდისელები), ***დოლიშვილები, სალიაშვილები, კენტელაძეები, ნავროზაშვილები, არათანაშვილები, წულიაშვილები...*** 1821 წელს მჭადიჯვარში 48 კომლი ცხოვრობდა, 1860 წელს – 52, 1873 წელს – 88, 1886 წელს – 98. 1873 და 1886 წლებში მჭადიჯვარში ცხოვრობდნენ: *გოგოლაურები* (3 კ.), *ყალაგაშვილები* (4 და 6 კ.), *მიღდისოვები* (ქართველები), *მახარაშვილები* (2 და 3კ.), *სალიაშვილები* (4 და 3 კ.), *ცქირიაშვილი* (4 კომლი), *ძლიერიშვილი* (3 და 6 კომლი), *ტარიელაშვილი* (2 კ.), *წულიაშვილი* (3 და 4 კომლი), *კენტელაძე/კენტელაშვილი* (6 კომლი), *სულიაშვილი* **იგივე გაბიდაური,** *მოხევიშვილი* (2 კ.), *ნავროზაშვილი* (1 და 2 კ.), *კუაშვილი* (1 და 3 კ.), *თანდილაშვილი* (3 კომლი), *დინუაშვილი* (8 კომლი), *მუმლაური* (4 კომლი), *არჩუაძე* (8 და 9 კომლი), *არგანაშვილი* (3 კომლი), *ხალიბეგაშვილი* (2 კომლი), *ფოთოლაშვილი* (5 და 4 კომლი), *ქეთოშვილი* (5 და 6 კომლი), *მაყიშვილი* (1 და 2 კომლი), *არათანაშვილი* (3

[241] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VIII, თბ., 1985, გვ. 134.

კომლი), მალუტაშვილი (1 და 3 *კომლი), ჭარელაშვილი* (2 *კომლი), სამაშვილი* (3 *კომლი), ბაღაშვილი* (2 *კომლი)...* 1843 წლის აღწერით მჭადიჯვარში ცხოვრობდა აგრეთვე *კოლაგაშვილების* 4 *კომლი.*

ეთნოგრაფიული მასალებით, მჭადიჯვრის ყველაზე მკვიდრი გვარიაა ***ძლიერიშვილი,*** რომელთა „ნამდვილი გვარი“ ზუმბულიძე ყოფილა.

ერედაში 1886 წელს 23 *კომლი მკვიდრობდა. ამ დროს სოფლის გვარებიდან ყველაზე მეტი* ***გელიაშვილები*** იყვნენ (4 *კომლი*), შემდეგ – ***ფოცხვერაშვილები*** (3 *კომლი*), ***პირმისაშვილები, ბზარაშვილები*** და ***კვეზერელები*** (2-2 *კომლი*). ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ სოფელი ახლად დასახლებული იყო. 1948 წლისათვის უმრავლესობას ***თეზელაშვილები*** წარმოადგენდნენ (18 *კომლი*), რომლებიც 1886 წელს 2 *კომლი* იყვნენ, ერთი – თეზელაშვილი და მეორე – თეზელი (*მოსული* იყვნენ ქსნის ხეობის სოფელ დაბაკნეთიდან, *რომელსაც* მეორენაირად *თეზელაანიც* ერქვა). 16 *კომლს* შეადგენდნენ ***ბეგოიძეები***, *რომლებიც* 1886 *წელს* ერთი *ოჯახით* იყვნენ *წარმოდგენილი. თითქმის ანალოგიურ* მდგომარეობაში იყვნენ ***ზაქაიძეები*** (1948 – 10 *კომლი* და 1886 *წელს* – 1 *კომლი*). *გელიაშვილებმა* 4 *კომლიდან* მხოლოდ 13 *კომლს* მიაღწიეს.

XVIII-XIX *საუკუნეების* მიჯნაზე არ იყო მოსახლეობა **ძალისში** – ამ სოფელს იოანე ბაგრატიონი „მოსახლენის“ გარეშე აფიქსირებს. 1948 *წელს* ძალისში ცხოვრობდნენ: **ყამბეგაშვილები, ხუროშვილები, პავლიაშვილები, ჩალაგაშვილები, მელაძეები, ბექოშვილები, გათენაშვილები, გაგაძეები, ბაზარაშვილები, ვალიშვილები, კუთარაშვილები, ჭოხურები, ხაბალაშვილები, ციაბოშვილები, აბრიელაშვილები, ურთაშვილები, თუაშვილები, თინიკაშვილები, მამიაშვილები, ძევაშვილები...** ყველა ეს გვარი აქ შიდა ქართლის მთიანეთის სხვადასხვა ხეობიდან იყო მოსული. ეს სოფელი არაგვის ხეობის დაბლობის ნაწილში თითქმის ყველაზე გვიანდელი წარმონაქმნია – 1886 *წლის* საოჯახო *სიებში* ის არაა *დაფიქსირებული.* 1926 *წელს* კი *სოფელში* 177 *კომლი* მკვიდრობდა.

1926 წელს 149 კომლი ცხოვრობდა **მისაქციელში.** 1948 წლისათვის მისაქციელში ცხოვრობდნენ: ***რევაზიშვილები*** (15 კ.), ***ელიაშვილებო*** (12.), ***გელაშვილები*** და ***ზაქაიძეები*** (11-11 კომლი), ***ჩანადირები*** და ***თათარაშილები*** (10-10 კ.), ***ჩალაგაშვილები, ბერიაშვილები*** (9-9 კ.), ***ხვედიაშვილები*** და ***შარაბიძეები*** (7-7 კ.), ***ფოცხვერაშვილები*** და ***ბეკოშვილები*** (6-6 კ.), ***მოხევიშვილები, პატაშურები, გომურაშვილები*** და ***ლეკიშვილები*** (5-5 კ.), ***კენკიშვილები*** (4 კ.), ***გოგიაშვილები, ჭონქაძეები, პეტრიაშვილები*** და ***ჩხეტიანები*** (3 კ.), **ვაჟიკაშვილი, ბრაჭული, ჯანგირაშვილი** (2-2 კ.). 1886 წელს მისაქციელში 79 კომლი ცხოვრობდა. ამ დროს *რევაზიშვილები* მხოლოდ 2 კომლი იყვნენ, *ელიაშვილები* – 5 კომლი, *გელაშვილი* – 1 კომლი, *ზაქაიძეები* – 5 კომლი, *ჩანადირები* – 8 კომლი, *თათარაშვილები* – 3 კომლი, *ჩალაგაშვილები* – 1 კომლი, *ბერიაშვილები* – 2 კომლი, *ხვედიაშვილები* – 5 კომლი, *შარაბიძეები* – 6 კომლი, *ფოცხვერაშვილები* – 2 კომლი (აქვე ფოცხვერაშვილების კიდევ ორ კომლს მიწერილი აქვს მეორე გვარიც – ღვინიაშვილი), *ბეკოშვილები* – 2 კომლი, *მოხევიშვილები* – 2 კომლი, *პატაშურები* – 3 კომლი, *გომურაშვილები* – 1 კომლი, *ლეკიშვილები* – 2 კომლი, *კენკიშვილები* – 5 კომლი, *გოგიაშვილები* – 3 კომლი, *პეტრიაშვილები* – 1 კომლი, *ვაჟიკაშვილები* – 3 კომლი, *ჭონქაძეები* – 1 კომლი. 1886 წელს მისაქციელში ჯერ საერთოდ არ ცხოვრობდნენ: *ბრაჭულები, ჯანგირაშვილები, ჩხეტიანები.* 1886 წელს აღრიცხული *იორდანიშვილების* 4 კომლიდან საერთოდ 1926 წლისათვის აღარც ერთი აღარ ჩანს. იგივე ითქმის *მეზვრიშვილებზე, ოდიშვილებზე.*

1873 წლის კამერალური აღწერით, მისაქციელში 69 კომლი ცხოვრობდა, რომელშიც თითქმის იგივე გვარებია დაფიქსირებული უფრო ნაკლები კომლობრივი შემადგენლობით. გომურაშვილები მთიდან მოყოლილი გვარით – ***გომურით*** არიან დაფიქსირებული. ასახულია მიგრაციული პროცესიც: *პეტრიაშვილები* მისაქციელში 1863 წელს სოფელ საშაბუროდან გადმოსახლებულან, *ბეკოშვილები* – 1862 წელს სოფელ ნაოზადან, *ელიაშვილები* – სოფელ გრიგოლაანთკარიდან (1860 წლის აღწერა 1844 წელსა და სოფელ მინდორაულს უთითებს), *ბერიაშვილების* 2 კომლი

– 1865 წელს სოფელ საკრამულიდან, *ხამხაძე* – 1864 წელს კაიშაურებიდან, *თათარაშვილი* – 1860 წელს – ნაოზადან, *ქოჩორაშვილის* 2 კომლი – 1861 წელს ავენისიდან, *გოგიშვილის* 2 კომლი – ხევის 1861 წელს სოფელ ხურთისიდან, *კუპრაძე* – 1863 წელს – ნაოზადან. 1860 წლის აღწერა უფრო ნაკლებ კომლთა რაოდენობას ადასტურებს (49 კომლი), რომლის თანახმადაც *ჩალაგაშვილები* მიგრირებული ყოფილან 1850 წელს სოფელ *გენაფერიდან, ჭყოპიაშვილი* – 1850 წელს *წინდუშეთიდან, ჯავახიშვილის* 3 კომლი – 1850 წელს *არაგვისპირიდან.* 1843 წლის აღწერა უფრო ნაკლებ კომლს აჩვენებს (37). ირკვევა, რომ სოფლის დასახლება ფაქტობრივად XIX საუკუნის 40-იან წლებში მომხდარა და ეს გადმოსახლებანი ძირითადად არაგვისავე ხეობის მთისწინა სოფლებიდან მიმდინარეობდა, 37 კომლიდან 25 ახალი გადმოსახლებულია: *თინიბეგაშვილი* – კობიანთკარიდან, *ვარსიმაშვილი* – გრიგოლაანთკარიდან, *ელიაშვილები, გეკიაშვილები, ბეჟანაშვილები, გვიანიშვილები* – სოფელ მინდორაულიდან, *დავითაშვილი* – ბიჩნიგაურთკარიდან, *კენკიშვილი* – ჭილურტიდან, *დათუნაშვილი, ჩალაგაშვილი* – ებნისიდან, *წამალაიძე* და *ზარიძე* – ბულაჩაურიდან, *ჩანადირი, ელიოზაშვილი, ვაჟიკაშვილი* – ნაოზადან, *ზაქაიძე* (2 კომლი) – მთიულეთის სოფელ ზაქათიდან, *გომურაშვილი* – მთიულეთის სოფელ კაიშაურებიდან, *ჭიკაიძე* – სოფელ ცხავატიდან, *კენკიშვილი* – შიდა ქართლის სოფელ იგოეთიდან, *ჩანადირები* – სოფელ ახალუბნიდან. *გვიანიშვილი* – მთიულეთის სოფელ ხარხეთიდან, სეთურიძე – სოფელ ქერანიდან და ა. შ. მთიულეთში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალით, „ლეკიშვილები არიან მისაქციელში; ეგენი მთიულეთიდან არიან წასული, ბუჩუკურებია“ (შალიკო გიორგის ძე ზაქაიძე, 58 წლის, სოფელი კაიშაურები, 1981 წ.).

მისაქციელის დასახლება ფაქტობრივად მოხდა 1830-იანი წლებიდან, რასაც ცხადხყოფს 1843 წლის აღწერა. ამ დროს აქ მცხოვრები თითქმის ყველა ოჯახი მიგრირებული იყო ძირითადად არაგვის ხეობის უფრო ზემო წელში მდებარე სოფლებიდან (კობიანთკარი, გრიგოლაანთკარი, მინ-

დორაული, ბიჩინგაურთკარი, ჭილურტი, ებნისი, ბულაჩაური, აგრეთვე მთიულეთიდან)[242].

იოანე ბაგრატიონს არაგვის ხეობის დაბლობის სოფელთა ჩამონათვალში მისაქციელის (აგრეთვე ფრეზეთის) გვერდზე მიწერილი აქვს „არაგვისა“, რაც იმ ვარაუდის დაშვების საშუალებას გვაძლევს, რომ მისაქციელი არაგვის საერისთავოში შედიოდა, თუმცა *ვახუშტი ბაგრატიონი* ორივე დასახელებულ სოფელს „მუხრანისა სამთავრო“-ში ათავსებს. ოიკონიმი მისაქციელი პირველად წერილობით ძეგლში 1392 წელსაა მოხსენიებული არაგვის ხეობის დაბლობის სამ სხვა სოფელთან ერთად (აში, ბაგა, ნავაზა). 1441 წლის შეწირულობის წიგნით, მისაქციელის მოურავი ყოფილა მცხეთიშვილი ივანე მაკუჭაძე. შემდეგ გვხვდება 1447, 1516-1535 წლების, 1529-1536, 1532, 1559, 1618 წლების საბუთებში. 1637 წლის *როსტომ მეფის* მიერ გაცემულ დოკუმენტში საუბარია მისაქციელზე, როგორც „დიდი ხნის ნაოხარ“ სოფელზე, რომლის აშენება *ვახტანგ ბატონიშვილს* მოუნდომებია[243]. სოფელი მისაქციელი გვხვდება 1669 წლის „წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელში“, რომლითაც ეს სოფელი არაგვის საერითავოში შემავალი იყო[244]. 1793 წლის საბუთში სოფელ მისაქციელში ***ჯორაშვილის*** გვარია მოხსენიებული[245].

მისაქციელთან იქვე ახლოს მდებარეობს სოფელი **ნაოზა,** რომელშიც 1926 წელს 60 კომლი მკვიდრობდა (***კაბულაშვილები*** – 7 კომლი, ***ოქროპირიძეები*** – 2 კომლი, ***ოსიტაშვილები, ჩიდოშვილები, ბედოშვილები, სოლაშვილები, მუზაშვილები, სიდამონიძეები...***). იოანე ბაგრატიონი მას „ნავაზა“-ს უწოდებს და მოიხსენიებს იმ სიაში, რომელიც დასათაურებულია ასე „არაგვის საერისთოს სოფლები ვაკისა“. იმ დროს ნავაზაში მოსახლეობა ყოფილა, რადგან

---

[242] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 2126, გვ. 213-226.

[243] საქართველოს ისტორია ტოპონიმებში, ტომი პირველი, თბ., 2010, გვ. 525.

[244] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 549.

[245] ქართული სამართლის ძეგლები, V, თბ., 19, გვ. 628.

გვერდზე მინაწერი აქვს – „მოსახლენი“. ნაოზა/ნავაზა დიდი ხნის სოფელია, პირველად მოხსენიებულია 1392 წლის წერილობით ძეგლში. გვხვდება ის 1559 და 1669 წლების დოკუმენტებშიც. ამ უკანასკნელის თანახმად ნაოზა ***აზნაურ ოსიტა შვილებს*** ჰკუთვნებიათ. 1886 წელს ნაოზაში 33 კომლი ცხოვრობდა. 1860 წელს ნაოზაში სულ 17 კომლი იყო. ამ აღწერაში დაფიქსირებული არიან: *ამირიძე, ბეკოშვილი* (ყვავილიდან გადმოსახლებული), *თულა შვილი* (მეჯვრისხევიდან გადმოსახლებული), *თათარა შვილი, კობაიძე* (კობათკარიდან გადმოსახლებული), *ფრიდონა შვილი, ვალიშვილი* და სხვა. არსებობს ნაოზას 1821 წლის აღწერაც, რომელიც გვამცნობს იმას, რომ სოფელში იმ დროს მცხოვრები 11 კომლი აქ 7 წლის დასახლებული იყო: *ჩანადირი* (3 კომლი), *კახუა შვილის* 2 კომლი (იორიდან), *ელიოზი შვილი* (2 კომლი) – სოფელ იორიდან, *ნადიბაიძე* – არაგვისპირიდან, *ქადაგი შვილი* (ჯიქურა ულთკარიდან), *ამირიძე* და *ბურდული* – მთიულეთიდან. 1853 წელს ნაოზაში სოფელ ყვავილიდან კაჭკაჭურების ერთ კომლი იყო გადმოსახლებული.

XIX საუკუნის შუა ხანებშია შექმნილი სოფელ **ლამი**. 1860 წელს ამ სოფელში 22 კომლი ცხოვრობდა და თითქმის ყველა მათგანი ახალი დასახლებული იყო. 2 კომლი ***მოძღვრი შვილი*** სოფელ იორიდან იყო მიგრირებული. ამავე სოფლიდან იყო გადმოსახლებული ***შოთნია შვილების*** სამი კომლი, ***მჭედლი შვილები, შალვა შვილები, მამულა შვილები, ქა შია შვილები*** (2 კომლი), ***გელი შვილები.*** სოფელ ეთვალისიდან იყვნენ გადმოსახლებული ***ჩხუტია შვილები*** (4 კომლი) და ***ფრიდონა შვილები*** (3 კომლი). 1873 წლის აღწერით, 1870 წელს ლამში ინიანთკარიდან მიგრირებულა ნინიკა გიორგის ძე ***ომარა შვილის*** ოჯახი, 1863 წელს ანდრია გლახას ძე ***წიკლაური*** – ნაოზადან, ამავე წელს – ზურაბ იმედას ძე ***წიკლაური*** – ქაისხევიდან. 1865 წელს – შიო ნახდაიძე., 1873 წელს – ***ნათელა შვილი*** ავენისიდან და ა.შ. [246]. საერთოდ, სოფელ ლამში ძირითადად თავმოყრილი იყო არაგვის ხეობის უფრო ზედა მხარეზე მცხოვრები გვარები, მაგალითად,

[246] სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 236, გვ. 2-7; სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 257; სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 1809, გვ. 108-122.

1850 წელს იორიდან აქ დასახლებული იყვნენ გელიაშვილის, შოთნიაშვილის, ქაშიაშვილისა და შავლვაშვილის თითო ოჯახი. ფრიდონაშვილების ადრინდელი გვარი გიგაური იყო. სხვათა შორის, 1873 წლის აღწერით, ფრიდონაშვილების ერთ-ერთი ოჯახის უფროსის მამის სახელი *გიგაური* იყო. საქართველოში ხომ ტრადიცია იყო ადრინდელი გვარის პიროვნულ სახელად რქმევისა. ასე რომ, ერთი თვალის შეხებითაც კარგად ჩანს, რომ სოფელი ლამი ძირითადად მოშენდა არაგვის ხეობის მთისწინეთიდან გადმოსახლებულების მიერ.

XIX საუკუნის დოკუმენტებში არსად არ ჩანს სოფელი **აღდგომელაანთკარი**. 1926 წლის აღწერაში ის დაფიქსირებულია მეორე სახელითაც – **ხშირიხევი**. ამ დროს სოფელში სულ 11 ოჯახი ცხოვრობდა. 1948 წელს აღდგომელაანთკარში ცხოვრობდნენ: ***იორდანიშვილები*** (6 კომლი), ***უთურგაშვილები*** (7 კომლი), ***ჩიღოშვილები*** (3 კომლი), ***ხუროშვილი*** (2 კომლი), აგრეთვე ***ბადაგაძე, მეზვრიშვილი, გოლოშვილი, სოლაშვილი, ხოხაშვილი, ჩანადირი...***

ნატახტარში 1886 წელს 35 კომლი მკვიდრობდა. ამ დროს აქ ***ვარძიელაშვილების*** 4 კომლი იყო, რომლებიც მოგვიანებით სოფელში აღარ ჩანან – არაა ეს გვარი ნატახტარში აღრიცხული 1948 წლის საკომლო დავთრებში. 4 კომლი იყო ***აბაშვილის*** გვარი. არც ესენი იყვნენ სოფელში 1948 წელს. იგივე ითქმის ***მაისურაძეების*** (3 კომლი) შესახებ. 1886 წელს მოხსენიებული გვარებიდან 1948 წელს ნატახტარში ცხოვრებას აგრძელებდნენ: ***დემურაშვილები, ჭავჭავაძეები, ლომშარაძეები, როსტიაშვილები*** (1886 წელს 1 კომლი, 1948 წელს –10 კომლი), ***მაისურაძე-იმერლიშვილები*** (4 კომლი). 1948 წელს აღრიცხული გვარები ნატახტარში საკმაოდ გვიან არიან მოსული საქართველოს სხვადასხვა მხრიდან: ***თვალიაშვილები, იმერლიშვილები, ირიაულები, დიღმელაშვილები, ჭავჭავაძეები*** (ფრონეების ხეობის სოფელ ნულიდან), ***თალაშვილები, მამუჩაშვილები, მიდელაურები, ბადაშვილები, ჯიქურები, ბუჯიაშვილები, შალიკაშვილები, ლაზარიშვილები, მეტონიძეები, ლუტიძეები, სიდამონიძეები...*** რუსულ კამერალურ აღწერებში სოფელი ნატახტარი პირველად 1843 წელს გამოჩნდა ამ დროს აქ სულ 15

კომლი ცხოვრობდა. ესენი იყვნენ ახატნიდან გადმოსახლებული *მაისურაძეები* (3 კომლი) და *გიგაურები* (1 კომლი), კავთისხევიდან მიგრირებული დავლაშერიძეები, აბაშვილები და სიდამონიძეები (თითო კომლი), შიდა ქართლის სოფელ ზარდიანთკარიდან გადმოსახლებული ვარძიელაშვილები, ძეგვიდან მოსული ლუტიძე, ნორიოდან – შარვაშელიძე, გრემისხევიდან – ქოჩორაშვილი, ბოკოწინიდან – ქოჩორაშვილი, მჭადიჯვრიდან – ბადაშვილი[247]. ასე რომ, სოფელი ფაქტობრივად ახალი წარმოქმნილა, XIX საუკუნის 30-იან წლებში ახლო-მახლო სოფლებიდან და დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებულთა ხარჯზე. იგივე შეიძლება ითქვას სოფელ **ახალდაბის** შესახებ. 1886 წელს ახალდაბაში 40 კომლი და სულ ექვსი გვარი ცხოვრობდა. თითქმის ყველა მთიულეთ-გუდამაყრიდან (აგრეთვე, ხანდოდან) იყო გადმოსახლებული: ***დიდებაშვილები*** (14 კომლი), ***პატაშურები*** (11 კომლი), ***ნადიბაიძეები*** (8 კომლი), ***ქავთარაძეები*** (4 კომლი), ***გვრიტიშვილები*** (2 კომლი) და ***ჯიქიშვილი*** (1 კომლი). XX საუკუნეში აქ ეს გვარები ისევ აგრძელებდნენ ცხოვრებას. 1886 წლის საოჯახო სიებში არ ჩანს სოფელი **ახალუბანი,** თუმცა ის ერთ-ერთი ძველი სოფელია – მოხსენიებულია 1669 წლის წილკნელის სიგელში. 1948 წლის საკომლო დავთრებით ახალუბანში ცხოვრობდნენ: *მეზვრიშვილები* (19 კომლი), *ბეკოშვილები* (8 კომლი), *ჭონქაძეები* (7 კომლი), *თანიაშვილები* და *ციხელაშვილები* (6-6 კომლი), აგრეთვე *მჭედლიშვილი, რახრახაძე, ბულაური, ღარიბაშვილი, შადაშვილი, მირზიაშვილი...* ყველა ეს გვარი არაგვისავე ხეობის ქვედა ნაწილის სხვადასხვა სოფლიდან იყო მიგრირებული. ახალი დასახლებული იყო სოფელი **ლამიც,** რომელშიც 1886 წელს 21 კომლი მკვიდრობდა: ***ჩხუტიაშვილი*** და ***ფრიდონაშვილი*** (4-4 კომლი), ***წიკლაური, მამულაშვილი, მელიწკაური*** და ***შოთნიაშვილი*** (2-2 კომლი). ამავე დროს აქვე იყო თითო კომლი ***ქოქოსაძე, ქაშიაშვილი, შალვაშვილი, ნათელაშვილი...*** XIX და XX საუკუნეებში მათ დაემატნენ: ***გომურაშვილი, ხუროშვილი, ჯაბანაშვილი, გაგელიძე, ირიაული, ბრაჭული, სიდამონიძე, ჩიღოშვილი,***

---

[247] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 2126, გვ. 226-232.

არგანაძე... ლამის დასახლება 1850-იან წლებში დაწყებულა. 1860 წლის აღწერის თანახმად, ლამის 22 კომლიდან სამი კომლის გარდა ყველა ახალი დასახლებული იყო: მეზვრიშვილი (2 კომლი), მამულაშვილი, შოთნიაშვილი (3 კომლი), მჭედლიშვილი, შალვაშვილი, ქაშიაშვილი, გელიაშვილი – სოფელ იორიდან, ფრიდონაშვილი (3 კომლი) და ჩხუტიაშვილი (4 კომლი) – სოფელ ეთვალისიდან, ქავთარაშვილი – სოფელ ბარსუოკარიდან (?).

სოფელი **ფრეზეთი** იოანე ბაგრატიონს მინაწერით – „მოსახლენი“ – აქვს წარმოდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ XVIII საუკუნის ბოლოს ის სხვა ახლო-მახლო სოფლების მსგავსად ნასოფლარად არ იყო გადაქცეული. Ѕრეზეთს მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონიც. მოხსენიებულია ეს სოფელი 1669 წლის „წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელში“. ამ წერილობითი ძეგლის თანახმად, ფრეზეთი ***აზნაურ მირზაშვილებისა*** ყოფილა. 1886 წელს ფრეზეთში 23 კომლი მკვიდრობდა. სოფელში ცხოვრობდნენ: ***ირიაულები*** (6 კომლი), ***ხურიშვილები*** (5 კომლი), ***პილპილაშვილები*** და ***ოსიშვილები*** (3-3 კომლი), აგრეთვე ***მუმლაური, ძიგოშვილი, გოგოლაური, ღურბელაშვილი*** (თითო კომლი). 1860 წელს ფრეზეთში 8 კომლი იყო: ***ირიაული, ოსიშვილი, ხურიშვილი, პილპილაშვილი, გოგოლაური*** (ახალი გადმოსახლებული იყო ფშავის სოფელ მაღაროსკარიდან), ***მუმლაურიშვილი***[248]. ირიაულები წარმოშობით არიან მთიულეთის ხადას ხეებიდან – 1781 წელს აქ, სოფელ იუხოში ცხოვრობდა „ირიაული გიორგი“[249]. იმავე წელს ირიაული უკვე არაგვის ხეობის დაბლობ ნაწილში, დუშეთშიც იყო აღრიცხული: „სახასო ბოგანო ხადელი ირიაული ხიზანა“[250]. რაც შეეხება **უფურეთს,** ის 1886 წლის საოჯახო სიებში არ ჩანს. მაგრამ 1821 წელს უფურეთში 8 კომლი ცხოვრობდა (ჯავახოვი – 2 კ., ბულაროვი – 2 კ., ქაშეევი – 2 კ., და ჯოჯიევი – 2 კ.). ყველა ისინი უფურეთში ათი წლის დასახლებული იყვნენ (ე. ი. 1811 წელს) და პირველი სამი

---

[248] სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. № 236, გვ. 259-263

[249] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 106.

[250] ივ. ჯავახიშვილი. სეიძ, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 134.

გვარი თანდილაანთკარიდან იყო მიგრირებული, მეოთხე – ორუსოდან[251]. სალოცავი *უფურეთის წმიდა გიორგი* არის ქაისხევის თავზე, სოფელ უფურეთის მახლობლად. ამ ხატის ყმები არიან: მამნიანი, ცილიკიანი, გაგელი, ნამგალაური და სოფელ უფურეთში მცხოვრები ოსები. უფურეთის *წმიდა გიორგის* მოძმე ხატად ითვლება ცილიკანის უბანში მოთავსებული *ფშარაველ წმიდა გიორგი.*

[251] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 689, გვ. 301-304.

დასკვნა

ამრიგად, ასეთია არაგვის ხეობის დაბლობი ნაწილის – მთისწინეთისა და ბარის – მოკლე ისტორია. წიგნში, რა თქმა უნდა, რეგიონის ეთნოისტორიული პრობლემები მხოლოდ ნაწილობრივაა წარმოდგენილი, რისი მიზეზიც ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი ძეგლების, საბუთების შედარებითი ნაკლებობაა. არაგვის ხეობის დაბლობი ნაწილის შესწავლისათვის არსებითია XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, რომელმაც, საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია. ამ თვალსაზრისით უაღრესად ბევრ საყურადღებო მონაცემს შეიცავს რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული ე. წ. კამერალური აღწერის დავთრები და საოჯახო სიები. Rამ დავთრებში ფიქსირდებოდა მოსახლეობის, თითოეული ოჯახის გადაადგილება-გადასახლებანი. ამ მონაცემებს გარკვეულწილად ავსებს ეთნოგრაფიული მონაცემები, გადმოცემები გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. აღწერის დავთრებში დადასტურებული მიგრაციის ფაქტებს ეთნოგრაფიული მასალები ხშირად ავსებს და ადასტურებს, რაც პირდაპირ იმაზე მიუთითებს, რომ ამ უკანაკნელთ ძალიან ხშირ შემთხვევაში პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს. მიგრაციისა და გვართა სადაურობა-წარმომავლობის დამადასტურებელ ზემოხსენებულ მასალას კიდევ უფრო ამყარებს სხვა რიგის ეთნოგრაფიული მასალები, კერძოდ ის, რომ ქართველი არასდროს არ ივიწყებდა წინაპრის საგვარო და სათემო სალოცავს, ან დადიოდა სალოცავად იქ, საიდანაც მიგრირებული იყვნენ, ან ახალ საცხოვრისში ამ სალოცავის ნიში ჰქონდა გადმოტანილი, რომელსაც საკვლევ რეგიონში მოიხსენიებენ ისეთი ტერმინით, როგორიცაა **„განძი“**.

ზოგად ეთნოისტორიულ მონაცემებთან, ფაქტებთან ერთად, წიგნში მოცემულია არაგვის ხეობის დაბლობ ნაწილში მდებარე ამა თუ იმ სოფლის ისტორია – როდის და რა კონტექსტში იხსენიება თითოეული მათგანი. ირკვევა, რომ არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობა ფაქტობრივად შემორჩენილი არაა.

ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მხარეებშიც კი, როგორებიცაა ხანდო და ჭართალი, ძველი მკვიდრი მოსახლეობა შედარებით მცირე რაოდენობითაა და პრიორიტეტი მოსულ, მიგრირებულთ აქვთ, რომლებიც ძირითადად უფრო ჩრდილოეთით მდებარე მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან (მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი, ხევსურეთი, ფშავი, ქსნის ხეობის მთიანეთი) არიან გადმოსახლებული.

ადარ იყო ძირძველი მოსახლეობა ხორხში, რომლის მკვიდრნიც XVI-XVII საუკუნეებში კახეთში გადასახლებულან, სადაც მიგრაციას ტოპონიმის გადატანაც კი მოჰყოლია (ხორხე-ლი). ტოპონიმის გადატანა კი იმ შემთხვევაში ხდებოდ, როდესაც გადასახლებას ჯგუფური ხასიათი ჰქონდა. ხორხის ის მოსახლეობაც, რომელიც გვაინ შუა საუკუნებში კახეთში იყო გადასახლებული უფრო ადრე ასევე მთიდან ხევსურეთიდან იყო გადმოსახლებული. ამ ფაქტს კი ადასტურებს კახეთში მიგრირებული მოსახლეობის სალოცავისადმი ყმობა, რომელსაც „ხმალა“ ერქვა.

არაგვის ხეობის მთისწინა რეგიონებისაგან განსხვავებით, ხეობის უკუდურეს დაბლობში – ბარში, სადაც თავშეფარებისათვის აუცილებელი რელიეფი და ტყე არ არსებობდა, ძველი ადგილობრივი მოსახლეობა ფაქტობრივად აღარსად იყო, აქ სოფლები „მოსახლენის“ გარეშე იყვნენ, ისინი ნასოფლარებად იყო გადაქცეული. მთისწინა ზოლის სოფლებში, სადაც ამის საშუალებას ლანდშაფტი და ბუნებრივ-გეოფრაფიული გარემო იძლეოდა, გვიან შუა საუკუნეებში მოსახლეობა მაინც იყო და ამ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არა ადგილობრივი ძველი მკვიდრები შეადგენდნენ, არამედ მიგრირებულები უფრო ჩრდილოეთით მდებარე მთისწინა და მთიანი მხარეებიდან. ინტენსიური იყო არაგვის ხეობის მთისწინეთის სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია საგურამოს მხარესა და სამუხრანბატონოში შემავალი არაგვის ბარის სოფლებში XIX საუკუნის შუა ხანებიდან.

ქართველ მთიელთა მიგრაცია არაგვის ხეობის დაბლობ ნაწილში საერთოდ არ შეწყვეტილა, რასაც ძირითადად განაპირობებდა მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარებში მოსახლეობის გამოკვების საშუალებების შეზღუდუ-

ლობა, მიუხედავად იმისა, რომ გვიან შუა საუკუნეებში, საგარეო ფაქტორის გამო (ოსმალობა, ყიზილბაშობა, ლეკიანობა), საფრთხე გარკვეული იყო იქ, სადაც ლანდშაფტი ოდნავ მაინც იძლეოდა თავის შეფარების საშუალებას, მთიელთა მიგრაცია არ შეწყვეტილა. ასეთი მიგრაციული პროცესები ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო მხოლოდ არაგვის დაბლობის ბარის ნაწილში (ნატახტარ-მისაქციელის მიმდებარე ტერიტორია), აგრეთვე მდინარის მარცხენა მხარეს, რომელიც ისტორიულად კახეთს ეკუთვნოდა (საგურამოსა და ჭოპორტის მხარეები). თითქმის ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა ამავე მხარეს მდებარე ძაგნაკორას „ქვეყანაში“. ძაგნაკორაში მხოლოდ ორიოდე ძველისძველმა გვარმა (ოდიშელიძე, ლაფანაშვილი) შეინარჩუნა მდგომარეობა. საერთოდ არაგვის ხეობის დაბლობის მარცხენა მხარეში მოსახლეობის დასახლკარება ძირითადად XIX საუკუნეში დაიწყო და ის XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით გრძელდებოდა. ამ დროს იქნა აღორძინებული არაგვის ხეობის ბარის ის მონაკვეთი, რომელიც ისტორიულად სამუხრანბატონოს მიეკუთვნებოდა.

XIX საუკუნეში მოხდა ხანდოსა და ჭართლის რამდენიმე ნასოფლარის დასახლება მთიელთა ინტენსიური გადმოსახლების შედეგად. იგივე პროცესი განხორციელდა ძაგნაკორაში, XX საუკუნის დასაწყისიდან ათვისებული იქნა არაგვის მარცხენა მხარეს მდებარე დანარჩენი სოფლები ჭოპორტიდან ვიდრე საცხაოტლო-ხეობამდე.

საკვლევი რეგიონის მარჯვენა მხარე არაგვის ერისთავთა სამფლობელოს წარმოადგენდა. მას **დაბალი საერისთავო** დაერქვა, მას შემდეგ, რაც ამ ფეოდალებმა თავიანთი უფლებამოსილება მთიანეთის რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეზეც (მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი) გაავრცელეს. ბუნებრივია, არაგვის ერისთავები დაინტერესებული იყვნენ დაბალ საერითავოში, რომელშიც მაღალ დონეზე იდგა სახვნელი მიწათმოქმედება და ბევრ ადგილას მევენახეობა-მეღვინეობაც, მუდმივად ჰყოლოდათ მწარმოებელი მოსახლეობა. ამიტომაც იყო, რომ მთიანეთისა და მთისწინეთის ისტორიულ-ეთნოგრფიული მხარეებიდან ისინი ხელს უწყობდნენ მიგრაციას და ზოგჯერ მათ ასეთ ჯგუ-

ფურ გადასახლებასაც ახდენდნენ (მაგალითად, ჭართლის სოფელ ბუჩანთკარიდან ბუჩაშვილების ბაზალეთის სიახლოვეს გადასახლება, რასაც თან ტოპონიმის გადატანაც მოჰყვა. მეორე ანალოგიურ ფაქტია სოფელი ბანცურები ხანდოში და ბანცურთკარი – ქაისხევში).

არაგვის ხეობის დაბლობში შეიმჩნევა მოსახლეობის მიგრაცია ქსნის ხეობიდანაც. საერთოდ, ორ მოსაზღვრე ხეობას შორის მიგრაციული პროცესი ორმხრივი იყო. ქსნის ხეობაში მცხოვრებ არაერთ გვარს მთიულურ-გუდამაყრული წარმომავლობა აქვს. ამ მხრივ ის ფაქტიცაა ნიშანდობლივი, რომ ორივე ხეობის მთიელებს საერთო, გამაერთიანებელი სალოცავი – *ლომისა* – ჰქონდათ.

XIX საუკუნეში არაგვის ხეობაში მოსახლეობის გა-დასახლება გარკვეულწილად დააჩქარა საქართველოს რუსეთის კოლონიად გადაქცევამაც, რადგან სამხედრო გზის გაყოლებაზე მცხოვრებ მთიულებს, გუდამაყრელებს, აგრეთვე ხანდოელებსა და ჭართლელებს საკმაოდ მძიმე ე. წ. „საგზაო ბეგარა“ ჰქონდათ შეწერილი, რაც აღნიშნული გზის მოვლა-პატრონობას ითვალისწინებდა.

კითხვა ისმის – რატომ ერიდებოდნენ მთიელები არაგვის ხეობის ბარის ნასოფლარებში დასახლებას XIX საუკუნის დასაწყისამდე? პასუხი ერთმნიშვნელოვანია – საგარეო ფაქტორის გამო. ამ ნასოფლარების აღორძინების შემთხვევაში ისინი დაცული არ იქნებოდნენ, ყველაზე მეტად ლეკთა თარეშებისაგან. ლეკები არაგვის ხეობის დაბლობის სხვა ნაწილებშიც ლაშქრობდნენ, მაგრამ ზემოთ მდებარე სოფლების ლანდშაფტი/გარემო-ბუნებრივი პირობები მათ თავის შეფარების საშუალებას მეტ-ნაკლებად აძლევდა.

არაგვის ხეობის დაბლობში მოსახლეობის დიდ ნაწილს მთური წარმომავლობა აქვს, მაგრამ აქ მოსული არიან საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრნიც: ქართლიდან, კახეთიდან, დასავლეთ საქართველოდან. დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლება კი განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გააქტიურდა, მას შემდეგ, რაც მათ შიდა ქართლისა და თორის (ბორჯომის ხეობის) დაუსახლებელი ადგილები

აითვისეს[252]. ამიტომ სრული ჭეშმარიტებაა ერთ-ერთი მთხრობლის სიტყვები: **„არაგვისპირში ისეა ხალხი აქერჭრელებული, რა ვიცი, ვინ ვინაა“.**

ზემოთ თქმული კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: შიდა მიგრაციული პროცესების შედეგად არა მარტო არაგვის ხეობის დაბლობში მოხდა მოსახლეობის კვლავწარმოება, არამედ მთლიანად შიდა ქართლში (და კახეთშიც). ოსახლეობის კვლავწარმოების რეზერვს წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი და მთისწინეთი და დასავლეთ საქართველო. როდესაც ხშირად ქართველთა გადარჩენისა და გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულებზე ქართველობის შენარჩუნების პრობლემებზე ვსაუბრობთ, შიდა მიგრაციული პროცესები გაუთვალისწინებლობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

მთელი გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის არაგვის ხეობის მთისწინეთ-ბარში მიგრაცია ინტენსიური რომ იყო, ამას აქ მთური სალოცავების ნიშებიც/„განძებიც“ ადასტურებს, ის კი არა და, ასეთი ნიშების გადატანის ერთგვარი საფეხურებრივი ხასიათიც კი ჩანს, მაგალითად, „ჭართლის დედაღვთიმშობელი“, რომელიც ხევსურეთის სოფლებიდან დათვისიდან და გველეთიდან აყრილმა გიგაურებმა ჯერ ჭართალში გადმოიტანეს და ჭართლიდან შემდეგ უფრო დაბლობში, სადაც კი ამ გვარისანი და ამ გვარიდან შტონაყარი სხვადასხვა გვარები დასახლდნენ. მოგზაურობის ანალოგიური გზა გაუვლია ისევ და ისევ გიგაურთა მეორე სალოცავს „ლაშარის ჯვარს“. ფშავიდან ოდესღაც ხევსურეთში გადასხლებულ გიგაურებს არც საერთო საფშავლო სალოცავის ნიშის გადატანა დავიწყებიათ ჭართალსა და შემდეგ ყველგან, სადაც კი ისინი უფრო დაბლობის სხვადასხვა სოფელში დამკვიდრებულან. მოფენილია არაგვის ხეობის დაბლობი მთიულეთისა და ქსნის ხეობის საერთო სალოცავის – „ლომისის“ და გუდამაყრელთა საერთო სალო-

---

[252] რ. თოფჩიშვილი. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის შესახებ ისტორიული თორის მხარეში. – გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, V, თბ., 2019, გვ. 303-346.

ცავის – „პირიმზე ფუძის ანგელოზის“, მთიულეთის ცხავატის ისტორიული თემის სალოცავის „ცეცხლიჯვრის“, „ფშარაველის“ ნიშებით. ადარას ვიტყვით საგვარეულო და სასოფლო სალოცავების ნიშებზე.

არაგვის ხეობის დაბლობში წინა საცხოვრისიდან გადმოტანილი ნიშები ხშირ შემთხვევაში არა მთური სალოცავის ნიშის სახითაა (სასანთლე) წარმოდგენილი, არამედ ისინი გამართულია ადრინდელი მოსახლეობის ეკლესიებსა და ეკლესიების ნანგრევებზე. ეს კი ქართველ გადასახლებულთა გარკვეული დამოკიდებულების გამომხატველია ახალი საცხოვრისის და მისი წმიდა ადგილების მიმართ, დამოკიდებულებაა ერთიანი ეთნიკური კულტურისადმი, ხაზგასმაა იმისა, რომ ეკლესიაც და ეკლესიის ნანგრებვებიც მისი წინაპრებისა იყო. ამასთანავე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ სალოცავთა ნიშები ძირითადად მიგრანტებს შთამომავლებს გადმოჰქონდათ.

არაგვის ხეობის დაბლობში გადმოსახლებული მთიელები ზოგჯერ სხვადასხვა, ახალ მემკვიდრეობით სახელს (გვარსახელს) იმკვიდრებდნენ, რაც საერთო ქართულ მოვლენაა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მათი შთამომავლები ორი გვარის მატარებლებად (მფლობელებად) გაიაზრებდნენ თავს; ეს კი განსაკუთერებით ხაზგასმულად არის წარმოდგენილი ჭართლელ გიგაურებსა და გიგაურებიდან შტონაყარ გვარებზე.

არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში მოსახლეობის მიგრაციის ფაქტები, როგორც ვნახეთ, ძირითადად დადგენილი იქნა გვართა ისტორიის შესწავლის საფუძველზე, საისტორიო საბუთებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების ერთობლიობით. გვარსახელების საშუალებით მოხდა არაგვის ხეობაში ზემოდან ქვემოთ, მთიდან ბარისაკენ მოსახლეობის მიგრაციის შესწავლა და, პირიქით, მიგრაციის საშუალებით არაერთი ქართული გვარის ისტორიის გარკვევა. ამ შემთხვევაშიც დადასტურდა, რომ ისტორიულად მთიდან დაბლობისაკენ გადმოსახლდებოდა ძირითადად მოსახლეობის ჭარბი, ზედმეტი ნაწილი. ეს ფაქტი კი არაგვის ხეობის მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მოსახლეობის დემოგრაფიულ სტაბილიზაციას განაპირობებდა.

წიგნში წარმოდგენილ მთიელთა მიგრაციის დამადასტურებელ მონაცემებს თუ შევადარებთ იმავე მთიელთა მიგრაციას გვიან შუა საუკუნეებიდან მოკიდებული ერწო-თიანეთსა და აგრეთვე სხვა დაუსახლებელი რეგიონების მიმართულებით (შიდა ქართლის სხვა მონაკვეთები, ქვემო ქართლი, გარე კახეთი, კახეთი ახმეტის მიდამოებში)[253], დავინახავთ, რომ მთიელებმა ფაქტობრივად მოახდინეს მთისწინეთსა და ბარში გამწვავებული დემოგრაფიული ვითარების აღდგენა.

[253] რ. თოფჩიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX საუკუნეებში (ფშავ-ხევსურეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), თბ., 1984; რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები), თბ., 2002.

სარჩევი

შესავალი----------3

ხანდო----------6

ჭართალი----------21

ხორხი/ხორხის ხეობა----------41

ბაზალეთი/„დაბალი საერისთავო“----------54

ძაგნაკორა/ზეგნაკორა----------139

ძაგნაკორას მიმდებარე არაგვის ხეობის
დაბლობის სოფლები----------161

ხერკის/თეზამის ხევი (საგურამოს
მხარე) ----------170

სამუხრანბატონოში შემავალი არაგვის
ხეობის ბარის სოფლები----------182

დასკვნა----------195

ISBN 978-9941-455-67-9